საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№20 (207)
5 - 11 ივნისი, 2013

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

6 **როგორ იცხოვრებს «ნაცმოძრაობა» ხერხემლის გარეშე?**


აკაკი ასათიანი:

## «ამასაც მოვაგვარებ, იმასაც მოვაგვარებ» — შესანიშნავი ზღაპარია, მაგრამ ზღაპარში მხოლოდ ოცნებებია... 4

ინტერესთა კონფლიქტს ვერ ამჩნევთ თუ ნაცხროვის მსგავსად იქცევით, ორი თვით ადრე რომ ქმნიდნენ ფირმებსა თუ კომპანიებს, რათა მერე ტენდერები მოეგებინებინათ თავისი საახლობლო-სამეგობრო წრისთვის? ხომ არ ჰგავს ოდიშარიას „უვნებელი მოღვაწეობა“ „ნაცების“ კრიმინალურ მოქმედებებს?



## ბატონო ბიძინა, როდემდე დააფინანსებთ «ასომთავრულებს» ქართველი ხალხის ფულით? 10

12 **«ყველანაირი საფუძველი არსებობს იმისა, რომ სააკაშვილი ოქტომბრის შემდეგ საბრალდებო სკამზე ვიხილოთ»**

13 **რას უპასუხებენ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ისლამ საიდაევის ბრალდებებს?**


ალექსანდრე ჭაჭია:

## ქართული მიწა ეკუთვნის ქართველ ერს, ხოლო ერი მხოლოდ დღევანდელი თაობა როდია 2


ვალერი ჩხეიძე:

## ყველამ თავის გაპედერასტებულ ქვეყანას მიხედოს! 8

14 **«გარე ძალებმა ჩათვალეს, რომ ეკლესიის წინააღმდეგ გადამწყვეტი იერიშის დრო მოვიდა»**

21 **ბავშვები სოდომისტების ოჯახებიდან — შოკისმომგვრელი სტატისტიკა**

მამა ბასილი (ახვლედიანი): 15



**უწმინდესმა პირდაპირ რომ თქვას, ID ბარათი არ აიღოთო, სინოდი გაიხლიჩება და ეკლესია თავზე დაგვემხობა**

5



## რატომ შეუტია «ვაშინგტონ პოსტმა» ბიძინა ივანიშვილს?

## ძირძველი ამერიკელების გენოციდი, ანუ კაპიტალიზმის საოცარი კანონზომიერება 18

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ახალ ხელისუფლებას, რომელზეც არც სისხლია და არც დანაშაული მიუძღვის, აქვს მცირე შანსი, გამოიყვანოს შექმნილი ვითარება ჩიხიდან. ამისთვის საჭიროა პრემიერ-მინისტრის პოლიტიკური ნება, პრეზიდენტის შესაბამისი ფუნქციებით დატვირთვა და ამ პოსტზე რუსული, ოსური და აფხაზური მხარეებისთვის მისაღები ადამიანის არჩევა. ეს აუცილებელია ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის. ეს აუცილებელია იმისთვისაც, რომ ივანიშვილმა ერის ნდობა შეინარჩუნოს.“**

### ალექსანდრე ჭაჭია:

# ქართული მიწა ეკუთვნის ქართველ ერს, ხოლო ერი მხოლოდ დღევანდელი თაობა როდია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №19 (206)

**ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ალექსანდრე ჭაჭია.**

**— თქვენ სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში მომავალი პრეზიდენტის როლის შესახებ ახალი ხედვით გამოხვედით და განაცხადეთ, რომ პრეზიდენტი უნდა დავავალდებულოთ, დაკავდეს ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური და რუსულ-ქართული ურთიერთობების აღდგენის პრობლემით. ჩვენმა გაზეთმა მხარი დაუჭირა თქვენს იდეას, გამოკითხა უამრავი ექსპერტი და ბევრი მათგანი დაეთანხმა საკითხის ამგვარად დასმას, თუმცა ამ შეთავაზებას ხელისუფლებისგან რეაგირება არ მოჰყოლია. როგორ ფიქრობთ, რატომ?**

— თუ ხელისუფლებას სჭირდება ნომინალური პრეზიდენტი, რომელიც ოფიციალური ვიზიტებით ევროპასა და ამერიკას ეწვევა და კულტურულ ღონისძიებებში მიიღებს მონაწილეობას, მაშინ რეაქციის არქონა ჩემს შეთავაზებაზე გასაგებია. ასეთ თანამდებობას ჩვეულებრივ „სინეკურას“ უწოდებენ: ადამიანი ზის ხალხის კისერზე, იყენებს ყველა პრივილეგიას, სარგებლობს საყოველთაო პატივისცემით, ხოლო საქმიანობის კონკრეტულ შედეგებს მას არავინ სთხოვს. საქართველოში ასეთ თანამდებობაზე პრეტენდენტი ბევრია და მათგან ნაწილმა უკვე წარადგინა თავისი თავი, მაგრამ, **თუ ამ თანამდებობას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებლობით დავტვირთავთ და დავადგენთ, რომ ერთ-ორ წელიწადში პრეზიდენტმა უნდა წარადგინოს თავისი საქმიანობის კონკრეტული შედეგები, მაშინ ამ პოსტის დაკავების მსურველთა რიცხვი მკვეთრად შემცირდება.** მე ვთვლი, რომ ქართველ ერს არ გააჩნია სურვილი და ფუფუნება, რომ ძვირადღირებული მაღალჩინოსანი უსაქმური შეინახოს. ვთვლი, რომ ეს მაღალი რანგის პოსტი აუცილებლად კონკრეტული ამოცანების, მიზნების მისაღწევად უნდა იქნას გამოყენებული. შევარდნაძე-სააკაშვილის მმართველობის პერიოდში რუსეთთან, აფხაზებთან, ოსებთან ურთიერთობების სფეროში არავითარი პოზიტიური ნაბიჯი არ გადადგმულა. პოლიტიკის ამ მიმართულებით მუშაობდნენ ყველაზე არაკომპეტენტური ჩინოვნიკები, რომლებიც პარტნიორებთან არანაირი ავტორიტეტით არ სარგებლობდნენ. ორივე ხელისუფალი ამ პრობლემების გადაწყვეტის მიმართ თავის აბსოლუტურ გულგრილობას იჩენდა. სააკაშვილმა კი აგვისტოს ავანტიურით პრობლემა სრულ ჩიხში შეიყვანა. **ახალ ხელისუფლებას, რომელზეც არც სისხლია და არც დანაშაული მიუძღვის, აქვს მცირე შანსი, გამოიყვანოს შექმნილი ვითარება ჩიხიდან. ამისთვის საჭიროა პრემიერ-მინისტრის პოლიტიკური ნება, პრეზიდენტის შესაბამისი ფუნქციებით დატვირთვა და ამ პოსტზე რუსული, ოსური და აფხაზური მხარეებისთვის მისაღები ადამიანის არჩევა. ეს აუცილებელია ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის. ეს აუცილებელია იმისთვისაც, რომ ივანიშვილმა ერის ნდობა შეინარჩუნოს.** საქმე ისაა, რომ ეკონომიკაში სწრაფი წარმატებები ვერ მოხდება, მიღწევათა შედარება ჯერჯერობით ამ ხელისუფლების სასარგებლოდ ვერ იქნება, სულიერ-ზნეობრივ სფეროშიც, როგორც უკვე ვისაუბრეთ, სერიოზული ძვრების იმედი არ უნდა გვქონდეს; ხმაურიანი სასამართლო პროცესების მეშვეობით შესაძლებელია ხელისუფლების რეიტინგის შენარჩუნება, მაგრამ დიდი ხნით — არა. ამიტომ **ახალმა ხელისუფლებამ ნდობის შესანარჩუნებლად პოზიტიურ შედეგებს უნდა მიაღწიოს იმ მიმართულებით, რომელშიც წინა ხელისუფლებამ სრული კრახი განიცადა. ეს მიმართულებაა რუსეთთან, აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობები.**



> **«ახალმა ხელისუფლებამ ნდობის შესანარჩუნებლად პოზიტიურ შედეგებს უნდა მიაღწიოს იმ მიმართულებით, რომელშიც წინა ხელისუფლებამ სრული კრახი განიცადა. ეს მიმართულებაა რუსეთთან, აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობები»**

**— გამოითქვა მოსაზრება, რომ პრეზიდენტად ეთნიკური აფხაზი აგვერჩია. ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ მან განიხილა ეს წინადადება. როგორია თქვენი აზრი?**

— ის ფაქტი, რომ ეს წინადადება სერიოზულად განიხილებოდა ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ, მიგვითითებს, რომ ხელისუფლებას საერთოდ არ ესმის რეალური სიტუაცია როგორც აფხაზეთში, ისე ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში. პირველ რიგში, აფხაზის პრეზიდენტად არჩევა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი აფხაზია, დამამცირებელია როგორც ამ ადამიანისთვის, ისე ქართული საზოგადოებისთვისაც. მეორეც, აფხაზი, რომელიც დღეს გახდება საქართველოს პრეზიდენტი, დაკარგავს ყველა კონტაქტს აფხაზურ საზოგადოებასთან, გახდება აფხაზეთში მიუღებელი ფიგურა. **საქართველოს პრეზიდენტი ქართველი უნდა იყოს, მაგრამ ქართველი, რომელიც სარგებლობს როგორც ქართული საზოგადოების, ისე აფხაზებისა და ოსების ნდობით.**

**— აფხაზურ პრობლემასთან დაკავშირებით საინტერესოა თქვენი აზრი თბილისში არსებული აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს მნიშვნელობის შესახებ. შეუძლიათ თუ არა მათ რაიმე როლის შესრულება ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ნორმალიზებაში?**

— რა თქმა უნდა, არა. ვერანაირ დადებით როლს ისინი ვერ ითამაშებენ იმ მიზეზით, რომ აფხაზური მხარე მათ არავითარ შემთხვევაში არ დაელაპარაკება. და არამხოლოდ იმიტომ, რომ ბევრ მათგანს აფხაზეთში მომხდარ სისხლიან ტრაგედიაში ბრალი მიუძღვის. **საქართველოში არის ხალხი, რომელსაც აქვს კარგი პირადი კონტაქტები აფხაზურ საზოგადოებასთან, აფხაზეთში ავტორიტეტითა და ნდობით სარგებლობს, მაგრამ, თუ რომელიმე მათგანი დაიკავებს ოფიციალურ თანამდებობას აფხაზეთის სტრუქტურებში თბილისში, მაშინვე ყველა კონტაქტი მასთან გაწყდება.** ეს რეალობაა და იგი უნდა გავითვალისწინოთ. საერთოდ კი, რა თქმა უნდა, ამ სტრუქტურებს მომავალი არ გააჩნია.

**— სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და მსოფლიო პატრიარქის შეხვედრის შემდეგ ქართული ეკლესიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ უახლოეს მომავალში შედგება ილია მეორეს ვიზიტი აფხაზეთში. რამდენად რეალურია ეს?**

— ეს არარეალურია, არავითარი ვიზიტი არ იქნება. სამწუხაროდ, ჩვენი ეკლესია, ისევე, როგორც სახელმწიფო ხელისუფლება, ყოველთვის იგვიანებს თავისი ინიციატივებით, რითაც პრობლემას ჩიხში აქცევს. ასეთი ვიზიტი სხვა მეთოდებითა და სხვა ხალხის დახმარებით უნდა მომზადდეს. და ამ მიმართულებით მუშაობა არა კონსტანტინოპოლის პატრიარქთან, არამედ აფხაზური საზოგადოების შიგნით უნდა ხდებოდეს.

**— ვინ უნდა იმუშაოს? ახალი ხელისუფლების საკადრო პოლიტიკა დიდად არ განსხვავდება „ნაციონალების“ პოლიტიკისგან, რის გამოც საზოგადოებაში შეიმჩნევა უკიდურესი უკმაყოფილება როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ისე მთავრობის შემადგენლობის ხარისხით...**

— დიახ, ბოლო 20 წლის მანძილზე იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში არ არიან ჭკვიანი, ერუდირებული, ეროვნული სულით გამსჭვალული პროფესიონალები. რამდენიმე წლის წინ რუსეთის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მითხრა: ვიცნობდი და ვიცნობ ბევრ უაღრესად განათლებულ, წარმოსადეგ ქართველს — როგორც სუფთა ინტელექტუალებს, ისე ორგანიზატორ-პრაქტიკოსებს; მითხარი ერთი, ვისგან ყალიბდება ქვეყნის პოლიტიკური ელიტა, თქვენი უმაღლესი ჩინოვნიკების კორპუსი, სად პოულობენ ასეთ გონებაშეზღუდულ და უფერულ ხალხს? მე ვუპასუხე, რომ, ჯერ ერთი, მათ შორის ცოტაა ქართველი, და მეორე, მათ პოულობენ და აწინაურებენ ამერიკელი კურატორები, ქართველი ხალხის აზრს და სურვილს ამ საქმეში არანაირად არ ითვალისწინებენ. ამასთან ერთად, უნდა ვაღიაროთ, რომ გარკვეული პროგრესი მაინც არის: თუ ადრე გვრცხვენოდა საჯარო პირების 95 პროცენტის გამო, დღეს ამ გრძნობას 60-70 პროცენტის მიმართ განვიცდით. ვნახოთ, შეიძლება დროთა მანძილზე სიტუაცია უკეთესი გახდეს.

**უნდა ვაღიაროთ, რომ საზოგადოების მოლოდინი ძალიან გა-** ▶

> **«საქართველოს პრეზიდენტი ქართველი უნდა იყოს, მაგრამ ქართველი, რომელიც სარგებლობს როგორც ქართული საზოგადოების, ისე აფხაზებისა და ოსების ნდობით»**

## ევროპაში წყალდიდობაა — «პრაღა იძირება!»

**ძლიერი წყალდიდობის გამო, ჩეხეთის ხელისუფლება იძულებული გახდა, წყალსაცავებში წნევის შემცირების მიზნით, ხელოვნური გადინება მოეწყო, რის შედეგადაც წყლის უდიდესი ნაკადი პრაღის მიმართულებით მიედინება.**

მდინარე ვლტავაში წყლის დონე იმატებს და ის უახლოეს პერიოდში კრიტიკულ ზღვარს მიაღწევს. ჩეხეთის საინფორმაციო საშუალებები აცხადებენ, რომ „პრაღა იძირება“. ამ დროისთვის ჩეხეთში წყალდიდობის შედეგად დაღუპულია შვიდი ადამიანი, ავსტრიაში — ორი, სამი კი დაკარგულად ითვლება. ჩეხეთში გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა. სამი ათასზე მეტმა ადამიანმა დატოვა საკუთარი საცხოვრებელი სახლები. ხელისუფლება იძულებული გახდა, პრაღის ზოოპარკიდან ცხოველების ევაკუაციაც მოეხდინა.

გერმანიის სამხრეთით მოსახლეობის დასახმარებლად საჯარისო დანაყოფებია მობილიზებული. ბავარიის ქალაქ პასაუში წყლის დონემ ყველაზე მაღალ ნიშნულს გადააჭარბა. დამკვირებელთა განცხადებით, ასეთი რამ XVI-ის შემდეგ არ დაფიქსირებულა. სინეპტიკოსების განცხადებით, უახლოეს დღეებში არსებული ვითარება შენარჩუნდება.



**„ყველაზე შეუპოვარ ათეისტს, საზოგადოებრივი ინოვაციების ყველაზე აქტიურ მხარდამჭერს უნდა ესმოდეს, რომ მართლმადიდებლობა — ჩვენი ერის ტრადიციული ღირებულებების საგანძურში უდიდესი პლასტია, რომელიც ქართველი ერის იდენტობას განსაზღვრავს, ხოლო ტრადიცია — ერის სიცოცხლისუნარიანობის საფუძველია. სიახლეები ხელს უწყობს პროგრესს მხოლოდ ტრადიციასთან ურთიერთქმედებისას, მხოლოდ მასთან ორგანული შერწყმისას. სიახლეებს, რომლებიც აძევებენ და ანაცვლებენ ტრადიციას, ერის დეგრადაციისა და გადაგვარებისკენ მივყავართ.“**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **დაჭარბებულია. ერს უნდა თვისობრივი ცვლილებები ყველაფერში, უპირველეს ყოვლისა, საკადრო პოლიტიკაში, და იგი უკვე ივიწყებს, როგორი ხალხი იყო ხელმძღვანელობაში სულ ცოტა ხნის წინ.** პრეზიდენტი წარადგენდა მორიგ 23–25 წლის ბიჭს ან გოგონას სამინისტროს ან უწყების ხელმძღვანელის პოსტზე, იტყოდა, რომ ეს „გამოცდილი“, „ძალიან ძლიერი პროფესიონალია“, ამ უწყების თანამშრომლები მას ტაშს უკრავდნენ, საზოგადოება კი დუმდა. გაიხსენეთ, რომ თბილისელებს მერად ჭიაბერაშვილი დაუნიშნეს და ქალაქის საზოგადოება მას „ბატონობით“ მიმართავდა; თავდაცვის მინისტრად კეზერაშვილი მუშაობდა და გენერლები მას სმენაზე ედგნენ. გაიხსენეთ სხვა მინისტრები, გუბერნატორები, მერები და მიაქციეთ ყურადღება: ეს ისეთი ადამიანები არიან, რომლებიც, დაკარგავენ თუ არა თანამდებობას, არარაობად იქცევიან. მათ არ გააჩნიათ არც შესაფერისი პიროვნული თვისებები, არც საზოგადოებაში საკმაო ავტორიტეტი საიმისოდ, რომ თანამდებობის დაკარგვის შემდეგ დარჩნენ პატივსაცემ პიროვნებად ქვეყანაში ან ქალაქში. მათ ეს კარგად ესმოდათ, ამიტომაც ერთგულად ემსახურებოდნენ პატრონს და პარალელურად ცდილობდნენ, დაეგროვებინათ პირადი კაპიტალი ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ უზრუნველად ცხოვრებისთვის. ზოგ ხელისუფალს ხელს აძლევს ასეთი, სრულიად მასზე დამოკიდებული ხალხი, მაგრამ ეს ხელისუფლებას ავტორიტეტს არ ჰმატებს და ბოლოსდაბოლოს რეჟიმის კრახით მთავრდება.

**— იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბიძინა ივანიშვილი კადრების შერჩევის ასეთივე პრინციპით ხელმძღვანელობს...**

— შესაძლოა, მაგრამ მაინც მდგომარეობა გაუმჯობესდა. მაგალითად, ადრე მე ვერ ვუყურებდი ტელევიზორს: მრცხვენოდა, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები გამოდიოდნენ. დღესაც ხშირად მიჩნდება უხერხულობის გრძნობა, მაგრამ, მცირე გამონაკლისის გარდა, არ მაწუხებს მწვავე სირცხვილის განცდა.

**— და ვინაა ეს მცირე გამონაკლისი?**

— მაგალითად, **საგარეო საქმეთა მინისტრი. და საქმე ის არაა, რომ იგი არც ერთი პარამეტრით არ შეესაბამება სადღეისოდ ესოდენ მნიშვნელოვან თანამდებობას. გავიგე, როგორ განაცხადა მან, რომ მისთვის სტალინი და ჰიტლერი ერთნაირი ბოროტებაა. ასეთმა უვიცობამ, ასეთმა ცინიზმმა, აზროვნების ასეთმა დაბალმა დონემ, უბრალოდ, გამაოგნა! მან არამხოლოდ ისტორიის და ადამიანური მორალის საკითხებში სრული უმეცრება გამოავლინა, არამედ საკუთარ ხალხს, განსაკუთრებით უფროსი თაობის წარმომადგენლებს, ყველაზე დამსახურებულ თაობას — დიდი სამამულო ომის ვეტერანებს შეურაცხყოფა მიაყენა. ნორმალურ სახელმწიფოში ასეთი თავხედური განცხადების შემდეგ მინისტრი თავის პოსტზე აღარ დარჩებოდა.** მისი ადგილი არა მთავრობაში, არამედ იმ მაიმუნებს შორისაა, რომლებიც გორში სტალინის დაცემული ძეგლის ფონზე პოზირებდნენ. საოცარია, რომ ეს გურამ ფანჯიკიძის ქალიშვილია. მე ვიცნობდი მამამისს, მახსოვს, როგორ მოდიოდა ხოლმე დავით ჩხიკვიშვილთან და მოჰქონდა ახალი, სადღაც აღმოჩენილი მასალები სტალინზე, რომლებიც ამ უდიდესი პიროვნების გენიალურობას ამტკიცებდა. მე არ ველოდი მისი ქალიშვილისგან ასეთ უზრდელობას, უკულტურობასა და პრიმიტივიზმს.

**— ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა, რომელიც ქართულ საზოგადოებას აწუხებს, უცხოელებზე მიწების გაყიდვაა. არსებობს მოსაზრება, რომ გაყიდვის მასშტაბები უკვე თავად ჩვენი ერის არსებობას ემუქრება.**

— ეს სწორი მოსაზრებაა. თუ გახსოვთ, ყოველთვის გამოვდიოდი მიწაზე კერძო საკუთრების შემოღების წინააღმდეგ, მომყავდა მაგალითები რიგი ქვეყნებისა, რომლებიც ამ მახეში გაებნენ, ვარწმუნებდი საზოგადოებას, რომ გაპარტახებულ ქვეყანაში კერძო საკუთრებაში გადაცემული მიწა გახდება ღარიბი გლეხისთვის ერთადერთი, მაგრამ მკვდარი კაპიტალი და ის აუცილებლად შეეცდება მის გაყიდვას, ხოლო ყიდვას შეძლებენ მხოლოდ უცხოელები. ჩემი ოპონენტები აცხადებდნენ, რომ ეს არის „ყველა ცივილიზებული სახელმწიფოს პრაქტიკა“ და, „თუ ჩვენ ევროპაში გვინდა“, უნდა ვიყოთ ასეთივე ცივილიზებულები. მთავარი, რა თქმა უნდა, ისაა, რომ ეს იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნა და მის მიერ დაქირავებული საქართველოს მთავრობის წევრები და საზოგადო მოღვაწეები არწმუნებდნენ ერს, რომ ეს ძალიან სწორი გადაწყვეტილებაა, რომელიც ქვეყნის სოფლის მეურნეობას „საბჭოთა ჩიხიდან“ გამოიყვანს. ეს **ასფალტზე გაზრდილი „ექსპერტები“ არწმუნებდნენ საზოგადოებას, რომ, თუ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს გააუქმებდნენ და მიწას გლეხებს კერძო საკუთრებაში დაურიგებდნენ, მაშინ მადლიერი და გახარებული გლეხობა გამორჩეული ენთუზიაზმით დაამუშავებდა მას, მოსავლიანობა ათმაგად გაიზრდებოდა და ყველა იქნებოდა ბედნიერი და კმაყოფილი. საინტერესოა, რომ თავად გლეხები სხვა აზრისანი იყვნენ, მაგრამ „ექსპერტები“ ამას მათი „ჩამორჩენილობითა“ და „საბჭოთა მენტალიტეტით“ ხსნიდნენ.** მახსოვს ტელერეპორტაჟი კახეთიდან, რომელშიც ჟურნალისტმა ჰკითხა მოხუც გლეხს, რას გააკეთებდა იგი, როდესაც მიწას საკუთრებაში მიიღებდა. მან დაღონებულმა შეხედა მას და უპასუხა: „გავყიდი, შვილო, თუ ვინმე იყიდის. რით ან როგორ დავამუშავებ?“. ჩვენს „ცივილიზებულ“ ექსპერტებს არ ესმოდათ, რომ თავად მიწა გლეხისთვის არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს. ღირებულებას წარმოადგენს მოსავალი და მისი რეალიზაციის შესაძლებლობა. ხოლო რათა მიიღო მოსავალი, მიწა უნდა დაამუშავო, ამისთვის საჭიროა შესაბამისი ტექნიკა, საწვავი, სასუქი და ა. შ. თუ ეს ყველაფერი გლეხს არ გააჩნია, მაშინ მიწაც არ სჭირდება და იგი ეცდება მის გაყიდვას; ხოლო მცირემიწიანი საქართველოს პირობებში ეს ნიშნავს, რომ დროთა განმავლობაში ჩვენი ერი დაკარგავს საკუთარ მიწაზე უფლებას.

**მიწაზე კერძო საკუთრების შემოღება არის დანაშაული არამხოლოდ მცირემიწიანობის მიზეზით, არამედ იმიტომაც, რომ ქართული მიწა ეკუთვნის ქართველ ერს და ერი არაა მხოლოდ დღევანდელი თაობა, არამედ — წინა და მომავალი თაობებიც, ერთად აღებული. ერის არც ერთ თაობას არ აქვს უფლება, გაყიდოს ის, რაც მხოლოდ მას არ ეკუთვნის.** ღმერთმა მიწა გვიწყალობა, რათა თაობიდან თაობამდე დაგვემუშავებინა და გვესარგებლა მისი ნაყოფით, მაგრამ ღმერთის წყალობის გაყიდვის უფლება არ გვაქვს. თავის დროზე ძალიან გამიკვირდა, რომ ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ არ გამოთქვა პროტესტი მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

**— დღეს ეკლესია საზოგადოების ულტრალიბერალური ნაწილისგან თავდასხმებს განიცდის, მას ჩამორჩენილს, არათანამედროვეს, ბარბაროსულს უწოდებენ, მაგრამ საზოგადოების პატრიოტულ ნაწილსაც გააჩნია საყვედურები ეკლესიის მისამართით. მახსოვს, რომ თქვენც გამოთქვამდით უკმაყოფილებას ეკლესიის საქმიანობის გამო...**

— საზოგადოების პატრიოტული ნაწილი, მათ შორის მეც, უკმაყოფილო იყო ეკლესიის პასიურობით, მისი გადაწყვეტილებით, — არ ჩარეულიყო საზოგადოებრივ პროცესებში და არ გამოეთქვა თავისი მოსაზრება ერის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების თაობაზე. **ქვეყნის ნგრევის, ერის გახრწნის, საზოგადოების დეგრადაციის, ტრადიციული ღირებულებების დევალვაციის პროცესი, დიდი ხანია მიმდინარეობს და ამ პროცესის მამოძრავებელი ძალა ანგაჟირებული, გამყიდველი ხელისუფლება იყო. ხალხი ამას ხედავდა და ელოდა ეკლესიისგან საპროტესტო სიტყვას, იმედი ჰქონდა მისი პრინციპული პოზიციის, მაგრამ ეკლესია დუმდა, თავს იმართლებდა საერო ცხოვრებაში არჩარევის პრინციპით. ზუსტად მაშინ მე საჯაროდ განვაცხადე და რამდენიმეჯერ გავიმეორე, რომ ღმერთმა ჩვენ ეკლესია ერის გადასარჩენად, სულიერი განვითარებისთვის და ზნეობრივი სრულყოფისთვის გვიბოძა და ამ მაღალი მისიის შესრულებისგან ეკლესიის განდგომა დაუშვებელია-მეთქი.** ეკლესია დუმილს აგრძელებდა. მიუხედავად ამისა, მის მიმართ ნდობის დონე რჩებოდა ძალიან მაღალი, თავისთავად ეკლესია იყო და რჩება ერთადერთ საზოგადოებრივ ინსტიტუტად, რომელსაც ხალხი უკავშირებს თავის იმედებს ეროვნული და კულტურული იდენტობის შენარჩუნების თვალსაზრისით. ქართულმა ინტელიგენციამ, რომელიც საბჭოთა პერიოდში ამ როლს ასრულებდა, თავისი კონფორმიზმის, სიბეცისა და ხალხისგან მოწყვეტილობის გამო ეს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია დაკარგა. მადლობა ღმერთს, ბოლო ორი-სამი წელი ქართული სამღვდელოების ნაწილმა, მათ შორის ეკლესიის იერარქებმაც, დაიწყეს მწვავე ეროვნულ საკითხებზე ქადაგება არამხოლოდ ტაძარში, არამედ გაზეთის ფურცლებიდანაც. ამ მხრივ, სხვათა შორის, თქვენი გაზეთი იყო და რჩება მოწინავე პოზიციებზე. მთელი გულით მივესალმები სასულიერო პირების ასეთ საზოგადოებრივ აქტივობას. მთავარია, რომ ქვეყანაში არსებული ანტიეროვნული ძალების ძლიერი ზეწოლისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წნეხის გამო ეს დიდი ხნის ნანატრი აქტივობა კლებისკენ არ წავიდეს და ეკლესია კვლავ არ ჩაიკეტოს თავის შიდა ცხოვრებაში. ამისთვის კი მას მთელი საზოგადოების, მთელი ერის მხარდაჭერა სჭირდება. ეს ეხება არა მხოლოდ მართლმადიდებელ მრევლს, არამედ ქვეყნის ყველა მოქალაქეს, რომელთაც სურთ მომავალი თავიანთი შვილებისთვის. **ყველაზე შეუპოვარ ათეისტს, საზოგადოებრივი ინოვაციების ყველაზე აქტიურ მხარდამჭერს უნდა ესმოდეს, რომ მართლმადიდებლობა ჩვენი ერის ტრადიციული ღირებულებების საგანძურში უდიდესი პლასტია, რომელიც ქართველი ერის იდენტობას განსაზღვრავს, ხოლო ტრადიცია ერის სიცოცხლისუნარიანობის საფუძველია. სიახლეები ხელს უწყობს პროგრესს მხოლოდ ტრადიციასთან ურთიერთქმედებისას, მხოლოდ მასთან ორგანული შერწყმისას. სიახლეებს, რომლებიც აძევებენ და ანაცვლებენ ტრადიციას, ერის დეგრადაციისა და გადაგვარებისკენ მივყავართ.**

სამღვდელოება თავისი შემადგენლობით არაერთგვაროვანია. სასულიერო პირებს შორის არიან კონფორმისტებიც, რომლებიც მზად არიან ითანამშრომლონ ნებისმიერ, თუნდაც ყველაზე ანტიეროვნულ ხელისუფლებასთან; არიან „რეფორმატორებიც“, რომლებიც ცდილობენ, „გაათანამედროვონ“, „გააცივილურონ“ მართლმადიდებლობა, სინამდვილეში კი სურთ, თავს მოგვახვიონ პროტესტანტული ღირებულებები; არიან თავდაჯერებული ეკუმენისტებიც, მაგრამ **არსებობენ თანმიმდევრული, ეროვნულად და პატრიოტულად ორიენტირებული, ღრმად მორწმუნე მართლმადიდებლობის მსახურები, რომლებიც მზად არიან, თავი გაწირონ სჯულისა და მამულისთვის. დაინახეს რა, როგორი სატანური ქვესკნელისკენ უბიძგებენ ერს გარე და შიდა ბნელი ძალები, ამ სასულიერო პირებმა აღიმაღლეს ხმა და ამით აგრძნობინეს ერს, რომ ეკლესია ჩვენთანაა, ესე იგი ჩვენთან არს ღმერთი! ეს ის ხალხია, რომელიც აცნობიერებს, რომ ემსახურო ღმერთს, ნიშნავს ემსახურო შენს ერს და მიიყვანო იგი ღმერთთან. ჩვენი სამოქალაქო და ეროვნული ვალია, მხარი დავუჭიროთ ასეთ სამღვდელოებას.**

ესაუბრა
**ირაკლი თოდუა**

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**«საგარეო საქმეთა მინისტრი არც ერთი პარამეტრით არ შეესაბამება სადღეისოდ ესოდენ მნიშვნელოვან თანამდებობას. გავიგე, როგორ განაცხადა მან, რომ მისთვის სტალინი და ჰიტლერი ერთნაირი ბოროტებაა. ასეთმა უვიცობამ, ასეთმა ცინიზმმა, აზროვნების ასეთმა დაბალმა დონემ, უბრალოდ, გამაოგნა!»**

**«ერის არც ერთ თაობას არ აქვს უფლება, გაყიდოს ის, რაც მხოლოდ მას არ ეკუთვნის. ღმერთმა მიწა გვიწყალობა, რათა თაობიდან თაობამდე დაგვემუშავებინა და გვესარგებლა მისი ნაყოფით, მაგრამ ღმერთის წყალობის გაყიდვის უფლება არ გვაქვს»**

მოკლედ

## ბიძინა ივანიშვილი: მთავრობა და ჩინოვნიკები მაქსიმალურად უნდა გაემიჯნონ ეკლესიას



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა „პალიტრატივის“ გადაცემა „რეზიუმესთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა:

**„ჩემი დამოკიდებულებაა, რომ ჩინოვნიკები, მთავრობა არ უნდა ჩაერიონ და მაქსიმალურად უნდა გაემიჯნონ ეკლესიას. დაფინანსება, რაც ეკუთვნის ეკლესიას და როგორც ეკუთვნის, არ უნდა იყოს დამოკიდებული ჩინოვნიკების ნება-სურვილზე, ვის რა მანქანა უყიდონ და ა. შ. ეკლესია მაქსიმალურად დამოუკიდებელი უნდა იყოს“.**

რაც შეეხება მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ 17 მაისს ეკლესია თავად ჩაერია სახელმწიფოს ფუნქციებში, ივანიშვილის განცხადებით, ეკლესია არ ჩარეულა სახელმწიფოს ფუნქციებში, რადგან აქციაზე მხოლოდ რამდენიმე სასულიერო პირი აქტიურობდა.

**„როგორც ვიცი, გამოძიება ისევე სთხოვს მათ პასუხს, როგორც სამოქალაქო საზოგადოების წევრებს, რომლებიც კანონს არღვევდნენ. კანონის წინაშე ყველა თანასწორია“,** — დასძინა პრემიერმა.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენ ისე გავიხადეთ საქმე, რომ მზად ვართ, ავღანეთში ვიომოთ ნატოს სახელით და ნატო ჩვენთვის, ფაქტობრივად, არაფერს აკეთებს. ბიბისი, სიენენი და ევრონიუსი იმასაც არ კადრულობს, რომ ჩვენი მსხვერპლი მორბენალ სტრიქონში მაინც გამოაცხადონ. ძალიან მარტივი დამოკიდებულებებია. ამიტომ ერთხელ ხომ შეიძლება ვიკითხოთ: ჩვენ რომ თავს ვიკლავთ, თქვენ არ გჭირდებით?! თუ არ ვჭირდებით, ამდენი თავმოყვარეობა ხომ უნდა გვეყოს, რომ არ ვეტენებოდეთ არავის.“**

### აკაკი ასათიანი:

# «ამასაც მოვაგვარებ, იმასაც მოვაგვარებ» — შესანიშნავი ზღაპარია, მაგრამ ზღაპარში მხოლოდ ოცნებებია...

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ტრადიციონალისტთა ლიდერი აკაკი ასათიანი.**

**— ბატონო აკაკი, ხელისუფლების შეცვლასთან ერთად გაჩენილი ერთ-ერთი მთავარი მოლოდინი, რომ რუსულ-ქართულ ურთიერთობებში პოზიტიური ძვრები მოხდებოდა, დღეს უკვე სერიოზულად დგას კითხვის ნიშნის ქვეშ. დაწყებული სოფელ დიცში განვითარებული მოვლენებით (რაც სასაზღვრო ზოლის გადმოწევას შეეხებოდა), დამთავრებული რუსეთის მთავარი სანიტრის, გენადი ონიშენკოს, მიერ ბორჯომსა და ქართულ ღვინოზე გაკეთებული განცხადებებით, ყველაფერი სწორედ უარყოფით კონტექსტზე მიანიშნებს. ჩვენი ხელისუფლება ჯერჯერობით განმარტებებს არ აკეთებს. არა და, დღითიდღე სულ უფრო ნათელი ხდება, რომ ამ ყველაფერს გარკვეული პოლიტიკური სარჩული აქვს. როგორ ფიქრობთ, რა ხდება სინამდვილეში?**

— სიმართლე გითხრათ, ხელისუფლებისგან განმარტებებს დიდად არ ველი, იმიტომ, რომ მრჩება შთაბეჭდილება, თვითონაც არ აქვს გარკვეული და ჩამოყალიბებული პოზიცია. საერთოდ, მე არ მესმის, რას ნიშნავს რუსეთთან ურთიერთობის დალაგება, ხშირად რომ ამბობენ. **ამოცანა იყო ნორმალიზება და დასაწყისისთვის ამ მხრივ რაღაცები ნამდვილად გაკეთდა. პირველ რიგში შეწყდა ეს ბრიყვული, უდიერი გამონათქვამები, რაც ელემენტარულად შეურაცხმყოფელია, მაგრამ შემდეგ გაგრძელდა რაღაც უსაგნო, ფსევდოპროდასავლური კურსი. ამან გამოიწვია გაურკვევლობა ჩვენს მოსახლეობაში და გაურკვევლობა თვითონ დასავლეთშიც, მიუხედავად იმ მტკიცებებისა, რომ თითქოს კურსი არ იცვლება. ჯერ ერთი, აქ ჩნდება კითხვა, თუ კურსი უცვლელი რჩება, მაშინ სააკაშვილი რაღაზე გახდა შესაცვლელი?!** ერთი სიტყვით, ძალიან ბევრი საკითხია. რაც შეეხება ეკონომიკას, უკვე აშკარაა, რომ ქვეყანა მიდის სრული პარალიზებისკენ, ვინაიდან უმუშევრობა და ის გასაჭირი, რომელიც ადგას ხალხს, ოდნავადაც არ შეცვლილა.

**— დავუბრუნდეთ რუსეთის საკითხს. პრემიერის სპეციალურ წარმომადგენლად რუსეთში ზურაბ აბაშიძის დანიშვნამ დასაწყისისთვის დადებითი შედეგი ნამდვილად გამოიღო, თუნდაც ის, რომ შესაბამის რანგში ისინიც წამოვიდნენ თანამშრომლობაზე, თუმცა დღეს უკვე სხვა ნაბიჯების აუცილებლობა გამოჩნდა. არ მიგაჩნიათ, რომ ზემოაღნიშნულმა ფორმატმა ამოწურა თავისი მისია?**

— გეთანხმებით. დასაწყისში რუსეთმა ეს კორექტულად მიიღო, მაგრამ ახლა სხვა, უფრო ქმედითი ნაბიჯებია საჭირო. როგორ და რანაირად, ამის ინსტრუქციას ხელისუფლებას მე ვერ მივცემ, მაგრამ, ვფიქრობ, დღეს საქართველოში საკმარისად არიან ჭკვიანი ადამიანები, რომ დასხდნენ და იფიქრონ ამაზე. ახლა რაც შეეხება ე. წ. საზღვრის გადმოწევას, ესეც პირწმინდად სააკაშვილის და მისი ხელისუფლების სინდისზეა, რომლებმაც ძველ ფარგლებში აღადგინეს ადმინისტრაცია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამათი ერთ-ერთი ყველაზე დიდი დანაშაული არის ისიც, რომ, როცა დადგა საკითხი, საერთაშორისო განხილვის საგანი გამხდარიყო აფხაზეთი და ოსეთი, უარი განაცხადეს. არადა, რუსეთი თანახმა იყო. რატომ მოსწონთ დღემდე თავი ამით „ნაციონალებს“, არ ვიცი. შემდეგ მოხდა ის, რაც 2008 წლის აგვისტოში ვიხილეთ.

**— ომი, რომელიც თურმე მოვიგეთ.**

— ჩვენში, რატომღაც მრჩება შთაბეჭდილება, რომ დღემდე არ ესმით, რა მოხდა. წინ წავედით, რომ რუსეთი ოკუპანტად იქნა აღიარებულიო. ერთხელ კუშნერმა პირდაპირ თქვა, ჟურნალისტები რომ ჩააცივდნენ: რომ ვიხმარო ეს ტერმინი — ოკუპაცია, გეშველებათ რამეო? შემდეგ სარკოზიმ განაცხადა, თქვენ და რუსები კი არა, ჩვენ და გერმანელები შევრიგდით, რა გჭირთო... მე მგონია, რომ მკვეთრად უნდა შეიცვალოს მიდგომა ამ საკითხისადმი და რაღაც პოზიტიური მოდელი ჩვენ უნდა შევთავაზოთ. უწინარესად, აქ პირდაპირი, უშუალო კონტაქტია საჭირო რუსულ მხარესთან.

**— პირდაპირ მოლაპარაკებებს ჩვენი ხელისუფლებაც უფრთხის. ივანიშვილმა განაცხადა, ევროპამ არ უნდა იგრძნოს, რომ არ გვჭირდებაო.**

— და ახლა როგორაა, ძალიან ვჭირდებით?! როდემდე უნდა მოვიტყუოთ თავი?!

**— ყოველ შემთხვევაში, იმას რომ 2008 წელს პირდაპირ თბილისში არ შემოვიდნენ რუსული ტანკები, ამას წინა და ამჟამინდელი ხელისუფლებაც დასავლეთს უმადლის.**



— მე მგონია, რომ ცოტა სხვანაირად იყო — თვითონ რუსებმა შეიკავეს თავი. ეს, ალბათ, უმაღლესი ხელისუფლების, თავად პუტინის დონეზე გადაწყდა, რომ დარჩენილიყო შანსი ჩვენი და მათი ურთიერთობის შემდგომში მოწესრიგებისთვის. ამაში დარწმუნებული ვარ, ვინაიდან, მათ რომ თბილისის აღება ნდომებოდათ, ამას ვერ შეაჩერებდა ვერაფერი. უბრალოდ, ვერც კი მოასწრებდნენ დასავლეთში პროტესტს.

**— რაც შეეხება მომავალ პრეზიდენტს, მიგაჩნიათ თუ არა, რომ მას უნდა დაეკისროს რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაც?**

— ცხადია, პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს ეს ფუნქცია, ის უნდა იყოს ცენტრალური ფიგურა, მაგრამ შეთანხმებულად უნდა მოქმედებდეს მთელი გუნდი. ის კი არა შეთანხმებული მოქმედება, რომ ერთი ვანუატუსთან აწარმოებს მოლაპარაკებას და მეორე, ვთქვათ, სიტყვაზე — ეგვიპტესთან. ჩვენ არ უნდა ვიყოთ საცდელი ბაჭიას როლში, როცა ორი მოთამაშე, უბრალოდ, რაც მოუნდება, იმ ექსპერიმენტებს გვიტარებს ან ერთობლივად, ან ცალ-ცალკე. ჩვენ შეგვიძლია ყველას ჩვენი წინადადება შევთავაზოთ, დამოუკიდებელ კონტაქტზე გავიდეთ და მოვისმინოთ, ვინ რას ელის საქართველოსგან.

**— რაც შეეხება გიორგი მარგველაშვილს, თქვენი აზრით, მისი დასახელება პრეზიდენტობის კანდიდატად რა სიგნალია რუსეთისთვის, აფხაზებისა და ოსებისთვის? დასავლეთზე არაფერს ვამბობ.**

— სიგნალია ჩვენთვის, რომ ძალაუფლების სრული კონცენტრაცია ხდება, რომ პრეზიდენტობის კანდიდატს განსხვავებული პოზიცია არც ერთ საკითხზე არ აქვს. სხვათა შორის, თქვა ეს გიორგი მარგველაშვილმა. არ ვიცი, ის ამ ფუნქციებით რა სარგებლობას მოუტანს საქართველოს და თვითონ „ქართულ ოცნებასაც“. სრული ძალაუფლება არის კატასტროფის ტოლფასი. ადრე თუ გვიან ეს ყოველთვის ცუდად მთავრდება. ამის მაგალითები ჩვენ ვნახეთ შევარდნაძის, სააკაშვილისა და სამწუხაროდ „მრგვალი მაგიდის“ ხელშიც. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ ვიცით, რა გეგმები აქვს ხელისუფლებას და არც არავინ იცის. თქვენ იცით?!

**— ფაქტი ისაა, რომ ხელისუფლების შეცვლიდან 7 თვის შემდეგ კითხვაზე — რა გაკეთდა და რა კეთდება, პასუხად გვესმის ისევ იგივე: ჯერ ადრეა.**

— სულ რვა თვე ვიყავით ჩვენ, „მრგვალი მაგიდა“, ხელისუფლებაში და მკაფიოდ მაინც გვქონდა ყველაფერი გაცხადებული, ზოგი რამ სწორი იყო, ზოგი — არასწორი, მაგრამ რაც ვთქვით, იმას მაინც მივაღწიეთ — დამოუკიდებლობას. ადრეაო, რომ ამბობენ, დროული როდისაა, ვინმემ იცის?!

**— ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ივანიშვილმა ხაზგასმით განაცხადა, რომ ის გადაჭრის საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ყველა საკითხს. მათ შორის, შევა ნატოშიც, ევროკავშირშიც და მოაგვარებს ურთიერთობას რუსეთთანაც. რამდენად რეალურია ეს ყველაფერი?**

— თქვენ გახსოვთ, ალბათ, რასმუსენის პასუხი თედო ჯაფარიძის კითხვაზე: ნატო სუპერმარკეტი არ არის, კარი გაიღოსო. გასაგებია ყველაფერი. ოდესმე გაუკეთებია რასმუსენს ასეთი ფორმით განცხადება?! ჩვენს მიღებას არავინ აპირებდა და არც აპირებს ახლო ხანებში.

**— მაშინ რატომაა რუსეთისთვის გამაღიზიანებელი საქართველოს სწრაფვა ნატოსკენ?**

— ვერ ვიტყოდი, რომ დღესდღეობით ეს სერიოზულად აღიზიანებს მოსკოვს. აქ საკითხი სხვანაირად დგას, ძალიან მარტივად. ბავშვურად რომ ვთქვათ, დასავლეთი გვეუბნება: შეაგინე რუსეთს, ხოლო რუსეთი გვეუბნება: შეაგინე ნატოს. მოდი, ნურავის შევაგინებთ, მაგრამ დავიწყოთ იმით, რომელთანაც უფრო მწვავედ გვიდგას პრობლემა. აგერ, ნახეთ, უკრაინაში რა მოხდა — ჩადის კერი — ძალიან ნორმალური, ცივილიზებული ადამიანი და პირდაპირ ეუბნება, თუ გამოუშვებთ ტიმოშენკოს, გახდებით ევროპის ასოცირებული წევრი, თუ არ გამოუშვებთ, ვერ გახდებით. სადმე ვინმეს ამაზე იმპერიალისტური განცხადება მოუსმენია?! თან ამერიკა ხომ არ არის ევროპა? მაინც მისცემენ ამ ასოცირების წევრობას, იმდენად სჭირდებათ.

**— გასაგებია, მაგრამ ჩვენ ასე ძალიან ვჭირდებით?**

— **ჩვენ ისე გავიხადეთ საქმე, რომ მზად ვართ, ავღანეთში ვიომოთ ნატოს სახელით და ნატო ჩვენთვის, ფაქტობრივად, არაფერს აკეთებს. ბიბისი, სიენენი და ევრონიუსი იმასაც არ კადრულობს, რომ ჩვენი მსხვერპლი მორბენალ სტრიქონში მაინც გამოაცხადონ. ძალიან მარტივი დამოკიდებულებებია. ამიტომ ერთხელ ხომ შეიძლება ვიკითხოთ: ჩვენ რომ თავს ვიკლავთ, თქვენ არ გჭირდებით?! თუ არ ვჭირდებით, ამდენი თავმოყვარეობა ხომ უნდა გვეყოს, რომ არ ვეტენებოდეთ არავის.** იმასაც მოვაგვარებ, ამასაც მოვაგვარებ, — შესანიშნავი ზღაპარია, მაგრამ ზღაპრებში არის მხოლოდ ოცნებები, ჩვენ სიმართლე გვჭირდება...

**— რაც შეეხება მიმდინარე სამართლებრივ პროცესს: ვანო მერაბიშვილის დაპატიმრებას სერიოზული გამოხმაურებები მოჰყვა დასავლეთიდან, ვისაც არ ეზარება, ყველა ჭკუას გვასწავლის, პოლიტიკურ დევნაში არ გადაიზარდოს დაკავებებიო. ცალკე იმაზეც საუბრობენ, რომ ამ საკითხის წამოწევით ხელისუფლებამ სხვა პრობლემების გადაჭრა სცადა. თქვენ როგორ უყურებთ ამ ყველაფერს?!**

— მეც ვფიქრობ და ძალიან ბევრი ადამიანიც, რომ მაგას უფრო ემსახურებოდა ეს დაკავება, ვიდრე სამართლიანობის აღდგენას. იმას კი არ ვამბობ, რომ რაღაც ანგარიშსწორება მოხდა, კითხვები მერაბიშვილის მიმართ უამრავია, მაგრამ მოცემულ ვითარებაში, ვფიქრობ, ამ ყველაფერს გარკვეული პოლიტიკური მიზანიც ჰქონდა...

**— კერძოდ?**

— ის, რაც 17 მაისს მოხდა, ჩვენ ხომ ყველას გვესმის, რომ არ იყო მხოლოდ სექსუალური უმცირესობების საწინააღმდეგო ამბავი. ეს ძალიან ბევრ რამეს მოიცავდა, მათ შორის სოციალურ დაძაბულობასაც, პოლიტიკურ გაურკვევლობას, გაუცნობიერებლობას და ა. შ. ეს განიმუხტა ვითომ მერაბიშვილის მეშვეობით, მაგრამ ასეთი გზებით სანამდე შეძლებს ხელისუფლება ხალხის დაოკებას, არ ვიცი.

**— და მაინც, იმის ფონზე, რომ მტკიცებულებები საკმარისზე მეტია თუნდაც იმავე მერაბიშვილის წინააღმდეგ, უცნაურად არ გეჩვენებათ ის განცხადებები, რომლებსაც ჩვენი ევროპელი და ამერიკელი პარტნიორები აკეთებენ?**

— გასაკვირი აქ არაფერია. მე უფრო იმას მივაქციე ყურადღება, რომ მერაბიშვილი არ აქციეს ტიმოშენკოდ. საერთოდ, ჩვენ უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ დასავლეთში ორმაგი სტანდარტებია. მაგალითად, იმავე ტიმოშენკოს შემთხვევაში ისინი ეუბნებიან: კი, მან მოიპარა ფული, მაგრამ არ უნდა დაიჭიროთ. ამ დროს ევროპაში ასე არ ხდება, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, მათ ერთი დემოკრატია აქვთ ქვეყნის შიგნით და მეორე აქვთ გარეთ. ახლა ჩვენ უნდა ავირჩიოთ, რომელი პრინციპებით ვითამაშებთ.

**— გასაგებია, მაგრამ საქართველო არ არის დამოუკიდებელი ამ არჩევანში.**

— აბსოლუტურად დამოუკიდებელი საქართველო კი არა, ამერიკაც არ არის, არც რუსეთი და არც ჩინეთი, მაგრამ ჩვენ უნდა მოვეწყოთ ჩვენი ცხოვრებით. აბსოლუტური სიზუსტით ვერაფრით გადმოიტან ვერც ამერიკულ და ვერც ევროპულ მოდელს. აქ საუბარია მხოლოდ გამოცდილების გათვალისწინებასა და საკუთარ ტრადიციებზე, ისტორიაზე მორგებაზე. ოღონდ ჯერ უნდა ვიცოდეთ, რა გვინდა.

**— ყოველ შემთხვევაში, კონკრეტული საუბარი ამაზე არ მოგვისმენია.**

— ჰოდა, თუ კონკრეტულად არ გვეცოდინება, რა გვინდა, საით მივდივართ, რაც უნდა კარგი უნდოდეთ ადამიანებს, ეს მაინც კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება; და ჩვენ რომ შიგნით კითხვის ნიშანი გვაქვს, რატომ გვიკვირს, რომ გარეთაც არის ეს კითხვის ნიშნები, როგორც დასავლეთით, ისე ჩრდილოეთით? ჩემი აზრით, ამაში გასაკვირი არაფერია.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**საუბარი ორმხრივი ურთიერთობების სერიოზულ გაუარესებაზე და მითუმეტეს „რეჟიმ ჩეინჯის“ ხელშეწყობაზე ნაადრევი და არასერიოზულია; ობიექტური წინაპირობები ამისთვის არ არსებობს. მაგრამ ეს ეტაპი ძალზე მნიშვნელოვანია ივანიშვილის ხელისუფლებისა და თეთრი სახლის ურთიერთობების სტილის ფორმირებისთვის, იმის დასადგენად, თუ სად გადის საზღვარი მათ საგარეო და ჩვენს საშინაო საქმეებსა და, შესაბამისად, პასუხისმგებლობის ზონებს შორის, რომელიც სააკაშვილის მმართველობის წლებში, ფაქტობრივად, წაშლილი იყო.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1 ივნისს „ვაშინგტონ პოსტმა“ გამოაქვეყნა სარედაქციო საბჭოს წერილი, რომელიც ივანიშვილის მთავრობისთვის საკმაოდ უსიამოვნო გზავნილებს შეიცავს. მისი ავტორები აკრიტიკებენ ახალ ხელისუფლებას ვანო მერაბიშვილის დაპატიმრებისთვის და ზოგადად იმ პროცესისთვის, რომელსაც საქართველოში სამართლიანობის აღდგენას უწოდებენ; აგრეთვე, მოუწოდებენ დასავლეთის მთავრობებს, ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო ხისტი პოზიცია დაიკავონ. საინტერესოა, მიანიშნებს თუ არა ეს წერილი იმაზე, რომ ობამას ადმინისტრაციის დამოკიდებულება ივანიშვილის მთავრობის მიმართ შეიძლება შეიცვალოს და, თუ ეს ასეა, რა ცვლილებები შეიძლება მოხდეს?**

# რატომ შეუტია «ვაშინგტონ პოსტმა» ბიძინა ივანიშვილს?

ვიდრე „ვაშინგტონ პოსტის“ სარედაქციო წერილის ციტირებას დავიწყებთ, ალბათ, მიზანშეწონილია, ორიოდე სიტყვა მსგავსი პუბლიკაციების პოლიტიკურ დატვირთვაზე ვთქვათ. რა თქმა უნდა, „ვაშინგტონ პოსტი“ არ არის „ჟენმინ ჟიბაო“, რომელიც ჩინეთის ხელისუფლების პოზიციის პირდაპირ რეტრანსლირებას ახდენს, თუმცა გამოცდილება ცხადყოფს, რომ **ყველაზე ახლოს თეთრი სახლის პოზიციასთან ამერიკული მედიის პუბლიკაციებიდან სწორედ „ვაშინგტონ პოსტის“ სარედაქციო წერილი დგას. პაუზას ამ წერილების გამოქვეყნებიდან თეთრი სახლის ოფიციალური პოზიციის საბოლოო ფორმირებამდე და გახმოვანებამდე, როგორც აშშ-ს ხელისუფლება, ისე მათი უცხოელი პარტნიორები პოლიტიკური მანევრისთვის იყენებენ.** ლობისტებს ამ წერილების შინაარსზე გარკვეული გავლენის მოხდენა შეუძლიათ, თუმცა ტექსტი 100%-იან შესაბამისობაში მათ სურვილებთან არასოდეს მოვა. ამასთანავე, **„ვაშინგტონ პოსტის“ სარედაქციო წერილში არასოდეს დაფიქსირდება ის, რაც თეთრი სახლის პოზიციას პრინციპულად ეწინააღმდეგება,** მაგალითად, არ დაიწერება, რომ ირანის პრეზიდენტი აჰმადინეჯადი პროგრესული, დემოკრატი ლიდერია, თუნდაც ამის მიღწევას 500 ლობისტური კომპანია ცდილობდეს. **ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ეს პუბლიკაციები აშშ-ში საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს.**

დრამატული სათაურის **„საქართველოს დემოკრატია საფრთხეშია“** წერილის დასაწყისში გავლებულია პარალელი ივანიშვილსა და იანუკოვიჩს, საქართველოსა და უკრაინას შორის, შემდეგ კი ძალიან საგულისხმო პასაჟი მოდის: **„საქართველოს წინა მთავრობა, ბატონი მერაბიშვილისა და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით, დამნაშავე იყო კანონისთვის გვერდის ავლაში და ხანდახან ოპონენტებსა და მედიაზე ზეწოლას ახდენდა. მაგრამ, ამასთანავე, ამ წყვილმა უზრუნველყო საქართველოს ისტორიაში ყველაზე დემოკრატიული არჩევნები და სწრაფად აღიარა მარცხი არჩევნებში, რამაც ბატონი ივანიშვილი ხელისუფლებაში მოიყვანა. მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ბატონ მერაბიშვილს პოლიტიკური მიზეზების გამო არ დევნიან, ისევე ნაკლებად სარწმუნოა, როგორც ის, რომ უკრაინის ოპოზიციის ლიდერი იულია ტიმოშენკო ციხეში იმიტომ ზის, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტზე სამსახურებრივი გადაცდომები ჰქონდა.**

**ბატონ ივანიშვილს, რუსეთში გამდიდრებულ მილიარდერს, შეეძლო, ბატონი სააკაშვილის მიერ ხელისუფლების მშვიდობიანი და დემოკრატიული გადაცემის სანაცვლოდ, არ დაეშვა წინა რეჟიმის დევნა და ფოკუსირება მოეხდინა წინა წლების სტაბილური ეკონომიკური ზრდის შენარჩუნებაზე. ამის ნაცვლად ეკონომიკა დაამუხრუჭა, მაშინ, როდესაც ახალი მთავრობა თავს ესხმის მის ოპოზიციას სასამართლოებსა და ქუჩებში. ბევრი ქართველი, რომელთაც ხმა მისცეს ბატონ სააკაშვილის მთავრობის ხელისუფლებიდან წასვლას, მხარს უჭერენ ამგვარ ტაქტიკას. მიუხედავად ამისა, საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის ძლიერი სახალხო მხარდაჭერა „ვარდების რევოლუციის“ შეურყვნელ მემკვიდრეობას წარმოადგენს. დროა, ევროკავშირის ლიდერებმა, ისევე, როგორც ობამას ადმინისტრაციამ, ნათლად მიანიშნონ, რომ ბატონი ივანიშვილის მიერ მთავარი პოლიტიკური ოპონენტების დევნის გაგრძელების შემთხვევაში ეს კარი დაიხურება“** (ციტატის დასასრული).

ალბათ, პირველად „ვაშინგტონ პოსტის“ ისტორიაში მის ფურცლებზე დაფიქსირდა ასეთი ღია მოწოდება კანონის უზენაესობის პრინციპის უგულებელყოფისკენ. ერთის მხრივ, ნათქვამია: **„წინა მთავრობა... დამნაშავე იყო“.** სხვათა შორის, ეს ცალსახა „დამნაშავე იყო“ (ვოზ გილთი) თავისთავად უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას წარმოადგენს, თუმცა ეს ნიუანსი გვერდზე გადავდოთ. მეორე მხრივ კი, იქვე დაფიქსირებულია მოწოდება, რომ **ისინი არ დასაჯონ, რადგან დემოკრატიული** (როგორი???) **არჩევნები ჩაატარეს და მარცხი აღიარეს** (არ აღიარებდნენ და ორიოდე დღეში აჯანყებული ხალხი, 99%-იანი ალბათობით, სადმე აეროპორტის ტრასაზე ჩამოახრჩობდა, თუმცა ამას ამ კონტექსტში არსებითი მნიშვნელობა არ აქვს). ფაქტია, რომ **იმ გაზეთის ფურცლებზე, რომელსაც საკუთარ თავს თავისუფალი მედიის ერთ-ერთ ფლაგმანად განიხილავს, სარედაქციო წერილში დაფიქსირდა მოწოდება რაღაც ფარული გარიგებებისკენ და პოლიტიკური ბარტერისკენ კანონის უზენაესობის ხარჯზე, რაც დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპის ფაქტობრივ უარყოფას წარმოადგენს.** მსგავსი „უხამსი წინადადება“ შეიძლება მშვიდად აღიქვას ორანგუტანგმა დიქტატორმა, რომელიც თვითონ არის „კანონიც“ და „დემოკრატიაც“, მაგრამ საქართველოს მოქალაქეებისთვის და მათ მიერ (ყველა რეპრესიული წინაღობის მიუხედავად) არჩეული ხელისუფლებისთვის მსგავსი მიდგომა ცალსახად შეურაცხმყოფელი და მიუღებელია.



**რა მოხდება, თუ ივანიშვილი ვერ გაუძლებს ზეწოლას, პროკურატურის მუშაობას ხელოვნურად შეაფერხებს და კანონის უზენაესობის პრინციპს უგულებელყოფს?**

ასეთ ტონალობაში მათ შეეძლოთ ესაუბრათ სააკაშვილთან, რომლისთვის თითოეული პუბლიკაცია ამერიკულ მედიაში უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე საქართველოს კონსტიტუცია ყველა თავისი მუხლითა და ქვეპუნქტით. 2008 წლის არჩევნების გაყალბების შემდეგ, ის ლეგიტიმურობის უმწვავეს დეფიციტს განიცდიდა და თეთრი სახლის ქმედით მხარდაჭერას მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ის დრო დასრულდა და, **თუ ვინმე ვაშინგტონში აპირებს, ივანიშვილის მთავრობას თითი უქნიოს, სავარაუდოდ, ვერაფერს მიაღწევს, საქართველოში ისედაც მაღალი ანტიამერიკული განწყობების ზვავისებური ზრდის გარდა, რომელიც ადრე თუ გვიან აუცილებლად მოახდენს გავლენას ივანიშვილის მთავრობის პოლიტიკაზე.**

ობამას ადმინისტრაცია **თავის განცხადებებში გაცილებით კორექტულია** (მისი პოზიცია დაპატიმრებებთან დაკავშირებით, პრინციპში, უნაკლოა და არავინ უშლის ხელს ამერიკელებსა და ევროპელებს, დააკვირდნენ სასამართლო პროცესებს, მეტიც, ამისთვის საგანგებო მისიები შექმნან). **მაგრამ სარედაქციო წერილი „ვაშინგტონ პოსტში“ შეიძლება მიანიშნებდეს იმაზე, რომ პოზიცია და რიტორიკა ახლო მომავალში გამკაცრდება. საინტერესოა, რატომ?**

შესაძლოა, (ეს მხოლოდ ვარაუდია) რებუსის გასაღებს „ვაშინგტონ პოსტის“ სარედაქციო საბჭოს წერილის ბოლო ფრაზის ერთი სიტყვა — **„მთავარი“** წარმოადგენს (**„მთავარი პოლიტიკური ოპონენტები“**). „ნაციონალური მოძრაობის“ დასუსტებისა და მარგინალიზაციის პროცესმა ისეთი მასშტაბი მიიღო, რომ საუბარი მასზე, როგორც მთავარ ოპოზიციურ ძალაზე, აბსოლუტურად უადგილო გახდა. დაპატიმრებები ამას ხელს უწყობს, მაგრამ ამ გარემოებიდან მათი პოლიტიკური ხასიათი ნამდვილად არ გამომდინარეობს. **ეს ასამარებს ჰიპოთეტურ ორპარტიულ მოდელს, რომლის ფარგლებში „ნაცმოძრაობას“ ერთ-ერთი საკვანძო ელემენტის როლი უნდა შეესრულებინა. ეს მოდელი თეთრ სახლს შესაძლებლობას აძლევდა, ქართული პოლიტიკა მაქსიმალურად გაეკონტროლებინა; ის თავისთავად უბიძგებდა დაპირისპირებულ მხარეებს, ერთმანეთს ძია სემის ერთგულებაში შეჯიბრებოდნენ.**

საინტერესოა, რომ არჩევნების წინ (სუბიექტური დაკვირვებაა) თითქმის ყველა ამერიკელი, რომელსაც ეს პრობლემატიკა ეხებოდა, კერძო საუბრებში ცდილობდა, გაერკვია, თუ რას ფიქრობენ ქართველები (ფაქტობრივად) ორპარტიული მოდელის შესახებ. ხოლო **კოაბიტაციის შემდგომი მხარდაჭერა შეიცავდა ცუდად შენიღბულ, ზოგჯერ კი ღია გზავნილს იმის თაობაზე, რომ სასურველია ქართული პოლიტიკა ამ მიმართულებით წავიდეს.** მაგრამ მოვლენები, სავსებით ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, სხვაგვარად განვითარდა. **დღეს „ნაცმოძრაობის“ გადაქცევა „მეორე პოლუსად“ შესაძლებელია მხოლოდ ხელოვნური მხარდაჭერით და სასათბურე პირობების შექმნით და ისიც გაუგებარია, გამოვა რამე ამ წამოწყებიდან თუ არა.**

შესაძლოა, ანალიტიკოსებმა სახელმწიფო დეპარტამენტსა და დაზვერვაში არასწორად შეაფასეს „ნაცმოძრაობის“ პოტენციალი და მისი პოლიტიკური პერსპექტივები და მივიდნენ მცდარ დასკვნამდე, რომ ის შეიძლება ამერიკელი პარტნიორებისთვის კომფორტული, ორპარტიული მოდელის ერთ-ერთ საყრდენ ბოძად იქცეს. მაგრამ ეს შესაძლო შეცდომა არ შეიძლება გახდეს მიზეზი კანონის უზენაესობის პრინციპის იგნორირებისთვის. **ივანიშვილმა ეს რომც გააკეთოს, „ნაციონალური მოძრაობის“ რეანიმირება და ჩამოყალიბება „მთავარ ოპოზიციურ ძალად“, 99%-იანი ალბათობით, მაინც ვერ მოხერხდება.**

რა აზრი აქვს ამ მკვდრადშობილი მოდელის ჩაბღაუჭებას? მსგავსი რამ მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც ალტერნატიული, რეალისტური სტრატეგია არ არსებობს. ვერაფერს ვიზამთ, თუ მათ უღირთ სააკაშვილისა და მერაბიშვილის ადვოკატირება ქართული საზოგადოების დიდი უმრავლესობის გადამტერების ხარჯზე, მათი ნებაა, ამას ვერავინ დაუშლის (აქ, ცხადია, იგულისხმება შესაძლო დანაშაულის იგნორირების ის ვარიანტი, რომელსაც „ვაშინგტონ პოსტი“ გვთავაზობს, თორემ პროცედურების კანონიერებისა და გამჭვირვალობის მონიტორინგს არავინ ეწინააღმდეგება, მეტიც, ის სასარგებლოა).

რა თქმა უნდა, **საუბარი ორმხრივი ურთიერთობების სერიოზულ გაუარესებაზე და მითუმეტეს „რეჟიმ ჩეინჯის“ ხელშეწყობაზე ნაადრევი და არასერიოზულია; ობიექტური წინაპირობები ამისთვის არ არსებობს. მაგრამ ეს ეტაპი ძალზე მნიშვნელოვანია ივანიშვილის ხელისუფლებისა და თეთრი სახლის ურთიერთობების სტილის ფორმირებისთვის, იმის დასადგენად, თუ სად გადის საზღვარი მათ საგარეო და ჩვენს საშინაო საქმეებს და, შესაბამისად, პასუხისმგებლობის ზონებს შორის, რომელიც სააკაშვილის მმართველობის წლებში, ფაქტობრივად, წაშლილი იყო** (ეს არ ნიშნავს, რომ ამერიკელების კონტროლი ტოტალური იყო; არსებობდა როგორც ორმხრივი და შერეული პასუხისმგებლობის ზონები, ისე „უპასუხისმგებლობის ტერიტორიები“).

საინტერესოა, როგორ მოიქცევიან ის პოლიტიკოსები ივანიშვილის გარემოცვიდან, რომელთათვის ბოლო დრომდე „ვაშინგტონ პოსტის“ პუბლიკაციები წმინდა წერილზე მნიშვნელოვანი იყო. ეს მათთვისაც ტესტია, რომელიც საკუთარ თავში შესაძლო ლუსტრაციის ელემენტებს შეიცავს. **რა მოხდება, თუ ივანიშვილი ვერ გაუძლებს ზეწოლას, პროკურატურის მუშაობას ხელოვნურად შეაფერხებს და კანონის უზენაესობის პრინციპს უგულებელყოფს?** ამ შემთხვევაში, სხვა ყველაფერთან ერთად, შეიძლება ერთი ძალიან ცუდი პროცესი დაიწყოს. **თუ სააკაშვილის რეჟიმის მიერ გაუბედურებულ ადამიანებს კანონიერი გზით სამართლიანობის აღდგენისა და დამნაშავეთა დასჯის იმედი გადაეწურებათ, მათ შეიძლება მართლმსაჯულების აღსრულება თავის თავზე აიღონ და ეს ისე გააკეთონ, როგორც წარმოუდგენიათ, რაც, დიდი ალბათობით, უმძიმესი სისხლიანი ექსცესების სერიით დასრულდება, რაც, პრინციპში, პროცესში ჩართულ არც ერთ მხარეს არ უნდა აძლევდეს ხელს და ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა იმოქმედონ.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ნაციონალები“ ხმამაღლა აცხადებენ, რომ მათ ერთმანეთთან იდეები აკავშირებს და ერთი, თუნდაც გავლენიანი თანაპარტიელის იზოლირება ვერაფერს დააკლებთ, თუმცა გაცილებით დიდია იმ ადამიანების რიცხვი, რომელნიც მიიჩნევენ, რომ „ნაცმოძრაობის“ ერთიანობის ფუნდამენტი შიში, ფული და კომპრომატია. ვინაიდან პარტიაში, უბრალოდ, არ ჩანს ლიდერი, რომელიც „ახალი მერაბიშვილის“, ასე ვთქვათ, „გადანერგილი ხერხემლის“ როლს შეასრულებს, მისი სერიოზული ტრანსფორმაცია გარდაუვალი ჩანს.**

# როგორ იცხოვრებს «ნაცმოძრაობა» ხერხემლის გარეშე?

**ვანო მერაბიშვილის დაპატიმრება შეიძლება იქცეს სერიოზულ იმპულსად „ნაციონალური მოძრაობის“ ტრანსფორმაციისთვის, რომელიც მთელ პოლიტიკურ სივრცეზე იმოქმედებს, ისევე, როგორც ერთი მატარებლის კატასტროფა გავლენას მთელ რკინიგზაზე ახდენს და სხვა შემადგენლობების გადაადგილებაში კორექტივები შეაქვს. მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი მმართველი პარტიის გავლენა მკვეთრად შემცირებულია, ხოლო მის შიგნით მიმდინარე პროცესებს მხოლოდ ლოკალური მნიშვნელობა აქვს, ის მაინც სისტემის ნაწილს წარმოადგენს და ყველაფერი, რაც მას ახლო მომავალში მოუვა, ქართული პოლიტიკისთვის უკვალოდ არ ჩაივლის.**



### უკანასკნელი სეგუნი

მიხეილ სააკაშვილმა ბოლო 10 წლის განმავლობაში უამრავი არამართებული, ხშირ შემთხვევაში კი, უბრალოდ, სასაცილო პოლიტიკური კომენტარი გააკეთა, მაგრამ მისი მეტაფორა „ხერხემალთან“ დაკავშირებით ზედმიწევნით ზუსტი იყო. მერაბიშვილი მართლაც წარმოადგენდა ხერხემალს სააკაშვილის რეჟიმისთვის და „ნაცმოძრაობისთვის“, ხოლო მისი იზოლირება პარტიისთვის იგივეა, რაც ხერხემლის დაზიანება, შესაბამისი მძიმე შედეგებით და შეგრძნებებით. **ის, რომ მერაბიშვილის კონკურენტები პარტიაში მისი გავლენის სფეროს გადაინაწილებენ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პარტიისთვის იმავე როლი შესრულებას, მისი რღვევის შეჩერებას შეძლებენ; ხელს, კუჭს ან თუნდაც ტვინს ხერხემლის ფუნქციების შესრულება არ ძალუძს, სხვა ორგანოებზე რომ არაფერი ვთქვათ.**

„ნაცმოძრაობის“ ოპონენტები მიიჩნევენ, რომ მერაბიშვილის უნიკალურ როლს „ვარდოსანთა დასში“ რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა, მათ შორის: კონტროლი პარტიის „შავი სალაროს“ მნიშვნელოვან ნაწილზე და კონტროლი (თავის დროზე შსს-ს მიერ მოპოვებულ) კომპრომატზე და, შესაბამისად, ადამიანებზე, რომელსაც ის ეხებოდა როგორც პარტიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ზოგიერთი შეფასების თანახმად, მერაბიშვილის პოზიციები ამ ორ პუნქტთან დაკავშირებით გაცილებით ძლიერი იყო, ვიდრე ნებისმიერი მისი თანაპარტიელის, მიხეილ სააკაშვილის ჩათვლით. ამასთანავე, მას ჰქონდა მენეჯერად მუშაობის გამოცდილება და უნარი — მის ხელთარსებული ინფორმაცია და რესურსები ერთიან სისტემაში მოექცია და ასე თუ ისე ეფექტურად აემუშავებინა. ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ის გენიალური მენეჯერი იყო, რასაც სახელისუფლო პროპაგანდა წლების განმავლობაში გვიმტკიცებდა, თუმცა მისი თანაგუნდელების მნიშვნელოვანი ნაწილი, ამ თვალსაზრისით, გაცილებით მოკრძალებული შედეგებითაც ვერ დაიკვეხნის.

**„ნაციონალები“ ხმამაღლა აცხადებენ, რომ მათ ერთმანეთთან იდეები აკავშირებს და ერთი, თუნდაც გავლენიანი თანაპარტიელის იზოლირება ვერაფერს დააკლებთ, თუმცა გაცილებით დიდია იმ ადამიანების რიცხვი, რომელნიც მიიჩნევენ, რომ „ნაცმოძრაობის“ ერთიანობის ფუნდამენტი შიში, ფული და კომპრომატია. ვინაიდან პარტიაში, უბრალოდ, არ ჩანს ლიდერი, რომელიც „ახალი მერაბიშვილის“, ასე ვთქვათ, „გადანერგილი ხერხემლის“ როლს შეასრულებს, მისი სერიოზული ტრანსფორმაცია გარდაუვალი ჩანს.**

ძველიაპონურ ტერმინოლოგიას თუ მოვიშველიებთ, ვანო მერაბიშვილი, როგორც ჩანს, იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ უკანასკნელი სეგუნი, ახლა კი დაიწყება ტრანზიტული პერიოდი, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში იარსებებს ერთმანეთთან დაპირისპირებული ელემენტებისგან შემდგარი უცნაური, ამორფული კონფედერაცია. ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ ჩამოყალიბდა ცალკე ფაქტორად „ახალაიების ბანაკი“. მიუხედავად იმისა, რომ ახალაიები არ წავიდნენ ურთიერთობის დემონსტრაციულ განყვეტაზე „ნაცმოძრაობასთან“, დაპირისპირება მათსა და პარტიის გენმდივანს შორის აშკარა იყო. **მომავალ თვეებში პარტიაში უხვად წარმოდგენილი „ვანოს კადრებისგან“, სავარაუდოდ, ასეთივე ავტონომიურ წარმონაქმნად ჩამოყალიბდება „მერაბიშვილის ბანაკი“, აგრეთვე, „ბოკერიას ბანაკი“ და კიდევ რამდენიმე ჯგუფი, მათ შორის ის, რომელსაც დასუსტებული სააკაშვილი უშუალოდ გააკონტროლებს.** მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ შიგნით ყოველთვის არსებობდნენ ერთმანეთთან დაპირისპირებული, დროდადრო ტაქტიკურ ალიანსებში გაერთიანებული ჯგუფები, ეს ვითარება თვისობრივად განსხვავებული იქნება, რადგან, სისუსტიდან გამომდინარე, ისინი 99%-იანი ალბათობით, ფარულად ითანამშრომლებენ გარე ძალებთან, უპირველესად კი, ივანიშვილის ხელისუფლებასთან. მსგავსი თანამშრომლობის, (ან, უფრო კორექტულად, ინტერესთა თანხვედრის) ერთგვარი წინასახე ჩვენ ახლახან ვიხილეთ, **მას შემდეგ, რაც „ახალაიების ბანაკმა“ მერაბიშვილის მისამართით მძიმე ბრალდებები გააჟღერა, ხელისუფლებამ კი ახალაიებისთვის დამაიმედებელი განცხადებები გააკეთა** (ფორმალურად, ერთი მეორედან არ გამომდინარეობდა). **ახლა ჯერი მერაბიშვილზეა...**

„კონფედერაციის პერიოდი“, ყოფილი მმართველი პარტიის წევრთა გაერთიანება „ნაცმოძრაობის“ მკვდარი, უპერსპექტივო ბრენდის გარშემო, რომელიც არანაირ რებრენდინგს აღარ ექვემდებარება, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც სხვადასხვა ჯგუფი ერთმანეთს უპირისპირდება (ბრძოლა „მერაბიშვილის მემკვიდრეობისთვის“ პროცესს კიდევ უფრო გაამძაფრებს), სავარაუდოდ, დასრულდება მაშინ, როდესაც სააკაშვილი და უგულავა, აგრეთვე, მთელი რიგი „ნაციონალი“ ჩინოვნიკები თანამდებობებს დატოვებენ. ამ მომენტისთვის **„ნაცმოძრაობის“ საპარლამენტო ფრაქციის ერთიანობას, დიდი ალბათობით, მხოლოდ ფორმალურ-სიმბოლური ხასიათი ექნება. შემდეგ კი ერთად ყოფნის მინუსები, სავარაუდოდ, გადაწონის პლიუსებს და** (გამორიცხული ნამდვილად არაა) **ოდესღაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ნანგრევებზე რამდენიმე ახალი პარტია აღმოცენდება.**

## ოდესღაც «ერთიანი ნაციონალური მოძრაობის» ნანგრევებზე რამდენიმე ახალი პარტია აღმოცენდება

### „მარტონი სახლში – 5“

დღეს ყოფილ მმართველ პარტიას, ფაქტობრივად, ერთადერთი, ცუდად შენიღბული გზავნილი — „ძველი დროის დაბრუნება“ აქვს. ცხადია, ეს წამგებიანია და არასაკმარისია საჭირო რაოდენობის ამომრჩევლების მოზიდვისთვის. ამასობაში თანდათან იწურება უმნიშვნელოვანესი რესურსი — დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერა და ეს გასაგებიცაა, არავინ დაუჭერს მხარს სიცოცხლისუუნარო „ნაცკონფედერაციას“, რომელსაც მხოლოდ ნოსტალგიური წუწუნი შეუძლია; ეს არაპრაგმატულია.

**თეორიულად, დროთა განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობის“ წიაღიდან შეიძლება აღმოცენდეს ერთი ლიდერის გარშემო გაერთიანებული, ტრადიციული ქართული ყაიდის „ენ რაოდენობის“ ფსევდო-პარტია — „მერაბიშვილის პარტია“, „ახალაიების პარტია“, თუმცა პოლიტიკურ სივრცეში რეალური დამკვიდრების შანსი და დასავლეთის მხარდაჭერის იმედი შეიძლება მხოლოდ სიცოცხლისუნარიან წარმონაქმნს ჰქონდეს, რომელშიც მეტ-ნაკლებად სუფთა ბიოგრაფიის მქონე პოლიტიკოსები შევლენ და რომლის იდეოლოგიური ფუნდამენტი უფრო სერიოზული იქნება, ვიდრე, უბრალოდ, ავტორიტარული პარტიული ლიდერის ერთგულება.**

გავითვალისწინოთ ისიც, რომ დღევანდელი ძალთა ბალანსი ხელისუფლებაში მარადიულად არ შენარჩუნდება; ტრადიციონალისტური, ნაციონალისტური, აგრეთვე, ნეიტრალიტეტსა და რუსეთთან კავშირზე ორიენტირებული ძალების გაძლიერება მხოლოდ დროის საკითხია. მათი რეინტეგრაცია ნორმალურ პოლიტიკურ ცხოვრებაში, მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა მათი იზოლირება სცადა, პოზიციების თანდათანობითი გაფართოება პრაქტიკულად გარდაუვალი ჩანს. ეს ბუნებრივად გამოიწვევს ალასანია-რესპუბლიკელების ეტაპობრივ ჩაჩოჩებას, რაც, დიდი ალბათობით, დასრულდება ისეთი სიტუაციის მიღწევით, როდესაც სხვადასხვა მისწრაფების ჯუფები დააბალანსებენ ერთმანეთს, ხოლო ბიძინა ივანიშვილი მათ მთავარ არბიტრად მოევლინება.

**პროდასავლური ფლანგის ბირთვს, სავარაუდოდ, ალასანია-რესპულიკელები შექმნიან, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობის“ ნამსხვრევებიდან აღმოცენებულ ახალ პროდასავლურ** (პირობითად ასე ვუწოდოთ, ვიდრე იდოლოგიურ პლატფორმაზე ჩამოყალიბდებიან) **პარტიასაც ექნება შანსი, ამ სივრცეში თავისი ნიშა დაიკავოს.** მეტიც, შესაძლოა, ეს მათი ერთადერთი შანსია, რადგან **სააკაშვილის** (და მითუმეტეს ვინმე სხვას) **გარშემო გაერთიანებული ბელადისტური ტიპის პოლიტიკური გაერთიანების პერსპექტივები ახალ რეალობაში მეტისმეტად არადამაჯერებლად გამოიყურება.**

შეიქმნება თუ არა ასეთი პარტია, გაიხანგრძლივებს არსებობას ნახევრადმკვდარი „ნაცკონფედერაცია“ თუ ყოფილი მმართველი პარტია უბრალოდ „გაიწოვება“, როგორც „მოქალაქეთა კავშირი“ თავის დროზე, ნებისმიერ შემთხვევაში, არც ერთ ელემენტს ჩამოთვლილთაგან არ აქვს საკმარისი პოტენციალი იმისთვის, რომ ჰიპოთეტური ბიპოლარული სისტემის საკვანძო ნაწილი გახდეს, რომელზეც არჩევნების შემდეგ ამდენს საუბრობდნენ. ის ძალიან მიმზიდველი იყო ▶

---

ამბავი

## ლევან კორტავას გარდაცვალებაზე უბედური შემთხვევის ვერსია თითქმის გამორიცხულია

**გეგუთის კოლონიაში პატიმარ ლევან კორტავას გარდაცვალებაზე უბედური შემთხვევის შესახებ ვერსია ამ ეტაპზე თითქმის გამორიცხულია, — ამის შესახებ მთავარმა პროკურორმა, არჩილ კბილაშვილმა 4 ივნისს ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.** მისი თქმით, ლევან კორტავას გარდაცვალების საქმე სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ამოღებულია გამოსაძიებლად პროკურატურის მიერ და მას დასავლეთ საქართველოს პროკურატურა იძიებს. კბილაშვილის ინფორმაციით, მიმდინარეობს ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები, დაკითხვები და ჯერჯერობით რაიმე დასკვნის გაკეთება ნაადრევია.

**„გასაგებია, რომ თავდაპირველი ვერსია უბედური შემთხვევის შესახებ ამ ეტაპზე თითქმის გამორიცხულია, ხოლო რა დანაშაულთან გვაქვს საქმე, ვინ ჩაიდინა ეს დანაშაული, ჩაიდინა პატიმარმა თუ დაწესებულებაში მომუშავე სხვა პირმა, ეს არის ზუსტად გამოძიების საგანი“,** — აღნიშნა კბილაშვილმა.

გარდაცვლილი პატიმარი ლევან კორტავა ფოთში 1 ივნისს დაკრძალეს. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ გეგუთის №14 სასჯელაღსრულების დაწესებულების მსჯავრდებულის გარდაცვალების სავარაუდო მიზეზად ორი სხვადასხვა ვერსია გაავრცელა.

**პატიმრის ოჯახი მომხდარში ადმინისტრაციას ადანაშაულებს და სამინისტროს ვერსიას არ ეთანხმება.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ადამიანებს, რომლებიც კაცთმოძულე დიქტატურას ემსახურებოდნენ და უბრალოდ არ ესმით, რა არის დემოკრატია და შესაბამისი პოლიტიკური პროცესი, სჭირდებათ ადაპტაციის პერიოდი იმისთვის, რომ ახალ რეალობაში „ჩაეწერონ“ და ამ ჰიპოტეტურმა ახალმა პარტიებმა, რომლებიც, საკმაოდ დიდი ალბათობით, „ნაცმოძრაობის“ ნანგრევებზე აღმოცენდებიან, შეიძლება მათთვის ერთგვარი „კარანტინის“ როლი შეასრულონ, სადაც ისინი მათთვის აუცილებელ ტრანზიტულ პერიოდს გაატარებენ.**



## მერაბიშვილი მართლაც წარმოადგენდა ხერხემალს სააკაშვილის რეჟიმისთვის და «ნაცმოძრაობისთვის», ხოლო მისი იზოლირება პარტიისთვის იგივეა, რაც ხერხემლის დაზიანება, შესაბამისი მძიმე შედეგებით და შეგრძნებებით

„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებისთვის და საინტერესოა, ეყოფათ თუ არა მათ კეთილგონიერება, რომ მის აჩრდილს აღარ ჩაებღაუჭონ. „მეორე პოლიტიკური ცენტრის“, „მთავარი ოპოზიციური ძალის“ განსაკუთრებული სტატუსისკენ ლტოლვამ არჩევნების შემდეგ მათ წინააღმდეგ ყველა ოპონენტი გააერთიანა (უფრო სწორად, მისცა იმპულსი, რომ შეტევა „ნაციონალებზე“ იგივე შემართებით გაეგრძელებინათ; ეს ეხება „სწრაფი რევანშის“ იდიოტურ გეგმებსაც). დღეს კი აშკარა ხდება, რომ ამ სტატუსისთვის „ნაციონალებს“ საკმარისი ძალა არ აქვთ და აქტუალობას სხვა, შედარებით ლოკალური მასშტაბის თემა იძენს — **შეძლებენ თუ არა ისინი ერთ-ერთი რიგითი, სიცოცხლისუნარიანი ოპოზიციური პარტიის ჩამოყალიბებას? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ართულებს ის, რომ რეალურად „ისინი“ აღარ წარმოადგენდნენ ერთიანი სურვილებისა და მისწრაფებების მქონე ჯგუფს, ამიტომ, ალბათ, უფრო კორექტულია ფორმულირება „მათი ნაწილი“ ან „ნაცმოძრაობის ზოგიერთი ლიდერი“.** ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ კომენტატორების უმრავლესობამ მერაბიშვილის დაპატიმრებაზე საუბრისას „ნაცმოძრაობის“ შიგნით სხვადასხვა ჯგუფის თუ პიროვნების ურთიერთობის ანალიზს უპრეცედენტოდ დიდი ადგილი დაუთმო, რაც საკმაოდ სიმპტომატურია.

### იზოლაცია თუ ინტეგრაცია?

განხილული საკითხები მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ **ჯერჯერობით ნათლად არ ჩანს, თუ რა ფორმით მოხდება ახალ რეალობაში პოლიტიკურ ცხოვრებაში ყოფილი „ნაციონალების“ ინტეგრირება** (ცხადია, იგულისხმება ის ნაწილი, რომელსაც მძიმე დანაშაული ჩადენილი არ აქვს). ბევრს ეს კითხვა შეიძლება უადგილოდ მოეჩვენოს, რადგან სააკაშვილის რეჟიმის ნამოქმედარის კვალობაზე, პოლიტიკური სივრციდან „ნაციონალური მოძრაობის“, მისი ნარჩენებისა და შესაბამისი იდეოლოგიის სრულ ამოშანთვას მოითხოვენ. თუმცა საქართველოს უახლეს ისტორიაში არის ორი მაგალითი, რომლებმაც შეიძლება ამ მიდგომის მართებულობაზე დაგვაფიქროს.

ედუარდ შევარდნაძემ ვერ მოძებნა (ძნელი სათქმელია, რამდენად გულმოდგინედ ეძებდა) ახალ რეალობაში „ზვიადისტების“ ინტეგრაციის რეცეპტი; მიხეილ სააკაშვილი ხომ საერთოდ პოლიტიკისგან მთელი რიგი ჯგუფების იზოლირებას ცდილობდა. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში საზოგადოებრივი ცხოვრების პერიფერიაზე განდევნილი ჯგუფების შიგნით გროვდებოდა გალიზიანება და დესტრუქციული განწყობები დომინირებდა. **არც „ვარდების რევოლუცია“ წარმოადგენდა ზვიადისტურ რევანშს და არც „შევარდნაძისტებს“** (ან სააკაშვილის მიერ შეზღუდულ სხვა ჯგუფებს) **მოუხდენიათ 2012 წლის 1 ოქტომბერს კონტრგადატრიალება, მაგრამ მათ, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში პროცესებს ძალზე მნიშვნელოვანი იმპულსი მისცეს და მეტწილად დესტრუქციული ენერგია შეჰმატეს.**

**ძველი რეჟიმის რესტავრაცია, ის, რასაც „ნაციონალების“ ხელისუფლებაში დაბრუნებას“ უწოდებენ, ცხადია, არასოდეს მოხდება. მაგრამ რამდენად გონივრულია მათი** (ფაქტობრივად, იძულებითი) **იზოლირება ქართული პოლიტიკის პერიფერიაზე და გადაქცევა დესტრუქციის ელემენტად ახალი სისტემისთვის, რომლის დანგრევაზე დღედაღამ იოცნებებენ და ბოლოს ამ განწყობას ახალ, სხვა ძალის მიერ ინსპირირებულ მოძრაობაში ჩააქსოვენ, რითაც მას დამანგრეველ დატვირთვას შესძენენ? რამდენად გონივრულია ძველი შეცდომების გამეორება? ნებისმიერი ჯგუფის იზოლირება, რაოდენ საძულველიც უნდა იყოს ის საზოგადოების უმრავლესობისთვის, ადრე თუ გვიან ნეგატიურ შედეგს მოიტანს** (რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს პირდაპირი რევანში არ იქნება?).

იქნებ გაცილებით გონივრულია, რომ მათ მიეცეთ შესაძლებლობა, მეტიც, ხელი შეეწყოს, რომ თავიანთი „5-პროცენტიანი“ პარტიები შექმნან (მეტს ახლო პერსპექტივაში, უბრალოდ, ვერ „გაქაჩავენ“) და პოლიტიკურ პროცესში, ტელედებატებში და ა. შ. სრულფასოვანი მონაწილეობა მიიღონ ყოველგვარი ხელოვნური შეზღუდვის გარეშე (იგულისხმება არაფორმალური შეზღუდვების სისტემა მომავალში, მსგავსი იმისა, რომელიც ორ ზემოჩამოთვლილ შემთხვევაში არსებობდა, თორემ, ფორმალური თვალსაზრისით, პრობლემა საერთოდ არ არსებობს).

ადამიანებს, რომლებიც კაცთმოძულე დიქტატურას ემსახურებოდნენ და უბრალოდ არ ესმით, რა არის დემოკრატია და შესაბამისი პოლიტიკური პროცესი, სჭირდებათ ადაპტაციის პერიოდი იმისთვის, რომ ახალ რეალობაში „ჩაეწერონ“ და **ამ ჰიპოტეტურმა ახალმა პარტიებმა, რომლებიც, საკმაოდ დიდი ალბათობით, „ნაცმოძრაობის“ ნანგრევებზე აღმოცენდებიან, შეიძლება მათთვის ერთგვარი „კარანტინის“ როლი შეასრულონ, სადაც ისინი მათთვის აუცილებელ ტრანზიტულ პერიოდს გაატარებენ** (აქ, ისევ და ისევ, არ იგულისხმებიან ისინი, ვინც მძიმე დანაშაული ჩაიდინეს და ხვალ, 99%-იანი ალბათობით, განსასჯელთა სკამზე დასხდებიან).

ალბათ, არის ამქვეყნად შემთხვევები, როდესაც გამარჯვებულმა, რომელსაც შეუძლია დამარცხებული მიწასთან გაასწოროს, მითუმეტეს რომ ის ამას იმსახურებს, სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, თავშეკავება უნდა გამოავლინოს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სააკაშვილები მოდიან და მიდიან, ხოლო ის ადამიანები, რომელნიც მას საბედისწერო გზაზე მიჰყვებოდნენ, რჩებიან და მათმა შვილებმა საქართველოში უნდა იცხოვრონ.

**დიმიტრი მონიავა**

**სააკაშვილის გარშემო გაერთიანებული ბელადისტური ტიპის პოლიტიკური გაერთიანების პერსპექტივები ახალ რეალობაში მეტისმეტად არადამაჯერებლად გამოიყურება**

## პრემიერი «ვაშინგტონ პოსტს» მიმართავს

The Washington Post

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ამერიკულ გამოცემა „ვაშინგტონ პოსტს“ მიმართავს. პრემიერს აინტერესებს, რის საფუძველზე აკეთებს გამოცემა დასკვნებს საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, როდესაც არანაირი კვლევა არ ჩაუტარებიათ საქართველოში და ჟურნალისტების ჯგუფიც კი არ გამოუგზავნიათ ამ საკითხთან დაკავშირებით.**

მისივე თქმით, გამოცემა ცოტა გაკვირვებასაც და უკმაყოფილებასაც გამოხატავს ამერიკის ადმინისტრაციისა და ევროკომისრების განცხადებების გამო, არ მოსწონს მათი პოზიცია, რადგან გამონათქვამები არ იყო ისე მკაცრი, როგორიც „ვაშინგტონ პოსტს“ სურდა.

**„მე შევახსენებ გაზეთის რედაქციას, რომ ამერიკის ადმინისტრაციას ინფორმაციას ამერიკის საელჩო აწვდის და მათ ჩემზე მეტი იციან, თუნდაც რა ხდება პროკურატურაში. თომას ჰამერბერგმაც გაცილებით მეტი იცის ჩემზე და ჩვენს გუნდზე, რა ხდება კონკრეტულად პროკურატურაში და გამოძიებასთან დაკავშირებით. წარმომიდგენია, რომ ეშტონიც და ფულეც ინფორმაციას იღებენ ჰამერბერგისგან და სხვა დამკვირვებლებისგან; შესაბამისად, მათი განცხადებები იყო დაბალანსებული, რამეთუ ობიექტურობას ხედავენ. მე ვუსვამ კითხვას „ვაშინგტონ პოსტს“: რის საფუძველზე აკეთებს ასეთ დასკვნებს? რატომ გამოხატავს უკმაყოფილებას, როდესაც მას არავითარი კვლევა საქართველოში ჩატარებული არ აქვს, არავითარი დამატებითი ინფორმაცია მას არ გააჩნია? რის საფუძველზე აკეთებს დასკვნებს და რის საფუძველზე აკრიტიკებს და გამოთქვამს უკმაყოფილებას ადმინისტრაციისა და ევროკომისრების მიმართ?“** — აღნიშნა ივანიშვილმა გადაცემა „რეზიუმესთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

მისივე თქმით, საფუძვლიანად ჩნდება ეჭვი, რომ „ვაშინგტონ პოსტი“ მხოლოდ სააკაშვილის ლობისტების გამონათქვამების საფუძველზე აკეთებს ასეთ დასკვნებს. როგორც პრემიერმა აღნიშნა, „ვაშინგტონ პოსტის“ მიერ სტატიის გამოქვეყნებიდან მეორე დღეს „ფორბსს“ საოცრად კარგი და კორექტული პასუხი ჰქონდა.

„ვაშინგტონ პოსტმა“ რამდენიმე დღის წინ გამოაქვეყნა სარედაქციო საბჭოს სტატია სათაურით „საქართველოს დემოკრატია საფრთხეშია“. სტატიაში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება წინა მთავრობას, ვანო მერაბიშვილისა და მიხეილ სააკაშილის ხელმძღვანელობით, ბრალს სდებს კანონისთვის თავის არიდებაში, ოპონენტებსა და მედიაზე ზეწოლაში.

**„მაგრამ ამ წყვილმა ასევე ჩაატარა ყველაზე დემოკრატიული არჩევნები საქართველოს ისტორიაში და სწრაფად აღიარა ის დამარცხება, რომელმაც ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში მოიყვანა. მოსაზრება, რომ მერაბიშვილის დევნა პოლიტიკური მიზეზებით არ არის განპირობებული, ისეთივე სარწმუნოა, როგორც ის, რომ უკრაინის ოპოზიციის ლიდერი იულია ტიმოშენკო ციხეშია მისი პრემიერ-მინისტრობის დროს ჩადენილი თანამდებობრივი დანაშაულისთვის“.**

„ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში ასევე აღნიშნულია, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ეკონომიკა შეჩერდა და ხელისუფლება თავს ესხმის ოპონენტებს.

**„მილიარდერ ივანიშვილს, რომელმაც ქონება რუსეთში დააგროვა, მიხეილ სააკაშვილისგან მშვიდობიანი და დემოკრატიული გზით ხელისუფლების მიღების შემდეგ შეეძლო, თავი აერიდებინა წინა რეჟიმის სამართლებრივი დევნისთვის და ფოკუსირება მოეხდინა წინა წლების ეკონომიკური ზრდის გამყარებაზე. ამის სანაცვლოდ ეკონომიკა გაჩერდა, რამდენადაც ახალმა მთავრობამ ოპოზიციას სასამართლოებსა და ქუჩებში შეუტია“,** — ნათქვამია „ვაშინგტონ პოსტის“ სტატიაში.

მოკლედ

## ნატოს საბჭოს წევრები გასვლითი სხდომებისთვის საქართველოს ირჩევენ

**ნატოს თავდაცვის მინისტერიალის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაის შეხვდა.** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ალასანიამ ალიანსის გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან ნატო-საქართველოს სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილა. საუბარი შეეხო საქართველოს კონტრიბუციას ISAF-ის მისიაში. როგორც ჯეიმს აპატურაიმ აღნიშნა, საქართველო ალიანსის განსაკუთრებული პარტნიორია. მისი თქმით, ნატო-საქართველოს მსგავსი კომისია ნატოს ძალიან ცოტა ქვეყანასთან აქვს შექმნილი.

**„მადლობა გადავუხადე მინისტრს და ქართველ ხალხს იმ წვლილისთვის, რომელიც თქვენს ჯარებს ავღანეთის მისიაში შეაქვთ. ასეთი პატარა სახელმწიფოსთვის 22 გარდაცვლილი დიდი მსხვერპლია. ჩვენ ვისაუბრეთ ამ ოპერაციის მომავალზე და ცნობილია, რომ საქართველო ამ მისიაში 2014 წლის შემდეგაც მიიღებს მონაწილეობას. ეს არა მხოლოდ ნატოსთვის, არამედ საქართველოსთვისაც მნიშვნელოვანია. თქვენი ქვეყანა იზიარებს ჩვენს ღირებულებებს და ამისთვის მადლობელი ვართ. ჩვენ ასევე, ვისაუბრეთ ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზიტზე. როგორც წესი, საბჭო გასვლით სხდომებს არ მართავს. თუ მისი წევრები მიემგზავრებიან, ისინი ადგილად საქართველოს ირჩევენ. საქართველოს სურს ალიანსში გაწევრიანება და ჩვენ ვეხმარებით, რომ საჭირო სტანდარტები დააკმაყოფილოს“,** — აღნიშნა აპატურაიმ.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ჩვენ გვინდოდა, რომ საზღვრისპირა ტერიტორიები, რომლებსაც უცხო მეპატრონეთა ხელში ჩავარდნა ემუქრებოდა, სახელმწიფოს ეკლესიისთვის გადაეცა სამონასტრო, საეკლესიო მშენებლობის განსავითარებლად. ამით ჩვენს ქვეყანას შემოერტყმებოდა ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სარტყელი, როგორც ერთიანი გალავანი. ეს იდეა პატრიარქსაც მოეწონა, მაგრამ განხორციელება აღარ დაგვცალდა.“



ვალერი ჩხეიძე:

# ყველამ თავის გაპედერასტებულ ქვეყანას მიხედოს!

**ვალერი ჩხეიძე — უშიშროების გენერალ-ლეიტენანტი, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე 1993-2004 წლებში. საუბარი, რომელიც მასთან შედგა, 28 მაისს დაემთხვა, ერთ დროს საბჭოთა მესაზღვრის დღეს.**

— საქართველოში ჩვენი პროფესიული დღესასწაული 21 მარტს აღინიშნება, — **ამბობს ბატონი ვალერი,** — მაგრამ მთავარი ის კი არ არის, რომელ დღეს და რომელ საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების დროს აღინიშნებოდა ეს პროფესიული დღესასწაული, არამედ ის, რომ ამით მესაზღვრისადმი სახელმწიფოს პატივისცემა ოფიციალურად და ფაქტობრივადაა დაფიქსირებული.

საზღვარი, კარგად მოგეხსენებათ, მარტო რუკაზე გავლებული ხაზი არ არის. იგი ერთ-ერთია იმ ხუთი ატრიბუტიდან, რომლებიც სახელმწიფოებრიობის სიმბოლოებია: ჰიმნი, დროშა, გერბი, ვალუტა, სახელმწიფო საზღვარი, ერთ-ერთი თუ გამოაკლდა, ჩათვალეთ, რომ სახელმწიფო არ არსებობს.

საზღვარი დაკავშირებულია ქვეყნის შიდა ოპერატიულ მდგომარეობასთან, სახელმწიფო საგარეო პოლიტიკასთან და ა. შ. ლექციების წაკითხვა შეიძლება ამ თემატიკაზე.

**— ლექციებს თავი რომ დავანებოთ, ეგებ, პირდაპირ ვთქვათ, საზღვარი, რომელიც საბჭოთა კავშირისგან მემკვიდრეობით გვერგო, როგორც ბევრი სხვა რამ, მოვშალეთ?**

— მოვშალეთ და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით მივიღეთ ის, რაც გვაქვს. სამწუხაროდ. საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდისთვის საქართველოს საზღვარი დაფიქსირებული იყო ლაგოდეხიდან ფსოუმდე, მამისონიდან ნინოწმინდამდე, როკიდან ბათუმამდე.

დღეს საზღვრის ზოგიერთი მონაკვეთი საერთოდ არ კონტროლდება საქართველოს ხელისუფლების მიერ, რადგან იქ ჩვენი იურისდიქცია არ ვრცელდება. ამაზე ჩვენ „საქართველო და მსოფლიოსთვის“ მიცემულ პირველ ინტერვიუში ვილაპარაკეთ.

**— ბატონო ვალერი, ესესაა რუსმა მესაზღვრეებმა 150 მეტრით გადმოწიეს საზღვარი. ასეთი „თამაში“ საზღვართან იმის შედეგიც ხომ არ არის, რომ კონფლიქტურ რეგიონებთან ურთიერთობა მეორეხარისხოვან ჩინოვნიკებზეა მინდობილი? ჩვენ არაერთხელ დაგვიწერია და თქვენც უთუოდ იცით, რომ არსებობს მრავალმხრივ დასაბუთებული წინადადება ამ ურთიერთობის უმაღლეს დონეზე აწევის შესახებ. კერძოდ, ახლადარჩეული პრეზიდენტის ერთ-ერთ წამყვან ფუნქციად და პრიორიტეტად, გნებავთ, უშუალო მოვალეობად უნდა იქნას მიჩნეული ამ მიმართულების კურირება.**

— ვიცნობ ამ წინადადებას და პირდაპირ გეტყვით, — აქამდეც უნდა განხორციელებულიყო. **ბატონი ალექსანდრე ჭაჭია, ამ შემოთავაზების ავტორი, მაღალი რანგის ანალიტიკოსია, აფხაზეთში წლების განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, დეტალურად ერკვევა აფხაზეთის პოლიტიკურად არაერთგვაროვან პალიტრაში, აქვს პირადი კონტაქტები და, როგორც ვიცი, პატივისცემითაც სარგებლობს. გასაკვირია, რომ აქამდე ოფიციალური სტრუქტურები მის წინადადებაზე არ რეაგირებენ. მაგრამ, როგორც ყველაფერ ახალს, ამასაც შეჩვევა და გათავისება სჭირდება.**

სააკაშვილის პერიოდში საზღვრის თემატიკა საერთოდ მიგდებული იყო.

ახლახან ბაქოში ჩემს მეგობრებს ვსტუმრობდი. შევხვდი ჩვენი საელჩოს წარმომადგენლებს, რომლებმაც შემახსენეს, რომ **სამთავრობო კომისია საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დელიმიტაციის საკითხებზე, რომელიც აქ არსებული პრობლემების მოსაგვარებლად იყო შექმნილი, 2004 წლის შემდეგ არც ერთხელ არ შეკრებილა.**

**როცა ამას ვერ ითავისებს პრეზიდენტი და პრეტენზია აქვს, ლამის ნობელის პრემიის ლაურეატი გახდეს, ამ სიტუაციაში რაზე შეიძლება სერიოზულად ლაპარაკი?!** ელემენტარულ, დილეტანტურ დონეზეც კი უვიცია, თუმცა ეფრეიტორი იყო *(ეღიმება).*

**— განგებ ხომ არ მოუწყვეთ, ბატონო ვალერი, როცა სააკაშვილს სასაზღვრო ჯარებში მისი სამსახურის ამსახველი ფოტოალბომი აჩუქეთ?**

— ეს მის სინდისსა და მის ავადმყოფურ აზროვნებაზე იყოს...

როცა არ არის სახელმწიფოებრივი მიდგომა საზღვრის პრობლემებისადმი, მაშინ აბუჩადაც აგიგდებენ და საზღვარსაც გადმოგიწევენ. ის დრო წავიდა, როცა საბჭოთა კავშირის საზღვარზე სამ რიგად იყო გაყოლებული მავთულხლართული ღობე გადახნული და გაფხვიერებული მიწის ზოლით. ასეთი ჩაკეტილი საზღვარი განსხვავებული და დაპირისპირებული იდეოლოგების არსებობის აუცილებელი შემადგენელი იყო.

ახლა ღობე საჭირო არ არის, თუმცა აშშ მექსიკის საზღვარზე უკანონო მიგრაციის შესაჩერებლად უზარმაზარ ღობეს აშენებს.

ტერორიზმის შესაკავებლადაც, თუმცა ეს ნაკლებად ეფექტიანია.

საზღვარზე გადასვლა მთელი რიტუალია, მესაზღვრე შენი ტერიტორიის დამცველია. ჩვენთან კი ეს საქმე საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე პატრულს ჩააბარეს (!). ეს დაახლოებით ისეთივე უაზრობაა, ექიმ გინეკოლოგს პროქტოლოგობა რომ დააბრალო. აბსურდია.




**«9 წლის განმავლობაში «ნაციონალებმა» ისე «კარგად» იმუშავეს, რომ ყველა სფერო დაშალეს და დაანგრიეს. მათ შორის, სპეცსამსახურებიც, რომლებიც ქვეყნის უსაფრთხოებაზე კი არ იყო ორიენტურებული, არამედ ელიტის კლანური ბიზნესის შენარჩუნებაზე»**

**9 წლის განმავლობაში „ნაციონალებმა“ ისე „კარგად“ იმუშავეს, რომ ყველა სფერო დაშალეს და დაანგრიეს. მათ შორის, სპეცსამსახურებიც, რომლებიც ქვეყნის უსაფრთხოებაზე კი არ იყო ორიენტურებული, არამედ ელიტის კლანური ბიზნესის შენარჩუნებაზე.**

ბევრი რომ არ ვილაპარაკო, პირდაპირ გეტყვით: ზოგიერთი საგუშაგო კერძო ბიზნესის ხელში აღმოჩნდა, გაიყიდა.

**— რას ლაპარაკობთ?!**

— კი — გონიოსა და სარფში, მაგალითად.

განა შევარდნაძის პერიოდში არ იყო სირთულეები საზღვართან დაკავშირებით? იყო. მაგალითად, ძალიან დიდი წინააღმდეგობა გაგვიწიეს ხუთკილომეტრიანი სასაზღვრო ზოლის დაწესების გამო: საბჭოთა მენტალიტეტის გადმონაშთიაო. ერთ კილომეტრამდე შემცირდესო. ამითაც არ დაკმაყოფილდნენ. დიდი გაჭირვებით მივიღეთ კანონი.

**— ვინ გეწინააღმდეგებოდათ? ისინი ხომ არა, ვინც შემდეგ ოპოზიციაში გადავიდნენ და საბოლოოდ „ნაცების“ ხელისუფლების სახით მოგვევლინენ?**

— მე მათ ნეობოლშევიკებს ვეძახი. ხელმოცარულ კომკავშირელებს, რომლებიც ნაციონალ-პატრიოტებად იქცნენ...

**ჩვენ გვინდოდა, რომ საზღვრისპირა ტერიტორიები, რომლებსაც უცხო მეპატრონეთა ხელში ჩავარდნა ემუქრებოდა, სახელმწიფოს ეკლესიისთვის გადაეცა სამონასტრო, საეკლესიო მშენებლობის განსავითარებლად. ამით ჩვენს ქვეყანას შემოერტყმებოდა ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სარტყელი, როგორც ერთიანი გალავანი. ეს იდეა პატრიარქსაც მოეწონა, მაგრამ განხორციელება აღარ დაგვცალდა.**

გვქონდა სხვა იდეაც: საზღვრისპირა სოფლების, რომლებიც დაცლის პირზე იყო, ადგილობრივ მოსახლეობასთან დაგვედო კონტრაქტები, აგვეყვანა სამსახურში, დაგვესაქმებინა ეს ხალხი. და ეს იქნებოდა არა ფორმალური ღონისძიება, არამედ იმ ძირძველი ტრადიციის აღდგენა, იმ ისტორიული ფუნქციის, რომელიც საზღვრისპირა მოსახლეობას ათადან-ბაბადან ჰქონდა დაკისრებული. დავიწყეთ ეს საქმე, ჩვენს სასწავლო ცენტრში შევუდექით მათ სწავლებას, მაგრამ ეს უნიკალური პროექტიც, რომელიც მეცნიერებთან ერთად შევიმუშავეთ, ჩვენს სასწავლო ცენტრთან ერთად მოშალეს.

პირადი კონტაქტების ჩართვით, თხოვნით მივმართე გერმანელ კოლეგებს, დაგვხმარებოდნენ საქართველოს საზღვრის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე მოწყობაში. ჩამოვიდნენ, შეისწავლეს, შეადგინეს 300-გვერდიანი, დაწვრილებით დამუშავებული პროგრამა, როგორ უნდა განვითარებულიყო ეს მიმართულება საქართველოში — რა უნდა გადმოგვეტანა ევროპიდან, რა — არა. პროგრამა ეტაპებად იყო დაყოფილი, რომელიც სხვა პრობლემებთან ერთად სტრუქტურულ ცვლილებებსაც ითვალისწინებდა, რეორგანიზაციის წინადადებებს, მაგრამ ესეც მივიწყებას მიეცა.

**— დღეს როგორ იმართება თქვენი ყოფილი უწყება, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ დანაყოფად აქციეს მოსვლისთანავე „ნაციონალებმა“?**

— ნუ მიწყენს სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელი, პირდაპირ გეტყვით: იგი არ არის ისეთი რანგის ხელმძღვანელი, რომელსაც შეუ- ▶

**«სამთავრობო კომისია საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დელიმიტაციის საკითხებზე, რომელიც აქ არსებული პრობლემების მოსაგვარებლად იყო შექმნილი, 2004 წლის შემდეგ არც ერთხელ არ შეკრებილა»**

**„ნუ დაიტრაბახებენ ნურც ხიდაშელი, ნურც უსუფაშვილი, ნურც ალასანია და ნურც რომელიმე პარტიის ლიდერი, პირადად ბიძინა ივანიშვილი რომ არ ჩასდგომოდა სათავეში სახალხო-გამათავისუფლებელ მოძრაობას, ამათ არაფერი გამოუვიდოდათ... ვაცალოთ იმ კაცს, გააკეთოს თავისი საქმე, და სხვები იმ ბუზივით ნუ ტრაბახობენ, ხარს რქაზე რომ აჯდა და იქადნიდა — ჩვენ ვხნავდითო!“**

ინტერვიუ

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ძლია რაიმე გადაწყვიტოს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ ამას, ვიცნობ მას — ჩემი ყოფილი ოფიცერია. არაფერს არ წყვეტს.

**— აბა, ვინ წყვეტს?**

— არ ვიცი. ამ უწყების ხელმძღვანელი მინისტრის მოადგილე მაინც უნდა იყოს და არა მეოთხეხარისხოვანი თანამშრომელი, როგორიც დღეს არის. კოლეგიის წევრი მაინც უნდა იყოს.

**— თქვენ წლების განმავლობაში მუშაობდით ავლანეთში. თუ ვინმემ იცის იქაური სპეციფიკა, იცით თქვენ... შეაფასეთ, თუ შეიძლება, მიხეილ სააკაშვილის ტელეგაკეკლუცება, რომელიც ვიხილეთ 26 მაისს რეპორტაჟში ჰელმანდის პროვინციიდან — ჩვენ რომ გვატყუებდა, როგორი „საქმეში ჩახედული“ მთავარსარდალი ჰყავს საქართველოს არმიას.**

— ეს იყო პოზა საკუთარ თავზე შეყვარებული „ბოლვანის“. რეგვენი, რაც რუსული „ბოლვანის“ ზუსტი თარგმანია, მაინც კეთილშობილურად ჟღერს, ამიტომ დედნისეული „ბოლვან“ ზედგამოჭრილია! **ნარცისია — ნარგიზი. მითიური ნარცისისგან იმით განსხვავდება, რომ პირველი დღე და ღამ წყალში თავის ანარეკლს შეჰხაროდა, ეს — თავის ვიდეოგამოსახულებით ტკბება ტელეეკრანზე. სხვას არაფერს ანგარიშს არ უწევს.** პირი დაალო და ისეთი რამეები გაშიფრა, რაზეც იქ ჩემი სამსახურისას საიდუმლო გრიფი გვქონდა დადებული და რაზეც დუშმანების დაზვერვა ნადირობს.

დაზვერვის პრინციპები არ შეცვლილა, სააკაშვილმა კი ლანგრით მიართვა ოპერატიული ინფორმაცია.

ან ჩასვლის მიზანი რა იყო? რა სახელმწიფო აუცილებლობით იყო გამოწვეული?!

არავითარი! მოუნდა და წავიდა. 9 წელიწადი გავუძელით. ოქტომბრამდეც ავიტანეთ... მაგრამ, იცით, რა? არ გვინდა არავის დამოძღვრა, ვიცით, რომ ქვეყნისთვის ასე სჯობს. **ნუ დაიტრაბახებენ ნურც ხიდაშელი, ნურც უსუფაშვილი, ნურც ალასანია და ნურც რომელიმე პარტიის ლიდერი, პირადად ბიძინა ივანიშვილი რომ არ ჩასდგომოდა სათავეში სახალხო-გამათავისუფლებელ მოძრაობას, ამათ არაფერი გამოუვიდოდათ... ვაცალოთ იმ კაცს, გააკეთოს თავისი საქმე, და სხვები იმ ბუზივით ნუ ტრაბახობენ, ხარს რქაზე რომ აჯდა და იქადნიდა — ჩვენ ვხნავდითო!**

ვაცალოთ ბიძინა ივანიშვილს, დარწმუნებული ვარ, მან იცის, საით მიჰყავს ქვეყანა.

**— დღევანდელი საზღვარი, როგორც თქვით, ძირგავარდნილი ვარცლივითაა, რომელშიც შემოსვლა ყველაფერთან ერთად შეუძლია ნებისმიერ იდეას, მოძრაობას — ანტიქართულს, ანტიმართლმადიდებლურს და ჩვენ „გაგებით უნდა მოვეკიდოთ“, უფრო მეტიც, დავიცვათ ამ იდეის მატარებელთა უფლებები.**

— პედერასტიას გულისხმობთ?

**— დიახ. თქვენი დამოკიდებულება?**

— ამასწინათ ინტერნეტში წავიკითხე: მთელი საქართველო რომ გაპედერასტდეს, ნატოში მაინც არ მიგვიღებენო (*ვიცინით*).

ყოველნაირად მიუღებელია პირადად ჩემთვის, როგორც საქართველოს ერთ-ერთი მოქალაქისთვის, პიროვნებისთვის. აბსოლუტურად მიუღებელია და, რაც შემეძლება, ვიბრძოლებ ამის წინააღმდეგ. ამასვე მოვუწოდებ ჩემს მეგობრებსა და ახლობლებს.

საფრანგეთში, რომელმაც დააკანონა ერთსქესიანთა ქორწინება, ასი ათასობით ადამიანი გამოვიდა სახალხო კრების ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ეს მოძრაობა გრძელდება. არც საქართველოში ჩაცხრება.

გაგახსენებთ, რომ **გეების გამოსვლის მცდელობა ერევანშიც იყო. იქაც დაუპირისპირდა ხალხი ელჯებიტელებს. იქაც გამოხტა** (ხაზგასმით ვხმარობ ამ სიტყვას) **აშშ-ის საელჩოს წარმომადგენელი და დაგმო პედერასტების დარბევა. სომხები როგორ მოიქცნენ? მთავრობის წინაშე დააყენეს საკითხი აშშ-ის ელჩის გაწვევის შესახებ.**

ეს უბედურება მარტო იმ ავადმყოფი ერთეულებისგან კი არ მოდის, არამედ ზოგიერთი ქვეყნის საელჩოებში მოკალათებული გავლენიანი აგენტებისგან. დაგვანებონ თავი და თავიანთ გაპედერასტებულ ქვეყნებს მიხედონ.

ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ თავის დროზე აშშ-ში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო გაწმინდეს სქესობრივი ორიენტაციაშეცვლილი კაცებისგან და ქალებისგან და ისინი „ამერიკის ხმაში“ გადაიყვანეს, როგორც სპეცსამსახურისთვის არასანდო ხალხი.

**— მძიმე სურათი დახატეთ, ბატონო ვალერი, და როგორც ყოველთვის ამგვარ შემთხვევებში, ბოლო შეკითხვას ტრადიციულს დაგისვამთ: სადაა გამოსავალი?**

— თუ ჩვენი ეს ინტერვიუ ბატონ ბიძინა ივანიშვილის ყურადღების საგანი გახდება, შევთავაზებდი, მოეწვია თათბირი საზღვრის დაცვის პრობლემებთან დაკავშირებით, რომელზეც სერიოზულად გაანალიზდებოდა დღეს სახელმწიფო საზღვარზეა ჩამოყალიბებული მდგომარეობა. თქვენი მონამორჩილი ამ თათბირში სიამოვნებით მიიღებდა მონაწილეობას მსმენელის რანგში.

ყურად იღეთ, ბატონებო, იმ პროფესიონალების მოსაზრებანი, რომლებმაც ეს გზა გაიარეს, დააგროვეს გამოცდილება და სურთ ამ გამოცდილების წაშველებით მუშაობა გაუადვილონ ახალგაზრდებს.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**



**«ეს უბედურება მარტო იმ ავადმყოფი ერთეულებისგან კი არ მოდის, არამედ ზოგიერთი ქვეყნის საელჩოებში მოკალათებული გავლენიანი აგენტებისგან. დაგვანებონ თავი და თავიანთ გაპედერასტებულ ქვეყნებს მიხედონ»**

# «სილიკო-მანგანუმის საქმეზე ადეიშვილი და მისი გუნდი ხალხს სერიულად იჭერდნენ»



**წინა ხელისუფლების მიერ დაზარალებულ ადამიანთა რიცხვი, ალბათ, ერთ დიდ არმიას შეადგენდა, მათი დიდი ნაწილი კი ან მერაბიშვილს უჩივის, ან ადეიშვილს. ამ ადამიანების სახელებს ეწერებათ სერიული მკვლელობებისა და დაპატიმრებების უამრავი ფაქტი, ის, რაც უკვე ითქვა და რაც ჯერ არ თქმულა. მათი „მეგობრები“, რომლებიც იბრძვიან, რომ მათი რეაბილიტაცია მოახდინონ, მგონი, ჯობს, დაფიქრდნენ იმაზე, ამდენი გამწარებული ადამიანისგან თავის დაცვის მიზნით უკეთესი ხომ არ იქნება მათი ციხეში დარჩენა? იქნებ იმ ადეიშვილსაც ურჩიონ, ქვეყანაში დაბრუნდეს, იქნებ აქ უფრო გადარჩეს, თორემ ქართველს სად არ გადაეყრები კაცი?! „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ წერილს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ და რა ვითარებაში დააპატიმრეს ფერო-სილიკო-მანგანუმის ბიზნესში ზურაბ ადეიშვილის ინტერესების გამო უკრაინაში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენი ალექსანდრე ქურთაული, გამოეხმაურა ფოთში მცხოვრები ბიზნესმენი დავით კუპრეიშვილი, რომელიც იმავე საქმეზე ყოფილა დაპატიმრებული და ბრალად იმასაც სდებდნენ, რომ ქურთაულთან და რამდენიმე ბიზნესმენთან ერთად უკანონოდ მოქმედებდა. თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ადამიანებს, რომლებთან გარიგებას აბრალებდნენ, მანამდე არც კი იცნობდა და სასამართლო პროცესზე პირველად ნახა.**

— მინდა, თქვენი გაზეთის წინა ნომერში გასულ მასალას გამოვეხმაურო, — **უთხრა „საქართველო და მსოფლიოს“ ბიზნესმენმა დავით კუპრეიშვილმა,** — მეც იმავე ბიზნესინტერესების გამო დამაპატიმრეს, რომელზეც ალეკო ქურთაული. სილიკო-მანგანუმის ბიზნესი 1993 წლიდან მქონდა, იმ დროიდან მოყოლებული სასამართლოს დადგენილების საფუძველზე, ასე ვთქვათ, ჩემი კუთვნილება იყო. ფირმა, რომელიც ჩემი საკუთრება იყო, „ელექტრიკი“ ერქვა. „ელექტრიკი“ საქმიან ურთიერთობაში იყო ფირმა „ბელსერვისთან“, რომლის მფლობელიც გახლდათ ზურაბ ადეიშვილის ძმისშვილის ნათლია დავით ბელოღუდაშვილი. ერთობლივი საქმიანობა ყველანაირად კანონიერად და ხელშეკრულებების საფუძველზე დავიწყეთ, მე მათთვის უნდა მიმეწოდებინა საქონელი, ხოლო მათ ჩემთვის თანხა უნდა გადმოერიცხათ. ფირმა „ელექტრიკმა“ თავისი საქმე გააკეთა და, როდესაც თანხის გადმორიცხვა მოვითხოვეთ, საქმე ცუდად წაგვივიდა. ისინი მიხვდნენ, რომ ჩემს კუთვნილ თანხაზე უარს არ ვიტყოდი და ჩემი თავიდან მოშორება გადაწყვიტეს. თავიდან კი იმ შემთხვევაში მომიშორებდნენ, თუ რამდენიმე წლით ციხეში გამომამწყვდევდნენ და დაიწყეს ჩემი განადგურება, რასაც საბოლოოდ ჩემი დაპატიმრებაც მოჰყვა. **საბუთები გააყალბეს და ისე გააკეთეს, რომ თითქოს წლების განმავლობაში უკანონო საქმიანობას ვეწეოდი, ჩემი დაცვის მხრიდან წარმოდგენილი საბუთები, რომლებიც ჩემს სიმართლეს ადასტურებდა, არ მიიღეს, არც განიხილეს; ბრალს მდებდნენ ასევე ალეკო ქურთაულთან ერთად უკანონო საქმიანობაში, რომელიც პირველად სასამართლო პროცესზე ვნახე, თუმცა მათ წარმოადგინეს საბუთები, რომელთაც მე და ქურთაული ხელს ვაწერდით, მაგრამ არც ხელმოწერა იყო ჩვენი და არც ბეჭდები.**

მოკლედ, ვერაფერს გავხდით. თანაც, როგორც შემდეგ გაირკვა, აღნიშნულ საქმეზე ძალიან ბევრი ადამიანი დაუპატიმრებიათ სხვადასხვა რაიონში. პირადად მე ზესტაფონში დაკავებული 12 ადამიანი დამიპირისპირეს, რომელთაც არც ვიცნობდი. ახლა, რაც ციხიდან გამოვედი, მათ ვკითხე, ეს რატომ გააკეთეთ-მეთქი, და მიპასუხეს, რომ ადეიშვილის დავალება იყო და, აბა, რა უნდა გვექნაო. როდესაც ჩვენი სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა და ყველაფერი ჩვენ საწინააღმდეგოდ წაიყვანეს, ჩემი ყურით გავიგონე, რომ გამომძიებელმა და პროკურორმა დავით ბელოღუდაშვილს უთხრეს, სასწრაფოდ საქართველო უნდა დატოვოო, რაც უსიტყვოდ შეასრულა კიდეც. ბელოღუდაშვილი და „ჯეოფერომეტალის“ პრეზიდენტი კორტავა ქვეყნიდან გაიქცნენ. აღნიშნული ფირმა სილიკომანგანუმის ნარჩენებზე რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობს, ახლა ეს უდიდესი ფირმა, მგონი, „დინამო“ თბილისის მფლობელის — რომან ფიფიასია.

**სილიკო-მანგანუმის საქმეზე ხალხს სერიულად იჭერდნენ ადეიშვილი და მისი გუნდი; ბევრი თავისიანიც კი დაღუპეს. ზოგი კუბლაშვილის ხელდასმული იყო და საპროცესო გარიგებები ხელმისაწვდომ თანხებად გაუკეთეს, მაგრამ მე და რამდენიმე ადამიანს იმხელა თანხა მოგვთხოვეს, რომლის გადახდასაც ვერაფრით შევძლებდით და პატიმრობა მოგვისაჯეს.**

დღეს, როდესაც ხელისუფლება შეიცვალა და ადამიანები იმედის თვალით შეჰყურებენ საქართველოს მომავალს, ძალიან სამწუხაროა, როცა იგებ, რომ ადამიანები, რომლებიც წარსულში კრიმინალ მაღალჩინოსნებს ემსახურებოდნენ და თავადაც მრავალ ბინძურ საქმეში იყვნენ გარეულნი, დღეს კვლავ თანამდებობებზე ინიშნებიან. აი, მაგალითად, მიშა ჩოხელი, რომელსაც უამრავი ადამიანისა და ოჯახის ცოდვა ადევს კისერზე, გორის რაიონის ფინანსური პოლიციის უფროსის მოადგილედ დაინიშნა. ჩვენ, ბიზნესმენები, რომლებიც ზემოთ აღნიშნულ საქმეზე ვიყავით დაპატიმრებულები, აუცილებლად შევიტანთ საჩივარს და საქმის ხელახლა გადახედვას მოვითხოვთ. საინტერესოა, მაშინ რას იტყვის ჩოხელი ან ის ადამიანი, რომელმაც ჩოხელს ასეთი საპასუხისმგებლო თანამდებობა ჩააბარა?!

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**«მიშა ჩოხელი, რომელსაც კისერზე უამრავი ადამიანისა და ოჯახის ცოდვა ადევს, გორის რაიონის ფინანსური პოლიციის უფროსის მოადგილედ დაინიშნა»**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რატომაა, რომ, როდესაც ხელისუფლების სათავეში მოექცევიან, იქცევიან ისევე, როგორც მათი წინამორბედები?“ — ქართული პოეზიის დედოფლის, სულმნათი ანა კალანდაძის ეს სიტყვები გამახსენდა, როცა გურამ ოდიშარიას კულტურის მინისტრობის განვლილ პერიოდს გადავხედე და შევადარე ქართული ცნობიერებისა და კულტურის დამანგრეველ მის ნაცწინამორბედებს. მსგავსება დიდია, განსხვავება — არავითარი, ანუ ფალოს-კლიტორის კერპთაყვანისმცემელთა აღლუმი ქართულ მწერლობაში მოშაირე ოდიშარიას ხელმძღვანელობით გრძელდება!**



# ბატონო ბიძინა, როდემდე დააფინანსებთ «ასომთავრულებს» ქართველი ხალხის ფულით?

## ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს

**ბატონო ბიძინა,**

უფლის მადლით, ქართული კულტურა ისეთივე გამორჩეული და სრულყოფილია, როგორც ქართული ენა, რომელიც ივერიელთა ერის სულიერი ხერხემალია. ოცდაერთ საუკუნეზე მეტია, რაც ქართული ენა ჩვენიეროვნული ერთიანობისა და სახელმწიფოებრივი მთლიანობის უმნიშვნელოვანეს კულტურულ ფაქტორს და ქართული ცივილიზაციის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. **„ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების,“** — ამბობდა გიორგი მერჩულე და ჩვენი სამშობლოს სახელმწიფო სივრცეს ქართული ენის გავრცელების არეალით საზღვრავდა. ენა მაშინაც აერთიანებდა ივერთა ერს, როცა ქართული სახელმწიფო დაქუცმაცებული თუ დაპყრობილი იყო ათასი ჯურის მტრის მიერ. ლეონტი მროველი ფარნავაზ მეფის უმთავრეს დამსახურებად მიიჩნევს ქართველი ხალხის გაერთიანებას ქართული ენის მეშვეობით: **„ამან** (ფარნავაზმა — ვ. ო.) **განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართულთა შინა თვინიერ ქართულისა.“**

ღვთის შეწევნით, „შემკული და კურთხეული“ (იოანე-ზოსიმე) ქართული ენის ლექსიკური სიმდიდრე, სტილისტიკური მოქნილობა, გრამატიკულ კანონზომიერებათა სრულყოფილება და სემანტიკურ-მჭევრმეტყველური ბუნება ჭეშმარიტ ქართველ მწერლებს საშუალებას აძლევს (აძლევდა) სიტყვისქვეშეთის მისტერიათა აღსრულებისა, რამეთუ **„ღმერთი იყო სიტყვაი იგი“ და ღვთის მფარველობის ქვეშ მყოფმა ჩვენმა ერმა და ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილებმა შექმნეს ქართველი ხალხის სულიერი ენერგიის პირმშო — დიდი ქართული მწერლობა.**

შეიძლება მრავალ ენაზე ლაპარაკობდე, მაგრამ მხოლოდ ერთ ენაზე უნდა აზროვნებდე. ქართველი მწერლები ყოველთვის ქართულად აზროვნებენ (აზროვნებდნენ) — ლოცვასავით აღუვლენდნენ უფალს და სამშობლოს თავის შემოქმედებას. ქართული მწერლობა ქართული სიტყვებით აგებული ტაძარია (ტაძრებია), რომელშიც სიტყვისქვეშეთის სასწაულთა ბრწყინვალება ანთია კელაპტრებად. **ქართული მწერლობა ყოველდღიურ ომში იყო და არის ქართული სულის გადასარჩენად, დასაცავად, უკვდავსაყოფად; ამასთან, მწერალი მხოლოდ თავისი შემოქმედებით ფასდება და არა წიგნთა სიმრავლით თუ ტელეპოპულარობით. ზნეობრიობა და ქრისტიანული აზროვნება მთავარი ბარომეტრია ქართული მწერლობისა.**

ამასთან, **ივერიელნი ეკუთვნიან იმ ერებს, რომელთაც მშობლიურ ენაზე შექმნეს მდიდარი ქრისტიანული კულტურა და უმნიშვნელოვანესი საეკლესიო და საერო მწერლობა. ამავე დროს, ქართველობა ერთგვარ გამონაკლისიც არის აღმოსავლეთის თუ დასავლეთის ქრისტიან ერებს შორის. კერძოდ, მაშინ, როდესაც ისინი შებოჭილნი იყვნენ საეკლესიო-სქოლასტიკური ბორკილებით, ჩვენ, ჰაგიოგრაფიულ მწერლობასთან ერთად, უმდიდრესი საერო მწერლობა შევქმენით ადამიანის სულიერი თუ მიწიერი მისწრაფებებით.** ე.წ. ჰუმანიზმი ქართულ მწერლობაში უკვე XI-XII საუკუნეებიდან შემოვიდა, რომელიც დასავლეთ ევროპის ისტორიაში შედარებით გვიან საუკუნეებში ჩნდება. ისე, ცხადია, რომ, როცა სული ჩლუნგდება, რელიგიაც და მწერლობაც კერპთაყვანისმცემლური ხდება. გავიხსენოთ თუნდაც ახლო წარსულის 30-50-იანი წლები, თუმცა არც დღევანდელ მსოფლიოს აკლია ბელადომანია. **კაცობრიობის მთელი ისტორია ცოდვა-მადლის ისტორიაცაა და მწერლობა ამ ცოდვა-მადლის სიტყვიერ აღწერას ცდილობს.** რაც უფრო ღვთიურია სიტყვა, მით უფრო დიდია მწერლობა. სიტყვებშიც იჟონება ჩვენი ცდუნება და სიკეთე, დარდი და სიხარული... მარადისობის მდუმარე უკუნეთს მხოლოდ სიტყვების ჯარით ვებრძოლებით ადამის ძენი. სხვა ყოველივე ფუჭია. **იქნებ ნამდვილი მწერლობა დროში ასიმეტრიული მოძრაობაც არის, რადგანაც მწერლის მიერ დახატული ირეალური სამყარო თუ პერსონაჟები დავიწყებასა თუ სიკვდილს გამოტაცებულ მარადისობად იქცევიან. ჭეშმარიტება ხშირად სიტყვებს მიღმა დევს და სიტყვისქვეშეთიდანაა საკრალური ბრწყინვალების პოვნა საჭირო.**

**ქართველ მწერალს არასოდეს დაუხევია უკან, არასოდეს შეუქცევია მტრისთვის ზურგი, არ უღალატია ქრისტეს სჯულისა და სამშობლოსთვის, წაგებულ ომებშიც კი არ დამარცხებულა და ქართული სიტყვის ღვთიური მადლით სისხლით გადაჯქონდა ეტრატზე მარაბდის თუ კრწანისის ტრაგედია, კოჯორთან თუ ტაბახმელასთან, სოხუმთან თუ ცხინვალთან განცდილი ტკივილის მწუხარე მთრთოლვარება...**



როგორც ჩანს, მე-20 საუკუნის მიწურულიდან და 21-ე საუკუნის დასაწყისიდან ადამიანის შემოქმედებითი აზრისა და სულიერი ცხოვრების თავისუფლებას ბევრი ისტორიულ-ობიექტური თუ პოლიტიკურ-სოციალური მოვლენა უქადის განადგურებას, გასრესას... ამას ემატება სხვადასხვა მასშტაბის ომები, ეთნოკონფლიქტები, ეკოლოგიური კატაკლიზმები და კოსმიურ კატასტროფათა მოახლოება, რამაც ადამიანის სიცოცხლე თითქოს გააუფასურა. მაგრამ დიდი მწერლობა დიდი წინასწარმეტყველებაცაა. ქართველმა ერმა ღირსეული მწერლობა შეუქმნა მსოფლიოს ცივილურ კაცობრიობას. მამა გაბრიელის სიტყვებით მინდა დავასრულო: **„დიდი წინასწარმეტყველი წუთისოფლიდან გასვლის შემდეგაც ასწავლის თავის ერს ხილული თუ უხილავი სასწაულებით. ტოვებს რა ფიზიკურ სხეულს, ის არ ტოვებს სულიერად თავის ხალხს, აგრძელებს რა თავის მისიას მის სულიერ მემკვიდრეობაში“.** ჭეშმარიტ ქართველ მწერალთა მისიაც ესაა...

ამ ღია წერილის შესავალი ჩემ მიერ შედგენილი „უახლესი ქართული პროზის ანთოლოგიის“ წინათქმიდან აღებული ამონარიდია, რითაც კიდევ ერთხელ გავუსვი ხაზი ქართული კულტურისა და განსაუთრებით ქართული მწერლობის უდიდეს მისიას ერის ცხოვრებაში.

მაგრამ...

**„რატომაა, რომ, როდესაც ხელისუფლების სათავეში მოექცევიან, იქცევიან ისევე, როგორც მათი წინამორბედები?“** — ქართული პოეზიის დედოფლის, სულმნათი ანა კალანდაძის ეს სიტყვები გამახსენდა, როცა გურამ ოდიშარიას კულტურის მინისტრობის განვლილ პერიოდს გადავხედე და შევადარე ქართული ცნობიერებისა და კულტურის დამანგრეველ მის ნაცწინამორბედებს. მსგავსება დიდია, განსხვავება — არავითარი, ანუ **ფალოს-კლიტორის კერპთაყვანისმცემელთა აღლუმი ქართულ მწერლობაში მოშაირე ოდიშარიას ხელმძღვანელობით გრძელდება!**

ბატონო ბიძინა, მოშაირე ოდიშარიას „მოღვაწეობას“ მხოლოდ ერთ კონკრეტულ მაგალითზე ორი კუთხით განვიხილავთ:

1) იურიდიულ-სამართლებრივი, როგორც საჯარო მოხელისა და მთავრობის წევრისა.

2) მორალურ-ესთეტიკური, როგორც კულტურის სფეროს მუშაკისა.

მაშ, დავიწყოთ: ა.წ. 11 მარტს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა განცხადება: **„კონკურსი სალიტერატურო ჟურნალის გამოცემის ხელშეწყობის მიზნით“.** განმცხადებელი საქართველოს კულტურის სამინისტროს ერთ-ერთი „ქვედანაყოფი“ — **სსიპ „საქართველოს მწერალთა სახლი“** (მწერალთა კავშირის კუთვნილი სასახლე, როგორ იქცა „მწერლის სახლად“, ეს სხვა თემაა და შორს წაგვიყვანს), რომელიც ჩემთვის უკვე ნაპრეზიდენტალ მ. სააკაშვილის 2008 წლის 23 ოქტომბრის №505 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა და, რომლის თანახმადაც „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ახორციელებს მასზედ „სახელმწიფო კონტროლს“, „უზრუნველყოფს დებულების დამტკიცებას თუ წარმომადგენლობაზე უფლებამოსლი პირის დანიშვნის“ და ა.შ. **მწერლის სახლის დირექტორ-მენეჯერად ნატალია ლომოური დაინიშნა, რომელიც დღესაც „წარმატებით“ კოჯაბიტირებულ „ნაცებთან“ ერთად სოლიდური გასამრჯელოთი აგრძელებს მუშაობას.** დავუბრუნდეთ ისევ საკონკურსო განცხადებას: **„სალიტერატურო ჟურნალის გამოცემის ხელშეწყობის მიზნით“** კონკურსის პირობებში შავით თეთრზე წერია: **„კონკურსის მიზანია: სალიტერატურო პროცესის გააქტიურება, ქართული ლიტერატურის (პროზა, პოეზია, დრამატურგია და ა. შ.) ნიმუშების წარმოჩენა, სალიტერატურო და სახელოვნებო კრიტიკის განვითარება, კითხვის პოპულარიზაციის ხელშეწყობა“** (ეს კი ვერ გავიგე, ეტყობა, „თხა და გიგოების“ აკრძალვას ნიშნავს).

კონკურსის პირობების უმთავრესი მოთხოვნა (რითაც იწყებოდა პირობათა ჩამონათვალი) იყო შემდეგი: **„კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სალიტერატურო პერიოდიკის გამოცემით დაკავებულ იურიდულ პირებს, რომლებსაც აღნიშნულ სფეროში მუშაობის მინიმუმ 1-წლიანი გამოცდილება გააჩნიათ. ასევე, წარმოდგენილი პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა სხვადასხვა თაობის შემოქმედთა წარმოჩენა, კრიტიკისა და ესეისტიკის, თარგმანის წარმოჩენა და პერიოდულ გამოცემაში მნიშვნელოვანი ადგილი(!) უნდა ეთმობოდეს თანამედროვე კულტურული პროცესების მიმოხილვას (კინო, მუსიკა, თეატრი, სახვითი ხელოვნება) და სხვ.“**

ბატონო ბიძინა, ოდიშარიამ შარში რომ არ გაგვხვიოს, მინდა ყურადღება მიაქციოთ კონკურსის მოთხოვნის უმთავრეს პირობას: სალიტერატურო და სახელოვნებო პერიოდიკის გამოცემებში მინიმუმ 1-წლიანი გამოცდილება, რაც ნიშნავს, რომ მინიმუმ ერთი და მეტი წლის გამოცდილების მქონე იურიდული პირები დაიშვებოდნენ კონკურსზე, რაც მათი პროფესიონალიზმისა და მხატვრულ-ესთეტიკური დონის გარანტიც იქნებოდა გარკვეულწილად, ხოლო პროზა-პოეზიის, დრამატურგიის გარდა, „კინო, მუსიკა, თეატრი, სახვითი ხელოვნება“ — სალიტერატურო ჟურნალს სინთეზურ სალიტერატურო-სახელოვნებო გეზს კარნახობდა, რაც სავსებით ბუნებრივია მსოფლიოსა და მით უმეტეს ევროპის ქვეყნებისთვის (თუ განვითარების ევროპულ გზას მივყვებით).

**კონკურსში პროექტების წარმოდგენის ბოლო ვადად განცხადებაში მითითებული იყო 2013 წლის 10 აპრილი. ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ სრულად აკმაყოფილებდა საკონკურსო პირობებს და განცხადებაში მითითებულ მოთხოვნათა სრული დაცვით წარვადგინე „ლიტერატურა და ხელოვნების“ საგამომცემლო პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის ორი ვარიანტის ოთხი ვერსია** (ყველა ნიუანსის გათვალისწინებით).

ბატონო ბიძინა, თქვენი განვლილი ცხოვრების კეთილშობილური ქველმოქმედებანი მაძლევს უფლებას, მოკლედ გაგაცნოთ ყოველთვიური ჟურნალი „ლიტერა- ▶

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მსოფლიო ლიტერატურის მრავალტომეულთა გამოცემისას, ვითომ არაფერიო, ილია ჭავჭავაძის, მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძის და სხვა ჩვენი კლასიკოსების ნაცვლად გოეთეს, ბალზაკის, დოსტოევსკის, ჰიუგოს, ჰემინგუეის გვერდით იბეჭდებიან „ქართული ლიტერატურის სექს-ალუმის“ მონაწილენი: ლ. ბუღაძე, ზ. ბურჭულაძე, ე. დეისაძე და სხვა მსგავსნი. ასეთ „შემოქმედთა გუნდს“ საზღვარგარეთ ლიტერატურულ ფორუმებზე და საერთაშორისო წიგნის ბაზრობებზე თან დაატარებს მეშაირე ოდიშარია ქართული კულტურის კარგად წარმოსაჩენად.**

**ინტერესთა კონფლიქტს ვერ ამჩნევთ თუ ნაცხროვის მსგავსად იქცევით, ორი თვით ადრე რომ ქმნიდნენ ფირმებსა თუ კომპანიებს, რათა მერე ტენდერები მოეგებინებინათ თავისი სახლობლო-სამეგობრო წრისთვის? ხომ არ ჰგავს ოდიშარიას «უვნებელი მოღვაწეობა» «ნაცების» კრიმინალურ მოქმედებებს?**

◀ ტურა და ხელოვნება“, რომელიც ერთადერთი სინთეზური სალიტერატურო და სახელოვნებო ჟურნალია საქართველოში, რომლის პირველი ნომერიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დალოცვით და ჭაბუა ამირეჯიბისა და ოტია იოსელიანის მილოცვებით 2006 წლის იანვრის დასაწყისში გამოვიდა და ყოველთვიურად გამოდიოდა 2011 წლის აპრილამდე. სამწუხაროდ, იგი დროებით შეჩერდა სააკაშვილის ბანდისა და მწერალთა კავშირში მოკალათებული, „ნაცებთან“ მიტმასნილი „ავსულების დახმარებით“, ქონების დაყადაღებით და ა.შ. აღარ გავაგრძელებ, მსგავსი ისტორიები ბევრია ყოფილი ხელისუფლების 9-წლიანი მმართველობის პერიოდში. **ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ ქართული თუ მსოფლიო კულტურულ-შემოქმედებითი ღირებულებების წარმოჩენას, დაცვასა და პროპაგანდას ემსახურებოდა. ამ ჟურნალის ავტორები თუ ადრესატები იყვნენ: ჭაბუა ამირეჯიბი, გურამ დოჩანაშვილი, ოტია იოსელიანი, ანა კალანდაძე, რობერტ სტურუა, გია ყანჩელი, ნინელი ჭანკვეტაძე, ნოდარ მამისაშვილი, ვაჟა აზარაშვილი, ბაჩანა ბრეგვაძე, თამაზ ჩხენკელი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ოთარ მეღვინეთუხუცესი, გურანდა გაბუნია, გიგა ლორთქიფანიძე, ქეთევან კიკნაძე, ეროსი მანჯგალაძე, სერგო ზაქარიაძე, რამაზ ჩხიკვაძე, ვასო გოძიაშვილი, ქეთი დოლიძე, ნათელა ურუშაძე, ომარ მხეიძე, თენგიზ უთმელიძე, რეზო ჭანიშვილი, გოგი დოლიძე, ზურაბ ქაფიანიძე, კიტა ბუაჩიძე, ჯემალ აჯიაშვილი, პაატა ბურჭულაძე, გულბათ ტორაძე, გოდერძი ჩოხელი, მუხრან მაჭავარიანი, სანდრო ახმეტელი, გალაქტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, ნოდარ ტაბიძე, რეზო ჩხეიძე, მიხა ხელაშვილი, თენგიზ აბულაძე, დალი ფანჯიკიძე, სოფიკო ჭიაურელი, ნატო ვაჩნაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი...** მაპატიეთ ყველას ვეღარ ჩამოვთვლი, ანუ ლამის მთელი სალიტერატურო-სახელოვნებო ელიტა დღევანდელი საქართველოსი — გარდაცვლილებიც და ცოცხლებიც (ახლა გამახსენდა მიხეილ ქვლივიძის ლექსის შესანიშნავი სტრიქონები: „ქვეყანა, სადაც სათვალავშია ყველა ცოცხალი და გარდაცვლილი“).

**ჟურნალის ყოველი ნომერი გაფორმებული იყო სხვადასხვა თაობის მხატვართა ფერადი ილუსტრაციებით. ესენია: ფიროსმანი, დავით კაკაბაძე, პეტრე ოცხელი, ელენე ახვლედიანი, ლადო გუდიაშვილი, დიმიტრი შევარდნაძე, ჯიბსონ ხუნდაძე, ირაკლი ფარჯიანი, რენო თურქია, გია გუგუშვილი, ირაკლი გამრეკელი, იდა თვარაძე, ილია პატაშური, ლევან ცუცქირიძე, ედმონდ კალანდაძე, ემირ ბურჯანაძე, თენგიზ მირზაშვილი, მერაბ ბერძენიშვილი, ზურაბ ნიჟარაძე და სხვ.** ჟურნალს ჰყავდა თავისი წარმომადგენლები უცხოეთის ქვეყნებში. ჩამოვთვლი „ლიტერატურა და ხელოვნების“ რამდენიმე რუბრიკას, რითაც ნათელი გახდება მისი მოღვაწეობის არეალი: **პროზა, პოეზია, თარგმანი, მუსიკა, თეატრი, ოპერა, ქორეოგრაფია, ბალეტი, კრიტიკა, არტ-ფესტივალი, დრამატურგია, ფოლკლორი, ტელესახე, კულტურული მემკვიდრეობა, სცენოგრაფია, მხატვრობა, ქანდაკება, ლიტერატურული მატიანე, დებიუტი, ხსოვნა, არქივიდან, ფოტომატიანე, ესეისტიკა, კინოკრიტიკა, საუბრები ხელონებაზე, ემიგრანტთა შემოქმედება, პატიმართა შემოქმედება...** დამეთანხმებით, საკმარისია თუნდაც ეს ჩამონათვალი.

მივუბრუნდეთ ისევ კულტურის სამინისტროს მიერ „მწერლის სახლის“ საშუალებით გამოცხადებულ კონკურსს. უცხოურ ვოიაჟებს (გერმანია, ინგლისი საფრანგეთი და ა.შ.) დანატრებულ ოდიშარიას ხელი რომ არ შეშლოდა და თან ხელიც სხვაზე ადვილად შეეხოცა, 2013 წლის 19 თებერვლის ბრძანების საფუძველზე შექმნა ე. წ. **„წიგნისა და ლიტერატურის დარგში მინისტრის საკონსულტაციო საბჭო“** (ანუ დარგობრივი საბჭო, როგორც თვითონ მინისტრი უწოდებს), რომლის წევრებიც არიან: **ზურაბ ქარუმიძე, ნინო ჟვანია, დიანა ამფიმიადი, თინა მამულაშვილი, ლაშა ბაქრაძე, ზვიად კვარაცხელია, მაყვალა გონაშვილი, შალვა ბაკურაძე, შოთა დიღმელაშვილი (გაგარინი), კოტე ჯანდიერი** (ერთადერთი ნამდვილი მწერალი, — ვ. ო.), **გიორგი ლობჟანიძე.** როგორც კულტურის სამინისტროს ვებგვერდზე გამოფენილი სურათებიდან ჩანს, ამ საკონსულტაციო საბჭოს მწერლის სახლის დირექტორი ნატა ლომოური უდგას სათავეში.

**საქართველოში თუ ამაზე მეტი მრჩეველი ვერ მონახა ოდიშარიამ ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე, მაგრამ, მუხრან მაჭავარიანისა არ იყოს, „ცუდად როა, არ იცის ბევრმა“ და ოდიშარიას ეს „ძვირფასი“ საბჭო იხილავს და წყვეტს, საქართველოში რომელი წიგნის თუ ჟურნალის გამოცემა უნდა დაფინანსდეს კულტურის სამინისტროს მიერ, ანუ ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტიდან.** და შენ დაუკა! კულტურის სამინისტრო ცვლის 10 მარტს გამოცხადებულ საკონკურსო პირობებს ფარულად (არა კულტურის სამინისტროს ვებგვერდზე), არ ასაჯაროებს ამ ცვლილებას და მხოლოდ კონკურსის დამთავრების შემდეგ აღმოჩნდება, რომ მწერლის სახლის „ფეისბუქზე“ კონკურსის გამოცხადებიდან 18 დღის შემდეგ მომხდარა ეს ცვლილება, როგორც „არაბი ქალების კლიტორის, პატარა და დიდი ბაგეების მოკვეთა-დაცვეთის სახიფათო თამაშებში“ კარგად გარკვეული მრჩეველი კულტურის მინისტრისა, თავის საგაზეთო თუ სატელევიზიო ინტერვიუებში აცხადებს.

**მწერლის სახლის „ფეისბუქზე“ 29 მარტს ჩნდება ერთი შეხედვით უვნებელი შეხსენება სათაურით — „კიდევ ერთხელ კონკურსის შესახებ“, რომელშიც ყველა მუხლი კულტურის სამინისტროს ვებგვერდიდან მეორდება, მხოლოდ ამოღებულია მუხლი I, ანუ „მინიმუმ ერთი წლის გამოცდილება“. მიზანი: რათა პროფესიონალ ლიტერატორ-გამომცემლებს ჩაუკეტონ გზა და „ნაცმოძრაობის“ მსგავსად ორი-სამი თვის წინ შექმნილი ჟურნალი „ახალი საუნჯე“ დააფინანსონ, რომლის მთავარ რედაქტორს, შოთა იათაშვილს, თურმე „სარედაქციო მუშაობის რამდენიმეწლიანი გამოცდილება აქვს“** (თ. დოლენჯაშვილი). ისმის კითხვა: კონკურსი ჟურნალის გამოცემაზეა თუ რედაქტორებზე? მაგრამ მოდით ახლა გადავხედოთ ჟურნალ „ახალი საუნჯის“ „შემოქმედებით გუნდს“, როგორც ოდიშარიას მრჩეველი თეონა უწოდებს (გაზ. „ვერსია“ 2013 №53), ვინ არიან ისინი: ჟ. „ახალი საუნჯე“ — **№1 შალვა ბაკურაძე, ანუ მოშაირე მინისტრის საკონსულტაციო საბჭოს წევრი, №2 — გიორგი ლობჟანიძე, ანუ გურამ მინისტრის საკონსულტაციო საბჭოს წევრი, №3 — დიანა ანფიმიადი, ანუ გურამ მინისტრის საკონსულტაციო საბჭოს წევრი.**

ბატონო ბიძინა, ამ საკონსულტაციო საბჭოს სხდომა 26 აპრილს გაიმართა კულტურის სამინისტროში და მისი შედეგები დღემდე არ გაუსაჯაროებიათ ოდიშარიასა და ლომოურს, თუმცა, მათი განცხადებით, შედეგები ერთ კვირაში, ანუ 3 მაისს ცნობილი უნდა ყოფილიყო. „ახალი საუნჯის“ „ფეისბუქის“ გვერდზე კი 27 აპრილს უკვე ვრცელდება „სასიხარულო ინფორმაცია, რომ წლის ბოლომდე კულტურის სამინისტრო დააფინანსებს!“. ისმის კითხვა: საიდან ეს ინფორმაცია? ეტყობა, თეონას კარის მრჩეველ-ჩიორებმა მიიტანეს. ყოველ შემთხვევაში, ამ ეჭვის საფუძველს მისი ინტერვიუ გვაძლევს. „ახ. საუნჯის“ №4-ის ავტორები ისევ შალვა ბაკურაძე და ზურაბ ქარუმიძე, ანუ გურამ მინისტრის საკონსულტაციო საბჭოს წევრები არიან და ა. შ.

**ბუნებრივად ისმის კითხვა: ინტერესთა კონფლიქტს ვერ ამჩნევთ თუ ნაცხროვის მსგავსად იქცევით, ორი თვით ადრე რომ ქმნიდნენ ფირმებსა თუ კომპანიებს, რათა მერე ტენდერები მოეგებინებინათ თავისი სახლობლო-სამეგობრო წრისთვის? ხომ არ ჰგავს ოდიშარიას „უვნებელი მოღვაწეობა“ „ნაცების“ კრიმინალურ მოქმედებებს?**

და უმთავრესი: **თუ კონკურსის შედეგები გასაჯაროებული არ არის, საიდან ჩნდება 15 მაისს „ახ. საუნჯის“ „ფეისბუქის“ გვერდზე ინფორმაცია „კულტურის სამინისტროს მიერ ჟურნალის დაფინანსებისა და საბუღალტრო პროცედურების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით“ და ა.შ. რა ფარული მოლაპარაკებები მიმდინარეობს დასაფინანსებლად გამზადებულ ჟურნალთან?**

**რატომ შეცვალა კულტურის სამინისტრომ ფარულად კონკურსის პირობები, კონკურსის დამთავრებამდე 11 დღით ადრე? რა შარზეა ოდიშარია?** კულტურის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზეც და „ფეისბუქზეც“ 26 აპრილს დაფიქსირებული კონკურსის 6 მონაწილე და არა 10, როგორც არაბ ქალთა კასტრაციით დაინტერესებული თეონა მრჩეველი აცხადებს. ხომ არ იკვეთება საბიუჯეტო თანხების ტენდეციურად განკარგვის მცდელობა? **შემდეგი კითხვა: რომელი გამარჯვებულ ჟურნალში** („ახ.საუნჯე“ და „არილი“) **„ეთმობა მნიშვნელოვანი ადგილი“ მუსიკას, კინოს, თეატრს, მხატვრობას, დრამატურგიას და სახელოვნებო სფეროებს? კიდევ ერთხელ მოვითხოვ, გავასაჯაროოთ კონკურსის შედეგები!**

ბატონო ბიძინა, როდესაც ზემოთქმულის შესახებ ინფორმაცია მოვითხოვე ოდიშარიას („ნაცების“ დროინდელმა) მრჩეველმა „კლასიკური დოგისტაილის პოზაში“ ღრმად განსწავლულმა თეონამ (ფრაზა მისივე საუკეთესო მოთხრობიდან) დეზინფორმატორი და კარის მწერალი მიწოდა. **კულტურის სამინისტრო სამაგალითო უნდა იყოს ხალხთან ურთიერთობის კულტურით და არა შეურაცხყოფის მიყენებით, რამეთუ საჯარო სამსახურის ყველა ჩინოვნიკი, უპირველესად, ხალხის მსხაურია, რაც დემოკრატიის უცვლელი პრინციპია. მინისტრის მრჩეველი თეონა კი აცხადებს, რომ „კულტურის სამინისტრო არ არის ვალდებული ლიტერატურული ჟურნალი დააფინანსოს“, აბა, რა ვალდებულება აქვს კულტურის სამინისტროს? მარტო დოლ-გარმონით იაროს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ან უცხოეთის ქვეყნების უაზრო ვოიაჟებში ფლანგოს საბიუჯეტო სახსრები?** თანაც ახლა თურმე „ფრანკფურტის წიგნის ბაზრობისთვის ემზადებიან“....

**მინისტრის მრჩეველი აცხადებს, რომ «კულტურის სამინისტრო არ არის ვალდებული, ლიტერატურული ჟურნალი დააფინანსოს», აბა, რა ვალდებულება აქვს კულტურის სამინისტროს? მარტო დოლ-გარმონით იაროს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ან უცხოეთის ქვეყნების უაზრო ვოიაჟებში ფლანგოს საბიუჯეტო სახსრები?**

მაგრამ მოდი ვნახოთ სამინისტროს დაფინანსებული ვენახი, ვენახი კი არა წიგნების ავტორები და გამარჯვებული ჟურნალის ე.წ. „შემოქმედებითი გუნდი“ და მინისტრის საკონსულტაციო საბჭოს წევრები რას წერენ, როგორ წერენ. მაშ, მოემზადეთ, ძვირფასო მკითხველებო, და მაპატიეთ უწმაწურობა-სიბინძურისთვის, რასაც წარმოგიდგენთ: დიანა ვაჩნაძის ფსევდონიმით კულტურის სამინისტროს მიერ დაფინანსებისთვის გამზადებულ ჟურნალ „ახ. საუნჯის“ მთ. რედაქტორი შ. იათაშვილი რომანში **„ნატა ანუ ახალი ჟიული“** წერს: **„მე ახლა ვფიქრობ მხოლოდ ჩემს სარცხვინელზე, რომელიც რამდენიმე საათის წინ შეზრდილი იყო შენს ასოს...“** ანდა **„მე შევედი სექსშოპებში — ერთში, მეორეში... და ბოლოს, არც მეტი არც ნაკლები, ხელოვნური ყლე შევიძინე... მახსოვს, ერთი სული მქონდა, ჩემს ოთახამდე მიმეღწია... მივედი სახლში, ამოვიღე პარკიდან შეფუთული ხელოვნური ყლე, გავხსენი და დავდე მაგიდაზე ლეოს ასო... რომელმაც ჩემში მეტაფიზიკური რყევები გამოიწვია...** (ასეთი რყევები, როგორც ჩანს, ძალიან სიამოვნებთ კულტურის სამინისტროს მესვეურთ) ანდა მისივე ლექსიდან ნაწყვეტი: **„მე არ ვარ შენი ქალი და გელოდები, მოდი გამიშალე ფეხები, მითხარი, რომ გსურვარ“,** შემდეგ კი: **„ჩამაცვი ბიკინი, ჩამაცვი რეიტუზი“** და ა. შ. ამ „შედევრებს“ ხოტბას ასხამს „ახ. საუნჯის“ მე-4 ნომრის ერთ-ერთი ავტორი ნ. მუზაშვილი.

საქართველოს კულტურის სამინისტროს ფავორიტ ჟურნალ „ახ. საუნჯის“ ავტორია **„საიდუმლო სირობის“** შემქმნელი **ე. დეისაძე,** რომელიც წერს: **„მე მიდგებოდა, როცა დედა პირჯვარს იწერდა“...** ამავე „შემოქმედებითი გუნდის“ წევრია **ზ. ბურჭულაძე,** რომლის წიგნიც თანამედროვე ქართული ლიტერატურის შედევრების კუთხით კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით წარდგენილ იქნა და უცხოეთშიც გამოიცა. შედევრამონარიდები ზ. ბურჭულაძის „ანთოლოგიური დონის ქმნილებებიდან“: **„მიდგება, როცა ტუალეტში შემთბარ უნიტაზზე ჩამოვჯდები“,** ე. დეისაძის „სირობის“ გამომცემელი ბაკურ სულაკაურის მეუღლე — თინა მამულაშვილი კი გურამ მინისტრის მრჩეველია.

ოდიშარიას საყვარელ ჟურნალ „ახ. საუნჯის“ მე-2 ნომრის ავტორის — **ზ. კოშკაძის მოთხრობაში „მე, ბებია, დიდი ბებია და უცხოპლანეტელები“ აღწერილია, თუ როგორ ამყარებს პერსონაჟი გაუკუღმართებულ სექსს საკუთარ ბებიასთან.** მსგავსი თემატიკა აქვს კალმით ეროტიკის მოყვარულ ტელებიჭუნას — **ლ. ბუღაძეს** მოთხრობაში **„ბებო“,** სადაც ბებიას და შვილიშვილის დიალოგი ასეთია: **„— გაიღვიძე შვილო? ბავშვმა ძილისაგან დაბოხებული ხმით იკითხა: რაა? — ტრაკში ქვა, შვილო, — იყო პასუხი.“** მართლაც შესაფერისია წმინდა მეფე თამარზე უბინძურესი მეპასკვილე ბუღათურქის ანტიმწერლური და ანტიქართული სტილისა.

და ერთი უბედურება კიდევ: **მსოფლიო ლიტერატურის მრავალტომეულთა გამოცემისას, ვითომ არაფერიო, ილია ჭავჭავაძის, მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძის და სხვა ჩვენი კლასიკოსების ნაცვლად გოეთეს, ბალზაკის, დოსტოევსკის, ჰიუგოს, ჰემინგუეის გვერდით იბეჭდებიან „ქართული ლიტერატურის სექს-ალუმის“ მონაწილენი: ლ. ბუღაძე, ზ. ბურჭულაძე, ე. დეისაძე** და სხვა მსგავსნი.

ასეთ „შემოქმედთა გუნდს“ საზღვარგარეთ ლიტერატურულ ფორუმებზე და საერთაშორისო წიგნის ბაზრობებზე თან დაატარებს მეშაირე ოდიშარია ქართული კულტურის კარგად წარმოსაჩენად. რაში ენაღვლებათ საბიუჯეტო თანხები? მეჩვენება, საოცარი სულიერი ნათესაობა აქვს მეშაირე ოდიშარიას თბილისის ყოფილ მერთან და ჯანდაცვის ყოფილ მინისტრთან, აწ ჩამოგუბერნატორებულ ზ. ჭიაბერაშვილთან, რომლისთვისაც **„ქართვლის დედის ხელში მამაკაცის დომინანტი იარაღი ხმალი (ფალოსი) კნინდება და წინა პლანზე ფიალა (საშო) გამოდის...“**

ბატონო ბიძინა! „ძვირფასი ციტატებით“ (რომელიც კულტურის სამინისტროს რჩეულ შემოქმედთა გუნდში მრავლადაა) თავს აღარ შეგაწყენთ, მაგრამ ისმის კითხვა: ჩვენი გაუბედურებული ხალხის საბიუჯეტო თანხებით როდემდე უნდა აფინანსებდეს კულტურის სამინისტრო ამ უმსგავსობას? თუ სამშობლოს, სიკეთის, წინაპრის, სიყვარულის მეხოტბენი აღარ გვინდა და გვჭირდება მხოლოდ სასქესო ორგანოების თაყვანისმცემელნი, რომელთაც „საბას“ პრემიებით თუ საეჭვო გრანტებით დავაძლობთ და ტელეპოპულარულებს გავხდით?! ეს ხომ სატანიზმისა და ფალოს-კლიტორის კერპთაყვანისმცემელთა დაფინანსებაა ქართველი ხალხის ფულით? ჩვენ რაღაზე გვაგდებთ ცოდვაში?

**ვაჟა ოთარაშვილი,**
**პოეტი,**
**ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“**
**მთავარი რედაქტორი**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თუ მაინც რაღაც სკანდალის ელფერი დაჰკრავს ამ საქმეს, მხოლოდ იმიტომ, რომ დასავლეთში ჩვენმა ყოფილმა ხელისუფლებამ დემოკრატის იმიჯი შეიქმნა. აი, ამ იმიჯით სარგებლობს დღემდე სააკაშვილი თავის გარემოცვასთან ერთად გარკვეულ წრეებში და სწორედ ის წრეები ცდილობენ დღეს ივანიშვილის ხელისუფლების დისკრედიტებას.“**

# გელა ნიკოლეიშვილი: ყველანაირი საფუძველი არსებობს იმისა, რომ სააკაშვილი ოქტომბრის შემდეგ საბრალდებო სკამზე ვიხილოთ

**მიმდინარე სამართლებრივ პროცესზე, პროკურატურის მუშაობაზე და ამ საკითხთან დაკავშირებით დასავლეთის შეფასებებზე გვესაუბრება ადვოკატი და უფლებადამცველი გელა ნიკოლეიშვილი.**



**«რა გადაწყვეტილებაც უნდა მიიღოს სასამართლომ მერაბიშვილისა და ახალაიას შემთხვევაში, მხოლოდ ამით სამართლიანობის განცდა ვერ გაჩნდება»**

**— ბატონო გელა, მიმდინარე სამართლებრივი პროცესის მიმართ საზოგადოების ინტერესი იმდენად დიდია, გარკვეულწილად იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლება ამ თემით სხვა უფრო პრობლემური საკითხების გადაფარვას ცდილობს. ვანო მერაბიშვილის დაპატიმრებამ როგორც შიდა, ისე საგარეოპოლიტიკურ ასპარეზზე სერიოზული ალიაქოთი გამოიწვია და სკანდალი კვლავ გრძელდება. როგორ აფასებთ ამ ყველაფერს? რა რეალობა გვაქვს ხელისუფლების შეცვლიდან 7 თვის თავზე სამართლიანობის თვალსაზრისით?**

— დავიწყებ იმით, რომ ვანო მერაბიშვილის დაპატიმრება არანაირი სკანდალი არ ყოფილა. სკანდალი ის იქნებოდა, რომ არ დაეპატიმრებინათ, ვინაიდან არაერთი მტკიცებულება არსებობს და ეს გამოჩნდება სასამართლოს მიერ მის მიმართ წარმოებული საქმის არსებითი განხილვისას. **თუ მაინც რაღაც სკანდალის ელფერი დაჰკრავს ამ საქმეს, მხოლოდ იმიტომ, რომ დასავლეთში ჩვენმა ყოფილმა ხელისუფლებამ დემოკრატის იმიჯი შეიქმნა. აი, ამ იმიჯით სარგებლობს დღემდე სააკაშვილი თავის გარემოცვასთან ერთად გარკვეულ წრეებში და სწორედ ის წრეები ცდილობენ დღეს ივანიშვილის ხელისუფლების დისკრედიტებას.** ცხადია, ისინი არ გაჩუმდებიან, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, აქ არსებობს უამრავი მოწმე და სამხილი. ამიტომ, როცა ისეთი ოდიოზური პიროვნებების მიმართ, როგორიც, ვთქვათ, მერაბიშვილი ან ახალაიაა, უტყუარი მტკიცებულებები გამოჩნდება, დარწმუნებული ვარ, ყველა გაჩუმდება.

**— რამდენიმე დღის წინ განაცხადეთ, რომ ვანო მერაბიშვილი ციხიდანაც განაგრძობს სიცრუის ტირაჟირებას. რა ძალა აქვს დღეს მის მიერ გაკეთებულ განცხადებებს? ვისზე, საზოგადოების რა სეგმენტზე შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს?**

— ამ შემთხვევაში მე ვგულისხმობ მის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს დადგენილია, ვინ მოკლა 26 მაისს ის ორი ადამიანი. მისი თქმით, ეს პიროვნებაა ივა ჩილვინაძე, რაც აბსურდია; ასე რომ, ვანო მერაბიშვილმა სრულიად უდანაშაულო ადამიანს ორი კაცის მკვლელობა დააბრალა. რაც შეეხება თქვენს კითხვას, ვისზე შეიძლება მსგავსმა განცხადებებმა გავლენა მოახინოს, ადრეც ვთქვი და კიდევ ვიმეორებ: **მერაბიშვილი დღეს იმდენად დისკრედიტებულია, რომ მის ნათქვამ სიმართლესაც კი საზოგადოება სერიოზულად აღარ აღიქვამს, ამიტომ რას იტყვის ის და ვის რას დააბრალებს ან რაში „ამხელს“, უკვე არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.**

**— წლების მანძილზე გვესმოდა საუბარი, რომ წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა (მათ შორის მერაბიშვილის მიმართაც იყო ბრალდებები) სახელმწიფო ქონება მიითვისეს, რომ ბიზნესმენებს ფულსართმევდნენ და ა. შ. იმის მიუხედავად, რომ უკვე ამდენი ხანია, სამართლიანობის აღდგენის პროცესს ვადევნებთ თვალყურს და არაერთი ყოფილი მაღალი თანამდებობის პირიც დააკავეს, არც ერთი მათგანის მიმართ არ დასმულა ამ უკანონოდ დაგროვებული ქონების, თუნდაც ნაწილობრივ მაინც, კონფისკაციის საკითხი. რას ფიქრობთ ამაზე?**

— ვანო მერაბიშვილი და, გნებავთ, ადეიშვილიც პირადად არ დადიოდნენ ბიზნესმენებთან ფულის წასართმევად, მაგრამ ყველამ იცის, რომ მათი დავალებით ხდებოდა ეს ე. წ. ჩუქებები. უამრავი ადამიანი გამოდის დღეს და ღიად საუბრობს იმ შანტაჟზე, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობის“ ხელდასხმული ხალხი ეწეოდა. დარწმუნებული ვარ, მომავალში კიდევ უფრო მეტი მოქალაქე ისაუბრებს ამაზე საჯაროდ და, აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, მერაბიშვილს ადრე თუ გვიან მაინც წაუყენებენ ამ ბრალდებასაც; ასე რომ, აქ ჯერ ყველაფერი წინაა. გამოძიება კიდევ რას მიაგნებს და რა ახალ დანაშაულებრივ სქემებს გამოჩხრეკს, არავინ იცის.

**— დღეს პროკურატურა ძირითადად გახმაურებული საქმეებითაა დაკავებული, მაგრამ უამრავი ადამიანია, რომელთა მიმართაც წინა ხელისუფლებას სხვადასხვა სახის დანაშაული აქვს ჩადენილი. როგორ ფიქრობთ, შეეხება მიმდინარე სამართლებრივი პროცესი თითოეულ ამ მოქალაქეს?**

— აუცილებლად უნდა შეეხოს, თუ ეს ვერ მოხერხდება, მაშინ, ცხადია, სამართლიანობის აღდგენის განცდაც არ იქნება. 100 პროცენტით, ალბათ, შეუძლებელია ამის გაკეთება, მაგრამ უამრავლესობამ მაინც უნდა იგრძნოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ხელისუფლების მიმართაც ისეთივე იმედგაცრუებას იგრძნობს საზოგადოება, როგორიც წინა ხელისუფლების შემთხვევაში იყო.

**— რა საქმიანობასაც მერაბიშვილი, ახალაია, ადეიშვილი და მთლიანად „ნაცმოძრაობის“ ცენტრალური ბირთვი ეწეოდა, იმავეს აკეთებდნენ რეგიონების ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები — გამგებლები და გუბერნატორები, პოლიციის მაღალჩინოსნებზე რომ არაფერი ვთქვათ, — ნემსის ყუნწში ძვრებოდნენ მაღალ ეშელონთა საამებლად. მიგაჩნიათ თუ არა, რომ მათი პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დადგეს? რამდენად საჭიროა ეს?**

— ვფიქრობ, საჭირო კი არა, აუცილებელია, ვინაიდან, **როცა ვსაუბრობთ სამართლიანობის აღდგენაზე, ეს არ უნდა ეხებოდეს მხოლოდ ერთ ან ორ პიროვნებას; რა გადაწყვეტილებაც უნდა მიიღოს სასამართლომ მერაბიშვილისა და ახალაიას შემთხვევაში, მხოლოდ ამით სამართლიანობის განცდა ვერ გაჩნდება.**

**— დასაწყისში თქვენ თქვით, რომ დასავლეთში გარკვეული პოლიტიკური წრეები დღემდე ეწევიან „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლო პიარკამპანიას. მერაბიშვილის დაპატიმრების გამო ხელისუფლების მიმართ ძალიან ბევრი კითხვა დასვეს დიპლომატებმა. მათ შორის იყვნენ ქეთრინ ეშტონი, ფილიპ გორდონი, რიჩარდ ნორლანდი და ა.შ. როგორ ფიქრობთ, მათ რა ინტერესი ამოძრავებთ ამ შემთხვევაში?**

— კონკრეტულ პერსონებზე გამიჭირდება საუბარი, ხოლო ზოგადად გაკეთებულ განცხადებებს რაც შეეხება, ეს ისევ და ისევ არის იმის შედეგი, რომ სააკაშვილს წლების მანძილზე ეძახდნენ დემოკრატიის შუქურას. რა შუქურაც იყო და არის სინამდვილეში, ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ ცხრა წლის განმავლობაში რომ ამას გაიძახოდნენ, ახლა ერთბაშად საპირისპიროს თქმა ძნელია. სტერეოტიპების დამსხვრევა ასე იოლად არ ხდება, თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, **როცა ხელისუფლება ყველა მტკიცებულებას გაასაჯაროებს, გარკვეული დროის შემდეგ, დარწმუნებული ვარ, ის დასავლური წრეებიც აზრს შეიცვლიან, ყოველ შემთხვევაში შერცხვებათ მაინც პოლიტიკურ დევნაზე საუბრის...**

**— თქვენ, როგორც ადვოკატსა და უფლებადამცველს, რამდენად გაკმაყოფილებთ პროკურატურის მუშაობა, მისი გამჭვირვალობა და საქმიანობის ხარისხი?**

— არანაირად არ მაკმაყოფილებს, გამომდინარე იქიდან, რომ 80 პროცენტი პროკურორებისა ისევ ძველი კადრია და ისევ იმ ძველი მიდგომებით ხელმძღვანელობენ. მე მათ სამ ნაწილად დავყოფდი — ერთნი, რომლებიც საბოტაჟის რეჟიმში მუშაობენ და არც ცდილობენ, ობიექტურობა დადგინდეს, რადგან თავიანთი გაფუჭებულია საქმე და, თუ სიმართლე გაირკვევა, თვითონაც მოუწევთ პასუხისგება; მეორენი, რომლებსაც, უბრალოდ, სხვანაირად არ შეუძლიათ მუშაობა და მესამენი, რომლებიც გადავიდნენ დღევანდელი ხელისუფლების გუნდში. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ხელისუფლებას ასიამოვნონ, მაგრამ კვალიფიკაცია არ ჰყოფნით. მე ვამბობ ძირითად მასაზე, თორემ, რა თქმა უნდა, თითო-ოროლა პროკურორი, დაახლოებით 10-20 პროცენტი, კვალიფიციურიცაა და მონდომებულიც, მაგრამ ჯამში მათი მუშაობა პროკურატურის საქმიანობაზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს...

**— ახალაიასა და მერაბიშვილის დაპატიმრების შემდეგ საუბრობენ იმაზეც, რომ მიმდინარე სამართლებრივი პროცესი, შესაძლოა, თვითონ სააკაშვილსაც შეეხოს. არჩილ კბილაშვილმა რამდენიმეჯერ განაცხადა მის პროკურატურაში შესაძლო დაბარებასთან დაკავშირებით. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?**

— ჩემი აზრით, ყველანაირი საფუძველი არსებობს იმისთვის, რომ ოქტომბრის შემდეგ ის საბრალდებო სკამზე ვიხილოთ, მხედველობაში მაქვს სამართლებრივი თვალსაზრისი. რაც შეეხება ამ ყველაფრის პოლიტიკურ მხარეს, მეორე საკითხია, რამდენად მოახერხებს ხელისუფლება, დასავლეთის გარკვეული წრეები დაარწმუნოს ამის აუცილებლობაში. აქ ერთი რამ ნათელია: **საზოგადოების მთავარი დაკვეთა არის სამართლიანობის აღდგენა და, როცა ვსაუბრობთ კანონის უზენაესობაზე, ეს კანონი ყველასთვის ერთი უნდა იყოს. სააკაშვილი, ცხადია, ვერ იქნება გამონაკლისი.** ამიტომ, თუ საჭირო გახდება, პროკურატურაშიც ვიხილავთ და სასამართლოშიც, არამხოლოდ მოწმის სტატუსით...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

## ჩემი შვილი FBI-ის აგენტების 7 ტყვიით არის მოკლული

**მოსკოვში ახლახან გამართულ პრესკონფერენციაზე ფლორიდაში გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლების მიერ მოკლული ტოდაშევის მამამ ცხედრის სურათები წარმოადგინა.** იბრაგიმ ტოდაშევს, რომელიც ბოსტონში განხორციელებული ტერაქტის მოწყობაში ეჭვმიტანილი ცარნაევების მეგობარი იყო, 7 ტყვია აქვს მოხვედრილი, მათ შორის ერთი კეფაში. გარდაცვლილის მამა აბდულბაკ ტოდაშევი აცხადებს, რომ, მისი აზრით, ტყვია კეფაში სხვა არაფერია, თუ არა „საკონტროლო“ გასროლა, — იტყობინება გაზეტა.რუ. მან ასევე აღნიშნა, რომ მის შვილს მკვლელობის დროს იარაღი არ ჰქონია. ტოდაშევისვე სიტყვებით, ფოტოები გადაღებულია გარდაცვლილი შვილის მეგობრების მიერ. ახლა მისი ცხედარი ქალაქ ორლანდოს ერთ-ერთ მორგშია, „მუსლიმანური თემის მზრუნველობის ქვეშ“.

პრესკონფერენციაზე ტოდაშევმა განაცხადა, რომ იბრაგიმის დაკითხვა 8 საათს გრძელდებოდა: **„8 საათის განმავლობაში — არა ადვოკატი, არა თვითმხილველი, არა მოწმეები. იქ რა ხდებოდა, შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ“.**

ის ვერსია, რომ მისი შვილი დანით ვინმეს თავს დაესხა, აბსურდად მიაჩნია მოკლულის მამას: „იქ იყო 4 თუ 5 შეიარაღებული ადამიანი, ნუთუ მათ არ შეეძლოთ მისთვის ხელების გადაგრეხა, თუკი ის რაიმეს გაკეთებას აპირებდა? ბოლოს და ბოლოს შეეძლოთ დაეჭრათ ფეხში, ხელში. აქ კი მკვლელობა“.

**„შეიძლება ჩემმა შვილმა რაიმე იცოდა და ის, უბრალოდ, მოიშორეს, ეს ჩემი აზრია“,** — ასკვნის აბდულბაკ ტოდაშევი.

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ისლამ საიდაევი ხაზგასმით მიუთითებს, რომ არც ერთი უკანონო შეიარაღებული ფორმირება არ იმყოფებოდა საქართველოში ისე, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობას არ სცოდნოდა, მათ შორის, შამილ ბასაევი, სხვა საველე მეთაურები და არაბი დაქირავებულები.**

2012 წლის დეკემბერში რუსეთში სკანდალური წიგნი გამოვიდა — „მოწმე მოიშორეთ“, რომლის ავტორი ისლამ საიდაევი წლების განმავლობაში საქართველს აფარებდა თავს, 2009 წელს კი ჩეჩნეთს დაუბრუნდა. მოგვიანებით მის მაგალითს ხიზრი ალდამოვმაც მიბაძა და მანაც საქართველოს ხელისუფლების მამხილებელი განცხადებები გააკეთა რუსეთში.

# რას უპასუხებენ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ისლამ საიდაევის ბრალდებებს?

## ზელიმხან იანდარბიევის მკვლელობაში ქართული სპეცსამსახურები მონაწილეობდნენ?

წიგნში საიდაევი დეტალურად აღწერს, როგორ თანამშრომლობდნენ იჩქერიის ბოევიკებთან და ისლამისტ ტერორისტებთან ქართული სპეცსამსახურები, თანაც ოდიოზური მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლამდე დიდი ხნით ადრე. **წიგნში რუსეთისა და აფხაზეთის წინააღმდეგ მათ მიერ ჩატარებული არაერთი ოპერაციაა აღწერილი, მათ შორის: 1999 წელს მოსკოვში საცხოვრებელი სახლების აფეთქება „ყარაჩაის ჯამაათის“ წევრების მიერ, გილაევის რეიდი კოდორის ხეობაში 2001 წელს, „ნორდ ოსტი“ 2002 წელს და „კავკასიის იმარატის“ შექმნა 2007 წელს.**

წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ **„წიგნი უამრავ ისტორიულ დოკუმენტს შეიცავს, მათ შორის, მისამართებს, პაროლებს, კონსპირაციულ ბინების მისამართებს, თანამდებობებს, წოდებებს, და, რაც მთავარია, ფაქტებს, ფაქტებს, ფაქტებს...“** ავტორი ხაზგასმით მიუთითებს, რომ **არც ერთი უკანონო შეიარაღებული ფორმირება არ იმყოფებოდა საქართველოში ისე, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობას არ სცოდნოდა, მათ შორის, შამილ ბასაევი, სხვა საველე მეთაურები და არაბი დაქირავებულები.**

90-იანების ბოლოს და 2000-იანების დასაწყისში ჩეჩენ ბოევიკებს ისეთი ძალები ჰქონდათ, რომ მათ საქართველოს შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაზე ზეგავლენის მოხდენა შეეძლოთ. მასში მონაწილეობაზე უარის თქმის პირობად იქცა საქართველოს ხელისუფლების სრული და უდავო მხარდაჭერა იმ ოპერაციებში, რომელთაც ისინი რუსეთის წინააღმდეგ ატარებდნენ. მაგრამ ეს პარტნიორობა ხელს არ უშლიდა ქართულ მხარეს, საჭიროებისას „ევაჭრათ“ საერთაშორისო ტერორისტებით და არცთუ მცირე ანაზღაურებით გადაეყვანათ ისინი უსაფრთხო ბაქოში.

მაგალითად, 2002 წლის პანკისის „კონტრტერორისტული“ ოპერაციის წინ, რომლის მიზანსაც არა ტერორიზმთან ბრძოლა, არამედ რეგიონში ამერიკული ჯარის შეყვანა წარმოადგენდა. თუ უფრო მომგებიანი იყო მათი დასავლეთისთვის ან რუსეთისთვის გადაცემა, ასეც იქცეოდნენ. **„შემთხვევითი არ არის, რომ ისლამ საიდაევი მუდმივად ახსენებს ქართველი ძალოვანების ვერაგობასა და გამყიდველობას“,** — წერს წინასიტყვაობის ავტორი იანა ამელინა, სტრატეგიული კვლევების რუსეთის ინსტიტუტის კავკასიურ კვლევათა სექტორის ხელმძღვანელი.

აქვე იგი წერს ქართული მხარის მიერ „ჩერქეზული“ საკითხის პოლიტიზებაზე, რომელიც, მისი ვერსიით, სამი-ოთხი წლის წინ კი არა, სულ ცოტა, 12 წლის წინ დაწყებულა. **თბილისი, დასავლეთის, პირველ რიგში, ამერიკელ კურატორებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს ფიქრობდა კავკასიაში სეპარატისტული და ისლამისტური პროექტების გაერთიანებას და ჩერქეზული საკითხის პედალირებას. ყველა ამ მოვლენამ სრულმასშტაბიანი განვითარება სააკაშვილის ხანაში ჰპოვა,** საიდანაც ამელინას დასკვნა გამოაქვს, რომ მტკიცდება ქართული ხელისუფლების მემკვიდრეობითობა (ივანიშვილის ჩათვლით) და მათზე უცხოელთა კურატორობა.

ამელინა საგანგებოდ უსვამს ხაზს ქართული მხარის განზრახვას, ჩეჩნების ხელით დაებრუნებინათ აფხაზეთი, აგრეთვე, ქართული სპეცსამსახურების როლს პანკისის ხეობის საერთაშორისო ტერორისტთა ბაზად გადაქცევაში, ბოევიკებისთვის ჰუმანიტარული ტვირთის საფარქვეშ ამუნიციის მიწოდებაში და ა. შ. **წიგნიც და მისი წინასიტყვაობაც იმისთვის არის მოწოდებული, რომ საქართველო რუსეთის წინააღმდეგ მეთოდურად მოქმედ სახელმწიფოდ, სიტყვის გამტეხ და ვერაგ ქვეყნად წარმოაჩინონ.**

ყველაზე უცნაური ის არის, რომ **გასული წლის დეკემბრიდან მოყოლებული, არც ერთ იმჟამინდელ თუ დღევანდელ ოფიციალურ პირს არ უარუყვია სკანდალური ინფორმაციები, რომლებიც უხვად არის მოტანილი საიდაევის წიგნში.** არადა, მასში ფიგურირებენ დღევანდელი თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ალასანია,** პარლამენტის დღევანდელი ვიცე-სპიკერი უმცირესობისგან **გია ბარამიძე,** აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ვახტანგ ყოლბაია,** შინაგან საქმეთა იმჟამინდელი მინისტრი **კახა თარგამაძე.** ზოგიერთი პირი აწ გარდაცვლილია — **თამაზ ნადარეიშვილი, ზურაბ ჟვანია, ვახტანგ ბოჭორიშვილი** და სხვანი. **რაც მთავარია, ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტი სააკაშვილი, რომლის მიმართ საიდაევის წიგნის წაკითხვის შემდეგ სულ უფრო მეტი კითხვა ჩნდება...**




**წიგნიც და მისი წინასიტყვაობაც იმისთვის არის მოწოდებული, რომ საქართველო რუსეთის წინააღმდეგ მეთოდურად მოქმედ სახელმწიფოდ, სიტყვის გამტეხ და ვერაგ ქვეყნად წარმოაჩინონ**

ცოცხალთა შორის, აკი მოგახსენეთ, ხმაც არავის ამოუღია, მათ შორის ბოლო ხანს მემუარებად დაღვრილ **ეროსი კიწმარიშვილს,** რომელიც საკუთარ თავს 2003 წლის „ვარდების რევოლუციად“ წოდებული სახელმწიფო გადატრიალების ცენტრალურ ფიგურად წარმოაჩენს. საიდაევის წიგნში მოტანილი აფხაზეთში გილაევის რეიდის შესახებ ხომ სწორედ მისმა „დამოუკიდებელმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა აუწყა მთელ მსოფლიოს!

ამ დამბეზღებლური საქციელის ავტორი, რომელმაც, საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გარდა, ყველას სასარგებლოდ იმუშავა, დღეს დუმს. სამაგიეროდ, დუმილს არღვევს ისლამ საიდაევი და იმ გახმაურებულ რეიდს ასე აღწერს: **„სამშვიდობო პოსტების გავლას შეიარაღებულ პირები ოფიციალური სტატუსის გარეშე იოლად ვერ შეძლებდნენ. იქ მხოლოდ აუცილებელი დოკუმენტების მქონე ძალოვანი სტრუქტურების კოლონებს ატარებდნენ. ჩეჩნები სვანეთისკენ სწორედ ქართული სამხედრო ნომრების მქონე მანქანებით, სპეცდანაყოფის სახით წაიყვანეს. უკანაც ზუსტად ასე გამოიყვანეს“.**

კიდევ ერთი სკანდალური განცხადება, რომელსაც ისლამ საიდაევი აკეთებს: **„იარაღი და ტყვია-წამალი, მათ შორის აზპკ „ისარი“ (გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი), რომლითაც ჩეჩნებმა კოდორის ხეობაში გაეროს ვერტმფრენი ჩამოაგდეს, გილაევს ქართულმა მხარემ გადასცა. ოპერაციაში დაახლოებით 500 ჩეჩენი, არაბი, თურქი და სხვა მებრძოლი მონაწილეობდა. მეწინავე რაზმმა თითქმის სოხუმის ფუნიკულიორამდე მიაღწია, მაგრამ ქართული არმიის დახმარება ვერ მიიღო. რამდენიმე შეტაკებისა და აფხაზეთში აურზაურის ატეხვის შემდეგ გილაევი უკან დაბრუნდა“.**

საიდაევს მიაჩნია, რომ **შევარდნაძე საქმის კურსში იყო და ოპერაცია მისი თანხმობით ტარდებოდა, მაგრამ მისი ვიზიტისას ამერიკის შეერთებულ შტატებში ადმინისტრაციამ გააფრთხილა იგი მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების შესახებ და მანაც ოპერაცია გააუქმა.**

საინტერესოა, რომ **ამგვარი გაფრთხილება 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილმაც მიიღო აშშ-ის ადმინისტრაციისგან, მაგრამ ყურად არ იღო და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ.** სამხრეთ ოსეთში შეჭრას საიდაევი ასე ხსნის: **„სააკაშვილის იმიჯი ქართველი ხალხის (და საერთაშორისო საზოგადოებრიობის) თვალში მისი ეპატაჟური გამოხდომების: ტიმოშენკოსთან აუზში ბანაობის, ჰოლივუდიდან მასაჟისტის გამოძახების, მისი მდივნების დაორსულების გამო მოწოდების სიმაღლეზე არ იყო. ექსცენტრიული, უპროგნოზო და არაერთხელ კომპრომეტირებული მიშა მის ოკეანისგაღმელ პარტნიორებს მობეზრდათ. ამერიკელებს რუსებზე არანაკლებ უნდოდათ მისი შეცვლა. სულ უფრო ხშირად გაისმოდა, რომ მიდის მოლაპარაკებები მისი უფრო ნეიტრალური ფიგურით ჩანაცვლების შესახებ. სწორედ მაშინ დაიწყო სააკაშვილმა ხელოვნური ოპოზიციის შექმნა ირაკლი ალასანიას სახით, რომელიც გაუთვალისწინებელი ვითარებისას მისი ადგილის დაკავებას შეძლებდა. ამ შემთხვევაში საქართველო, ახალი მმართველის პირობებშიც, აშშ-ის მიერ მითითებული კურსით გააგრძელებდა სვლას. სრულიად შესაძლებელია, რომ დღეს ჩვენ სწორედ ამ გეგმის რეალიზაციას ვაკვირდებით, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს „რუსეთთან კონტაქტისთვის განწყობილმა“ პოლიტიკოსმა, ბიძინა ივანიშვილმა გაიმარჯვა...**

**მაშინ კი, 2008 წელს, ჩემს ანალიტიკურ ბარათში ვპროგნოზირებდი, რომ სააკაშვილისთვის ყველაზე ოპტიმალური გამოსავალია, არ მისცეს მოსკოვსა და ვაშინგტონს მისი შეცვლის შესახებ შეთანხმების საშუალება. ამისთვის იგი რუსეთსა და აშშ-ს შორის განხეთქილების ჩამოგდებას შეეცდებოდა რაიმე პროვოკაციის გზით, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის ერთადერთი დამცველისა და გარანტის პოზიციებს განამტკიცებდა. მიმაჩნდა, რომ ეს ლოკალური კონფლიქტი იქნებოდა“.**

საიდაევის წიგნში უამრავი ადამიანია ნახსენები, რომელთაც წინა თუ დღევანდელ ხელისუფლებაში მაღალი თანამდებობები უკავიათ. მათ ჩვენ გაზეთის მომდევნო ნომრებში აუცილებლად დავუბრუნდებით, ახლა კი წიგნის ავტორის მიერ საქართველოსადმი წაყენებულ უმძიმეს ბრალდებათა სიას გთავაზობთ, რომელთაც გუშინდელმა და მოქმედმა ხელისუფლებამ უთუოდ უნდა გასცეს პასუხი:

**მოწამლული წერილი, რომლითაც ხატაბი დაიღუპა, საქართველოდან იყო გაგზავნილი;**

**ჰუსეინ ისაბაევის ჯგუფის შესახებ ინფორმაცია რუსმა ძალოვანებმა საქართველოდან მიიღეს;**

**დაღუპული რუსლან გილაევი საქართველოში შევარდნაძის თხოვნით ბრუნდებოდა და იგი ქართულმა სპეცსამსახურებმა გასცეს;**

**კატარში ზელიმხან იანდარბიევის მკვლელობაში ქართული სპეცსამსახურები მონაწილეობდნენ;**

**ზოგიერთი ცნობით, ტოლსტოი-იურტში ასლან მასხადოვის აღმოჩენა ქართული სპეცსამსახურების გარეშე არ მომხდარა;**

**„ეს ჩემი ვარაუდი კი არა, დადასტურებული ინფორმაციაა, რომლის დამტკიცებაც, თუ საჭირო იქნა, შემიძლია. ირიბად იგი სააკაშვილმაც დაადასტურა, როცა „პირველი კავკასიურის“ (პიკ) გახსნისას განაცხადა: „მე დავეხმარე რუსებს ჩეჩნეთის ომში გარდატეხის შეტანაში და უნდა ითქვას, რომ შეცდომა დავუშვი“.**

**რა თქმა უნდა, ვერავინ მიხვდა, რაზე იყო ლაპარაკი ამ ნაგვიანევ მონანიებაში, ან უფრო — სააკაშვილის მორიგ „მესიჯში“. მას რომ მართლაც მოენანიებინა, 4 წლის შემდეგ ლოპოტას ხეობაში ჩეჩნების მორიგ ჯგუფს არ „ჩაუშვებდა“. როგორც მაშინ, 2008 წელს, სამხრეთ ოსეთში, სააკაშვილს ამ პროვოკაციით საპარლამენტო არჩევნების წინ საკუთარი პოზიციების გაძლიერება სურდა“...**

**თამარ დავითულიანი**

გაგრძელება იქნება

ჰკა მაგათა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სიონის ტაძრის ეზო ტუალეტად აქციეს. ჩვენი სიმწინდეები შეურაცხყვეს, მივიდნენ იქ მამაოები, რომლებსაც შეურაცხყოფა მიაყენეს. ჰელოუინის მონაწილე გოგო-ბიჭები მამაოებს „კოკა-კოლას“ ასხამდნენ. რატომ არ გამოიძიეს ეს ყველაფერი თუ მართლები იყვნენ?“**



**ავთანდილ უნგიაძე:**

# როგორც ჩანს, გარკვეულმა ძალებმა ჩათვალეს, რომ ეკლესიის წინააღმდეგ გადამწყვეტი იერიშის დრო მოვიდა

**„მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ ხელმძღვანელი ავთანდილ უნგიაძე საქართველოში ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს უკავშირებს და „საქართველო და მსოფლიოსთან“ იმ მოსალოდნელ საფრთხეებზე საუბრობს, რომლებიც ჩვენს ქვეყანას, შესაძლოა, უახლოეს მომავალში დაემუქროს.**

**— ბატონო ავთანდილ, უკვე ორი კვირა გავიდა, მაგრამ 17 მაისს განვითარებული მოვლენების განხილვა მაინც მიმდინარეობს. რატომ გახდა ეს თემა ასეთი აქტუალური?**

— ამ საკითხის აქტუალიზაცია ბუნებრივია, ვინაიდან მას შემდეგ, რაც ქვეყნის სათავეში ახალი ხელისუფლება მოვიდა, რომლის ერთ-ერთ წარმმართველ ძალასაც რესპუბლიკელები წარმოადგენენ, როგორც ჩანს, გარკვეულმა ძალებმა ჩათვალეს, რომ ეკლესიის წინააღმდეგ გადამწყვეტი იერიშის დრო მოვიდა. ის ძალები, რომლებმაც ეს ყველაფერი დაგეგმეს, მაგალითად, „იდენტობა“, ლგბტ საზოგადოება და ა.შ. რომლებიც თავის დროზე „ნაციონალების“ ხელშეწყობით ჩამოყალიბდნენ და მათ ზონდერბრიგადებს წარმოადგენდნენ, ახალ ხელისუფლებაშიც მხარდაჭერით სარგებლობენ. აქედან გამომდინარე, 17 მაისის მოვლენები იყო პროვოკაცია.

**— ანუ ამბობთ, რომ კვლავ გრძელდება ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ, ოღონდ ამჯერად რესპუბლიკელების დახმარებით?**

— კი, ბატონო, და მე ასე ვიტყოდი, რომ რესპუბლიკელები ამ პირობით არიან ხელისუფლებაში მოსულნი. **პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ ის, რასაც „ნაციონალები“ ვერ ახორციელებდნენ, მაგალითად, გეი-აღლუმების ჩატარებას, მეჩეთების მშენებლობას, თურქი მესხების ჩამოსახლებას, რეგიონული ენებისთვის სტატუსის მინიჭებას, როგორც კი რესპუბლიკელები მოვიდნენ ხელსუფლებაში, ამ საკითხებზე საუბარი უკვე დაიწყო.**

**— რესპუბლიკელების გარდა, სხვა ძალებიც ხომ არიან ხელისუფლებაში, რატომ ისინი არ ეწინააღმდეგებიან ამ პროცესებს? ჩვენ დავინახეთ, რომ ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელმა ღიად დაგმო აქციის მონაწილეების საქციელი, მოითხოვეს სასულიერო პირების დასჯაც. მოვისმინეთ პრემიერის განცხადებებიც...**

— მათ ყველგან ჰყავთ მხარდამჭერები. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებაში დასავლეთმა მოახერხა თავისი აგენტურის ჩამოყალიბება. მოქმედებს რამდენიმე არსამთავრობო ორგანიზაცია, როგორიცაა, მაგალითად, „იდენტობა“, „ინკლუზივი“, დასავლური ფულებით ჩამოყალიბებული ორ-სამკაციანი ორგანიზაციები, რომლებიც, ფაქტობრივად, აგენტურას წარმოადგენენ საქართველოში. ეს არის „მეხუთე კოლონა“, რომელიც იბრძვის ტრადიციული ფასეულობების წინააღმდეგ, რომელიც ჩვენთვის ძვირფასია.

მე, მაგალითად, ასევე ძალიან გამიკვირდა, როდესაც მასმედიის წარმომადგენლები ვითომ იმ საცოდავი ხალხის დასაცავად, სინამდვილეში კი, ცოდვის დასაცავად ერთხმად გამოვიდნენ. **ჰომოსექსუალებს დაცვა არ სჭირდებათ, მათ პიროვნულად არავინ ერჩით. აქ საუბარია ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის წინააღმდეგ მიმართულ პროტესტზე.**

ჩვენთვის ძალიან საინტერესო იყო პრემიერის მოსაზრება, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი განცხადება ჩვენთვის მისაღები არ აღმოჩნდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ბიძინა ივანიშვილს საქართველოში არავინ იცნობს, არავინ იცის, რას ფიქრობს ამა თუ იმ საკითხზე, ამიტომ შორსმიმავალ დასკვნებს ვერ გავაკეთებ, თუმცა ამჯერად მისი პოზიცია ჩვენთვის მოსაწონი არ აღმოჩნდა. ერთი რამ კი შემიძლია ვთქვა, რომ, თუ პრემიერმა აღნიშნული პოზიციის განმტკიცება დაიწყო და შესაბამისი ქმედებებიც განახორციელა, ისიც ისევე დაკარგავს ხალხის ნდობას და მასაც იგივე ბედი ეწევა, რაც „ნაციონალებს“. ხალხმა მას ნდობა გამოუცხადა კეთილი საქმეებისა და ქველმოქმედების გამო, თუმცა ახალი ხელისუფლების მიმართ ნდობის ფაქტორი უკვე ძალიან შემცირებულია.

**— ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ჰომოსექსუალებიც საზოგადოების ისეთივე სრულფასოვანი წევრები არიან, როგორც სხვები. კონკრეტულად რა არ მოგეწონათ მის განცხადებაში?**

— როგორ არიან სრულფასოვანი მოქალაქეები? ის, ვინც ბუნებისა და ღვთის საწინააღმდეგო ქმედებითაა დაკავებული და სურს, ეს ჩვეულებრივ ნორმად დაამკვიდროს, ჩვენი კონსტიტუციიდან თუ საერთაშორისო კონვენციებიდან გამომდინარე, ლახავს ჩვენს უფლებებს. აშშ-ში მიღებულია კანონი, რომლის თანახმადაც, MSM კატეგორიის ადამიანს, ანუ მამაკაცს, რომელსაც ერთხელ მაინც ჰქონდა სექსუალური კავშირი მამაკაცთან, დონორობა ეკრძალება. მრავალი სამედიცინო გამოკვლევა ადასტურებს, რომ ჰომოსექსუალიზმი პათოლოგიაა. ერთ-ერთი ასეთი გამოკვლევა, რომლის გასაიდუმლოებასაც ცდილობენ, არის ის ფაქტი, რომ ჰომოსექსუალი მამაკაცის ჰიპოფიზის ზომა ოთხჯერ აღემატება, ანუ 400%-ით არის გაზრდილი ნორმალური ადამიანის ჰიპოფიზთან შედარებით. მედიცინაში კი მიჩნეულია, რომ, თუ ადამიანს ჰიპოფიზი 15-20%-ით გაეზარდა, ეს უკვე პათოლოგიაა. ამას გარდა, აშშ-ის სტატისტიკა აჩვენებს, რომ MSM კატეგორიის ამ მამაკაცების მხოლოდ 3% აღწევს 47 წელს, საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა კი მხოლოდ 43-45 წელს შეადგენს.

**ჰომოსექსუალთა მიზნები კარგად ჩანს ე. წ. გეების მანიფესტში, რომელიც მაიკლ სვიფტმა შეადგინა, და პირველად 1987 წელს ჟურნალ GAY COMMUNITY NEWS-ში გამოქვეყნდა. წავიკითხავ ნაწყვეტებს მანიფესტიდან, რომელშიც შეხვედებით ნორმალური სექსუალური ორიენტაციის მქონე პირებისადმი სიძულვილისა და მტრობის, შეურაცხყოფისა და ფიზიკური განადგურებისკენ მოწოდებებსაც. „ჩვენ სოდომური ცოდვით დავკავდებით თქვენს ვაჟიშვილებთან, რომლებიც თქვენი უსუსური მამაკაცურობის, ცარიელი ოცნებებისა და ჩვეული სიცრუის სიმბოლოს წარმოადგნენ. ჩვენ მათ ვაცდუნებთ თქვენსავე სკოლებში, საერთო საცხოვრებლებში, გიმნაზიებში, გასახდელებში, სპორტდარბაზებში, სემინარიებში, ახალგაზრდულ ჯგუფებში, კინოთეატრების ტუალეტებში, სამხედრო ყაზარმებში, მოტელებში, მამაკაცთა კლუბებში და პარლამენტის შენობებში. ყველგან, სადაც კი მამაკაცები ხვდებიან სხვა მამაკაცებს. ისინი ჩვენი საყვარლები გახდებიან და შეასრულებენ ჩვენს ბრძანებებს...**

**ყველა კანონი, რომელიც კრძალავს ჰომოსექსუალიზმს, გაუქმდება. ამის ნაცვლად მიღებული იქნება ახალი კანონმდებლობა, რომელიც წაახალისებს სიყვარულს მამაკაცებს შორის... ოჯახი — ეს სიცრუის, ღალატის, უძლურების, პირმოთნეობისა და სისასტიკის სანერგე, გაუქმდება... ყველა ეკლესია, რომელიც ჩვენ დაგვგმობს დაიხურება. ჩვენი ერთადერთი ღმერთები სიმპათიური ჭაბუკები არიან... ჩვენ გავიმარჯვებთ, ჩვენც შეგვიძლია იარაღის სროლა და ბარიკადების აღმართვა. იკანკალე, ჰეტერო ღორო, როდესაც ჩვენ გამოვჩნდებით ნიღბების გარეშე“.**

აშკარაა, რომ ისინი მსოფლიოს სამართავად ემზადებიან. ახლა კი ამ პროცესში მთელი მსოფლიოა ჩართული. ამას ადასტურებს საქართველოში მყოფი დიპლომატიური კორსპუსის წარმომადგენლების განცხადებები და ასევე უცხოელების შეფასებები. ფაქტობრივად, ეს ყველაფერი შეიძლება შეფასდეს, როგორც საერთაშორისო ზეწოლა ხელისუფლებაზე, რათა საბოლოოდ მიაყენონ ეკლესიას დარტყმა. სურთ, მოხდეს იმ სასულიერო პირების დისკრედიტაცია, რომლებიც ზნეობის დასაცავად იბრძვიან.

**— თქვენ თქვით, რომ მთელი მსოფლიოა ჩართული ამ პროცესში... ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუ. იგი აცხადებს: „ნათლად უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ შევეჯახეთ არა ერთ მუჭა გეებსა და მათ თანამგრძნობ ქართველ „ევროპელებს“, არამედ მძლავრ საერთაშორისო ძალას, რომლის უკანაც შეერთებული შტატები, საქართველოს ფაქტორივი პატრონი, და მთელი ევროპა დგანან. ძალიან არათანაბარი ძალებია“. რას ფიქრობთ აღნიშნულ მოსაზრებაზე და როგორ წარმოგიდგენიათ ბრძოლა თავსმოხვეული ღირებულებების წინააღმდეგ არათანაბარი ძალის პირობებში?**

— ვეთანხმები მის მოსაზრებას. ეს უკვე მსოფლიო მოვლენაა. საქართველო ამ შემთხვევაში დინების საწინააღმდეგო მიმართულებით მიდის. ჩვენ აპოკალიფსურ ეპოქაში ვცხოვრობთ და ის, რაც წმინდა წერილში წერია, ნელ-ნელა ხდება. ჯერ დაცემა მოხდება და შემდეგ მოვა ანტიქრისტე. ფაქტობრივად, მსოფლიოში სექსუალური ეკუმენიზმი ხორციელდება, ყველა ორიენტაცია თანაბრად და მისაღებად, სურთ, მოგვაჩვენონ. ჰომოსექსუალიზმს მოჰყვება პედოფილია და ინცესტი, ამის ნიშნები უკვე არის ევროპაში. ნიდერლანდებში უკვე მიღებულია კანონი, რომლის თანახმადაც 12 წლის ბავშვთან სექსუალური ურთიერთობა არ ისჯება. გარდა ამისა, შვეციაში, შვეიცარიასა და ნიდერლანდებში უკვე დგას საკითხი ინცესტის დაკანონების შესახებ. ბევრი არასერიოზულად უყურებს ამ ყველაფერს, მაგრამ გუშინ ასეთივე განწყობა იყო ჰომუსექსუალიზმის მიმართ, თუმცა შედეგები სახეზეა. 2012 წელს ამერიკის კონგრესმა მიიღო კანონი სხვადასხვა სექსუალური სტატუსის (ზოოფილია, ინცესტი, პედოფილია, ნეკროფილია) მქონე პირების მიმართ და ფედერალური და იურიდიული დაცულობის პირობა მისცა ამ ადამიანებს, ანუ, ფაქტობრივად, ეს პროცესი უკვე დაწყებულია.

როგორც წმინდა იერონიმე ამბობს, როდესაც მაცხოვარი იშვა, მთელ მსოფლიოში ცეცხლითა და მახვილით განიგმირა ყველა სოდომ-გომორული ცოდვის მატარებელი პირი, თუმცა ეს ფაქტი ფართო საზოგადოებისთვის რატომღაც უცნობია...

**დიდი სახელმწიფოები თავადაც გრძნობენ საფრთხეს, მაგრამ მსოფლიოს სამართავად ჩვენნაირ ქვეყნებში პროპაგანდა სჭირდებათ. მაგალითად, როდესაც ჰიტლერმა პოლონეთი დაიპყრო, იქ პორნოგრაფიული ჟურნალები დაუშვა, მაშინ, როცა გერმანიაში ეს აკრძალული იყო, ანუ გარყვნილების, ზნედაცემულობის გავრცელებით, ხალხიც ადვილი სამართავი ხდება.**

საქართველო ერთადერთია იმ მცირერიცხოვან ქვეყნებს შორის, რომლებშიც ჰომოსექსუალთა აღლუმები არ ჩატარებულა, ვინაიდან საზოგადოებას აქვს მკვეთრად გამოხატული პოზიცია ამასთან დაკავშირებით, თუმცა, სამწუხაროდ, ზოგიერთი ამ პოზიციას ძალადობას და აგრესიას არქმევს.

**— და მაინც, როგორ ფიქრობთ, ძალადობა გამართლებულია? ბატონო ავთანდილ, თქვენს ორგანიზაციასაც ხშირად ადანაშაულებენ აგრესიულ ქმედებებში, მაგალითად, ჰელოუინის ჩაშლაშიც დაგდეს ბრალი...**

— ძალადობა არავის მხრიდან გამართლებული არ არის. ვინც აიღოს მახვილი, მახვილითვე განიგმიროსო, — ნათქვამია. სასულიერო პირიც შეიძლება შეცდეს, მაგრამ ე. წ. ლიბერალური საზოგადოების არაკეთილსინდისიერება იმაში მდგომარეობს, რომ ჯერ უნდა დაგვანახონ, სად იყო ძალადობის პრეცედენტი.

სამწუხაროდ, მოხდა ჩვენი ორგანიზაციის მარგინალიზაცია. ტელეკომპანია „კავკასიაში“ მომხდარი ინციდენტის დროს ჩვენი ორგანიზაციის წევრები დააპატიმრეს, თუმცა სასამართლომ დაამტკიცა, რომ მათ დანაშაული არ ჩაუდენიათ. რაც შეეხება ჰელოუინს, 2008 წელს ომი ახალი დასრულებული იყო, დალუპული ჯარისკაცების პანაშვიდები ახალი გადახდილი და წარმოიდგინეთ, სიონის ტაძართან ახლოს თითქოს უწყინარი ღონისძიება იწყება შემდეგი სცენით: შემოაქვთ შიშველ ქალებს კუბო, დგამენ სცენაზე და ამბობენ: აი, ვნახოთ, რომ ამტკიცებენ მართლმადიდებლობა დაუმარცხებელია, მართლა ასეა თუ არაო. დაესევიან ბიჭს, რომელიც მართლმადიდებლობას განასახიერებს, ჩაასვენებენ კუბოში და გაიტანენ. ეს არის პირდაპირი გამოწვევა და ჰელოუინი მხოლოდ გარეგნულადაა კარნავალი, ეს არის სატანისტური რიტუალი. **სიონის ტაძრის ეზო ტუალეტად აქციეს. ჩვენი სიმწინდეები შეურაცხყვეს, მივიდნენ იქ მამაოები, რომლებსაც შეურაცხყოფა მიაყენეს. ჰელოუინის მონაწილე გოგო-ბიჭები მამაოებს „კოკა-კოლას“ ასხამდნენ. რატომ არ გამოიძიეს ეს ყველაფერი თუ მართლები იყვნენ?**

ან საიდან ასაბუთებენ, რომ ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენლები დაესხნენ ვინმეს თავს და სცემეს? საბუთი ანახეს? უბრალოდ, ჩვენ იმიტომ ვიყავით „ნაციონალებისთვის“ მიუღებელი, რომ ხელს ვუშლიდით მათი ანტიეკლესიური გეგმების განხორციელებაში.

**— თქვენი ორგანიზაცია სკოლებში სექსუალურ განათლებას ეწინააღმდეგება, რას ფიქრობთ იმ შედეგებზე, რომლებიც სწორედ გაუნათლებლობით არის გამოწვეული? რამდენიმე მაგალითი უახლოესი წარსულიდანაც შეგვიძლია გავიხსენოთ...**

— ამას არ სჭირდება სკოლებში სექსუალური განათლება. ეს არის თითიდან გამოწოვილი მოტივაციები, რომლებმაც არ გაამართლა. ერთ-ერთი მოტივაციით, თითქოს სკოლებში სექსუალური განათლების დანერგვა ნაადრევ ასაკში ორსულობის, შიდსით დაავადების შემცირებას გამოიწვევდა, მაგრამ დავინახეთ, რომ იმ ქვეყნებში, სადაც სკოლებში სექსუალური განათლება დაინერგა, არც ერთი ეს მიზანი მიღწეული არ აღმოჩნდა. პირიქით, ვენერიული დაავადებებისა და ნაადრევ ასაკში ორსულობის რაოდენობა საკმაოდ გაიზარდა.

**ესაუბრა შორენა ციქარაშვილი**

„არც ერთ ცივილურ ქვეყანაში მიწის გაყიდვის უფლება არავის აქვს, მაგრამ ისეთი მეორე, მესამეხარისხოვანი ქვეყნებისთვის, როგორადაც საქართველოს გაიხილავენ, ეს აუცილებელი პირობაა, ანუ ჩვენ გვაკეთებინებენ იმას, რასაც თავად არ აკეთებენ.“

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მამა ბასილი (ახვლედიანი): უწმინდესმა პირდაპირ რომ თქვას, ID ბარათი არ აიღოთო, სინოდი გაიხლიჩება და ეკლესია თავზე დაგვემხობა

**ქვეყანაში მიმდინარე აქტუალურ მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრა აკაურთას სიონის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი მამა ბასილი (ახვლედიანი).**

**— მამაო, 17 მაისს განვითარებული მოვლენების შემდეგ, საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა რატომ დაინახა ქვეყანაში თეოკრატიის საფრთხე?**

— მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების დაკვირვება ცხადყოფს, რომ კაცობრიობის არსებობა გადავიდა ქაოტურ, უმართავ პროცესებში და ეს, ბუნებრივია, საქართველოზეც აისახება. 17 მაისს განვითარებული მოვლენებიც ამას ადასტურებს. გარკვეული ჯგუფი მსოფლიოში, რომელიც სიონისტების მიერ იმართება, ცდილობს, მსოფლიო ერთ სახელმწიფოდ აქციოს. მათი შტაბ-ბინა დედამიწაა. ამერიკას ზესახელმწიფოს ტიტული მიენიჭა მხოლოდ გარკვეული პროცესების მართვის მიზნით, დღეს ვიცით, რომ ამერიკის ბიუჯეტში დიდი პროფიციტია. **ამერიკამ, როგორც ქვეყანამ, თავისი მისია ამოწურა და გლობალისტების დისლოკაციის ადგილმა ევროპაში გადაინაცვლა. დღეს საქართველოში მიმდინარე პროცესებიც გლობალიზაციის ნაწილია, ვინაიდან ერთადერთი, რაც გლობალიზაციას ხელს უშლის, ადგილობრივი ტრადიციები და ფასეულობებია. როდესაც რომელიმე ქვეყანაში გლობალისტები შედიან, ისინი ფუნდამენტურ მოთხოვნებს აყენებენ, უნდა მოხდეს სექსუალური რევოლუცია და სახელმწიფომ მიიღოს ლიბერალური კანონები ყველა მიმართულებით, მათ შორის ეს ეხება საზღვრებისა და მიწების საკითხსაც.**

დღეს საზოგადოება შეცდომაში შეჰყავთ. ადამიანები იმაზე კი არ მსჯელობენ, რომ იმ ჰომოსექსუალების პროპაგანდა, რომლებიც იმ დღეს ქუჩაში გამოვიდნენ, დიდი საფრთხის შემცველია, არამედ იმაზე, რომ თურმე 50 ათასი გააფთრებული კაცი გამოვიდა ქუჩაში. მათ შორის ყველაზე ხელჩასაჭიდი რაც მიეცათ, თურმე სასულიერო პირები იქცეოდნენ ცუდად. ჩვენ თავს გვახვევენ, თითქოს მრისხანება მიუღებელია. სამყაროში ღმერთზე მოსიყვარულე ვინ შეიძლება იყოს, მაგრამ მან სოდომგომორი გაანადგურა. ასევე გავიხსენოთ, როგორ შევიდა მაცხოვარი სოლომონის ტაძარში შოლტით.

**— ანუ ძალადობა სასულიერო პირების მხრიდან გარკვეულ შემთხვევებში გამართლებულია?**

— საქართველო ახლა არის თავდაცვის რეჟიმში. ჰომოსექსუალები ამ გამოსვლით იწყებენ ჩვენი სულის მოკვლის პროცესს, ისინი ჩვენი სულის მკვლელები არიან. **ბასილი დიდი ამბობს: „მოკრძალებულიც შეიძლება გონივრულად განრისხდეს, მაგრამ ისე, რომ საკუთარ თავში მოკრძალებულობის სრულყოფილება არ დააზიანოს. შეუძვრელად დარჩენა, ანდა საჭიროების შემთხვევაში, აღშფოთების არგამოხატვა უსულო ბუნების ნიშანია და არა მოკრძალებისა“.** მაგრამ ამასთან, ბასილი დიდი იმასაც ამბობს, რომ აღშფოთება გონიერებასთან უნდა იყოს შეზავებული, რამეთუ დანას მკვლელებიც იყენებენ და ექიმებიცო, ოღონდ მკვლელები — თავისივე მსგავსის მოსაკლავად, ექიმები კი — სიცოცხლს გადასარჩენად.

**„მას, ვისაც გონივრული აღშფოთება შეუძლია, უდიდესი სარგებელი მოაქვს იმისთვის, ვის წინააღმდეგაც არის ეს აღშფოთება მიმართული“. გრიგოლ ღვთისმეტყველი კი ამბობს: „არსებობს დამღუპველი სიმშვიდე და არსებობს კეთილშობილი მრისხანება“.**

პატიმარს ხშირად უთქვამს ჩემთვის, — რატომ არ გამოიყენა შოლტი ჩემმა მშობელმა, დღეს ხომ ციხეში არ მოვხვდებოდიო.

სასულიერო პირის დაპატიმრება მიუღებელია. მღვდელი ადამიანის სულის მესაჭეა და მისი რიგით მოქალაქესთან გათანაბრება არ შეიძლება. რა თქმა უნდა, მღვდელიც უნდა დაისაჯოს, თუ დააშავებს, მაგრამ ეკლესიას აქვს სასულიერო პირის დასჯის ბერკეტები. ეს იწყება გაფრთხილებით და გარკვეულ შემთხვევებში მღვდლობის ჩამორთმევითაც სრულდება.

**ხმლით მოსულ მტერზე გაცილებით საშიში მშვიდად მოსული მტერია, რომელიც მომავალ თაობებს გახრწნას უქადის და სამუდამო ჯოჯოხეთს უმზადებს. ამასთან, აგრესიული პროპაგანდის გასატარებლად იშველიებენ საერთაშორისო თანამეგობრობას, არადა, ის 50 ათასი კაცი თავს იცავდა იმ დღეს.**

**— თუმცა საერთაშორისო საზოგადოებამ ხომ დაგმო აქციის მონაწილეების საქციელი?**



— ამ შემთხვევაში ჩვენთვის უმთავრესია არა საერთაშორისო საზოგადოების აზრი, არამედ ის გამოცდილება, ის ფასეულობები და ტრადიციები, რომლებმაც დღემდე მოიყვანა საქართველო. ეს კიდევ ერთი თავსმოხვეული აზრია, რომ, თუ ჩვენ უპირობოდ არ მივიღებთ მათ ყველა შემოთავაზებას, ვერ გავხდებით საერთაშორისო თანამეგობრობის ღირსეული წევრი. ეს სიცრუეა. ილია ჭავჭავაძე წერდა, რომ საზღვარგარეთიდან უნდა შემოვიტანოთ სიახლეები, მაგრამ ღვარძლი ხორბლისგან უნდა გავარჩიოთო. ამას გარდა, ისიც უნდა ითქვას, რომ ადრე ევროპა სულ სხვა იყო, სულ სხვა ფასეულობებზე იყო დაფუძნებული. დღეს ევროპა აბსოლუტურად შეიცვალა.

არც ერთ ცივილურ ქვეყანაში მიწის გაყიდვის უფლება არავის აქვს, მაგრამ ისეთი მეორე, მესამეხარისხოვანი ქვეყნებისთვის, როგორადაც საქართველოს გაიხილავენ, ეს აუცილებელი პირობაა, ანუ ჩვენ გვაკეთებინებენ იმას, რასაც თავად არ აკეთებენ.

ასევე ხშირად გვესმის, რომ ჰომოსექსუალებს არ უნდა შევეხოთ, მათი უფლებაა, როგორ მოიქცევიან. ეს მათი ირიბი წაქეზებაა. მე ჩემს შვილს ყოველთვის ვეტყვი, რომ ასეთ ადამიანთან არ იმეგობროს.

**— აბა, როგორ უნდა მოვექცეთ მათ?**

— ჰომოსექსუალთან ოჯახში როგორ შევალ და მათ მოწოდებულ საჭმელს როგორ შევჭამ?! მათ უნდა მოვექცეთ, როგორც ავადმყოფებს. 1993 წლამდე ჰომოსექსუალიზმი დაავადებების სიაში იყო შესული. შემდეგ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ამოიღო ის დაავადებების სიიდან.

**— მამა ლევან მათეშვილს, რომელმაც დაგმო აქციის მონაწილეების ქმედება, „ფეისბუქზე“ თქვენი მობილურის ნომერი მისწერეთ და შეხვედრა სთხოვეთ. ეს საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა მუქარად აღიქვა.**

— 50 ათას კაცზე მეტს გიჟი არ უნდა უწოდო და არ უნდა თქვა, რომ თურმე მათ ქრისტიანობის ნატამალი არ გააჩნიათ. მე არავის დავმუქრებივარ, შეიძლება ვიღაცამ ასე აღიქვა, მაგრამ მამა ლევანი ყოველთვის ასეთი სიტყვიერებით გამოირჩევა ჩვენ მიმართ — დიდ მამებს აკრიტიკებს. ის ჩვენი საძმოს წევრია და, რადგან მან საჯაროდ გამოაქვეყნა თავისი ნააზრევი, მეც საჯაროდ მივწერე, — იქნებ დამიკავშირდე და ვისაუბროთ-მეთქი.

ამის შემდეგ რამდენიმე სოდომელმა დამირეკა და მამა ლევანის დაცვა დაიწყო, მომთხოვა ახსნა-განმარტება, რას ვგულისხმობდი და იყო თუ არა მუქარა ჩემს ნათქვამში. ამითაც გამოჩნდა, ვის წისქვილზე ასხამს წყალს მამა ლევანის გამონათქვამები. **სასულიერო პირს რატომ უნდა გაგიხდეს სოდომელების დასაცავად საქმე და არ იყო 50 ათასი კაცის გვერდზე?! რომ არა სასულიერო პირები, 17 მაისს მოხდებოდა ის, რისთვისაც დაიგეგმა ეს აქცია. ეს ადამიანები თავადაც მოატყუეს და სასაკლაოზე გამოიყვანეს.**

**— ვის გულისხმობთ, ვინ მოატყუა ისინი?**

— ისინი, ვინც არიან გარე ძალების დაკვეთის შემომტანები და აღმასრულებლები ქვეყანაში. საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს, რომ წინა ხელისუფლებაში თითქმის ყველა იყო აღმასრულებელი, დამკვეთი და უპირობო შემსრულებელი ამ ყველაფრის.

**— მაგრამ ხელისუფლება შეიცვალა, თუმცა პროცესები დღესაც გრძელდება. ახალ ხელისუფლებაშიც ხომ იცავენ მათ უფლებებს...**

— უფალი ამბობს, ნეტარია ადამიანი, ვინც მე მაღიაროს წინაშე კაცთაო. როდესაც სასიკვდილო ცოდვას მხარს უჭერ, რადგან დღევანდელი მსოფლიო დემოკრატია მოითხოვს ამას, ღმერთი პასუხს აუცილებლად მოგთხოვს. არსებობს ფასეულობები, რომელთაც არ უნდა უღალატო.

**— მამაო ბასილ, სინოდის სხდომა კვლავ ID ბარათებს მიეძღვნა, თქვენ რამდენიმე ხნის წინ მრევლი ერთწლიანი უზიარებლობით დასაჯეთ, მაგრამ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, რომელსაც სჭირდება ეს ბარათი ყოველდღიურ ცხოვრებაში?**

— მე ასე ვიტყვი და გამგები გაიგებს: ID ბარათებთან დაკავშირებით სამი დონის ინფორმაცია არსებობს. ჩვენ ვაპელირებთ პირველი დონის ინფორმაციით. არ დავკონკრეტდები ერთი მარტივი მიზეზის გამო, ადამიანები ამას ვერ გაიგებენ და ეს თემა, რომელიც გაქილიკებული აქვს თანამედროვედ მოაზროვნე ადამიანებს, კიდევ უფრო მეტად დასაცინი გახდება. პირველი დონის ინფორმაცია საკმარისია განვაცხადო, რომ ID ბარათი — ეს არის ჩემი უფლებების დარღვევა.

ასევე მინდა ყველა დავამშვიდო, მე მოვუხსენი მრევლს სასჯელი. ეს იყო მოკლევადიანი წკეპლა, რათა სხვების ყურამდე მისულიყო ეს თემა და ყურადღება მიექციათ.

**— თუ ID ბარათი ასეთ საფრთხეს წარმოადგენს, მაშინ საპატრიარქომ რატომ დაადგინა, რომ არ არის ანტიქრისტეს ბეჭედი?**

— **უწმინდესმა პირდაპირ რომ თქვას, ID ბარათი არ აიღოთო, სინოდი გაიხლიჩება და ეკლესია თავზე დაგვემხობა. უწმინდესს არასდროს უთქვამს, რომ ID ბარათი უპრობლემოდ აიღეთო. აღნიშნულ საკითხზე კულუარებში რას ამბობს პატრიარქი, ყველამ კარგად იცის. მე არ მითქვამს, რომ ID ბარათი — ეს არის ანტიქრისტეს ბეჭედი. ვადასტურებ სინოდის განცხადებას, ID ბარათი არ არის ანტიქრისტეს ბეჭედი, მაგრამ ადამიანებს ვურჩევ, ნუ აიღებენ მას. ვინც აიღო, უკან დააბრუნოს და შენდობა ითხოვოს ეკლესიაში. ID ბარათები წამყვანმა ცივილიზებულმა ქვეყნებმაც უარყვეს, რადგან ის ტოტალური კონტროლის მსხვერპლად აქცევს ადამიანს.** იმავე დიდი ბრიტანეთის მაგალითი ავიღოთ, სადაც ID ბარათები 2010 წელს გაუქმდა. მე არ მომიგონია ეს ყველაფერი, ამას ამბობს დიდი ბრიტანეთი, ეს თქვა ევროკავშირის წევრმა საბერძნეთმა, ეს თქვა რუსეთმა და უკრაინამ. მე, უბრალოდ, ვეთანხმები მათ.

**— რატომ არ არის ერთიანი აზრი ეკლესიაში ID ბარათებთან დაკავშირებით?**

— სამწუხაროდ, ეკლესიაში ერთიანი აზრი მართლაც არ არსებობს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ყველა სასულიერო პირი თანხმდება, რომ ID ბარათის მეშვეობით ტოტალური კონტროლი და ადამიანის უფლებების დარღვევა ინერგება. მერწმუნეთ, საქართველოში მილიონზე მეტი ადამიანი მაინცაა, რომლებიც გააზრებულად ეწინააღმდეგება ამ ბარათებს. ამ საკითხზე რეფერენდუმი რომ ჩატარდეს ქვეყანაში, ქართველი ხალხის პოზიცია ნათლად გამოჩნდება. მინდა ვუთხრა ამ საქმის მესვეურებს, ამხელა ცოდვას ნუ აიღებენ საკუთარ თავზე, რადგან ამას აუცილებლად მოჰყვება სისხლი და მსხვერპლი. ადამიანები არ აიღებენ ბარათებს და ისინი დაიწყებენ პროტესტს, როცა მათ გაუშვებენ სამსახურებიდან, ვერაფერს იყიდიან და იზოლირებულები გახდებიან. მათ პროტესტს კი „დემოკრატიულად“ ჩაახშობენ, როგორც ხდება ხოლმე. საქართველოში, ასი ათასი მოწამის ქვეყანაში, სარწმუნოებისთვის უამრავი ადამიანი დადებს თავს და ნუ მიიყვანენ საქმეს აქამდე, დაუშვან ალტერნატიული საშუალება.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„არსებული ტემპი ჩვენი ხელისუფლებისთვის მიუღებელია. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ძალიან მალე ამოქმედდეს რკინიგზა, რა თქმა უნდა, ხარისხიანად შესრულებული სამუშაოების შედეგად“.

# ბომბეიმდე გვირაბი — არა, მაგრამ მარმარილოს ზღვის ქვეშ გაჭრილი გვირაბით მობრძანდით ევროპაში!


ირაკლი წულაია

**რკინიგზას ისეთი ბედი დაჰყვა, რომ ქვეყნის ბედტეხილის ჟამს ყურადღების ცენტრში ექცევა ყოველთვის. აბულაძის გენიალურ „ნატვრის ხეში“ ციციკორეს და კოჭლი რევოლუციონერის შეფასებები გაიხსენეთ თუნდაც: ერთის მხრივ, მატარებელი, როგორც მიწა-ჰაერის მომწამლავი და ქვეყნის დაქცევის წინამორბედი, მეორე მხრივ, მატარებლის კახეთში შემოსვლა განათლებისკენ და ქვეყნის აყვავებისკენ გზის გაკვალვა.**
**ჰო და არა! ურთიერთგამომრიცხავი პოზიციები.**
**რკინიგზა — ადამიანების ბედის გზაჯვარედინი რეზო გაბრიაძის შედევრებში.**
**და ისევ რკინიგზა — ბაქო-თბილისი-ყარსი, ისევ აზრთა დაპირისპირება. კატეგორიული.**
**ერთის მხრივ, — საუკუნის მშენებლობა, მეორე მხრივ, — წამგებიანი წამოწყება, გაუმართლებელი სატრანსპორტო ექსპერიმენტი, ხარჯი მოგებაზე მეტია (ტვირთების გადაზიდვის სიძვირე, დიდი ენერგოშემცველობა, ნელი ტემპი და ა. შ.) და — „ფულის საჭრელი ქარხანა“, ბოლოს და ბოლოს.**
**წინააღმდეგობათა ამ გორგალში არიადნას ძაფის პოვნას ვთხოვ შპს ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობის გენერალურ დირექტორს ბატონ ირაკლი წულაიას, რომელიც იმდენად ახალგაზრდაა, რომ ბატონობით მიმართვას, შეიძლება, მიჩვეულიც არ არის. სამაგიეროდ, როგორც მითხრეს, მაღალი რანგის პროფესიონალია და ამ უმნიშვნელოვანესი შპს-ს სათავეში დამსახურებულად არის დანიშნული.**
**პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს მიაჩნია, რომ ეს რკინიგზა დიდად პერსპექტიულია, რაც დღეს და ხვალ, შეიძლება, არა, მაგრამ უახლოეს მომავალში დადასტურდება. ეს იქნება საქართველოს, როგორც „დიდი აბრეშუმის გზის“ საკვანძო ქვეყნის რეალიზაციისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი.**

— ის წინააღმდეგობები, რომლებიც ჩამოთვალეთ, შეიძლება გარეშე თვალისთვის მართლაც მნიშვნელობანი ჩანს, მაგრამ, თუ ჩავუღრმავდებით, დავრწმუნდებით, რომ ასეთი საფრთხეები რეალურად არ არსებობს. ასე არ არის, — ამბობს **ირაკლი წულაია,** — ამ რკინიგზის ექსპლუატაცია იმდენ ხარჯს არ მოითხოვს, რომ გადაფაროს ის შემოსავალი, რომელსაც იგი მოიტანს. ლაპარაკი არ არის მარტო ფინანსურ შემოსავლებზე. ახალქალაქში ჩვენ ვაშენებთ ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო სარკინიგზო სადგურს, რომელსაც პოსტსაბჭოთა სივრცეში ანალოგი არ ექნება. პროექტის რეალიზაციით აღორძინდება და განვითარდება მარაბდა, თეთრიწყარო, ახალქალაქი, კარწახი, ფაქტობრივად, მთელ რეგიონში გაშენდება შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ტერმინალები.

ამ რკინიგზის ექსპლუატაციაში შესვლით დაინტერესებული არიან თურქეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ჩინეთი, ბევრი სხვა ქვეყანა. ტვირთგამტარობა 5 მილიონ ტონაზეა გათვლილი, რომელსაც სამომავლოდ 15 ტონამდე გაზრდა შეეძლება, ეს უდიდეს შემოსავალს მოუტანს ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტს.

**— მაგრამ არა დღეს და ხვალ, რა თქმა უნდა, — მშენებლობა მიმდინარეობს.**

— მე ორ ეტაპად დავყოფდი ამ პროცესს. პირველი — პირველ ოქტომბრამდე პერიოდი, როცა საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა და სულ სხვა რეალობა გაჩნდა ქვეყანაში, მეორე ეტაპი, — ოქტომბრის შემდგომი პერიოდი. როცა სულ სხვა პრიორიტეტებმა წამოიწია წინა პლანზე, სულ სხვა ამოცანები და მიზნები დასახა ახალმა ხელისუფლებამ, პრემიერ-მინისტრმა. ჩვენთვის პრიორიტეტული გახდა, რაც შეიძლება სწრაფად პროექტის განხორციელება და ახალი რკინიგზის საექსპლუატაციოდ გადაცემა.

ხოლო „ფულის მოჭრის ქარხნის“ პრობლემა დღეს არ არსებობს, რადგან კანონდარღვევის, ამ ბოლო ხანს ფაქტებით დავრწმუნდით, ყველა გზა გადაკეტილია და სასჯელი — გარდუვალი.

**— ნეგატიურად განწყობილი ყოფილების მოგონილს ჰგავს, იმათი, ვისაც საამისოდ ხელი ჰქონდათ გაწაფული.**

— ალბათ, იმათიც.

**— ეგებ, გახსოვთ (თუმცა რა მოვლენა ეს იყო, რომ დაგეხსომებინათ), გაწბილებული სააკაშვილის „გულწრფელი“ აღშფოთება, როცა თქვენს ერთ-ერთ სამშენებლო ობიექტზე მისულს იქ არ დახვდა მშრომელთა მოზეიმე კოლონები. მან მისთვის ჩვეული ლოგიკით ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ გაილაშქრა: უწინ, როგორც კი გაიგებდნენ (!), მე რომ მოვდიოდი, აქ მუშების ტევა არ იყოო. თქვენს ობიექტებზე მართლაც სიხალვათეა?**

— გუშლამ დავბრუნდი ობიექტებიდან. მარტო ახალქალაქის სადგურზე 90 ერთეული ტექნიკაა მობილიზებული, სამშენებლო ფრონტი გაშლილია და მუშაობა მაქსიმალური დატვირთვით მიმდინარეობს. ხარვეზები, პრობლემები, რა თქმა უნდა, გვქონდა. მაგრამ სამი თვის განმავლობაში ძალიან მჭიდროდ ვითანამშრომლეთ აზერბაიჯანულ მხარესთან, არსებული პრობლემების იდენტიფიცირება რომ მოგვეხდინა. ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება ამ პრობლემების სისტემური აღმოფხვრისთვის.

რეალური მოცემულობა ასეთი იყო: 2012 წლამდე აღებული ტემპით, არსებული მენეჯმენტითა და მართვით, პროექტის განხორციელება, დაახლოებით 2020 წლამდე გააჭიანურებდა რკინიგზის მშენებლობას.

ჩვენ დაგვხვდა სიტუაცია, როცა შესასრულებელი სამუშაოების მხოლოდ 30-პროცენტამდე იყო განხორციელებული.

**— რაც უნდა გაკეთებულიყო, იმის მესამედი?**

— უფრო ზუსტად — 28,4 პროცენტი.

**— და ფული სრულად, 100 პროცენტის ოდენობით დაიხარჯა?**

— არა, ასი პროცენტი არ დახარჯულა, 220 მილიონია ათვისებული. დანარჩენი 500 მილიონის სამუშაოები შესასრულებელია.


გოფრირებული გალერეის მშენებლობა

არსებული ტემპი ჩვენი ხელისუფლებისთვის მიუღებელია. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ძალიან მალე ამოქმედდეს რკინიგზა, რა თქმა უნდა, ხარისხიანად შესრულებული სამუშაოების შედეგად. ვმუშაობთ იმისთვის, რომ მომავალ თაობას დავუტოვოთ საერთაშორისო სტანდარტების რკინიგზა, რომელიც გაჭრილი სარკმელი იქნება ევროპაში გასასვლელად, რომლითაც ტვირთები შემოვა ჩინეთიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიდან, ავამუშავებთ შესაბამის სამრეწველო საწარმოებს და ა.შ.

**— უკვე მუშაობთ იმ გრაფიკით, რომელიც უზრუნველყოფს საჭირო ტემპს?**

— ჯერჯერობით ტემპი ისეთი არ არის, რომელიც გვჭირდება. აზერბაიჯანულ მხარესთან გაგვაჩნდა კითხვები და ველოდებით ამ კითხვებზე პასუხს.

**— გულისხმობთ პრობლემებს, რომელთა სისტემურ აღმოფხვრაზე განაგრძობთ მოლაპარაკებას აზერბაიჯანთან?**

— დიახ. მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის პარალელურად მიმდინარეობდეს სამუშაოები და რაც შეიძლება ხარისხიანად ვაშენოთ რკინიგზა. თუმცა არის კითხვები, რომლებსაც აუცილებლად უნდა გაეცეს პასუხი. დარწმუნებული ვარ, შევთანხმდებით აზერბაიჯანელ ძმებთან, ერთობლივად შევქმნით ისეთ სტრუქტურას, ისეთ სისტემას, რომელიც საშუალებას მოგვცემს 2015 წლისთვის მწყობრში ჩავაყენოთ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის საქართველოს მონაკვეთი.

**— ფინანსები, რომლებიც ამ მშენებლობისთვისაა საჭირო, საიდან მოდის?**

— აზერბაიჯანის სახელმწიფომ პირველი ეტაპისთვის გამოყო 220 მილიონი დოლარი. პროექტის რეალიზაცია 2007 წელს უნდა დაწყებულიყო, გადაიდო 2009 წლისთვის. ამან განაპირობა პროექტის გაძვირება. ამიტომ დამატებით გამოიყო 500 მილიონი.

ეს არის კრედიტი აზერბაიჯანის მხარის, რომელიც უნდა გადავიხადოთ იმ კომპანიის მეშვეობით, რომელიც მოემსახურება ამ რკინიგზას, იმ მოგებიდან, რომელსაც იგი ფუნქციონირების შედეგად მიიღებს.

ეს იქნება საქართველო-აზერბაიჯანის ერთობლივი კომპანია, 50X50 წილით.

**— რა ხასიათის სამუშაოები ხორციელდება ამჟამად? უკვე აგებთ ლიანდაგს? ბოდიშს გიხდით დილეტანტური შეკითხვისთვის, მაგრამ უფროსი კოლეგებისგან მაქვს გაგონილი, რომ ლიანდაგის დაგება რკინიგზის მშენებლობის დაგვირგვინების მაჩვენებელია. მიხვედით აქამდე?**

— *(ღიმება).* მშენებლობა ოთხ ეტაპად არის დაყოფილი: მარაბდა-თეთრიწყარო, თეთრიწყარო-წალკა, წალკა-ახალქალაქი, ახალქალაქი კარწახი. ცალკე ობიექტია ახალქალაქის სადგური, რომელიც ჯერ კიდევ პროექტირების სტადიაშია და სექტემბრის ბოლოს იგეგმება მისი სამუშაო დოკუმენტაციის დასრულება.

**— პროექტი ქართულია?**

— ქართულ-უკრაინული რამდენიმე საპროექტო ორგანიზაცია არის ჩართული, მათ შორის ისეთი დიდი და პროფესიული კომპანია, როგორიც არის „კიევგიპროტრანსი“. პირველი ეტაპი — მარაბდა-თეთრიწყარო დასრულებულია, მეორე ეტაპი თითქმის ბოლომდეა მისული. ფაქტობრივად, განსახორციელებელი რჩება მესამე ეტაპი, ჩასამთავრებელი — მეოთხე ეტაპი, ევროპული სტანდარტის ლიანდაგი იგება და ახალქალაქიდან კარწახამდე ახალი რკინიგზა გვექნება.

**— ძველი რკინიგზა „დაიკარგა“?**

— არა, რა თქმა უნდა. მარაბდა-ახალქალაქის მონაკვეთზე ამ რკინიგზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს, რაც უფრო შრომატევადია, ვიდრე ახლის მშენებლობა. სამუშაო მრავალფეროვანია: მიწის სამუშაოებს ვასრულებთ, ვაშენებთ ხიდებს, ვაგებთ ლიანდაგებს, მიმდინარეობს ელექტრიფიკაციის სამუშაოები და ა.შ. ვაკეთებთ ყველაფერს, რაც აუცილებელია თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების რკინიგზის გამართული ექსპლუატაციისთვის.

**— ამ ყველაფერს სჭირდება მაღალკვალიფიციური კადრები. გყავთ ასეთი პროფესიონალები, თუ ძირითადად ჩამოყვანილი სპეციალისტებით გადიხართ ფონს?**

— საქართველოს რკინიგზაში ისეთი განათლებული და მაღალპროფესიონალი კადრები გვყავს, რომლებითაც შეგვიძლია ვიამაყოთ. ეს ეხება როგორც ძველ, გამოცდილ თანამშრომლებს, ისე ახალგაზრდა მენეჯერებს. მათი ერთობლივი მუშაობით არის შესაძლებელი ერთიანი, კარგი პროდუქტის მიღება, რაც დღეს რეალობაა.

**— მუშაკაცები, ვინც ფიზიკურად შრომობს, ისინი გყავთ?**

— რა თქმა უნდა.

**— შეგიძლიათ დამისახელოთ დასაქმებულთა საერთო რაოდენობა?**

— ადმინისტრაციაში სამოცდაათი თანამშრომელი გვყავს, ასევე ვაკონტროლებთ 25-მდე კომპანიას, რომლებიც უშუალოდ მშენებლობებს ახორციელებს.

არის ისეთი სამუშაოები, რომელთა შესასრულებლად უცხოეთიდან ჩამოგვყავს სპეციალისტები. მაგალითად, ელექტრიფიკაციის სამუშაოებს შვეიცარიელი პროფესიონალები ასრულებენ. ასე რომ, არის გარკვეული მიმართულებები, სადაც ვქირაობთ უცხოურ კომპანიებს. ასეთებია, მაგალითად, სლოვაკური კომპანიები, რომლებიც პროექტის მიხედვით სამუშაოების შესრულების ხარისხის, ვადების დაცვის მონი- ▶

„რასაც ბატონი ბიძინა ივანიშვილი ამბობს, რომ მხოლოდ მეოთხე წელიწადი იქნება ჩვენთან ნამდვილად კარგი წელიწადი, მართალია. რაც 20 წლის მანძილზე ინგრეოდა, უფრო ადრე ვერ აღვადგენთ. ეს უნდა გაითავისოს ჩვენმა მოსახლეობამ. საყვედურები, რომ ახალი მთავრობა დანაპირებს ვერ ასრულებს, ჩემი აზრით, ისეთივე პოპულისტურია, როგორც იმის დაპირება, რომ ორ წელიწადში ეკონომიკა ფეხზე დადგება.“

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ტორინგს განახორციელებენ.

**— საუბრის დასაწყისში თქვით, რომ თქვენს მოსვლამდე მშენებლობა ჩამორჩენილი იყო ტემპს, გნებავთ, რიტმს, რომელიც გეგმით იყო განსაზღვრული.**

— **სიმართლე გითხრათ, გეგმები არსად არ მინახავს. არც გეგმები არსებობდა, არც გრაფიკები,** რომელთა მიხედვით უნდა წარმართულიყო მუშაობა.

**— ეტყობა, სააკაშვილმა მართალი თქვა, როცა გაიგებდნენ, აქ რომ მოვდიოდი, უამრავი მუშა იყრიდა თავსო. მიშა იყო, როგორც ჩანს, მამოძრავებელი ძალაც, გეგმაც და გრაფიკიც...**

— *(ეღიმება).* დიდი შრომა გავწიეთ იმისთვის, რათა თითოეულ კომპანიას სამუშაოების წარმოების თავ-თავიანთი გეგმები წარმოედგინათ. დავსახეთ ამოცანები, რომელთა შესრულებას ახლა მივყვებით. აქამდე ასე განსაზღვრავდნენ — წლის ბოლოს უნდა გაიხსნას, 2013 წლის ბოლოს თუ 2014-ის ბოლოს უნდა ამუშავდეს და ასე ზედაპირულად, პრიმიტიულად. ეს განცხადებული მიზნები არაფრით იყო გამყარებული, არანაირი გეგმა და გრაფიკი. ცარიელი სიტყვები იყო.

იძულებული ვიყავით სიტუაცია დეტალურად შეგვესწავლა, გაგვეანალიზებინა და დაგვესახა კონკრეტულად გასაკეთებელი საქმე, რომელიც გამომდინარეობდა რეალობიდან, ანუ **3-4 წლის განმავლობაში შეუსრულებელი 70 პროცენტი** როგორ უნდა შეგვესრულებინა სულ რამდენიმე თვეში. დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველაზე ოპტიმალური ვადა, რომელიც შეიძლება პროექტის დასრულებას დასჭირდეს, არის 2015 წელი.

ასეთი ამოცანა დავისახეთ, რადგან იმედი გვაქვს, რომ აზერბაიჯანული მხარე ჩვენთან ერთად განახორციელებს იმ სტრატეგიულ, სისტემურ ცვლილებებს, რომლებიც ერთობლივად დავსახეთ.

**— თქვენს მოსვლამდე გაკეთებული სამუშაოების მონიტორინგი თუ ჩაატარეთ? ედრება თუ არა ჩატარებული სამუშაოს მოცულობა დახარჯულ ფინანსებს?**

— **მსოფლიოში საუკეთესო საფინანსო კომპანიები ჩართული არიან შემოწმების პროცესში, აწარმოებენ აუდიტს. ძალიან მალე დაიდება დასკვნა.** ამასთან ერთად, არის ტექნიკური ხარვეზები, რომლებიც გამოვავლინეთ და რომელთა გამოსწორებაზე ინტენსიურად ვმუშაობთ. პრობლემები, რა თქმა უნდა, დაგვხვდა. მაგრამ არა ისეთი, რომელთა აღმოფხვრა არ შეიძლება.

**— შეიძლება ვთქვათ, რომ 2015 წელს თბილისში მატერებელში ჩავჯდებით და დილით, სად გავიღვიძებთო, რას ამბობდა სააკაშვილი?**

— ლონდონში *(ეღიმება).* ეს პროექტი მარტო საქართველოს ტერიტორიაზე არ ხორციელდება. მისი გაგრძელება არის „მარმარაის“ პროექტი თურქეთის რესპუბლიკაში — მარმარის ზღვის ქვეშ გვირაბში გაივლის მატარებელი.

**— მარმარილოს ზღვის ქვეშ?**

— დიახ, დიახ. ჩვენ პროექტი გაგრძელდება ყარსამდე, სადაც შეუერთდება თურქეთის ცენტრალურ რკინიგზას, გაივლის ბოსფორის სრუტეს და გაგრძელდება ევროპისკენ.

**— მაგრამ ეს უკვე ჩვენი საზრუნავი არ არის.**

— არ არის, მაგრამ ეს იქნება აზია-ევროპის სატრანსპორტო დერეფნის გაგრძელება. ამასწინათ ვიყავი თურქეთში, დავათვალიერე მიმდინარე სამუშაოები და შემიძლია ვთქვა, რომ ფაქტობრივად ბოლოში არიან გასულები. აუარებელი თანხა ჩადო თურქეთმა ამ პროექტში, რომელიც მსოფლიოს საუკუნის პროექტების ასეულში შედის.

**— მახსოვს, სახელმწიფოთა მეთაურების სტამბოლის სამიტზე, რომლის გასაშუქებლად სხვებთან ერთად მეც ვიყავი ჩასული, აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტს საუკუნის მშენებლობა უწოდა.**

**თქვენ რომ გისმენთ, არც ეს პროექტია ნაკლებად მასშტაბური.**

— პირდაპირ გეტყვით: ეს არის გაგრძელება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის. მისი ანალოგიურია, მაგრამ მილსადენის ნაცვლად აქ რკინიგზაა, რომელიც ცივილიზაციებს დააკავშირებს ერთმანეთთან. შესაძლებელი ხდება ისიც, რომ აზიური ტვირთების ნაკადებმა თავი მთლიანად საქართველოში მოიყაროს, და ეკონომიკური სწორი გათვლის შემთხვევაში, ახალქალაქი ჩვენი ბიზნესგანვითარების ერთ-ერთი წამყვანი ცენტრი გახდეს.

**— საქართველოს მოქალაქეთა წილი თქვენთან დასაქმებული ადამიანების დათვლილი გაქვთ?**

— გენერალურ კონტრაქტორთან შეთანხმებით, ამ პროექტში ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა რაოდენობა 70 პროცენტით განისაზღვრა.

**— ამ პროექტს როდიდან ჩაუდექით სათავეში?**

— 2013 წლის იანვრის ბოლოდან.

* * *

**ინტერვიუსთვის გამოყოფილ 20 წუთი (ასე შევთანხმდით) ამოიწურა. მასპინძლის სტუმართმოყვარეობით ბოროტად სარგებლობა მარტო უტაქტობა არ იქნებოდა, შეიძლება მაინც და მაინც დიდი ამოვარდნაც არ ყოფილიყო მისი სამუშაო გრაფიკიდან, მაგრამ საქმეს რომ არ წაადგებოდა, ცხადია.**

**აწყობილ საქმეში წუთიც ძვირად ფასობს და — ვემშვიდობები.**

**...ახალ შეხვედრებს წინ არაფერი უდგას.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**ცნობისთვის:** ირაკლი წულაიას დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, ოქსფორდის კოლეჯი; მუშაობდა: „ქართუ ჯგუფში“ ლოჯისტიკის მრჩევლად, „ივენსი“ პროგრამირების ჯგუფში — კომერციულ დირექტორად, Black & White-Solutions-ის გენერალურ დირექტორად, დღეს, უკვე იცით, შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზის“ გენერალური დირექტორია.

# კიდევ კარგი, კოდუები არ მოვიდნენ — ყველაფერს წაგვართმევდნენ

**„საქართველო და მსოფლიოს“ №17-ში გამოქვეყნდა 1972-1985 წლებში საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მინისტრ გიორგი გამცემლიძის წერილი, რომელშიც განხილული იყო ქვეყნის ეკონომიკის ამ მნიშვნელოვან დარგში არსებული პრობლემები და წარმოდგენილი იყო გარკვეული წინადადებები მათ დასაძლევად.**
**დღეს ერთი საწარმოს მაგალითზე უფრო ვაკონკრეტებთ ამ საკითხებს და სასაუბროდ ვიწვევთ ბატონ ივანე მაჭავარიანს, რომელიც იმ დროს ერთ-ერთი მომგებიანი საწარმოს დირექტორი იყო, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა საქართველოს მსუბუქი მრეწველობის დარგის განვითარებაში. ამ საწარმოში, სადაც თავის დროზე მეფის რუსეთის საინტენდანტო სამსახურის ორსართულიან შენობაში თავიანთი საკერავი მანქანებით — „ზინგერებით“ მივიდნენ კომუნისტი ქალები და შექმნეს მკერავთა შრომითი კოლექტივი, რომელიც წითელი არმიისთვის სამხედრო ტანსაცმლის კერვით იყო დაკავებული.**



— თანდათან საწარმო გაფართოვდა, გადაიარაღდა, შეიცვალა ასორტიმენტი, იმ დროისთვის ახალი მანქანა-დანადგარები შემოიტანეს და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ განვითარებულმა ფაბრიკამ დასაბამი მისცა სამკერვალო დარგის მრეწველობას საქართველოში.

**ყვება ამას ბატონი ივანე და ჩვენს საუბარში ძველი ისტორიის მშფოთვარე წლების სიო უბერავს და მის მსუბუქ ტალღებს შემოჰყვება იმ წლების არნახული ენთუზიაზმი და აღმშენებლობის პათოსი: ლამის ცარიელი ხელებით ცარიელ ადგილზე ახალი ცხოვრების დამკვიდრების განუმეორებელი ენერგეტიკა და ხიბლი.**

— მზადდებოდა ათასნაირი ასორტიმენტი ქალის, მამაკაცის, ბავშვის ტანსაცმლის. მაგრამ 70-იანი წლებიდან მხოლოდ ქალის ასორტიმენტის გამოშვება დავიწყეთ, ე. წ. ზედა ტანსაცმლის: პალტო, ხელოვნური ბეწვის ქურქები, კოსტიუმები და ა. შ. სხვადასხვა ქსოვილიდან — ნატურალური, შერეული, ხელოვნური — აბრეშუმიდან დაწყებული ჯინსით დამთავრებული. სწორედ ამ ქსოვილით ვამზადებდით ფრანგების დაკვეთით თეთრ ბეწვზე დუბლირებულ ქურთუკებს.

**— და ფრანგებს მიჰქონდათ?!**

— დიახ. შესანიშნავი ნაწარმი გამოგვდიოდა. დანარჩენზე რა მოგახსენოთ: ზოგი ძალიან კარგი იყო, ზოგი — გადასაყრელი... *(ეღიმება)*

შემდეგ ჩვენი საწარმო გადაკეთდა №1 სამკერვალო ფაბრიკად. 1600-1700-მდე ქალი მუშაობდა ჩვენთან თავის დროზე. 90-იანი წლებისთვის თანდათან იკლო და 1000-მდე, სტაბილურ რიცხვამდე ჩამოვიდა.

რეკონსტრუქციაც მოვახდინეთ, ქუჩის პირის ორსართულიანი შენობა დაინგრა, აშენდა ოთხსართულიანი კარგი, მძლავრი შენობა, მაგრამ რად გინდა! აღარ ფუნქციონირებს...

**— რამ გამოიწვია ამ ტრადიციული საწარმოს სტაგნაცია?**

— ბაზრის უქონლობამ. ბაზარი დავკარგეთ, როგორც კი შევწყვიტეთ რუსეთთან ურთიერთობა.

ჩვენ საკუთარი ნედლეული არ გვქონდა.

**— სწორედ ამ პრობლემას გამოჰყოფდა თავის წერილში ბატონი გიორგი გამცემლიძე, განსაკუთრებით აბრეშუმის წარმოების აღდგენას, აღორძინებას უსვამდა ხაზს.**

— რა გვქონდა ჩვენ მაშინ? მაუდ-კამვოლის წარმოება, აბრეშუმის კომბინატი და ერთიორი პატარა საქსოვი ფაბრიკა, რომელიც ამზადებდა ქსოვილს ქალის ტანსაცმლის ასორტიმენტისთვის — კაბებისთვის, კოსტიუმებისთვის... მაგრამ ქსოვილის ეს რაოდენობა, რა თქმა უნდა, საკმარისი არ იყო.

შემოდიოდა ნედლეული რუსეთიდან, იაპონიიდან, გერმანიიდან, ამერიკიდან... ძალიან კარგი ხარისხის, მაგრამ ზოგიერთი — ძალიან ძნელი დასამუშავებელი, რადგან სპეციალური მანქანები არ გვქონდა. ამიტომ იყო, რომ ხშირად ვამახინჯებდით *(ეცინება).*

ბოლოსკენ კი მთლიანად გადაიარაღდა საწარმო და კარგი პროდუქციის გამოშვებაც შევძელით. მაგრამ, ამ კარგი პროდუქციის ერთი ნაწილის გაყიდვა კი შევძელით, დიდი ნაწილი კი დღესაც ჩვენს საწყობში დევს, იმდროინდელი საცალო ფასის — მილიონ-ნახევარი მანეთის პროდუქცია. გადაყოლილი ვართ იმის შენახვას.

**— ხომ არ გამოგიტანიათ ბაზარზე?**

— გაყიდვასაც გადავყევით. საბრუნავი საშუალება არ გვქონდა — პროდუქციას არ უშვებ, ვერ ყიდი, კვლავწარმოებისთვის არაფერი გაგაჩნია — ფული რომ შემოვიდეს და იყიდო რამე, კოლექტივის რაღაც რაოდენობა რომ შეგვენახა მაინც. 1994 წელს სააქციო საზოგადოებად ჩამოვყალიბდით, რომელშიც დღეს 600 კაცი ითვლება. სიმბოლური რაოდენობის აქციების მფლობელები არიან. დივიდენდები არ გაგვიცია, რადგან წაგებაზე ვმუშაობთ.

**— მუშაობთ კი?**

— არა. გაქირავებული გვაქვს ჩვენი ტერიტორიის რაღაც ნაწილი და იქიდან შემოსული ფულით ვიხდით გადასახადებს, რომლებიც საკმაოდ გვაქვს. ხელფასსაც გავცემთ.

**— ვის აძლევთ ხელფასს?**

— ოთხნი მთავარი მეწილე ვართ. სულ ესაა.

**— არის პერსპექტივა?**

— ბევრნი მოვიდნენ, ვითომ ინვესტორები. იყვნენ იტალიელები. ჩვენთან გაკეთდა შესანიშნავი პროექტი „ქართულ-იტალიური სახლის“, სადაც უნდა განთავსებულიყო სამოდელო წარმოება (ჩამოჰყავდათ მოდელიორები იტალიიდან), იმუშავებდა სასტუმრო თავისი იტალიური რესტორნით.

**— რატომ ჩაიშალა?**

— ასეთი რამ წამოსცდა ინვესტორს: უნდა აგველო სესხი და ამაში გვეხმარებოდაო მაშინდელი ხელისუფალი...

**— ბერლუსკონი?**

— ბერლუსკონი. მაგრამ სესხი მას კი არა, ჩვენ უნდა აგველო. სესხი ვინც აიღო, ყველა გაუბედურდა.

**კოდუებსაც უნდოდათ თითქოს ჩვენთან მოსვლა. კიდევ კარგი, არ მოვიდნენ. რომ მოსულიყვნენ, ყველაფერს წაგვართმევდნენ. ჩვენ შენობა-ნაგებობები მაინც შევინარჩუნეთ, დაზგა-დანადგარებიც, რომლებითაც მცირე რაოდენობის პროდუქციის გამოშვება შეგვიძლია.**

იყო კიდევ ორი შემოთავაზება. მოვიდნენ თურქები. გამოვუშვით პერანგები, მაგრამ წაიაფერისტეს და ფული აღარ მოგვცეს. ძლივს გავყიდეთ და ამოვიღეთ ეს ფული.

ქველმოქმედებასაც ვახერხებთ, მაგრამ ეს ქველმოქმედებაც დაგვიბეგრეს.

**— ქველმოქმედებაც?**

— ეგ კი არა, თუ უძრავი ქონება 100 ათასზე მეტი ლარის გიდევს, ისიც 20 პროცენტით დაგვიბეგრეს. ფული წაიღეს.

**— ასე ავსებდა ბიუჯეტს ყოფილი ხელისუფლება და ახალ მთავრობას საყვედურობს — ბიუჯეტი ჩააგდეთო... დავუბრუნდეთ პერსპექტივას. სადღაც იატაკქვეშეთში დამზადებული პროდუქცია ჩვენს ბაზარზე საღდება, თქვენსას რა ემართება?**

— ის, რაც ბაზრობებზე იყიდება, იმის 90 პროცენტი სწორედ ასეთი ნაკეთობაა.

უცხოეთიდან შემოდის ანალოგიური მეორადი პროდუქცია, რომლითაც გატენილია მთელი საქართველო. ეს საქონელი კილოობით იყიდება.

**— ზოგიერთ გადამყიდველს კი საერთოდ უფასოდ შემოაქვს საქართველოში.**

— შემოვიდა თუ არა ეს საქონელი, იმ წუთში გაჩერდა ჩვენი პროდუქციის გაყიდვა. ამის მთავარი მიზეზი მეორადის სიიაფეა და, ამასთან, ქართული ტრადიციული მიდრეკიდება უცხოურისადმი.

**— ჩვენთან არ გაიყიდა, რუსეთმა როგორ უნდა გაყიდოს?**

— რუსეთის ბაზარსაც თავისი პრობლემები შეექმნა. ერთხელ, ივანოვოდან მანქანით რომ მოვდიოდით, გზის გასწვრივ ყოველ ნახევარ თუ არა, ერთ კილომეტრში პატარ-პატარა ბაზრობები იყო: ათასნაირი ფერის ქსოვილი გასაყიდად ჰქონდათ გამოტანილი: ქსოვილის ჭარბი ნაწარმი დაუგროვდათ დიდი რაოდენობით. ივანოვოდან მოსკოვამდე მიჰყვებოდა ეს სახელდახელო ბაზრობები ცენტრალურ ტრასას.

**— ჩვენ როგორ ავითვისებთ ამ პროდუქციას?**

— ავითვისებთ, თუ თანამედროვე მანქანა-დანადგარები გვექნება.

**— მკერავები, ოსტატები, რომლებიც წარმოების მოწინავენი იყვნენ? იმ ადამიანებმა დეკვალიფიკაცია ხომ არ მიიღეს?**

— კი. ოთხმოცდაათიანი წლებიდან დღემდე არ უმუშავიათ სპეციალობით. ოცი წელიწადი ცოტა არ არის.

**— არ გამოვიდა ისე, მიტინგებზე რომ გვარწმუნებდნენ, ჩაი და ციტრუსი, ბორჯომის წყალი გვაცხოვრებსო.**

— ვერ გვაცხოვრა. მიზეზთა მიზეზი კი ისაა, რომ თავის დროზე ჩვენი ეკონომიკა სხვა ლიანდაგზე იდგა — გეგმიური სოციალისტური ეკონომიკის პრინციპებით ფუნქციონირებდა. ის სისტემა დაინგრა, შემცვლელი ვერ დაინერგა.

**— ესე იგი, რაც ბატონმა გიორგი გამცემლიძემ თქვა, რომ ჩვენი დარგი მომზადებული ვერ შეხვდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას, მართალია.**

— ვერ შეხვდა მომზადებული, რასაკვირველია. ის პრობლემები რომ გადავლახოთ, რომლებზეც ვილაპარაკეთ, წრე რომ შეიკრას, ამას დრო სჭირდება. ამიტომ ის, **რასაც ბატონი ბიძინა ივანიშვილი ამბობს, რომ მხოლოდ მეოთხე წელიწადი იქნება ჩვენთან ნამდვილად კარგი წელიწადი, მართალია.**

**რაც 20 წლის მანძილზე ინგრეოდა, უფრო ადრე ვერ აღვადგენთ. ეს უნდა გაითავისოს ჩვენმა მოსახლეობამ. საყვედურები, რომ ახალი მთავრობა დანაპირებს ვერ ასრულებს, ჩემი აზრით, ისეთივე პოპულისტურია, როგორც იმის დაპირება, რომ ორ წელიწადში ეკონომიკა ფეხზე დადგება.**

**— გაიხსენეთ, თუ შეიძლება, იმ ძველ დროს რამდენი მანეთის პროდუქციას უშვებდით?**

— ფულადი გამოსახულებით, თვეში სულ ცოტა სამი მილიონი მანეთის პროდუქციას. ახლა ეს ეფემერული ჩანს, მაგრამ დამერწმუნეთ, რომ პოტენცია არსებობს. აქვე ვიტყვი, რომ ეს პანაცეა არ არის: უნდა დავსხდეთ და კარგად გავთვალოთ ყველაფერი, ყველა პრობლემის გადაწყვეტის რეალური გზა მოვძებნოთ: კადრების, ნედლეულის, მანქანა-დანადგარების, ბაზრის საკითხები...

შემდეგ დაიწყება ყოველდღიური მძიმე სამუშაო.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კოლუმბის ეპოქის მთავარი ისტორიკოსი ლას კასასი აღწერს იმ საშინელი აქტების უამრავ შემთხვევას, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ ახორციელებდნენ ესპანელი კოლონიზატორები. მხეცობების სიაში წერია, რომ ადამიანები მასობრივად მიჰყავდათ სახრჩობელებზე, წვავდნენ, ბავშვების სხეულებს ანაწევრებდნენ და ძაღლებს აჭმევდნენ და ასე შემდეგ. სია შთამბეჭდავია...**

# ძირძველი ამერიკელების გენოციდი, ანუ კაპიტალიზმის საოცარი კანონზომიერება

„ჰიტლერი მხოლოდ უცოდველი ლეკვია „ამერიკის დამპყრობლებთან" შედარებით. რას არ ასწავლიან ამერიკულ სკოლებში: ამერიკელი ინდიელების ხოლოკოსტის პერიოდში, რომელიც ასევე ცნობილია „ხუთასწლიანი ომის" და „კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი ხოლოკოსტის" სახელით, განადგურდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ამჟამინდელი ტერიტორიის 95-დან 114 მილიონამდე ძირძველი მოსახლე".

დ. სტენარდი. „ამერიკული ხოლოკოსტი: „100 მილიონზე მეტი მოკლული".

„საკონცენტრაციო ბანაკების ჰიტლერისეული კონცეფცია დიდწილად მის მიერ ინგლისური ენისა და ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის შესწავლის შედეგია. იგი აღფრთოვანებული იყო სამხრეთ აფრიკაში ბურებისა და ველურ დასავლეთში ინდიელებისთვის შექმნილი ბანაკებით და თავის უახლოეს გარემოცვაში ხშირად აქებდა ამერიკის იმ ძირძველი მოსახლეობის, წითელკანიანი ველურების შიმშილითა და არათანასწორი ბრძოლებით განადგურების ეფექტურობას, რომელთა დატყვევება და მოშინაურება შეუძლებელი იყო".

ჯონ ტოლანდი, „ადოლფ ჰიტლერი".

ტერმინი გენოციდი ლათინური ენიდან მოდის (genos - რასა, თემი, cide - მკვლელობა) და სიტყვასიტყვით თარგმანში მთელი თემის ან ხალხის ამოწყვეტას ნიშნავს. ინგლისური ენის ოქსფორდის ლექსიკონი გენოციდს განსაზღვრავს, როგორც „ეთნიკური ან ეროვნული ჯგუფების წინასწარგანზრახულ და სისტემატურ განადგურებას" და მაგალითად მოჰყავს რაფაელ ლემკინის მიერ ტერმინის პირველად გამოყენება ევროპის ოკუპირებისას ნაცისტების ქმედებების აღწერის დროს. დოკუმენტურად ტერმინი პირველად გამოიყენეს ნიურნბერგის პროცესზე, ოღონდ აღწერილობითი და არა იურიდიული ტერმინის სახით. **გენოციდად, როგორც წესი, მოიაზრება ნაციის ან ეთნიკური ჯგუფის განადგურება.**

**გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ეს ტერმინი 1946 წელს მიიღო. ადამიანთა უმეტესობა გენოციდს კონკრეტული ადამიანების მასობრივ მკვლელობებთან აკავშირებს. მიუხედავად ამისა, 1994 წლის გენოციდის დანაშაულთა დასჯისა და გაფრთხილების შესახებ გაეროს კონვენციაში გენოციდიად მიჩნეულია არა მარტო როგორც ადამიანების პირდაპირი მკვლელობა, არამედ როგორც მათი კულტურის განადგურებაც.** კონვენციის II მუხლში ჩამოთვლილია ქმედებათა ხუთი სახეობა, რომლებიც მიმართულია კონკრეტული ნაციონალური, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის წინააღმდეგ და რომლებიც გენოციდად უნდა ჩაითვალოს.

**ეს კატეგორიებია:**

**ამგვარი ჯგუფის წევრების დახოცვა, ამ ჯგუფის წევრებისთვის სერიოზული ფიზიკური დაზიანებების ან გონებრივი აშლილობების მიყენება,**

**ჯგუფისთვის ისეთი სასიცოცხლო პირობებისა შეგნებულად შექმნა, როგორიც გათვლილია მის მთლიანად ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებაზე,**

**ამგვარი ჯგუფის შიგნით გამრავლების აღკვეთის ზომების მიღება,**

**ადამიანთა ერთი ჯგუფიდან მეორეზე ბავშვების ძალადობრივი გადაცემა.**

აშშ-ის ხელისუფლებამ გენოციდის შესახებ გაეროს კონვენციის რატიფიცირებაზე უარი განაცხადა. და არც არის გასაკვირი, რადგან გენოციდის უამრავი ასპექტი თავის დროზე განხორციელდა ჩრდილოეთ ამერიკის ძირძველი მოსახლეობის წინააღმდეგ. **ამერიკის გენოციდის პოლიტიკის სია მოიცავს: მასობრივ ამოწყვეტას, ბიოლოგიურ ომებს, მშობლიური ადგილებიდან იძულებით გასახლებას, თავისუფლების აღკვეთას, ადგილობრივისგან განსხვავებული ღირებულებების დანერგვას, იძულებით ქირურგიულ სტერილიზებას, რელიგიური რიტუალების ჩატარების აკრძალვას და ასე შემდეგ.**

კოლუმბის გამოჩენამდე მიწები, რომლებზეც ახლა ამერიკის 48 შტატია გადაჭიმული, 12 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა. ოთხი საუკუნის შემდეგ მოსახლეობისგან 237 ათასი დარჩა, ანუ ის 95%-ით შემცირდა. როგორ? როდესაც კოლუმბი ამერიკაში 17 გემით დაბრუნდა 1493 წელს, მან დაიწყო კარიბის აუზის ქვეყნების მოსახლეობის განადგურებისა და დამონების პოლიტიკის განხორციელება.



## ინდიელებს არა მხოლოდ ხოცავდნენ, ატყვევებდნენ და სკალპს აძრობდნენ, ევროპელებმა მათ წინააღმდეგ ბიოლოგიური იარაღიც აამოქმედეს

სამი წლის განმავლობაში გაანადგურებს ხუთი მილიონი ადამიანი. კიდევ ორმოცდაათი წლის შემდეგ, ესპანური აღწერისას დაახლოებით 200 000 ინდიელი აღრიცხეს! **კოლუმბის ეპოქის მთავარი ისტორიკოსი ლას კასასი აღწერს იმ საშინელი აქტების უამრავ შემთხვევას, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ ახორციელებდნენ ესპანელი კოლონიზატორები. მხეცობების სიაში წერია, რომ ადამიანები მასობრივად მიჰყავდათ სახრჩობელებზე, წვავდნენ, ბავშვების სხეულებს ანაწევრებდნენ და ძაღლებს აჭმევდნენ და ასე შემდეგ. სია შთამბეჭდავია...**

კოლუმბის წასვლის შემდეგ ეს პოლიტიკა არ შეწყვეტილა. ევროპული კოლონიები, შემდეგ კი ახლადშექმნილი შტატები განაგრძობდნენ დაპყრობის ანალოგიური მეთოდებით გაგრძელებას. მასობრივი მკვლელობები მთელ ქვეყანაში მიმდინარეობდა.

**ინდიელებს არა მხოლოდ ხოცავდნენ, ატყვევებდნენ და სკალპს აძრობდნენ, ევროპელებმა მათ წინააღმდეგ ბიოლოგიური იარაღიც აამოქმედეს.** ბრიტანელი აგენტები მათ ურიგებდნენ გადასაფარებლებს, რომლებიდანაც მათ წინასწარი განზრახვით ყვავილი უნდა გადასდებოდათ. ამ ბიოლოგიურ შეტევას შეეწირა ასი ათასზე მეტი ადამიანი, რომლებიც ძირითადად მდინარე ოჰაიოს სანაპიროზე ცხოვრობდნენ. აშშ-ის არმია შემდეგ ამ მეთოდით აღიჭურვა და ასეთივე დიდი წარმატებით გამოიყენა ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ.

### იძულებითი გადასახლება

**ამერიკული რევოლუციის შემდეგ შტატებმა უმოკლეს დროში დაიწყეს ამერიკელი ინდიელების გასახლების პოლიტიკა.** ფორტ სტანსიქსში გაფორმებული 1784 წლის შეთანხმების თანახმად, იროკეზები ვალდებულნი იყვნენ, დაეთმოთ დასავლეთ ნიუ იორკსა და პენსილვანიაში დაკავებული მიწები. იროკეზებიდან მრავალი კანადაში გაემგზავრა, ზოგიერთმა აშშ-ის ქვეშევრდომობა მიიღო, მაგრამ თემი, როგორც ნაცია, მალე დაიშალა, რადგან მეთვრამეტე საუკუნის ბოლო ათწლედში დარჩენილი მიწების დიდი ნაწილიც დაკარგა. შაუნები, დელავერები, ოტავანები და კიდევ რამდენიმე სხვა თემი, აკვირდებოდა რა იროკეზების დაცემას, საკუთარ კონფედერაციაში გაერთიანდა და მას ოჰაიოს შეერთებული შტატები უწოდა. მათ მდინარე საკუთარ მიწებსა და ჩამოსახლებულთა შორის საზღვრად გამოაცხადეს. მორიგი საომარი მოქმედებების დაწყება მხოლოდ დროის საკითხი იყო.

### კულტურული გენოციდი და იძულებითი ასიმილაცია

ევროპელები თავს მაღალი კულტურისა და ცივილიზაციის კერად მოიაზრებენ. კოლონიური მსოფლმხედველობა რეალობას ჰყოფს: სიკეთედ და ბოროტებად, სულად და სხეულად, ადამიანად და ბუნებად, კულტურულ ევროპელად და პრიმიტიულ ველურად... ამერიკელ ინდიელებს ამგვარი დუალიზმი არ ახასიათებთ, მათი ენა ყველაფრის ერთიანობას გამოხატავს. მათი ღმერთი ტრანსცენდენტური მამა არ არის, ის არის დიადი სული, რომელიც კვებავს მთელ მრავალღმერთიანობას, მრავალი ღმერთისადმი რწმენას და ღვთაებრივის რამდენიმე დონეს.

ძირძველი ამერიკელების რელიგიური დამოკიდებულებების უმრავლესობას საფუძვლად ედო ღრმა რწმენა იმისა, რომ რაღაც უხილავი ძალა, მძლავრი სული, რომელიც მთელ სამყაროში სუფევს, ყველაფერი ცოცხალისთვის ახორციელებს დაბადებისა და გარდაცვალების ციკლს. **ამერიკელი ინდიელების უმეტესობას სწამს უნივერსალური სულის, ცხოველების, ციური სხეულებისა და გეოლოგიური წარმონაქმნების, წელიწადის დროებისა და გარდაცვლილი წინაპრების ზებუნებრივი თვისებების. მათი ღვთაებრივი სამყარო ძალიან შორსაა პირადი გადარჩენის ან ცალკეული ადამიანების წყეულობისგან, რისიც ევროპელებს სწამდათ. ამ უკანასკნელთათვის ამგვარი რწმენა წარმართობა იყო.**

ამრიგად, დაპყრობა განიხილებოდა როგორც აუცილებელი ბოროტება, რომელიც „ინდიელთა" ხალხებს ჩუქნიდა მორალურ ცნობიერებას მათი მორალურობის „გამოსასწორებლად". მსგავსი მიდგომით შიშველი ეკონომიკური ინტერესი გარდაიქმნებოდა კეთილშობილურ, მორალურ მოტივად, რომელიც ქრისტიანობას ერთადერთ საერთო რელიგიად აცხადებდა და ყველა კულტურისგან ერთგულებას მოითხოვდა. საბოლოო ჯამში **კონკისტადორები, რომლებიც ინდიელების მიწებზე შეიჭრნენ და მხოლოდ იმპერიის გაზრდის, სიმდიდრის, მიწებისა და იაფფასიანი მუშახელის დაგროვებისკენ მიისწრაფვოდნენ, ადგილობრივი წარმართებისთვის ერთადერთ ხსნად იქცნენ.**

### კულტურა

კულტურა ადამიანების შემოქმედების გამოხატულებაა და პრაქტიკულად მათ ყველა ქმედებას მოიცავს: ენას, მუსიკას, ხელოვნებას, რელიგიას, ექიმობას, სოფლის მეურნეობას, კულინარულ სტილს, საზოგადოებრივი ცხოვრების მარეგულირებელ დაწესებულებებს. **ამერიკული კულტურის განადგურება უფრო უარესია, ვიდრე უბრალოდ ადამიანების გაწყვეტა. კოლონიზაცია არა მხოლოდ ფიზიკურად ხოცავდა ინდიელებს, არამედ ხოცავდა მათ სულიერად. კოლონიზაცია ამახინჯებდა დამოკიდებულებებს და რყვნიდა მათ.**

მთელი თემების პრაქტიკულად სრული ფიზიკური განადგურების პარალელურად ხორციელდებოდა ▶

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჩრდილოამერიკელი ინდიელების ხოლოკოსტი სამხრეთაფრიკულ აპარტეიდზე და ებრაელთა გენოციდზე საშინელი მოვლენაა. მაგრამ სად დგას ძეგლები? სად ტარდება მემორიალური ცერემონიები? ომისშემდგომი გერმანიისგან განსხვავებით, ჩრდილოეთ ამერიკა არც აცხადებს ინდიელთა გენოციდის აღიარებაზე. ხელისუფლებას არ სურს, გამოტყდეს, რომ ეს იყო ადგილობრივი ძირძველი მოსახლეობის განადგურების სისტემური გეგმა.

◀ ინდიელი ბავშვების ასიმილაციის სტრატეგიაც. იეზუიტებმა ააშენეს ფორტები, სადაც ძირძველი მოსახლეობის ახალგაზრდობა ციხეებში გამოკეტეს. ამ ციხეებში ტყვეებს იძულებით უნერგავდნენ ქრისტიანულ ღირებულებებს და მძიმე ფიზიკურ შრომას აიძულებდნენ. სწავლება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია არა მხოლოდ ენის, არამედ კულტურის შესაცვლელადაც ახალგაზრდობაში, რომელიც წინასწარგანწყობილია ახალი შთაბეჭდილებებისთვის. **პენსილვანიაში ინდიელთა სამრეწველო სკოლა კარლაილის დამაარსებელი კაპიტანი რიჩარდ პრატი 1892 წელს თავისი სკოლის ფილოსოფიას ასე აღწერდა: „მოკლა ინდიელი — გადაარჩინო ადამიანი“. სკოლის მოსწავლე ბავშვებს ეკრძალებოდათ მშობლიურ ენაზე ლაპარაკი, ისინი იძულებულნი იყვნენ, ჩაეცვათ უნიფორმა, შეეჭრათ თმა და დამორჩილებოდნენ უმკაცრეს დისციპლინას. რამდენიმე ბავშვმა გაქცევა მოახერხა, ზოგიერთი ავადმყოფობამ იმსხვერპლა, ბევრი კი — სამშობლოს მონატრებამ.**

**ბავშვები, რომლებიც მშობლებს ძალით წაართვეს, გაამწესეს სკოლებში, სადაც იძულებით დაავიწყეს მშობლიური ენა და ღირებულებები, ამ სკოლებიდან საზოგადოებაში დაბრუნებისას ყველასთვის უცხონი იყვნენ. ისინი უცხონი იყვნენ საკუთარ სამყაროშიც და თეთრკანიანთა სამყაროშიც.** ფილმში „ლაკოტას ქალები“ ამ ადამიანებს „ვაშლის ბავშვებს“ (გარედან წითელი, შიგნით თეთრი) უწოდებენ. ისინი ბოლომდე ყველასთვის უცხონი დარჩნენ, ვერ ჩაეწერნენ ვერც ერთ კულტურაში, კულტურული იდენტურობის დაკარგვა კი თვითმკვლელობებისა და ძალადობების უტყუარი წინაპირობაა. **გაუცხოების ყველაზე დამანგრეველი კომპონენტი საკუთარ ბედზე კონტროლის დაკარგვაა, საკუთარ მოგონებებზე, საკუთარ წარსულსა და მომავალზე კონტროლის დაკარგვა.**

კოლონიური აზროვნების იძულებითი ჩანერგვა ამერიკელი ინდიელების ბავშვების ტვინში თაობებს შორის კულტურული ღირებულებების გადაცემის ჩაშლის საშუალება იყო. **ეს იყო კულტურული გენოციდი, რომელიც ამერიკის ხელისუფლებამ ადგილობრივი მოსახლეობისთვის მიწების წართმევის კიდევ ერთ საშუალებად გამოიყენა.**

## იძულებითი გადასახლება

სხვათა მიწების ხელში ჩაგდების უძლები სურვილი საწყის მიზეზად რჩება, მაგრამ მრავალი ადამიანი ახლა მიიჩნევს, რომ **ინდიელთა გასახლება მათი ცოცხლად დარჩენის ერთადერთი საშუალება იყო. ვიდრე ინდიელები თეთრკანიანებთან უშუალო სიახლოვეს ცხოვრობდნენ, ისინი იხოცებოდნენ დაავადებების, ალკოჰოლისა და სიღატაკისგან.** 1830 წელს დაიწყო ინდიელთა გადასახლება. მთელი დასახლებების გადასახლება მაღალი სიკვდილიანობის მიზეზი გახდა. **ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო და სევდიანი ფურცელია ხუთი ცივილიზებული თემის — ჩოკტოს, კრიკსის, ჩიკასავების, ჩეროკებისა და სემინოლების გასახლება.** 1820 წლისთვის ჩეროკები, რომლებმაც ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითის მიხედვით შექმნეს წერილობითი კონსტიტუცია, დააარსეს გაზეთები, სკოლები და სახელმწიფო დაწესებულებები საკუთარ დასახლებულ პუნქტებში, შეეწინააღმდეგნენ გასახლებას. 1838 წელს ფედერალურმა ჯარებმა ჩეროკები ძალით გაასახლა. იმის გამო, რომ შტატების ხელისუფლებამ ეს აქცია ცუდად დაგეგმა, მხოლოდ გასახლებისას ოთხი ათასი ჩეროკი დაიღუპა. ეს შედეგი ცნობილია, როგორც ცრემლების ბილიკი. **ბოლოს და ბოლოს ასი ათასზე მეტმა ამერიკელმა ინდიელმა გადალახა მდინარე მისისიპი და დატოვა საკუთარი მიწა, რომელიც თეთრკანიანმა კოლონიზატორებმა წაართვეს.**

## სტერილიზაცია

გაეროს გენერალური ასამბლეის 1946 წლის რეზოლუციის II მუხლში წერია: გენოციდად მოიაზრება ქმედებები, რომლებიც განზრახ ხორციელდება რომელიმე ნაციონალური, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის, როგორც ასეთის, მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების მიზნით, ზომები, რომლებიც ამგვარ ჯგუფებში შთამომავლობის გაჩენის აღსაკვეთადაა მიმართული.

1970-იანი წლების შუა პერიოდში ინდიელ ექიმ ჩოკტოს მიმართა 26 წლის ინდიელმა ქალმა. როგორც აღმოჩნდა, მას სტერილიზაცია გაუკეთეს 20 წლის ასაკში ინდიელთა ჯანდაცვის სამსახურის საავადმყოფოში, რომელიც ოკლაჰომას შტატში მდებარეობდა. შედეგად გაირკვა, რომ **ინდიელი ქალების 75%-მა ისე მოაწერა ხელი სტერილიზაციაზე თანხმობას, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ რას ნიშნავს ეს ან მხოლოდ დროებითი მოვლენა ეგონა.**

ჟურნალისტმა, რომელიც ამ თემაზე ატარებდა გამოძიებას, დაადგინა, რომ **ინდიელთა ჯანდაცვის სამსახურები წელიწადში 3000 ქალს უტარებდნენ სტერილიზაციას, ეს კი ფერტილური ასაკის მოსახლეობის 4-6 პროცენტია.** დოქტორმა რავენხოლდმა, რომელიც დასახლების საკითხებს კურირებდა ფედერალური ხელისუფლების სამმართველოში, მოგვიანებით დაადასტურა, რომ ქირურგიული სტერილიზაცია შობადობის რეგულირების საქმეში დღითიდღე სულ უფრო პოპულარული ხდებოდა.

## ინტელექტუალური სიმდიდრე

ამერიკელი ინდიელები თავს კომფორტულად გრძნობდნენ იმ გარემოში, რომელიც მაქსიმალურად ახლოს იყო ბუნებასთან. მათთვის გარემო წმიდათაწმიდაა, მას კოსმოსური მნიშვნელობა აქვს, სამოთხეა სიცოცხლის ყველა ფორმისთვის და იმსახურებს არა მხოლოდ დაცვას, არამედ თაყვანისცემასაც. ის არის დედა, რომელიც სიცოცხლეს ბადებს და რომელზე ზრუნვაც აუცილებელია. ამაში ღრმა აზრი დევს ეკოლოგიური თვალსაზრისით.

ევროპელების დამოკიდებულება მიწისადმი სულ სხვაგვარია. მათთვის მიწა არის უსულო მატერია, რომლითაც შეიძლება მანიპულირება და რომელსაც საკუთარი სურვილისამებრ შეცვლი. ევროპელები ბუნებრივ სიმდიდრეს პირადი გამორჩენისთვის იყენებენ.



**ინდიელთა გასახლება მათი ცოცხლად დარჩენის ერთადერთი საშუალება იყო. ვიდრე ინდიელები თეთრკანიანებთან უშუალო სიახლოვეს ცხოვრობდნენ, ისინი იხოცებოდნენ დაავადებების, ალკოჰოლისა და სიღატაკისგან**

## საბოლოო გადაწყვეტა

**ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელთა პრობლემის „საბოლოო გადაწყვეტა“ მოდელად იქცა შემდგომში ებრაელთა ხოლოკოსტისა და სამხრეთაფრიკული აპარტეიდისთვის.**

რატომ მალავენ საზოგადოებისაგან ისტორიაში ყველაზე დიდ ხოლოკოსტს? იმიტომ ხომ არა, რომ ეს იმდენად დიდხას გრძელდებოდა, უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა? უნდა აღინიშნოს, რომ **ამ ხოლოკოსტის შესახებ ინფორმაცია შეგნებულად არის ამოშლილი არა მხოლოდ ჩრდილოეთ ამერიკის, არამედ მთელი მსოფლიოს მოსახლეობის ცოდნისა და ცნობიერების ბაზიდან.**

მოსწავლეებს ახლაც ასწავლიან, რომ ამერიკის ჩრდილოეთით დიდი ტერიტორიები დაუსახლებელი იყო, მაგრამ ევროპელებამდე იქ ამერიკელი ინდიელების ქალაქები ყვაოდა. მეხიკოში უფრო მეტი მოსახლეობა ცხოვრობდა, ვიდრე ევროპის ნებისმიერ ქალაქში. ადამიანები ჯანმრთელები იყვნენ და კარგად იკვებებოდნენ. პირველი ევროპელები დამარცხდნენ — ძირველი მოსახლეობის მიერ კულტივირებული პროდუქტები საერთაშორისო აღიარებას იმსახურებდა.

**ჩრდილოამერიკელი ინდიელების ხოლოკოსტი სამხრეთაფრიკულ აპარტეიდზე და ებრაელთა გენოციდზე საშინელი მოვლენაა. მაგრამ სად დგას ძეგლები? სად ტარდება მემორიალური ცერემონიები? ომისშემდგომი გერმანიისგან განსხვავებით, ჩრდილოეთ ამერიკა არც აცხადებს ინდიელთა გენოციდის აღიარებაზე. ხელისუფლებას არ სურს, გამოტყდეს, რომ ეს იყო ადგილობრივი ძირძველი მოსახლეობის განადგურების სისტემური გეგმა.**

ისევე, როგორც ებრაელთა გენოციდის შემთხვევაში, ეს გეგმა არ იქნებოდა ამდენად ეფექტური საკუთარი ხალხის გამყიდველების გარეშე. პირდაპირი ხოცვის პოლიტიკა შიგნიდან განადგურების სტრატეგიით შეიცვალა. ამ გენოციდის რთული კამპანიები შემუშავდა აშშ-ისა და კანადის ხელისუფლებათა ყველაზე მაღალ დონეებზე. ეს შენიღბვა ამ დრომდეც გრძელდება.

ტერმინი „საბოლოო გადაწყვეტა“ ნაცისტებს არ მოუგონიათ. მისი ავტორი ინდიელთა საქმეთა მმართველი იყო, რომელიც ასე „ზრუნავდა“ ინდიელთა პრობლემაზე და ამბობდა: **„ვაღიარებთ, რომ ინდიელი ბავშვები კარგავენ დაავადებებისადმი ბუნებრივ წინააღმდეგობას და იხოცებიან უფრო ხშირად, ვიდრე თავიანთ სოფლებში. მაგრამ ეს თავისთავად არ წარმოადგენს საფუძველს დეპარტამენტის იმ პოლიტიკის შეცვლისთვის, რომელიც მიმართულია ჩვენი ინდიელთა პრობლემის საბოლოო მოგვარებისკენ“.**

**ამერიკის ევროპულმა კოლონიზაციამ სამუდამოდ შეცვალა ძირძველი ამერიკელების ცხოვრება, კულტურა. მათი დასახლებები გაძარცვეს, მათი ხალხი გაწყვიტეს, დანარჩენები — დაიმონეს.**

## უფლის სახელით

მარლონ ბრანდომ ამერიკელი ინდიელების გენოციდს თავის ბიოგრაფიაში რამდენიმე გვერდი მიუძღვნა.

**„მას შემდეგ, რაც მიწები წაართვეს, ცოცხლად გადარჩენილები რეზერვაციაში გაყარეს, ხელისუფლებამ კი მათ მიუგზავნა მისიონერები, რომლებიც ინდიელებს აიძულებდნენ, ქრისტიანებად მოქცეულიყვნენ. მას შემდეგ, რაც ამერიკელი ინდიელებით დავინტერესდი, გავარკვიე, რომ მათ ადამიანებადაც კი არ თვლიდნენ და ასე იყო თავიდანვე“.**

კოტონ მატერი, ჰარვარდის კოლეჯის მასწავლებელი და გლაზგოს უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, მინისტრი-პურიტანელი, მწერალი და პუბლიცისტი, სალემელი ალქაჯების კვლევებით სახელგანთქმული მოღვაწე ინდიელებს სატანის შვილებს ადარებდა და ღვთის ნებად მიიჩნევდა, დაეხოცათ წარმართი ველურები, რომლებიც ქრისტიანობას გზაზე ეღობებოდნენ.

1864 წელს ამერიკული არმიის პოლკოვნიკი ჯონ შევინტონი, რომელიც ჰაუბიცებით ცხრილავდა ინდიელთა სოფლებს, ამბობდა, რომ ინდიელი ბავშვების შებრალება არაა საჭირო, რადგან პარაზიტისგან პარაზიტი იზრდება. მან თავის ოფიცრებს უთხრა: **„მე მოვედი, რომ დავხოცო ინდიელები და ვთვლი, რომ ეს ჩემი უფლება და საპატიო მოვალეობაა. საჭიროა ცისქვეშეთში ყველა საშუალების გამოყენება, რათა დავხოცოთ ინდიელები“.**

**ჯარისკაცები ინდიელებს აჭრიდნენ ყველაფერს, რისი მოჭრაც კი შეიძლებოდა, სკალპიდან დაწყებული, მკერდით დამთავრებული, მათი სხეულების ნაწილებისგან აკეთებდნენ თილისმებს ან, უბრალოდ, მონაგარად აგროვებდნენ და შემდეგ დენვერის ოპერის თეატრში გამოფენდნენ ხოლმე სიამაყით, როგორც ნამდვილ განვითარებულ, კულტურულ და ღვთისნიერ ცივილიზატორებს შეეფერებათ...**



**ამერიკის ევროპულმა კოლონიზაციამ სამუდამოდ შეცვალა ძირძველი ამერიკელების ცხოვრება, კულტურა. მათი დასახლებები გაძარცვეს, მათი ხალხი გაწყვიტეს, დანარჩენები — დაიმონეს**

anarcho-news.com

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„პრობლემა გაცილებით უფრო სერიოზულია, ვიდრე ხელისუფლებისთვის ხდება ცნობილი. ქალები ხშირად მალავენ სექსუალურ ძალადობას, რადგან თვლიან, რომ მათ სერიოზულად არ მიიღებენ. არსებობს თავად მსხვერპლის დადანაშაულების ტენდენციაც. გარდა ამისა, სექსუალური ძალადობის შესახებ საქმეებზე ძალზე ცოტა საბრალდებო დასკვნა გამოაქვთ. ამ ყველაფრის შემდეგ კი ძალადობის მსხვერპლნი მუდამ ფიქრობენ, ღირს თუ არა მომხდარის შესახებ გაცხადება, რადგან იციან, რომ სიმართლის დასამტკიცებლად ძალზე დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ.“**

# სექსუალური ძალადობის უცნობი მსხვერპლნი



**შარშან ბრიტანეთის უნივერსიტეტების ხელმძღვანელობამ დაარეგისტრირა სექსუალური აგრესიის დაახლოებით 100 შემთხვევა. როგორც გაირკვა, სექსუალური ძალადობის შესახებ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას მსხვერპლთა მხოლოდ მცირე ნაწილი უმხელს. სტუდენტური „მაჩიზმის კულტურა“, რომელიც უკვე მოიცავს ყველა უბედურებას, რისი წარმოდგენაც კი შეიძლება — ხმაურიანი ღრეობებიდან დაწყებული, სექსუალური ძალადობებით დამთავრებული, უკვე ნაციონალურ პრობლემად იქცა.**

მიუხედავად იმისა, რომ მასმედიაში უკვე მრავალჯერ გაიჟღერა „მაჩიზმის“ პრობლემამ, უნივერსიტეტებს ამ დრომდეც სუსტი წარმოდგენა აქვთ ამ მოვლენის მასშტაბებზე.

**ახალი მონაცემების თანახმად, შარშან ბრიტანეთის 71 უნივერსიტეტში სექსუალურ ძალადობათა საერთო რაოდენობამ თითქმის 100-ს მიაღწია. „გარდიანმა“ „ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“ კანონის თანახმად, აღნიშნული ინფორმაცია ყველა უნივერსიტეტისგან მოითხოვა, მაგრამ მხოლოდ მათი მონაცემების მიხედვით, ვინც მოთხოვნაზე საპასუხოდ მონაცემები გაგზავნა რედაქციაში, ბრიტანეთის უნივერსიტეტებში შარშან გაუპატიურების 98 შემთხვევა აღირიცხა.**

მრავალ უნივერსიტეტში განაცხადეს, რომ 2012 წელს მომხდარ მსგავს დანაშაულებზე არაფერი სმენიათ. მიუხედავად იმისა, რომ ასეა თუ ისე პოლიცია მაინც აფიქსირებს სექსუალური ძალადობის ზოგიერთ შემთხვევას, აღმოჩნდა, რომ თავად უნივერსიტეტებს წარმოდგენა არ აქვთ, თუ რა ხდება სინამდვილეში მათ სტუდქალაქებში.

ის, რომ მსხვერპლთ სურვილი არ აქვთ, განაცხადონ მომხდარის შესახებ, იმაზე მიანიშნებს, რომ ოფიციალური სტატისტიკა რეალობას მალავს და ახლოსაც კი არ დგას პრობლემის ნამდვილ მასშტაბებთან: სტუდენტი გოგონების დიდი რაოდენობა მუდმივად ხდება სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, არასასურველი სქესობრივი კავშირები და სექსუალური ძალადობა ლამის ჩვეულებრივ ამბად იქცა.

მიუხედავად ამისა, არამხოლოდ თავად სტუდენტებს შორის, არამედ მასმედიაშიც დამკვიდრებული ტენდენციისა და „მაჩისტური“ დამოკიდებულების გამო მომხდარში ხშირად თავად მსხვერპლთ ადანაშაულებენ. ამის გამო ძალადობაგამოვლილი სტუდენტები, როგორც წესი, მომხდარის შესახებ დუმილს ამჯობინებენ ხოლმე. მსხვერპლთა გარკვეულ ნაწილს სიმართლის თქმის რცხვენია, ნაწილი თვლის, რომ მომხდარი მათვე დაბრალდებათ, ნაწილი კი თვლის, რომ არ დაუჯერებენ.

**ბრიტანეთში არსებობს ისეთი საიტები, როგორიცაა, მაგალითად, Unilad-ი, რომელიც ხუმრობით აღნიშნავს, რომ გაუპატიურება მოულოდნელი სექსია. გარდა ამისა, სოციალურ ქსელებში საკუთარ გვერდებზე სტუდენტები თავიანთ თანაკურსელებზე ანონიმურ ინფორმაციას წერენ, ემუქრებიან გოგონების უსაფრთხოებასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობას.**

**ძალადობის დაურეგისტრირებელი შემთხვევების პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს ამ თემაზე სერიოზული კვლევების არარსებობაც.**

ნაციონალურმა სტუდენტურმა კავშირმა დიდ ბრიტანეთში მხოლოდ 2010 წელს გამოაქვეყნა პირველი ნაციონალური კვლევა იმ დევნის, სისასტიკისა და სექსუალური ძალადობის შესახებ, რომლის მსხვერპლნიც ხდებიან სტუდენტი გოგონები. ანგარიშის ავტორებმა მაშინ 2000 სტუდენტი გამოკითხეს. დასკვა: ყოველი მეშვიდე სტუდენტი გოგონა სერიოზული ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ხდება.

ანგარიშში ასევე საუბარია იმაზე, რომ სერიოზული სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გოგონებიდან მხოლოდ 4% ატყობინებს ამის შესახებ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და მხოლოდ 10% — პოლიციას. მათი ნახევარი, ვინც არ გაამხილა მომხდარი, ამბობდა, რომ სიმართლე სირცხვილის გამო დამალეს, მხოლოდ 43%-ს შეეშინდა, რომ მომხდარში თავად მათვე დაადანაშაულებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ პირველი კვლევის შემდეგ კიდევ მრავალი კვლევა ჩატარდა, ანგარიშებში მოცემული ინფორმაცია სრული არასდროსაა. ნაციონალურმა სტუდენტურმა საბჭომ ახლახანაც ჩაატარა კვლევა „მეჩიზმის კულტურა“, რომელშიც განხილულ იქნა მრავალი საკითხი ქალთმოძულე ხუმრობებიდან სექსუალურ ძალადობამდე. გამოიკითხა მხოლოდ 40 ქალი, ეს კი ძალიან ცოტაა იმისათვის, რომ პრობლემის სრული მასშტაბები დადგინდეს.

სამაგიეროდ, იორკის უნივერსიტეტის სტუდენტურმა საბჭომ ხუთჯერ უფრო მეტი ქალი გამოკითხა და ყველას ჰკითხა, გამხდარა თუ არა ოდესმე სექსუალური ძალადობის მსხვერპლი. შედეგი იგივეა — ძალადობის მსხვერპლნი ძალიან იშვიათად ამხელენ მომხდარს.

## ძალადობის დაურეგისტრირებელი შემთხვევების პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს ამ თემაზე სერიოზული კვლევების არარსებობაც

ბრიტანეთის ნაციონალური სტუდენტური საბჭოს ქალთა საკითხების მმართველმა კელი ტემპლმა განაცხადა: „პრობლემა გაცილებით უფრო სერიოზულია, ვიდრე ხელისუფლებისთვის ხდება ცნობილი. ქალები ხშირად მალავენ სექსუალურ ძალადობას, რადგან თვლიან, რომ მათ სერიოზულად არ მიიღებენ. არსებობს თავად მსხვერპლის დადანაშაულების ტენდენციაც. გარდა ამისა, სექსუალური ძალადობის შესახებ საქმეებზე ძალზე ცოტა საბრალდებო დასკვნა გამოაქვთ. ამ ყველაფრის შემდეგ კი ძალადობის მსხვერპლნი მუდამ ფიქრობენ, ღირს თუ არა მომხდარის შესახებ გაცხადება, რადგან იციან, რომ სიმართლის დასამტკიცებლად ძალზე დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ.“

მიუხედავად იმისა, რომ სექსიზმმა, შესაძლოა, მიიღო „მაჩიზმის“ ახალი სახე, მისი საფუძველი და ფარული პრობლემები ახალი არ არის. იმის გათვალისწინებით, რომ ეს მოვლენა პრობლემათა უდიდეს წრეს მოიცავს, ტერმინი „მაჩიზმის კულტურა“ ამ პრობლემათა ზუსტი განსაზღვრებისთვის არ გამოდგება და თავისი ფართო გამოყენებით მას ან შეარბილებს, ან გაამწვავებს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: უნივერსიტეტებში — დაწესებულებებში, რომლებიც, მრავალთა აზრით, ტოლერანტულობისა და კულტურული მრავალფეროვნების კერებს წარმოადგენენ, სექსიზმისა და ძალადობის სერიოზული პრობლემები დგას, ეს კი მთელი ბრიტანული საზოგადოების პრობლემაა...

**The Guardian**

# ობამას აშშ-ის არმიაში სექსუალური დანაშაულების აღკვეთა სურს



**აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა მერილენდის შტატში მდებარე ანაპოლისში სამხედრო-საზღვაო აკადემიის კურსდამთავრებულთა მიმართ ოფიციალურ მიმართვაში იძულებული გახდა, ამერიკის სამხედრო მოსამსახურეთა რიგებში გახშირებულ სექსუალურ დანაშაულებათა თემას შეხებოდა.**



კურსანტების წინაშე გამოსვლისას პრეზიდენტმა მოუწოდა მათ, მისდიონ ყველაზე მაღალ ეთიკურ სტანდარტს და არ დასცენ ამერიკელი სამხედროების მორალური სულისკვეთება.

**„ის, ვინც სექსუალურ ძალადობს სჩადის, არამხოლოდ აშავებს, არამედ საფრთხის წინაშე აყენებს ნდობასა და დისციპლინას, რის გარეშეც ჩვენი შეიარაღებული ძალები არ იქნება ძლიერი. ამიტომ ჩვენ ვალდებულნი ვართ, ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ შევაჩეროთ ეს დანაშაულები. ეს არ უნდა არსებობდეს დედამიწაზე საუკეთესო შეიარაღებულ ძალებში“,** — განაცხადა ობამამ.

უკანასკნელი რამდენიმე კვირის მანძილზე აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში მომხდარი რამდენიმე სექსუალური ძალადობის ფაქტი გახდა მსჯელობის საგანი. ეს დანაშაულები გახდა საბაბი სერჟანტებისა და ოფიცრების წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი ბრალდებებისთვის. პრობლემამ ამერიკული საზოგადოების ყურადღება მიიპყრო და პრეზიდენტი პირადად ჩაერია უსიამოვნო სიტუაციის მოგვარების საქმეში. მან თეთრ სახლში დაიბარა თავდაცვის მინისტრი ჩაკ ჰეიგელი და აშშ-ის შეიარაღებულ ძალთა შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალი მარტინ დემპსი.

თათბირის შემდეგ ობამამ განაცხადა, რომ პენტაგონისა და შტაბების მეთაურთა კომიტეტის ხელმძღვანელები, ისევე, როგორც სხვა ამერიკელი სამხედრო მეთაურები, შეძრწუნებულნი არიან ზოგიერთი თავიანთი დაქვემდებარებულის ქცევით.

**„მათთვის ეს სულ ერთი არ არის და ისინი განრისხებულნი არიან,** — განაცხადა პრეზიდენტმა. — **მათ მე პირდაპირ მითხრეს, რომ რცხვენიათ იმის გამო, რაც მოხდა“.** ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პირობა დადო, რომ გააკეთებს ყველაფერს, რაც კი შესაძლებელია, რათა არ დაუშვას მომავალში ამერიკელ სამხედროებს შორის რაიმე მსგავსი შემთხვევა.

ახლახან პენტაგონმა თავის სპეციალურ ანგარიშში განაცხადა, რომ შარშან ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში მოხდა სექსუალური ძალადობის 26 ათასი ფაქტი, რაც წინა წლის ანალოგიურ მონაცემებზე 37%-ით მეტია. ამასთან, დაზარალებულებმა თავიანთ უფროსობას მომხდარის შესახებ ოფიციალურად მხოლოდ 3374 შემთხვევისას აცნობეს.

**kp.ru**

იმ დროს, როდესაც ზოგიერთი, განსაკუთრებით კონგრესის ზედმეტად საომარი განწყობის მქონე რესპუბლიკელები, ირწმუნებიან, რომ ომი აუცილებლად უსასრულოდ უნდა გაგრძელდეს, ობამამ მთელ მსოფლიოს განუცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უნდა დაუბრუნდეს იმ მდგომარეობას, რომლის დროსაც ტერორიზმთან ბრძოლით დაკავებულნი არიან უშუალოდ სამართალდამცავი ორგანიზაციები და დაზვერვა, როგორც ეს იყო 2001 წლამდე.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უსასრულო ომის დასასრული

**ბარაკ ობამას რამდენიმე დღის წინანდელი გამოსვლა იქცა ყველაზე მნიშვნელოვან განცხადებად კონტრტერორისტულ პოლიტიკაში 2001 წლის ტერაქტების შემდეგ და ამ დროიდან დაწყებულ ეპოქაში ამერიკისთვის ნამდვილი შემობრუნების წერტილი გახდა.**



იმ დროიდან მოყოლებული, პირველად პრეზიდენტმა ცხადად და ერთმნიშვნელოვნად მიანიშნა, რომ იმ პერმანენტური ომის მდგომარეობა, რომელიც თითქმის 12 წლის წინ დაიწყო, მიუღებელია დემოკრატიისთვის და ახლო მომავალში უნდა შეწყდეს.

**„ტერორისტული ორგანიზაციების გასანადგურებლად ჩვენი სისტემატური ძალისხმევა უნდა გაგრძელდეს, მაგრამ ეს ომი, ისევე, როგორც ყველა სხვა, უნდა დასრულდეს. ეს არის ის, რასაც ისტორია გვირჩევს. ეს არის ის, რასაც მოითხოვს ჩვენი დემოკრატია“,** — განაცხადა ობამამ ნაციონალური თავდაცვის უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას.

დიდი ნაწილი იქიდან, რაც ახლა თქვა ობამამ, რამდენიმე წლის წინ უნდა ყოფილიყო თქმული. ობამა და მისი წინამორბედი, პრეზიდენტი ბუში სარგებლობდნენ საომარი მდგომარეობით ჯერ კიდევ ავღანეთში სანქცირებული შეჭრითა და „ალ ქაიდას“ თუ 11 სექტემბრის ტერაქტების სხვა ორგანიზატორების დევნით დაწყებული, რათა გაემართლებინათ ისეთი საგანგებო ქმედებები, როგორიცაა ბრალდების წაყენების გარეშე ადამიანთა უვადოდ დაპატიმრება და ტერორიზმში ეჭვმიტანილთა წერტილოვანი განადგურება.

**იმ დროს, როდესაც ზოგიერთი, განსაკუთრებით კონგრესის ზედმეტად საომარი განწყობის მქონე რესპუბლიკელები, ირწმუნებიან, რომ ომი აუცილებლად უსასრულოდ უნდა გაგრძელდეს, ობამამ მთელ მსოფლიოს განუცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უნდა დაუბრუნდეს იმ მდგომარეობას, რომლის დროსაც ტერორიზმთან ბრძოლით დაკავებულნი არიან უშუალოდ სამართალდამცავი ორგანიზაციები და დაზვერვა, როგორც ეს იყო 2001 წლამდე.** ეს ცვლილება აუცილებელია როგორც დემოკრატიული სისტემის, ასევე კანონის უზენაესობის შესანარჩუნებლადაც, რისთვისაც იბრძვის ამერიკის შეერთებული შტატები. ეს ასევე საჭიროა მსოფლიოში მისი ძალზე შებღალული იმიჯის აღსადგენადაც.

ობამამ ბრძანა, რომ კანონი შეიარაღებული ძალების გამოყენების სანქცირების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ, უნდა შეიცვალოს, რომ ამერიკა მუდმივად ომის მდგომარეობაში არ დარჩეს. მან დასძინა: **„თუ ჩვენ არ მოვთოკავთ ჩვენს აზროვნებასა და ქმედებას, შეიძლება ჩავეფლოთ ახალ ომებში, რომლებიც ჩვენ არ გვჭირდება, ან განვაგრძობთ პრეზიდენტებისთვის შეუზღუდავი უფლებების მინიჭებას, რაც უფრო მეტად შეეფერება სახელმწიფოთა შორის კონფლიქტების სიტუაციას“.**

ობამას არ უთქვამს, კონკრეტულად რით შეიცვლება კანონი, მაგრამ პირობა დადო: „მე ხელს არ მოვაწერ კანონებს, რომლებიც მიმართული იქნება ამ მანდატის შემდგომი გაფართოებისკენ“. გამოსვლისას ობამამ ასევე ისაუბრა მთელ რიგ საკითხებზე, რომლებიც ამერიკის წინაშე 2001 წლის შემდეგ დადგა, მათ შორის — ნაციონალური უსაფრთხოების, ტერორიზმთან ბრძოლისა და სამოქალაქო თავისუფლებათა საკითხებზე.

**The New York Times**

# ობამამ ამერიკას უფრო მეტი ვალი დაადო, ვიდრე სხვა ყველა წინამორბედმა პრეზიდენტმა ერთად

**ვალები, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებს ბარაკ ობამას პრეზიდენტობის პერიოდში დაედო, ქვეყანას შეუძლია გადაიხადოს 184 წლის მანძილზე, თუ ფულს წამში 1 დოლარის სიჩქარით დააბრუნებს. ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტი გაიზარდა, იზრდება იმ მოსახლეობის რაოდენობა და პროცენტული წილი, რომელიც სახელმწიფო შემწეობების ხარჯზე ცხოვრობს.**

ამერიკის ახლანდელი პრეზიდენტის მიერ ფინანსურ კრიზისთან საბრძოლველად მოფიქრებულმა და განხორციელებულმა ზომებმა ქვეყანა კიდევ უფრო ღრმა სავალე ორმოში ჩააგდო. ამერიკის ეკონომიკის თემაზე არაერთი ძნელად დასაჯერებელი ფაქტია ცნობილი, მაგრამ მათი ერთად შეკრება სურათს მეტნაკლებად სრულად ასახავს. ობამას პრეზიდენტობის პერიოდში აშშ-ის ხელისუფლებას რეკორდული რაოდენობის ვალი დაედო. **ამჟამად ქვეყნის ნაციონალური ვალი 17 ტრილიონ დოლარს უტოლდება, საერთო ჯამში სახელმწიფო ვალი, ანუ ბიზნესების ვალი და მოსახლეობის სამომხმარებლო კრედიტებთან დაკავშირებული ვალები ერთად 56 ტრილიონ დოლარს აღწევს.**



იმ ამერიკელთა რაოდენობა, რომლებიც სახელმწიფოსგან შემწეობას იღებენ ინვალიდობის გამო, საბერძნეთის მოსახლეობის საერთო რაოდენობას აღემატება, ხოლო სასურსათე ტალონებით მოარსებე ამერიკელთა რაოდენობამ, უკვე კარგა ხანია, გადააჭარბა ესპანეთის მთელი მოსახლეობის რაოდენობას.

**თუ ამერიკა დაიწყებს წამში 1 დოლარის სიჩქარით თავისი საბიუჯეტო ვალის დაფარვას, ეს ვალი მხოლოდ 184 წლის შემდეგ დაიფარება.**

ბოლოდროინდელი გამოკითხვების შედეგების თანახმად, ამერიკაში უკვე 146 მილიონი მოქალაქე ცხოვრობს სიღატაკეში. ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ბრწყინვალედ ვერ ეწყობა ვერც სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობები. 2010 წელს სავაჭრო ბალანსის დეფიციტი მექსიკასთან 61,6 მილიარდი დოლარით განისაზღვრებოდა, ჩინეთთან ანალოგიურმა მაჩვენებელმა გასულ წელს 315 მილიარდი დოლარი შეადგინა.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ნელ-ნელა დაკარგა ოცნების ქვეყნის სტატუსი, თუ 1988 წელს ამერიკა იყო პირველ ადგილზე იმ ქვეყნებს შორის, რომლებშიც ადამიანი ისურვებდა დაბადებას, წელს მან ამ რეიტინგში მე-16 ადგილზე გადაინაცვლა.

2013 წლის აპრილში დასავლურმა მასმედიამ ჩაატარა გამოკითხვა და მივიდა დასკვნამდე, რომ ამერიკის პრეზიდენტის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ გოლფის თამაშს უფრო მეტი დრო დაუთმო, ვიდრე საკუთარი ქვეყნის ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას.

**earth-chronicles.ru**

# ბავშვები სოდომისტების ოჯახებიდან: შოკისმომგვრელი სტატისტიკა



**ახალი კვლევების თანახმად, გარყვნილთა ოჯახები სახიფათო საარსებო გარემოა ბავშვებისთვის. ოსტანსკის უნივერსიტეტის (აშშ) ამერიკელი სოციოლოგის, მარკ რეგნერუსის, კვლევამ, რომელშიც ამ დროისთვის არსებულ ანალოგიურ კვლევებთან შედარებით რესპონდენტთა რეკორდულად დიდმა რაოდენობამ — 3000-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, აჩვენა იმ ბავშვების ცხოვრების საზარელი რეალიები, რომლებიც სოდომიტების ოჯახებში იზრდებიან. ეს გამოკვლევა ეყრდნობა იმ უკვე ზრდასრული ადამიანების მონათხრობებს, რომლებსაც ბავშვობაში გარყვნილ „ოჯახებში“ ზრდიდნენ.**

**ერთსქესიანი წყვილების ბავშვების 12% თვითმკვლელობას გეგმავდა. იმ ბავშვებს შორის, რომლებიც ჩვეულებრივ ჰეტეროსექსუალურ ოჯახებში იზრდებიან, ეს მაჩვენებელი 5%-ს არ აღემატება. ზრდასრულ ასაკში ერთსქესიან წყვილებთან გაზრდილი ბავშვები მიდრეკილნი არიან ცოლქმრული ღალატისკენ — 40% ნორმალურ ოჯახებში გაზრდილთა შორის არსებული 13%-ის წინააღმდეგ. ერთსქესიან ოჯახებში გაზრდილთა 28% უმუშევარია, ჩვეულებრივ ოჯახებში გაზრდილთა შორის კი ეს მაჩვენებელი 8%-ს არ აღემატება. სოდომიტურ ოჯახებში მცხოვრები ბავშვები ბავშვობაშივე ხდებიან იძულებულნი, გაცილებით უფრო ხშირად მიმართონ ფსიქოთერაპევტს, ვიდრე ჰეტეროსექსუალური ოჯახების მათი თანატოლები აკეთებენ ამას — 19% 8%-ის წინააღმდეგ.**

ერთსქესიანი წყვილების აღზრდილთა 40%-ს ვენერიული დაავადებები აღმოაჩნდა მაშინ, როდესაც ჰეტეროსექსუალურ ოჯახებში გაზრდილ მათ თანატოლთა შორის ეს მაჩვენებელი ხუთჯერ ნაკლებია.

აშშ-ის სოდომიტურმა ორგანიზაციებმა რეგნერუსის აღნიშნული კვლევის წინააღმდეგ დიდი კამპანია წამოიწყეს და სხვა ყველაფერთან ერთად უნივერსიტეტიდან მის გაგდებასაც მოითხოვდნენ. მაგრამ სულ ახლახან ოსტინის უნივერსიტეტმა გამოაქვეყნა რეგნერუსის შედეგების სამეცნიერო საიმედოობასთან დაკავშირებული შიდა გამოძიების შედეგები.

**„ოსტინში ტეხასის უნივერსიტეტი ადასტურებს, რომ არ ატარებს სამსახურებრივ გამოძიებას სამეცნიერო ტყუილთან დაკავშირებით პროფესორ მარკ რეგნერუსის წინააღმდეგ. ჩვენი მონაცემების თანახმად, ამგვარი გამოძიებისთვის არანაირი მტკიცებულებები არ არსებობს, ამიტომ ამ საკითხს უნივერსიტეტი ამოწურულად მიიჩნევს. უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულმა შიდა გამოძიებამ კვლევა და მისი შედეგები, მეცნიერების თვალსაზრისით, ლეგიტიმურად ჩათვალა“,** — აღნიშნულია უნივერსიტეტის განცხადებაში.

**earth-chronicles.ru**

პრემიერ-მინისტრის საყურადღებოდ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აგრარიკოსი მეცნიერები იმედოვნებენ, რომ იმ ვითარებაში, როცა მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულ მიმართულებადაა გამოცხადებული, ჩვენ მიერ შეთავაზებული წინადადებების განხორციელება არ გაძნელდება.**

# აგრარული მეცნიერების დღევანდელი პრობლემები

**აგრარული მეცნიერების ამჟამინდელმა მძიმე მდგომარეობამ გადაგვაწყვეტინა ამ სტატიის გამოქვეყნება, რათა ჩვენ, ყველამ ერთობლივი ძალისხმევით შევძლოთ, გადავარჩინოთ ის, რაც ჯერ კიდევ შემორჩა ოდესღაც ძლიერი აგრარული პროფილის კვლევითი ინსტიტუტებიდან.**



კარგადაა ცნობილი, რომ ინსტიტუტები 1990 წლიდან 2006 წლამდე ექვემდებარებოდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას. ამ პერიოდში სოფლის მეურნეობაში არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც აკადემიის სისტემის კვლევით ორგანიზაციებს თავისი სიტყვა არ ეთქვათ. ჩვენი მეცნიერების მიერ შექმნილი და დარაიონებული არის ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების მრავალრიცხოვანი ჯიშები და ჰიბრიდები, რომლებიც ხასიათდება მაღალი მოსავლიანობით, ადგილობრივი პირობებისადმი კარგი შემგუებლობითა და ხარისხით. დამუშავებულია: ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ეფექტიანი ღონისძიებები; ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების მოვლა-მოყვანის პროგრესული ტექნოლოგიები; მცენარეთა და ცხოველთა ადგილობრივი ჯიშების გენეტიკური რესურსების შენახვისა და გამოყენების ღონისძიებები; მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის ღონისძიებები; ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური საშუალებები; ახალი მაღალხარისხოვანი კვების პროდუქტების მიღების ტექნოლოგიები და სხვა მრავალი, რომელთა პრაქტიკული გამოყენებაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჩვენი მოსახლეობის დაკმაყოფილებას ადგილობრივი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციით, რაც შემდგომში უნდა გახდეს ევროპის ბაზარზე მათი გატანისა და ქართული სოფლის აღმავლობის გარანტი.

**კვლევითი ორგანიზაციების დაკნინება დაიწყო მას შემდეგ, რაც 2006 წელს მთავრობის დადგენილებით** (№58, 16.03.2006) **ინსტიტუტები ჯერ გამოეყო აკადემიას და დაექვემდებარა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შემდეგ კი 2010 წლიდან შეუერთდა აგრარულ უნივერსიტეტს** (არასამეწარმეო იურიდიული პირი), **რომელსაც ვერ ექნებოდა და არც აქვს სახელმწიფოებრივი ინტერესები.** ყოველივე ამის გამოა, რომ **1200 მეცნიერი მუშაკიდან, რომლებიც აკადემიის სისტემაში იყვნენ, ამჟამად მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობაა დარჩენილი და მათი დაფინანსება ხდება პრობლემების და არა ინსტიტუტების მიხედვით; სამსახურიდან გათავისუფლებულია მრავალი სპეციალისტი** (მათ შორის, მეცნიერებათა დოქტორები), **რომელთა მონაწილეობა კვლევით პროცესში აუცილებელია.** მაგალითისთვის, **დღეს სისტემაში არც ერთი სპეციალისტი აღარაა დარჩენილი, რომელიც შეისწავლის ვაზის თუ ხეხილის მავნებლებს, დაავადებებსა და სარეველებს.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

**აგრარული პროფილის კვლევითი ინსტიტუტები კვლევითი ცენტრების სახით უნდა დაბრუნდეს ან უნდა შეიქმნას ახალი სტრუქტურული ერთეულები სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ოთხი კვლევითი ცენტრის შექმნა:**

**მემცენარეობის კვლევითი ცენტრი, რომელიც გააერთიანებს შემდეგ დარგებს: მევენახეობას, მეხილეობას, მეჩაიეობას, მეციტრუსეობას, მემინდვრეობას, მებოსტნეობას, მეტყევეობას;**

**აგრარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის კვლევითი ცენტრი, რომელიც გააერთიანებს შემდეგ დარგებს: მცენარეთა დაცვას, აგროქიმიას, ნიადაგმცოდნეობას, მელიორაციას, მექანიზაციას, ელექტრიფიკაციას, ბიოტექნოლოგიას, რადიობიოლოგიას, აგროეკოლოგიას;**

**მეცხოველეობის კვლევითი ცენტრი, რომელიც გააერთიანებს შემდეგ დარგებს: მეცხოველეობას, ვეტერინარიას, საკვებწარმოებას, მეფუტკრეობას, მეფრინველეობას;**

**კვების პროდუქტების გადამუშავების კვლევითი ცენტრი, რომელიც გააერთიანებს შემდეგ დარგებს: მემცენარეობის პროდუქტების გადამუშავების, მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების, ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელების წარმოებას.**

**აკადემიის სისტემაში ასეთი კვლევითი ცენტრების შექმნა საშუალებას მოგვცემს, მოვახდინოთ მაქსიმალური კოორდინაცია აგრარული პროფილის ყველა იმ დარგის, რომლებიც პრიორიტეტულია ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის.**

ასევე აუცილებელია, აკადემიას დაუბრუნდეს ის შენობა-ნაგებობები, ლაბორატორიული მოწყობილობები და ექსპერიმენტული ნაკვეთები (რომლებიც ჯერ კიდევ არაა გასხვისებული), რომლებიც მანამდე ეკუთვნოდა კვლევით ინსტიტუტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუცილებელი გახდება მომავალი კვლევითი ცენტრების აღჭურვა სრულიად ახალი, თანამედროვე აპარატურით, რაც ძალზე დიდ თანხებთან იქნება დაკავშირებული.

ამავე დროს, **მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აკადემიის სისტემაში ჩამოყალიბდეს „ახალი ტექნოლოგიების (ჯიშების) გავრცელების განყოფილება“, რომელიც ზემოთ აღნიშნულ კვლევით ცენტრებთან უშუალო თანამშრომლობით მოახდენს იმ პრაქტიკული ღონისძიებების შერჩევასა და გავრცელებას, რომლებიც ძალზე მნიშვნელოვანია დღევანდელი სოფლის მეურნეობისთვის.** ეს ღონისძიებები უნდა განხორციელდეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონსულტაციო ცენტრებთან ერთობლივი თანამშრომლობით. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს პროგრესული ღონისძიებები, პირველ რიგში, უნდა შემუშავდეს და გავრცელდეს იმ ექსპერიმენტულ ნაკვეთებზე, რომლებიც აკადემიის სისტემაში არსებული კვლევითი ცენტრების დაქვემდებარებაში იქნება. ასეთი მეთოდებით ახალი ტექნოლოგიების გავრცელება მრავალ ქვეყანაშია აპრობირებული და ჩვენთანაც უნდა დაინერგოს, რაც პრაქტიკულად დაარწმუნებს ფერმერებს მათ უპირატესობაში.

ცნობილია, რომ ჩვენი ფერმერების ცოდნის დონე სასურველზე ბევრად დაბალია. ამ საკითხის სწორად გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ. ამ მიზნით განსაზღვრული გვაქვს, შევქმნათ „ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი კურსები“, რომელსაც უხელმძღვანელებენ აკადემიის გამოცდილი სპეციალისტები. ასეთმა კურსებმა პირველ ეტაპზე, შესაძლებელია, იფუნქციონიროს სახელმწიფოს დაფინანსებით, შემდგომში კი თავიანთი სწავლება ფერმერებმა თვითონ უნდა დააფინანსონ. კურსები იქნება მოკლევადიანი (1-3 თვე) და გრძელვადიანი (6 თვემდე), სადაც ფერმერები გაეცნობიან სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიებს, საბაზრო ურთიერთობის თავისებურებებს და მრავალ სხვა საკითხს, რომელთა ცოდნაც აუცილებელია. აღნიშნული ღონისძიების განხორციელებას მხარს უჭერს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. პრობლემა მხოლოდ მის დაფინანსებაშია, რაც ყოველწლიურად დაახლოებით 150 ათასი ლარი დაჯდება.

**უაღრესად მნიშვნელოვანია ახალგაზრდა აგრარიკოს მეცნიერთა მომზადების საკითხი. წლების წინ აკადემიის სისტემაში ფუნქციონირებდა ასპირანტურა და ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოები, რომლებიც განაწილებული იყო დარგობრივ ინსტიტუტებში. ამჟამად ეს ყველაფერი, დოქტორანტურის სახით, გადატანილია აგრარული უნივერსიტეტის სისტემაში, რაც, ჩვენი აზრით, სრულად ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს როგორც ორგანიზების, ასევე მეცნიერულ მოთხოვნათა თვალსაზრისით. ამასთან, დოქტორანტების მიერ მომზადებული დისერტაციების დიდი ნაწილი ვერ უპასუხებს თანამედროვე კვლევის ელემენტარულ მოთხოვნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აკადემიის სისტემაში შეიქმნას დოქტორანტურა და ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოები, რისი გამოცდილებაც აკადემიას ათეული წლების განმავლობაში დაუგროვდა.**

ყოველივე აღნიშნულის განხორციელების შემთხვევაში, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნება ძლიერი აგრარული კვლევის ცენტრი, რომელიც აქტიურად ჩაერთვება ქვეყნის სოფლის მეურნეობის აღორძინების პროცესში. **აგრარიკოსი მეცნიერები იმედოვნებენ, რომ იმ ვითარებაში, როცა მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულ მიმართულებადაა გამოცხადებული, ჩვენ მიერ შეთავაზებული წინადადებების განხორციელება არ გაძნელდება.**

**გურამ ალექსიძე,**
**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი**

## გიგა ბოკერიას მოუწევს, პასუხი გასცეს გამოძიების კითხვებს

ბოკერიას პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა გადაცემა „რეზიუმესთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. როგორც პრემიერმა აღნიშნა, გასულ, 2012 წელს ლობისტებზე ბიუჯეტიდან 16 მილიონზე მეტი დაიხარჯა და მას გრიფი „საიდუმლო“ ედო. მისი თქმით, იქ არის 200, 300, 400 ათასი ნაღდი ფულით აღებული და ეს ყველაფერი გიგა ბოკერიას სამსახურით არის გაკეთებული.

**„დღეს საქმე პროკურატურაშია და ამ საკითხებთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს. გიგა ბოკერიას სამსახურიდან არის ეს ყველაფერი გაწერილი და, რა თქმა უნდა, მასთან შეკითხვები არსებობს. უფრო მეტს მე არ ვიტყოდი, მას მოუწევს, პასუხები გასცეს კითხვებს გამოძიებისთვისაც და საზოგადოებისთვისაც. ჩვენც გვაქვს ლობისტებზე ფული გამოწერილი, ნახეთ, ჩვენს ვებსაიტზე დევს და ყველაფერი გამჭვირვალეა“,** — აღნიშნა პრემიერმა.

ამ კონტექსტში იგი „ვაშინგტონ პოსტის“ ბოლო კრიტიკულ სტატიასაც გამოეხმაურა. მისი თქმით, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ „ვაშინგტონ პოსტი“ მხოლოდ სააკაშვილის ლობისტების გამონათქვამების საფუძველზე აკეთებს ასეთ დასკვნებს. **„იმ ლობისტების, რომლებიც ჩვენი ბიუჯეტიდან ფინანსდებოდნენ“,** — დასძინა მან.

ამასთან, პრემიერ-მინისტრს არ ესმის, რაში იღებს ხელფასს უშიშროების საბჭოს მდივანი. ივანიშვილის თქმით, ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა 8 თვის განმავლობაში არ გამართულა.

**„უკვე 8 თვეა, საბჭოს სხდომა არ მოუწვევიათ, რაში იღებენ ხელფასს და რას აკეთებენ? საყვედურები წამოვიდა ჩვენი გუნდიდან — რას აკეთებს უშიშროების საბჭო?! მხოლოდ ვაშინგტონში დადის და ლობისტებს ხვდება?! ბოკერიას ვაშინგტონში ყოფნა უძღოდა წინ „ვაშინგტონ პოსტის“ სტატიას. რას აკეთებენ ისინი ქვეყნისთვის, სად დადიან პრეზიდენტი და ბოკერია, არავინ არაფერი ვიცით. რაში იღებენ ჩვენი გადამხდელების ფულს?! სად იყვნენ აქამდე, ვინ დაუშალა ან ვინ შეუშალა ხელი?!“** — აცხადებს ივანიშვილი.

პრემიერი გიგა ბოკერიას განცხადებასაც ეხმაურება და აღნიშნავს, რომ მისთვის საპასუხო არაფერი აქვს, რადგან მითითებებს არ აძლევს ისეთ უწყებებს, რომლებიც მის უშუალო დაქვემდებარებაში არ იმყოფება.

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა სხდომის მოწვევისთვის პრემიერ-მინისტრის თანხმობის აუცილებლობაზე 3 ივნისს ისაუბრა.

მოკლედ

## 161-ე სკოლაში მოსწავლის დაჭრის ფაქტზე მოკვლევა დაიწყო

**თბილისის 161-ე საჯარო სკოლაში მოსწავლის დაჭრასთან დაკავშირებით განათლების სამინისტრომ მოკვლევა უკვე დაიწყო, — ამის შესახებ განათლების მინისტრმა, გიორგი მარგველაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.**

**„მოხდა შემაშფოთებელი ფაქტი. ჩვენ მყისიერად მივეცით რეაქცია ამაზე. ყველა პირის პასუხისმგებლობის საკითხი დამდგარი არის როგორც სკოლის მხრიდან, ასევე მანდატურების მხრიდან. ჩვენ ვაწარმოებთ მოკვლევას და უახლოეს მომავალში მოვახსენებთ საზოგადოებას. ბავშვების თემას იკვლევს შინაგან საქმეთა სამინისტრო“,** - — განაცხადა მარგველაშვილმა.

161-ე საჯარო სკოლაში ინციდენტი 4 ივნისს მოხდა. ინციდენტის შედეგად მე-10 კლასის მოსწავლე ფეხში დაიჭრა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ სკოლის დირექტორმა, მიხეილ მინდაძემ განუცხადა, დაჭრა განზრახ არ მომხდარა და ეს ერთმანეთში ხუმრობის დროს მოხდა.

**„მათ არ ჰქონიათ ჩხუბი და ეს ფაქტი მათი ერთმანეთში ხუმრობის შედეგად მოხდა. არავითარი განზრახ მცდელობა არ ყოფილა. ერთიც და მეორეც ამბობს, რომ ასე იყო“,** — განაცხადა მინდაძემ. მისივე თქმით, დაშავებულს მსუბუქი ჭრილობები აქვს და ჟვანიას სახელობის კლინიკაშია გადაყვანილი.

**საგანგაშოა, რომ აგრარულ უნივერსიტეტში შეწყვეტილია უმაღლესი განათლების მექანიზატორთა კადრების მომზადება, რაც ახლო მომავალში მკვეთრად გააუარესებს სოფლად საინჟინრო სამსახურის საქმეს და ტექნიკის შეუფერხებელ მუშაობას. გაუქმების პირასაა მექანიზაციის ინსტიტუტიც. ამ საკითხების მოსაგვარებლად სამინისტროს ხელმძღვანელობას არ მიუმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის და არ შემოუკრავს განგაშის ზარი.**

პრემიერ-მინისტრის საყურადღებოდ
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში აუცილებელია ხელმძღვანელი კადრების შეცვლა

**საქართველოში სოფლის მეურნეობის დაღმასვლა გასულ წელს არ დაწყებულა. ის ჯერ კიდევ 1990 წლიდან დაიწყო და გაძლიერდა 2000 წლის შემდეგ, როცა სამინისტროში მოვიდნენ სრულიად გამოუცდელი და არაპროფესიონალი კადრები და მაღალი თანამდებობები დაიკავეს.**



მე მთლიანად ვეთანხმები დღევანდელი მთავრობის წევრების შეფასებებს იმის თაობაზე, რომ დავით კირვალიძე სოფლის მეურნეობის მართლაც კარგი სპეციალისტია, მაგრამ მან 2000 წელს, როცა მინისტრად დაინიშნა, სამინისტროს აპარატში მოიყვანა ახლო მეგობრები, გამოუცდელი არაპროფესიონალები, რომელთა საქმიანობამ მკვეთრად დაამუხრუჭა სოფლის მეურნეობის განვითარება. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ 2004 წელს სამინისტროს ხელმძღვანელობაზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. მინისტრის ერთი მოადგილე დააპატიმრეს, ხოლო მეორემ გაქცევით უშველა თავს, დავით კირვალიძე კი იძულებული გახდა, თანამდებობა დაეტოვებინა.

აღარაფერს ვამბობ მომდევნო მინისტრზე — დ. შერვაშიძეზე, რადგან იგი სულ რაღაც 6 თვე მინისტრობდა და სასიკეთო არაფერი გაუკეთებია.

შემდგომში სოფლის მეურნეობის მინისტრად 26 წლის არაპროფესიონალი ბაკურ კვეზერელი დაინიშნა, რომელიც სოფლის მეურნეობის ელემენტარულ ტერმინოლოგიასაც ვერ ფლობდა და უკანასკნელ წლებში ჰიბრიდული სიმინდის წარმოების პროგრამა იმდენად ჩააგდო, რომ მიწათმფლობელებმა, რომლებმაც მისი რჩევით სიმინდი დათესეს, დიდი მატერიალური ზარალი განიცადეს, რისთვისაც მისთვის პასუხი არავის მოუთხოვია. მართალია, თანამდებობიდან კი გადააყენეს, მაგრამ „ნაციონალებმა" ისეთ სამსახურში გაამწესეს, ამბობენ, მინისტრზე ორჯერ მეტი ხელფასი აქვს და განცხრომით ცხოვრობსო.

შემდეგ მინისტრად დაინიშნა ექიმი ზაზა გოროზია, რომელმაც თურმე ამ თანამდებობაზე მოსვლისას 120 ათას ლარად ღირებული ახალახალი „ჯიპი" ბიუჯეტის თანხით შეიძინა და სოფელ-სოფელ უსაქმოდ ისეირნა.

**2012 წლის ოქტომბერში სოფლის მეურნეობის მინისტრად ისევ დავით კირვალიძე მოგვევლინა. ვიფიქრეთ, იგი გასულ წლებში დაშვებულ შეცდომებს გაითვალისწინებდა და სამინისტროს ცენტრალურ აპარატს კვალიფიციური კადრებით დააკომპლექტებდა, მაგრამ, ჩვენდა გასაკვირად, მოხდა პირიქით, — მან ხელმძღვანელ თანამდებობებზე მოაბრუნა და დანიშნა სწორედ ის პირები, რომლებიც 2000 წელს ჰყავდა გვერდით, და რომელთა საქმიანობამ მას 2004 წელს თანამდებობა დაატოვებინა. ჩემის აზრით, ეს იყო დ. კირვალიძის დიდი შეცდომა, რამაც აიძულა იგი თანამდებობიდან გადამდგარიყო.**

გადავიდეთ მექანიზაციის პრობლემურ საკითხებზე. სოფლად მცხოვრები ფართო საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი, რომ დღეს მექანიზაციის განვითარების გარეშე, სოფლის მეურნეობის ვერც ერთი დარგი ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს.

**უკანასკნელ წლებში საქართველოში შემოიტანეს და დღესაც შემოდის რვა სხვადასხვა ქვეყნიდან** (ჩინეთი, აშშ, ინგლისი, გერმანია, იტალია, ფინეთი, ჩეხეთი, ბელარუსი) **ახალი ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები. მანქანები, რომლებსაც ჩვენს პირობებში არ გაუვლიათ გამოცდა, ბევრ შემთხვევაში ვერ ამართლებს, ნაადრევად გამოდის მწყობრიდან, მკვეთრად უარესდება მათი ტექნიკური მომსახურებაც და ქვეყანა ზარალდება.**

მე არ ვისაუბრებ დღეს სამინისტროში მიმდინარე პროცესებზე, ეს უშუალოდ ძიების საქმეა და ჩემი მოსაზრებით გამოძიებას ხელს არ შევუშლი, მაგრამ აღვნიშნავ იმას, რომ გასულ წლებში ვერ მოხერხდა სხვადასხვა ქვეყნიდან შეძენილი ძვირადღირებული ტექნიკის რეალიზაცია და ხელისუფლება იძულებული გახდა, შეექმნა სახელმწიფო „სერვისცენტრები", რომლებიც მინიმალურადაც ვერ უზრუნველყოფენ მიწათმფლობელთა მზარდ მოთხოვნებს, ამიტომ არის, რომ 780 ათასი ჰექტარი სახნავ-სათესი ფართობებიდან, ყოველწლიურად დაუმუშავებელი რჩება 500 ათასამდე ჰექტარი ნაყოფიერი მიწები და ქვეყნის მოსახლეობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დეფიციტს განიცდის.

მიმდინარე წლის 5 თებერვალს ჩვენ, სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილების მქონე მექანიზატორებმა, რომლებმაც ამ დარგის განვითარებას ათეულობით წლები შევალიეთ და დაგვიგროვდა საკმაოდ მდიდარი გამოცდილება, წერილით მივმართეთ სოფლის მეურნეობის მინისტრ დ. კირვალიძეს; ვთხოვდით, სამინისტროს ხელმძღვანელობასთან ერთად გვემსჯელა მექანიზაციის დარგში შექმნილ მძიმე მდგომარეობაზე და დროულად მიგვეღო ზომები მის გამოსასწორებლად. ამ სერიოზული საკითხის მოგვარებას და ჩვენს თხოვნას სამინისტროს ხელმძღვანელობამ ყურადღება არ მიაქცია და მინისტრის პირველმა მოადგილემ დ. შერვაშიძემ 20 თებერვლის წერილით მოკლედ გვიპასუხა: „თუ თქვენ გაგაჩნიათ მოსაზრებები, წერილობით მოგვაწოდეთ".

რაკი სამინისტროს ხელმძღვანელობამ ამ მნიშვნელოვან საკითხზე ფართო მსჯელობის გამართვა არ ისურვა და მოკლე შინაარსის წერილით დაკმაყოფილდა, მინდა მათ ამ წერილითვე შევახსენო შემდეგი:

**რიგ რაიონებში მათ მიერ შექმნილი ე. წ. სერვისცენტრები არ არის აღჭურვილი ტექნიკური საშუალებებით და საჭირო მარაგნაწილებით, რის გამოც შეუძლებელი ხდება სატრაქტორო პარკის ტექნიკური მომსახურება, მიმდინარე და კაპიტალური რემონტის წარმოება, რაც სამომავლოდ უარყოფითად იმოქმედებს ტექნიკის შეუფერხებელ მუშაობასა და მათი ექსპლუატაციის ვადის ხანგრძლივობაზე.**

**სამინისტრო არ ზრუნავს ტექნიკის სარემონტო ბაზის შექმნაზე, არ წარმოებს გაცვეთილი დეტალების აღდგენა, რაც ახლო მომავალში მკვეთრად გააძვირებს ტექნიკის სარემონტო სამუშაოებს, რადგან, ნაცვლად დეტალების აღდგენისა, მიწათმფლობელებს მოუწევთ ძვირადღირებული კუსტარული წესით დამზადებული დეტალების ბაზრობებზე შეძენა.**

მიუხედავად ჩვენი არაერთგზის შეხსენებისა, სამინისტროს ხელმძღვანელობას მხოლოდ წელს გაახსენდა, რომ მექანიზატორებია საჭირო და გაითვალისწინა სახელმწიფო თანხებით 900 მექანიზატორის მომზადება, რომელთა შორის მხოლოდ 875-მა ჩააბარა გამოცდები, რაც საკმარისი არ არის და საჭიროა სერიოზული ზომების გატარება.

**საგანგაშოა, რომ აგრარულ უნივერსიტეტში შეწყვეტილია უმაღლესი განათლების მექანიზატორთა კადრების მომზადება, რაც ახლო მომავალში მკვეთრად გააუარესებს სოფლად საინჟინრო სამსახურის საქმეს და ტექნიკის შეუფერხებელ მუშაობას. გაუქმების პირასაა მექანიზაციის ინსტიტუტიც. ამ საკითხების მოსაგვარებლად სამინისტროს ხელმძღვანელობას არ მიუმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის და არ შემოუკრავს განგაშის ზარი.**

მიწათმფლობელებსა და სოფლის მოსახლეობას პრესის საშუალებით არ მიეწოდებათ ინფორმაციები მეცნიერების თანამედროვე მიღწევებსა და მოწინავეთა გამოცდილებაზე, ახალ ტექნოლოგიებსა და ტექნიკურ საშუალებებზე, აგრონომიული, ვეტერინალური, საბანკო-საფინანსო, მოსავლიანობის ამაღლებისა და რიგ სხვა, მათთვის საინტერესო საკითხებზე. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობა არ არის ამ საკითხით დაინტერესებული.

**2000 წლიდან დღემდე სამინისტროში არ არის შემოღებული მიწათმფლობელთა მიღების დღეები, რაც, ჩემის აზრით, სრულიად არ შეეფერება დემოკრატიული ქვეყნის სამინისტროს ხელმძღვანელთა მოქმედებას.** აუცილებლად მიგვაჩნია სოფლის მეურნეობის სამინისტროში უახლოეს ხანებში მოხდეს ხელმძღვანელი კადრების შეცვლა საქმის მცოდნე მაღალკვალიფიციური აგრონომებით, მექანიზატორებით, მელიორატორებით, ზოოვეტერინარებით, აგროეკონომისტებითა და ა. შ., რომლებიც შემჩნეული არ არიან კორუფციაში და თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას მოახმარენ ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგის განვითარებას. ამჯერადაც პური მეპურემ უნდა გამოაცხოს.

**ირაკლი დვალი,**
**საქართველოს მიწათმფლობელთა და მექანიზატორთა საზოგადოების თავმჯდომარე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს დამსახურებული მექანიზატორი**

## სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზის ამოქმედება გადაუდებელი საჭიროებაა

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი გაერთიანების: „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის" „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის" განცხადება**

**2013 წლის 2 ივნისს წმინდა სამების საკათედრო ტაძარში მისმა უწმინდესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ დალოცა და აკურთხა სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზი.**

იმედით, რომ მისი უწმინდესობის კურთხევა იქნება გარანტი იმისა, რომ სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზი დაცული იქნება პოლიტიკური ზეწოლებისგან და ქართველ ხალხს ექნება საკუთარი ტრიბუნა თავისი ნამდვილი პოზიციების ხმამაღალი განცხადებისა, ქართველი ხალხის უფლებებისა და ღირსების დაცვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა საზოგადოებრივი გაერთიანების: „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის" „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის" წარმომადგენლობა მიესალმება სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზის დაფუძნებას და ეკლესიურ კურთხევას, და როგორც გულშემატკივარი სახალხო დარბაზის იდეისა და თანადამფუძნებელი მისი „ეროვნული ერთობის ცენტრთან" ერთად, სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზის მთავარ სუბიექტს, ქართველ ხალხს ულოცავს ამ ახალი ტრიბუნის დაარსებას და უსურვებს წარმატებასა და გამარჯვებას. ეს იქნება ჭეშმარიტი დემოკრატიისა და ჭეშმარიტად დემოკრატიული ღირებულებების ნამდვილი გამარჯვება.

მადლობა მის უწმინდესობას სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზის დალოცვისა და კურთხევისათვის.

**თსუ პროფესორ-მასწავლებელთა საზოგადოებრივი გაერთიანების: „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის" „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის" წარმომადგენლობა.**

**დარბაზის ხელმძღვანელი**
**დენიზა სუმბაძე,**
**ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

მოკლედ

## «სტამბოლში პროტესტი სამართლიანი და კანონიერია»

**სტამბოლში მდებარე პარკის რეკონსტრუქციის გარშემო პროტესტი „სამართლიანი და კანონიერია". ამის შესახებ განცხადება თურქეთის ვიცე-პრემიერმა ბიულენთ არინჩმა გააკეთა.**

ქვეყნის ვიცე-პრემიერმა ასევე მოუბოდიშა იმ დაშავებულებს, რომლებიც სამართალდამცავებსა და დემონსტრანტებს შორის მომხდარი შეტაკებებისას დაშავდნენ იმის გამო, რომ „გიზის პარკის" გარშემო ხეების ამოთხრას და პარკის ტერიტორიაზე სავაჭრო ცენტრის მშენებლობას ეწინააღმდეგებოდნენ. ამ მოთხოვნით დაწყებული მასობრივი პროტესტი უკვე მეხუთე დღეა გრძელდება სტამბოლში, ანკარასა და თურქეთის სხვა დიდ ქალაქებში.

**მომხდარი შეტაკებების შემდეგ აქციის მონაწილეები ხელისუფლების გადადგომას მოითხოვენ. მომიტინგეებს სოლიდარობა გამოუცხადა პროფკავშირებმა და ორდღიანი გაფიცვა გამოაცხადა.**

თურქეთის ვიცე-პრემიერმა ბიულენთ არინჩმა ქვეყნის ერთ-ერთ ადგილობრივ საინფორმაციო სააგენტოსთან საუბრისას ასევე განაცხადა, რომ აქციების ორგანიზატორებს შეხვედრა შესთავაზა.

საქართველო და მსოფლიო
ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყველაზე შედეგიანი იქნება, თუ აიკრძალება სოფლის მოსახლეობის დასაქმებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღორძინებისთვის ხელისუფლების მიერ მობილიზებული დაბალპროცენტიანი საბანკო სესხებისა და სხვა საშუალებების ე. წ. წარმატებული მეწარმეებისთვის გაცემა და იგი მხოლოდ და მხოლოდ ღარიბ და ნაკლებშემოსავლიან იმ ადამიანებზე გაიცემა, რომლებსაც სურთ და უნარიც შესწევთ, სოფლად შექმნან მცირე და საშუალო ბიზნესი.**

# აბაშის ფარსის რეანიმაციის მცდელობა

**გამოხმაურება ბიზნესმენ არჩილ ქავთარაძის წერილზე „აბაშიძის ექსპერიმენტი კვლავ აქტუალურია“, რომელიც გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ 2013 წლის 23-29 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა.**



**ბიზნესმენი ა. ქავთარაძე თავის ამ წერილში, იხსენებს რა 2010 წლის 26 დეკემბრის საკვირაო ქადაგების დროს საქართველოს პატრიარქის — ილია მეორეს მოწოდებას მრევლისადმი, ქ. თბილისის ახლომდებარე სოფლებში მეცხოველეობის აღორძინებისთვის საჭირო მეღორეობის ფერმების ასაშენებლად თითოეული ოჯახის მიერ 10-10 ლარის შეგროვების შესახებ, საქართველოს ახალ ხელისუფლებას ურჩევს, სოფლის მოსახლეობის დასაქმების, სოფლებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღორძინებისთვის აქტიურად გამოიყენოს გასული საუკუნის 70-იან წლებში აბაშის რაიკომის მაშინდელი მდივნის — გ. მგელაძის მიერ ჩატარებული აბაშის ექსპერიმენტის გამოცდილება.**

მაგრამ გადაწყვეტილების მიღებამდე, ურიგო არ იქნება, გავიხსენოთ, თუ რა ვითარებაში, რა მიზნითა და რა საშუალებების გამოყენებით ტარდებოდა მაშინ ე. წ. აბაშის ექსპერიმენტი და სხვა მეტად გახმაურებული ღონისძიებები. და, თუ მართლაც ისეთი სასწაულის მოქმედი იყო აბაშის ექსპერიმენტი, როგორც მრავალი წლის მანძილზე კარიერისტ ე. შევარდნაძის ძალისხმევით წარმოაჩენდნენ მას რესპუბლიკის საინფორმაციო საშუალებები და საკუთარი კარიერისტული ამბიციებისა და კეთილდღეობის განხორციელებაში ხელშეწყობისთვის ყველაფერზე წამსვლელი ზოგიერთი მწერალი, პოეტი, მეცნიერ-მუშაკი, კულტურის, ხელოვნებისა და სხვა სფეროს წარმომადგენელი, მაშინ რატომ ვერ დაინერგა იგი რესპუბლიკის სხვა რეგიონებსა და რაიონებში?

**სოფლის მეურნეობაში ექსპერიმენტის ჩატარება აბაშის რაიონში იმის გათვალისწინებით გადაწყდა, რომ იგი მდებარეობდა საკავშირო სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალების მიმდებარე პატარა ტერიტორიაზე და იყო მჭიდროდ დასახლებული. ამასთან, მას გააჩნდა სიმინდის მოყვანისთვის ვარგისი სახნავ-სათესი მიწების რეზერვი.**

ნიშანდობლივია ისიც, რომ აბაშის ექსპერიმენტის გარანტირებული წარმატების მისაღწევად ე. შევარდნაძემ პარტიის აბაშის რაიკომის მდივნად დანიშნა თავის ახლობელი უწიგნური, მაგრამ საკუთარი კეთილდღეობის მისაღწევად ყოველგვარ დარღვევებზე იოლად წამსვლელი გ. მგელაძე. ამასთან, შევარდნაძის ძალისხმევით, რესპუბლიკის სახელისუფლო ორგანოებმა აბაშის რაიონი რესპუბლიკაში ყველაზე პრივილეგირებულ რაიონად გახადეს. მას უწევდნენ უხვ, შეიძლება ითქვას, თითქმის უკონტროლო საფინანსო, ეკონომიკურ და ტექნიკურ დახმარებას. მაქსიმალურად და ყველაზე ოპტიმალურ ვადებში ამარაგებდნენ აზოტოვანი სასუქებითა და პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებისთვის საჭირო კომბინირებული საკვებით. ხოლო **რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და საკუთარი ამბიციებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში ხელშეწყობისთვის ყველაფერზე წამსვლელი მწერლების, პოეტების, კულტურისა და ხელოვნების მუშაკებისა და მეცნიერების ერთი ნაწილი გ. მგელაძის რაიკომის მდივნად დანიშვნის პირველივე დღეებიდან შეუდგნენ იმის მტკიცებას, რომ აბაშის რაიონში სიმინდისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა მიღწეული იყო რაიონისთვის გარედან ყოველგვარი დახმარების გაწევის გარეშე, მხოლოდ და მხოლოდ მგელაძის უნიკალური ნიჭისა და უბადლო ორგანიზატორული უნარის მეოხებით, რაც მტკნარი სიცრუე იყო.**

ამასთან, აბაშის ექსპერიმენტის ჩატარებით მიღწეული წარმატების უფრო შთამბეჭდავად და გრანდიოზულად წარმოსაჩენად უსინდისოდ აყალბებდნენ, აკნინებდნენ და აუფასურებდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან, რაიკომის მდივნად უწიგნური მგელაძის დანიშვნამდე, აბაშელი მშრომელებისა და ხელმძღვანელების ყველა თაობის განსაკუთრებით 1965-1972 წლებში გაწეული თავდადებული შრომის შედეგებს, ჭორებისა და ცილისწამების გავრცელებასაც კი კადრულობდნენ.

**ე. შევარდნაძემ, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ვერც ე. წ. აბაშის ექსპერიმენტის დანერგვა შეძლო რესპუბლიკის სხვა რაიონებსა და რეგიონებში, ხოლო, სადაც მისი დანერგვის სერიოზულ მცდელობას ჰქონდა ადგილი, სასურველი შედეგები ვერ მიიღეს.**

და ყოველივე ეს განპირობებული იყო არა იმით, რომ სხვა რაიონებისა და რეგიონების ხელმძღვანელები უწიგნურ მგელაძეზე შედარებით დაბალი ნიჭისა და უნარის ადამიანები იყვნენ, არამედ იმ უბრალო ჭეშმარიტების გამო, რომ ექსპერიმენტის წლებში აბაშაში არ შექმნილა და არ დანერგილა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების რაიმე, ისეთი ახალი, პროგრესული ტექნოლოგია, რომელიც სხვა რაიონებში დანერგვა გამოიწვევდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვან ზრდას. სახელმწიფომ კი ვერ შეძლო სხვა რაიონებისთვის ისეთივე უხვი საფინანსო, ეკონომიკური და ტექნიკური დახმარების აღმოჩენა, როგორსაც უწევდა აბაშის რაიონს.

და აი ახლა, აბაშის ექსპერიმენტის ფარსის ჩატარებიდან თითქმის 30 წლის შემდეგ, როცა ქართველი ხალხისა და ბიძინა ივანიშვილის ძალისხმევით, 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მოპოვებული გამარჯვების შედეგად ქვეყანაში ჩამოყალიბებულმა ახალმა ხელისუფლებამ ურთულეს ვითარებაში გამოძებნა სახსრები და საშუალებები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ უგუნური პოლიტიკის შედეგად გაღატაკებული სოფლის მოსახლეობის დასაქმებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღორძინებისთვის, ბიზნესმენი ა. ქავთარაძე, კარიერისტ ე. შევარდნაძის სტილის შესაბამისად, ამტკიცებს, რომ აბაშის ექსპერიმენტის წლებში მგელაძემ უარი თქვაო მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გაზრდისთვის იმ დროს ფრიად პოპულარული მეცხოველეობის მსხვილი კომპლექსის აშენებაზე მისი სიძვირის გამო, და ხორცის წარმოების გაზრდა ერთი შეხედვით მარტივი გზით — კოლმეურნეობების ფერმებში მიღებული გოჭების 40 დღის ასაკში გასაზრდელად გლეხებისთვის დარიგებით, მათი საკვებით მომარაგებითა და პირუტყვის გაზრდისთვის გაწეული შრომის გასამრჯელოს გადახდის შემდეგ, ზრდასრული პირუტყვის სარეალიზაციოდ გლეხებისგან უკან დაბრუნებით გადაწყვიტაო, რითაც, მისი მტკიცებით, „მოგებული დარჩა როგორც გლეხობა, რომელმაც მიიღო დამატებითი შემოსავალი, ასევე სახელმწიფო, რომელსაც სარეალიზაციოდ ჩაბარდა რამდენიმე ათასი კილოგრამი ხორცის პროდუქცია“.

ა. ქავთარაძის ეს მტკიცება ისეთივე მტკნარი სიცრუეა, როგორიც იყო, ე. შევარდნაძის ძალისხმევით, რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციების საშუალებებისა და ზოგიერთი უზნეო მწერლის, პოეტისა და მეცნიერის მიერ თითქმის 30 წლის მანძილზე, ე. შევარდნაძის პოლიტიკურ გარდაცვალებამდე მიზანდასახულად გავრცელებული სიცრუე და მითები.

**სინამდვილეში მგელაძეს არასოდეს უთქვამს უარი მეცხოველეობის მსხვილი კომპლექსის აშენებაზე. პირიქით, ექსპერიმენტის წლებში, აბაშის რაიონში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გაზრდის მიზნით, ე. შევარდნაძის ძალისხმევით, სახელმწიფო სახსრებით აშენდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მსხვილი კომპლექსი, ხოლო საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ გააძლიერა დახმარება რაიონში არსებული მეღორეობის საბჭოთა მეურნეობებისადმი.**

რაც შეეხება ქავთარაძის მტკიცებას მგელაძის მიერ კოლმეურნეობების მეღორეობის სანაშენე ფერმებში მიღებული გოჭების 4 დღის ასაკში გასაზრდელად გლეხებისთვის დარიგების და შემდეგ გლეხებისგან სარეალიზაციოდ უკან ჩაბარების შესახებ — არც ეს არის მართალი. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ აბაშის მოსახლეობას საკუთარ, პირად მეურნეობაში, ტრადიციულად, ისედაც ბევრი ღორი ჰყავდა და მეორე — სინამდვილეში გ. მგელაძე ექსპერიმენტის წლებში სახელმწიფოსთვის ხორცის მიყიდვის მაჩვენებლების გასაზრდელად მოსახლეობისგან ბევრ პირუტყვს ყიდულობდა, ზოგჯერ კი, როგორც ამბობდნენ, მიუღებელი მეთოდებითაც ეპატრონებოდა.

დავუბრუნდეთ ა. ქავთარაძის მიერ ხელისუფლებისთვის შეთავაზებული რჩევების განხილვას.

**ა. ქავთარაძის წერილის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ე. წ. აბაშის ექსპერიმენტის ფარსის რეანიმაციას და სოფლის მოსახლეობის დასაქმებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღორძინების ორგანიზების ავანტიურისტ გ. მგელაძის ან მისი ყაიდის კერძო მესაკუთრის ხელში აღმოჩენას, რაც კატეგორიულად მიუღებელია, რადგან ის ხელს ვერ შეუწყობს სოფლის აღორძინებასა და სოფლად ახალი თაობების დასაქმება-დამკვიდრებას. პირიქით, შეიძლება გახდეს ცალკეული უზნეო ბიზნესმენების მიერ სოფლის მოსახლეობის დაკაბალების საშუალება.**

ამაზე მიგვანიშნებს ა. ქავთარაძის მიერ შემოთავაზებული სოფლის მოსახლეობის დასაქმებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღორძინების პირველი სქემა. ამ სქემის მიხედვით სოფლის მოსახლეობის დასაქმებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზატორი უნდა იყოს კერძო მესაკუთრე, რომელიც ააშენებს მეღორეობის სანაშენე ფერმასა და კომბინირებული საკვების საწარმოს. მას, კომბინირებული საკვების მცირე დანახარჯებით წარმოების უზრუნველსაყოფად, იჯარით ან კერძო საკუთრებაში გადაეცემა სოფლის სახნავ-სათესი მიწების საჭირო რაოდენობის ფართობი.

ამასთან, კერძო მეწარმე ფერმაში მიღებულ 40-დღიან გოჭებს, საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთში არსებული პირუტყვის სადგომებში გამოსაზრდელად თანაბარი რაოდენობით ურიგებს სოფელში მცხოვრებ თითოეულ გლეხურ ოჯახს, ამარაგებს მათ საკვებით და 5 თვის შემდეგ გლეხებისგან სარეალიზაციოდ უკან იბარებს ზრდასრულ ღორებს და უხდის მათ გოჭების გამოსაზრდელად გაწეული მუშაობის გასამრჯელოს.

დიდი ცოდნა და გონება არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ ეს სქემა არ არის ხელსაყრელი გლეხებისთვის და მომგებიანია კერძო მეწარმისთვის. ვინაიდან ამ სქემით გლეხი კარგავს თავის საკარმიდამო მიწის ნაკვეთის გარკვეულ ნაწილს და იქ არსებულ პირუტყვის სადგომების, მის პირად მეურნეობაში საკუთარი პირუტყვის მოშენებისთვის გამოყენების შესაძლებლობას და რჩება მხოლოდ და მხოლოდ საკარმიდამო ნაკვეთის დანარჩენი ნაწილის გამოყენებით მიღებული შემოსავლისა და კერძო მეწარმისგან მიღებული გასამრჯელოს ამარა, რაც 2-3- შვილიან ოჯახს ღირსეულად შენახვისთვის საკმარისი ვერ იქნება.

ამასთან, **ამ სქემის დამკვიდრებამ, ჩვენი ბიზნესმენების უმრავლესობის თვისებების გათვალისწინებით, შეიძლება შექმნას სოფლის სახნავ-სათესი მიწების მთლიანად კერძო მეწარმეთა ხელში აღმოჩენისა და მათ მიერ გლეხების დაკაბალების საშიშროება, რაც დამღუპველი იქნება.**

რაც შეეხება ა. ქავთარაძის მიერ შემოთავაზებულ მეორე სქემას, იგი ითვალისწინებს: სოფლებში კოოპერატივების შექმნას, რომლის მეპაიე გახდება სოფლის თითოეული კომლი. კოოპერატივის მიერ ფერმისა და კომბინირებული საკვების საწარმოს აშენებას. მეპაიეებს შორის ფერმაში მიღებული გოჭების გასაზრდელად თანაბრად განაწილებას, ხოლო ზრდასრული პირუტყვის კოოპერატივის მიერ გაყიდვას და მიღებული მოგების, დივიდენდების სახით, კოოპერატივის წევრებისთვის განაწილებას. ამასთან, კოოპერატივს, საკვების მცირე დანახარჯებით წარმოების უზრუნველსაყოფად უნდა გამოეყოს სოფლის სახნავ-სათესი მიწების საჭირო რაოდენობის ფართობი.

**სოფლის მოსახლეობის დასაქმებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღორძინების ეს სქემა მეტ-ნაკლებად მისაღებია. მაგრამ იმისათვის, რომ კოოპერატივის ხელმძღვანელობამ და სახელმწიფომ ვერ შეძლოს კოოპერატივის სახსრებისა და სხვა ქონების ისე იოლად მითვისება და არადანიშნულებისამებრ გამოყენება, როგორც ეს ხდებოდა კოლმეურნეობებში საბჭოთა ხელისუფლების დროს, საჭირო იქნება, საკანონმდებლო წესით შემუშავდეს კოოპერატივის მართვისა და ფუნქციონირების ისეთი ბერკეტები, რომლებიც გამორიცხავენ კოოპერატივის სახსრებისა და ქონების უკანონოდ მითვისებას, უყაირათოდ ხარჯვასა და არადანიშნულებისამებრ გამოყენებას, რაც ადვილი არ არის.**

ამიტომ, ჩემი აზრით, **ყველაზე შედეგიანი იქნება, თუ აიკრძალება სოფლის მოსახლეობის დასაქმებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღორძინებისთვის ხელისუფლების მიერ მობილიზებული დაბალპროცენტიანი საბანკო სესხებისა და სხვა საშუალებების ე. წ. წარმატებული მეწარმეებისთვის გაცემა და იგი მხოლოდ და მხოლოდ ღარიბ და ნაკლებშემოსავლიან იმ ადამიანებზე გაიცემა, რომლებსაც სურთ და უნარიც შესწევთ, სოფლად შექმნან მცირე და საშუალო ბიზნესი.**

ამასთან, ურიგო არ იქნება, თუ შემუშავდება დაბალპროცენტიანი სესხების გაცემისა და მსესხებლების მიერ მათი გამოყენების ისეთი წესები, რომლებიც გამორიცხავს ამ სახსრების არადანიშნულებით გამოყენებისა და მსესხებლების გაკოტრების შემთხვევებს.

**ნოე ჩაგუნავა,**
**ომისა და შრომის ვეტერანი,**
**საქართველოს კპ აბაშის რაიკომის პირველი მდივანი**
**1964 წლის დეკემბრიდან 1973 წლის ივნისამდე**

**სპარტელი ქალები წარმატებით ართმევდნენ თავს მათ მხრებზე დადებულ მძიმე მოვალეობებს იმით, რომ შეუთავსებლის შეთავსებას ახერხებდნენ. ისინი თავისუფალ სიყვარულში მამაკაცების თანასწორი პარტნიორები იყვნენ, სანიმუშოდ უძღვებოდნენ თავიანთ მეურნეობას, სპარტას ჯანმრთელ ბავშვებს უჩენდნენ. მტრის ხელით სიკვდილს ეს ქალები ისევე ღირსეულად ხვდებოდნენ, როგორც მამაკაცები.**

ვაჰ, დრონი...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჰარამხანების იდუმალი ცხოვრება

**„საქართველო და მსოფლიო“ განაგრძობს ოლგა დმიტრიევას წიგნის „ჰარამხანების იდუმალი ცხოვრებას“ ადაპტირებული თარგმანის პუბლიკაციას.**
**წიგნში მოთხრობილია პოლიგამიის შესახებ სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ხალხს შორის და ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში: ველურ ტომებში, ამერიკელ მორმონებში, იმპერატორის დროინდელ ჩინეთში, ინდოელ რაინდ-რაჯუპთა შორის და, რა თქმა უნდა, სულთნის დიად სერალში. პოლიგამია ქრისტიან ადამიანებს შორის, უწინარეს ყოვლისა, ასოცირდება ჰარამხანებთან, რომლებშიც სულთნები, აღმოსავლეთის ქვეყნების მმართველები თავს უყრიდნენ ულამაზეს ქალებს მსოფლიოს ყველა კუთხიდან.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №17-18 (204-205)

**სპარტელ ქალებს თავიანთი ქონების განკარგვა შეეძლოთ, ზოგიერთი ძალიან მდიდარი იყო, გამოირჩეოდნენ სოციალური აქტივობით და სერიოზული გავლენა ჰქონდათ სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე. შინ ისინი ოჯახის მეურნეობაზე ზოგადი მზრუნველობითა და ბავშვების აღზრდით იყო შემოსაზღვრული.**

**მძიმე სამუშაოს, მათ შორის, ათენელი ქალებისთვის აუცილებელ ქსოვას, მონა ქალები ასრულებდნენ და სპარტელ ქალებს საკმაო დრო რჩებოდათ მძლეოსნობაში სავარჯიშოდ.**

მაგრამ მათი მთავარი ფუნქცია „ქმრების დაბადება“ იყო, ჯანმრთელი კაცების, რომლებიც შეავსებდნენ მეომართა რიგებს. ამას ემორჩილებოდა მილიტარისტული სახელმწიფოს მთელი პოლიტიკა. **სპარტაში დაუქორწინებლობა მოღალატეობად ითვლებოდა, ხოლო მარტოხელებისთვის განსაზღვრული იყო დამამცირებელი ღონისძიებანი: შუა ზამთარში გაშიშვლებულებს სამარცხვინო სიმღერებით უნდა შემოევლოთ საზოგადოებრივი მოედნისთვის.** ყაზარმული თანასწორობის იდეალი, რომელიც გაბატონებული იყო სპარტაში, ჯანმრთელი მეომარი მამაკაცის სპერმას საზოგადოებრივ სიმდიდრედ მიიჩნევდა. იგი ღირსეულად გამოყენების გარეშე არ უნდა დარჩენილიყო და რაც შეიძლება მეტ ახალგაზრდა ქალს შორის უნდა ყოფილიყო უტილიზებული. იგივე ეხებოდა ქალთა საშოს, რომლებსაც უნდა ეშვათ რაც შეიძლება მეტი ჯანმრთელი შვილი. **დაგმობილი იყო მამაკაცების ქალებისადმი დამოკიდებულება, როგორც კერძო საკუთრებისადმი და ყოველგვარი ეჭვიანობა.**

**მამაკაცთა ღირსება, რომელიც საბერძნეთის დანარჩენ სახელმწიფოებში იყო გავრცელებული, შემორჩენილი იყო მხოლოდ უძველეს საქორწინო რიტუალში.** პლუტარქე წერდა, რომ სპარტაში არსებობდა ჩვეულება, რომლის თანახმად **სპარტელ სიძეს აუცილებლად უნდა მოეტაცა საპატარძლო, რომელსაც „შეხვდებოდა ე. წ. პირის ფარეში, გახდიდა სიფრიფანა ტანსაცმელს და ჩააცმევდა უხეშ, ჯვალოს ტანსაცმელს, დააწვენდა ბნელ კუთხეში ტომარაზე დაყრილ თივაზე და მარტოს დატოვებდა სიბნელეში“. „საქმრო ჩუმად მიეპარებოდა და ძალით შეუხსნიდა ქამარს. თანაც არაერთხელ, არა მხოლოდ პირველ ღამეს, არამედ ხანგრძლივი დროის მანძილზე... ეს მუდმივად აცოცხლებდა ურთიერთნდომას“,** — წერდა ისტორიკოსი. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა ქმარი ცოლზე აბსოლუტურ უფლებას ავლენდა. შემდეგ კი ყველაფერს განსაზღვრავდა სახელმწიფოს დემოგრაფიული პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული იყო ჯანსაღი შთამომავლობის მიღებაზე. **ახალგაზრდა ცოლის ხანდაზმულ ქმარს ნება ეძლეოდა, მიეშვა მასთან უზადო რეპუტაციის ახალგაზრდა კაცი და შვილები, რომლებიც ამ კავშირის შედეგად დაიბადებოდნენ, შეეძლო აღეზარდა, როგორც საკუთარი.** არსებობდა სხვა ჩვეულებაც: ახალგაზრდა ქალისთვის, რომელიც „უეჭველად კეთილგონიერი“ იყო, სხვა „წესიერ კაცს“, რომელსაც ეს ქალი მოეწონა, შეეძლო ეთხოვა მისთვის შვილების გაჩენა.

ათენელი ისტორიკოსი და მწერალი ქსენოფონტე (V-IV სს ჩვ. ერამდე) შეეცადა აეხსნა, რა აიძულებდა სპარტელებს, დაემყარებინათ ასეთი არაბუნებრივი კავშირები და აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევებში ქალებს სურთ, ედიასახლისათ ორ სახლში, მამაკაცებს კი ამოძრავებდა სურვილი, თავიანთ ვაჟებს ჰყოლოდათ ძმები, რომლებიც გაინაწილებდნენ გვარის კეთილშობილებასა და ფიზიკურ ძლიერებას, მაგრამ პრეტენზია არ ექნებოდათ მათ ქონებაზე.



**სპარტაში დაუქორწინებლობა მოღალატეობად ითვლებოდა, ხოლო მარტოხელებისთვის განსაზღვრული იყო დამამცირებელი ღონისძიებანი: შუა ზამთარში გაშიშვლებულებს სამარცხვინო სიმღერებით უნდა შემოევლოთ საზოგადოებრივი მოედნისთვის**

სხვა ვერსია აქვს ისტორიკოს პოლიბიუსს (200-120 წწ ჩვ. წ-მდე), იგი ამტკიცებს, რომ ლეკედემონელებს წესად ჰქონდათ, რომ სამსა თუ ოთხ მამაკაცს ცოლად ჰყოლოდათ ერთი ქალი, ზოგჯერ უფრო მეტიც კი, თუ ძმები იყვნენ. ამასთან, მათი შვილები საერთო შვილებად ითვლებოდნენ. **თუ ვინმე, ვინც საკმაო რაოდენობის შვილი იყოლია, თავის რომელიმე მეგობარს გადასცემდა საკუთარ ცოლს, მიიჩნეოდა, რომ შესანიშნავად და ჩვეულების შესაბამისად მოიქცა.**

პოლიბიუსის ცნობით, სპარტაში მრავალქმრიანობა იყო გავრცელებული, ანუ პოლიანდრია. მაგრამ იმის გამო, რომ შეუღლების ოფიციალური ფორმა მონოგამია იყო, ეს კავშირები სხვა არაფერი იყო, თუ არა ერთი ქალის მორიგეობითი თანაცხოვრება რამდენიმე მამაკაცთან, რომლებიც ერთმანეთთან შეიძლება დაკავშირებულები ყოფილიყვნენ მეგობრობით ან ნათესაობით, თუმცა ამ პირობების დაცვა სულაც არ იყო აუცილებელი.

ასეთი თანაცხოვრების შედეგად დაბადებული ბავშვები ერთობლივად, როგორც ყველას შვილები არ იზრდებოდნენ. მათ ან იშვილებდნენ სავარაუდო მამები და შემდეგ მათი კანონიერი მემკვიდრეები ხდებოდნენ ან ავსებდნენ უკანონოდ შობილთა რიცხვს. **ნებისმიერ შემთხვევაში, სახელმწიფო მოგებული რჩებოდა.**

მართალია, შვილების, მემკვიდრეების გაჩენა მთავარი მიზანი იყო, მაგრამ **ქმრებს არ შეეძლოთ, ძალა დაეტანებინათ ცოლებისთვის, რათა ისინი დაკავშირებოდნენ კაცებს, რომლებიც მათ არ მოსწონდათ. სპარტელი ქალები თვითონ ირჩევდნენ პარტნიორებს და ქორწინებისგარე კავშირები ხშირად მათი ნებითა და სურვილით იკვრებოდა. ჯანმრთელი შთამომავლობა, რომელიც ასეთი კავშირების შედეგად ჩნდებოდა, ყველაფრის გამმართლებელი იყო.** საზოგადოებრივ გაკიცხვას არ ექვემდებარებოდა ის სპარტელი ქალი, რომელიც ქმარს მიატოვებდა უფრო ღირსეული კაცის გამო. ამის დამადასტურებელია ხილონიდას და აკროტატის ამბავი. მშვენიერი ხილონიდა მიათხოვეს კლეონიმს, რომელიც სპარტის ტახტის პრეტენდენტი იყო, მაგრამ ქალს უყვარდა მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგე აკროტატი. კლეომინი დამარცხდა პოლიტიკურ ბრძოლაშიც და სიყვარულშიც. მან სპარტაში მიიწვია სარდალი პიროსი, რათა მისი დახმარებით დაებრუნებინა ხელისუფლება. სარდალი დამარცხდა. **აკროტატს, რომელმაც ბრძოლაში გამოიჩინა სპარტელებისთვისაც კი იშვიათი თავდადება, უხუცესები შეძახილებით შეხვდნენ: „წადი, აკროტატ, აიყვანე ხილონიდა და გაუკეთე სპარტას კარგი შვილები!“**

## მამათმავლობა სპარტაში

მორალის მიღებული ნორმები აიძულებდა მოტყუებულ ქმარს, თვალი დაეხუჭა თავისი ცოლის სასიყვარულო კავშირებზე ან, სხვა შემთხვევაში, მოლაპარაკებოდა ქალის რჩეულს და თანხმობით ეცხოვრათ. ეს აიხსნებოდა არა მხოლოდ ზნეობის თავისუფლებით. **სპარტელთა ოჯახებში ჩამოყალიბებული არანორმალური სიტუაცია განპირობებული იყო, აგრეთვე, ოჯახისადმი სპარტელის სრულიად გულგრილი დამოკიდებულებით.** სპარტაში სქესთა სეგრეგაციის შედეგად ქმრის როლი, რომელიც მთელ თავის დროს სისიტიებში (გარე სამყაროსგან იზოლირებული ამხანაგობები) ატარებდა, მხოლოდ შვილების შექმნაში მონაწილეობით იყო შემოფარგლული. **სპარტელებისთვის უცხო იყო მშობლის მოფერება, არავითარ მონაწილეობას არ იღებდა იგი ბავშვების აღზრდასა და მეურნეობის გაძღოლაში და ამიტომაც არავითარი ყადრი არ იცოდა ოჯახური ცხოვრების.** იგი მეომარი იყო, რომელიც მეომართა შორის და ომისთვის ცხოვრობდა, ყველაფერი დანარჩენი მისთვის იყო მეორადი და უმნიშვნელო. **ქმრის ოჯახიდან განდგომაში არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა პედერასტია, რომელსაც სპარტაში ორგანიზებული ფორმა ჰქონდა. საზოგადოება მას არამარტო არ ჰგმობდა ზნეობრივად, არამედ სახელმწიფოს მიერ იყო სანქცირებული.** მამაკაცებს შორის სექსუალურ-ეროტიკული კავშირში დადებითს ისინი ხედავდნენ, უწინარეს ყოვლისა, იმაში, რომ ომის დროს თანამებრძოლებს აერთიანებდათ სიყვარულის ძალა.

მაგრამ რაგინდ ძლიერიც უნდა ყოფილიყო ჰომოსექსუალური კავშირები სპარტაში, მის მოქალაქე-მამაკაცებს აუცილებლად სჭირდებოდათ ისეთი ურთიერთობა ქალებთან, რომელიც საბერძნეთის სხვა პოლისებში ჰეტერების ინსტიტუტების სახით იყო ცნობილი. სიპკარულის პროფესიონალი მსახურებისთვის სამხედრო საზოგადოებაში ადგილი არ მოიძებნა, სადაც კაცები ქალებისგან განცალკევებით ცხოვრობდნენ. მაგრამ სპარტის პრაგმატულმა გონმა გადაწყვიტა ეს ამოცანა და აფროდიტეს მოსამსახურე ქალების ფუნქციები დაეკისრა თავისუფალ ქალებს. ესეც ერთ-ერთი მიზეზია დაკანონებული გარყვნილების.

**სპარტელი ქალები წარმატებით ართმევდნენ თავს მათ მხრებზე დადებულ მძიმე მოვალეობებს იმით, რომ შეუთავსებლის შეთავსებას ახერხებდნენ. ისინი თავისუფალ სიყვარულში მამაკაცების თანასწორი პარტნიორები იყვნენ, სანიმუშოდ უძღვებოდნენ თავიანთ მეურნეობას, სპარტას ჯანმრთელ ბავშვებს უჩენდნენ. მტრის ხელით სიკვდილს ეს ქალები ისევე ღირსეულად ხვდებოდნენ, როგორც მამაკაცები.**

**სპარტელი ქალები თვითონ ირჩევდნენ პარტნიორებს და ქორწინებისგარე კავშირები ხშირად მათი ნებითა და სურვილით იკვრებოდა. ჯანმრთელი შთამომავლობა, რომელიც ასეთი კავშირების შედეგად ჩნდებოდა, ყველაფრის გამმართლებელი იყო**

გაგრძელება იქნება

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშკარად ჩანს, რომ ბოლშევიკების სხვა ლიდერების ფონზე, რომლებსაც ზურგს უკან ჰქონდათ იატაკქვეშეთში მოღვაწეობის, ციხისა და გადასახლების წლები, კიროვი ფრიად უფერულად გამოიყურება.**




იგორ პიხალოვი

# ყველაზე ბილწი მითები სტალინზე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №17-19 (204-206)

## გასროლა სმოლნიში, სტალინის მეტოქე?

**გასროლამ, რომელიც 1934 წლის 1 დეკემბერს გაისმა სმოლნის დერეფანში, შეწყვიტა საკ.კპ (ბ) ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის — სერგეი მირონის ძე კიროვის სიცოცხლე.**

ნებისმიერი თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწის მკვლელობა აუცილებლად ბადებს ჭორებსა და ლეგენდებს. გამონაკლისი არც კიროვის დაღუპვა იყო.

ხრუშჩოვის მითოლოგიის თანახმად, რომელიც „პერესტროიკის" პერიოდში დამატებით განვითარდა, საკ.კპ (ბ) XVII ყრილობაზე, რომელიც 1934 წლის 26 იანვრიდან 10 თებერვლამდე მიმდინარეობდა, დელეგატების ერთი ჯგუფი შეეცადა გენერალური მდივნობიდან გადაეყენებინა სტალინი და შეეცვალა იგი კიროვით. მაგრამ ჩანაფიქრი ჩავარდა, რადგან სერგეი მირონის ძემ კატეგორიული უარი განაცხადა. ამასთან, ცენტრალური კომიტეტის წევრების არჩევის დროს სტალინის წინააღმდეგ თითქოს ხმა მისცა 300-მა დელეგატმა, რის შემდეგაც ბოროტმა და სისხლისმსმელმა კრემლის ტირანმა გასცა ბრძანება, გაეყალბებინათ არჩევნების შედეგები, აგრეთვე, გადაწყვიტა, მოეცილებინა კიროვი, როგორც მისი მთავარი მეტოქე.

აი, რას წერს ცნობილი მეზღაპრე-ანტისტალინელი ოლგა შატუნოვსკაია:

**„XVII პარტყრილობის დროს, სტალინისათვის გამართული ოვაციების მიუხედავად, სერგო ორჯონიკიძის ბინაში გაიმართა საიდუმლო თათბირი ზოგიერთი დელეგატის — კოსიორის, ეიხეს, შებოლდაევის, შარანგოვიჩის და სხვების მონაწილეობით. ისინი მიიჩნევდნენ, რომ გენსეკის თანამდებობიდან სტალინის მოცილება აუცილებელია და კიროვს შესთავაზეს, შეეცვალა იგი, მაგრამ ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა. მას შემდეგ, რაც სტალინმა ამ თათბირის შესახებ გაიგო, მან თავისთან გამოიძახა კიროვი. კიროვმა უთხრა, რომ მან თვითონ, თავისი მოქმედებით მიიყვანა საქმე აქამდე.**

**ცეკაში არჩევნების ჩატარებისას სტალინის გვარი 289 ბიულეტენში წაშალეს. სტალინმა უბრძანა, რომ 289 ბიულეტენი დაეწვათ, და ყრილობისთვის მოხსენებულ ოქმში მხოლოდ სამი ხმა იყო ნაჩვენები სტალინის წინააღმდეგ".**

ჯერ, მოდით, გავარკვიოთ, შეეძლო კი ლენინგრადელი კომუნისტების ლიდერს რეალურად წარმომდგარიყო როგორც სტალინის მეტოქე?

კიროვის რევოლუციამდელი დამსახურება საკმაოდ მწირია. 1904 წლის დეკემბერში ტომსკში მცხოვრები 18 წლის სერგეი კოსტრიკოვი, რომელიც ტომსკის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში შესასვლელად ემზადებოდა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი ხდება. მალე მას რსდმპ ტომსკის კომიტეტის წევრად ირჩევენ. ორჯერ აპატიმრებენ, მაგრამ მალევე ათავისუფლებენ. 1906 წლის 11 ივლისს მესამედ აპატიმრებენ და 7-თვიანი გამოძიების შემდეგ, 1905 წლის 16 თებერვალს მიუსჯიან ერთი წლითა და ოთხი თვით ციხეში პატიმრობას.

1908 წლის ივლისში თავისუფლდება და გარკვეული დროის შემდეგ ვლადიკავკაზში გადასახლდება. იქ მუშაობას იწყებს კონსტიტუციურ დემოკრატებთან ახლო მდგარი ზომიერი ლიბერალების გაზეთ „თერგში". გაზეთს საკმაოდ დიდი ტირაჟი ჰქონდა და მალე ყოფილი რევოლუციონერი წარმატებული ჟურნალისტი ხდება, რომელიც წერდა სხვადასხვა თემაზე — ბუნების სილამაზიდან დაწყებული და დოსტოევსკის შემოქმედებით დამთავრებული. პოლიტიკურ მოღვაწეობას კიროვი პრაქტიკულად ჩამოსცილდა. 1909-1917 წლამდე რსდმპ ვლადიკავკაზის ორგანიზაციაშია აღრიცხული, სადაც ფრიად მოკრძალებულ როლს თამაშობდა.

**აშკარად ჩანს, რომ ბოლშევიკების სხვა ლიდერების ფონზე, რომლებსაც ზურგს უკან ჰქონდათ იატაკქვეშეთში მოღვაწეობის, ციხისა და გადასახლების წლები, კიროვი ფრიად უფერულად გამოიყურება. ამასთან, კიროვი ბოლშევიკიც არ იყო — ტომსკისა და ვლადიკავკაზის ორგანიზაციები, რომლებშიც იგი იყო აღრიცხული, ერთიანი იყო და ბოლშევიკებად და მენშევიკებად არ იყო დაყოფილი.**

უფრო მეტიც, 1917 წლის ოქტომბრის შემდეგაც კიროვი უცებ არ შეერთებია ბოლშევიკებს. 1918 წლის ივლისში იგი შედიოდა რევოლუციონერ-ინტერნაციონალისტების სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ ორგბიუროში. ეს ორგანიზაცია მალევე დაიშალა და მისი წევრების ძირითადი ნაწილი ბოლშევიკებს შეუერთდა.

სტალინი და კიროვი დასასვენებლად



**სამოქალაქო ომის დროს კიროვის დამსახურება და სტალინთან მისი მეგობრობა რომ არა, რსდმპ-ში მისი პარტიული სტაჟი 1904 წლიდან კი არ აითვლებოდა, არამედ 1918 წლიდან. რა თქმა უნდა, პარტიის ლიდერად გახდომისთვის საჭირო ავტორიტეტი მას არ ჰქონდა.**

საბჭოთა კავშირის დროს არსებობდა უბრალო და სანდო საშუალება, პარტიულ იერარქიაში ამა თუ იმ პარტიული მოღვაწის ადგილის გასარკვევად: საკმარისი იყო გენახათ, როგორი რიგითობით იყო ჩამოთვლილი უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელების გვარები, და ყველაფერი ნათელი გახდებოდა.

გამოვიყენოთ ეს მეთოდი ჩვენც იმის დასადგენად, თუ მერამდენე „კაცი" იყო კიროვი.

ყრილობის სტენოგრაფიულ ანგარიშში დაფიქსირებულია:

**„1934 წლის 10 თებერვალს გაიმართა საკ.კპ (ბ) ახლადარჩეული ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.**

**პლენუმმა აირჩია ცკ აღმასრულებელი ორგანოები შემდეგი შემადგენლობით:**

**1. ცკ პოლიტბიურო: ამხ. ამხ. სტალინი ი.ბ., მოლოტოვი ვ.მ., კაგანოვიჩი ლ.მ., ვოროშილოვი კ.ე., კალინინი მ.ი., ორჯონიკიძე გ.კ., კუიბიშევი ვ.ვ., კიროვი ს.მ., ანდრეევი ა.ა., კოსიორი ს.ვ.**

**კანდიდატები: ამხ. ამხ. მიქოიანი ა.ი., ჩუბარი ვ.ი., პეტროვსკი გ.ი., პოსტიშევი პ.პ., რუძუტაკი ი.ე.**

**2. ცკ სამდივნო: ამხ. ამხ. სტალინი ი.ბ., კაგანოვიჩი ლ.მ., კიროვი ს.მ. (ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივნად დატოვებით), ჟდანოვი ა.ა. (გორკის სამხარეო კომიტეტის მდივნის მოვალეობისგან გათავისუფლებით)".**

როგორც ვხედავთ, პარტიულ იერარქიაში **კიროვი მხოლოდ მერვეა.** სტალინის, მოლოტოვის, კაგანოვიჩისა და კუიბიშევისგან განსხვავებით, კიროვი XVII ყრილობაზე მომხსენებელთა შორის არ ყოფილა.

## ზღაპარი დამწვარ ბიულეტენებზე

ყურადღებით განვიხილოთ საკ.კპ (ბ) ცკ-ში არჩევნების შედეგები. ხმის მიცემაში მონაწილეობდა 1059 დელეგატი.

მ.კალინინმა და ი. კოდაცკიმ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა მიიღეს — 1059 (მომხრე).

გ. კრჟიჟანოვსკიმ, დ. მანუილსკიმ, ი. პიატნიცკიმ, დ. სულიმოვმა, რ. ეიხემ — 1058 (1 ხმა „წინააღმდეგ");

პ. ალექსეევმა, კ. ვოროშილოვმა, ი. გამარნიკმა, ნ. კრუპსკაიამ, ი. რუმიანცევმა — 1057 (2 ხმა „წინააღმდეგი");

ვ. ივანოვმა, ვ. კნორინმა, ა. მიქოიანმა, გ. ორჯონიკიძემ, ი. სტალინმა — 1056 (3 ხმა „წინააღმდეგ");

ი. კაბანოვმა, ს. კიროვმა, მ. ლიტვინოვმა — 1055 (4 ხმა „წინააღმდეგ").

და ასე შემდეგ.

ამრიგად „პერესტროიკის" დროინდელი" ზღაპრების მიუხედავად, სტალინს ბევრმა გაუსწრო, მათ შორის, პოლიტბიუროს წევრებმა კალინინმა და ვოროშილოვმა, ორჯონიკიძემ კი იმდენივე ხმა მიიღო, რაც სტალინმა.

სადან გაჩნდა ვერსია არჩევნების შედეგების ფალსიფიკაციის შესახებ? მისი ძირითადი წყარო გახლავთ მოსკოვის ორგანიზაციიდან ყრილობაზე დელეგატად ▶

---

მოკლედ

## კოტე კუბლაშვილის თქმით, რამდენიმე პროკურორი მოსამართლეებს ხვდება

**უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი აღმასრულებელ ხელისუფლებას მოუწოდებს, მოსამართლეთა კონფერენციის ჩატარებამდე მოსამართლეებთან ფარულ შეხვედრებზე თავი შეიკავონ.**

როგორც ჟურნალისტებთან შეხვედრისას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ აღნიშნა, მას აქვს ინფორმაცია, რომ რამდენიმე პროკურორი მოსამართლეებს ხვდება და 9 ივნისს დაგეგმილ არჩევნებთან დაკავშირებით ესაუბრება.

როგორც კუბლაშვილმა განმარტა, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან მსგავსი ქმედებები მოსამართლეების დამოუკიდებლობაში ჩარევას ნიშნავს და აღნიშნულისგან თავის შეკავებაა აუცილებელი.

კუბლაშვილი თეა წულუკიანის განცხადებასაც გამოეხმაურა, რომლის მიხედვით, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე რეგიონებში მოსამართლეებს ხვდება და ესაუბრება. როგორც კუბლაშვილმა აღნიშნა, მისი მხრიდან მსგავსი ქმედება ჩვეულებრივი და მისაღებია და შესაძლოა, მსგავსი შეხვედრები ყოველდღე გამართოს, თუმცა, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ახორციელებენ აღნიშნულ ქმედებას, ეს უკვე მოსამართლეებზე ზემოქმედების ტოლფასია. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ჟურნალისტებს დაგეგმილი კონფერენციის დღის წესრიგი გააცნო. კუბლაშვილის განცხადებით, არ არის გამორიცხული, რომ მოსამართლეთა კონფერენცია, რომელიც საქალაქო სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა დარბაზში უნდა ჩატარებულიყო, სასტუმრო „რედისონის" დიდ საკონფერენციო დარბაზში გაიმართოს.

მართალი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## კომისიის დასკვნაში, რომელსაც ხელს აწერს შატუნოვსკაიაც, არჩევნების ფალსიფიკაციაზე ლაპარაკი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელ პარტიულ ხელმძღვანელობას ხრუშჩოვის მეთაურობით უკვდავების წყალივით სჭირდებოდა მასალები „პიროვნების კულტის“ სამხელად.


კომუნისტური პარტიის XVII ყრილობის პირველი დღე. სტალინის მოხსენება

არჩეული ვ.მ. ვერხოვიხი, რომელიც ხმის დამთვლელ კომისიაში იყო დელეგირებული. ხრუშჩოვის მიერ სტალინის კულტის მხილების პროცესში ვერხოვიხმა უცებ „გაიხსენა“, რომ მოწმეა „სტალინური ფალსიფიკაციის“, რის შესახებაც აცნობა სკკპ ცკ პარტიული კონტროლის კომიტეტს 1960 წლის 23 ნოემბერს:

„XVII პარტყრილობის დელეგატად ყოფნისას... ამირჩიეს ხმის დამთვლელ კომისიაში. სულ არჩეული ვიყავით 65 თუ 75 ადამიანი, ზუსტად არ მახსოვს. ასევე არ მახსოვს, რამდენი ურნა იყო — 13 თუ 15... ხმის მიცემაში მონაწილეობა უნდწა მიეღო 1225 თუ 1227-ს. ხმა მისცა 1222-მა. ხმის მიცემის შედეგად... ყველაზე მეტი ხმა „წინააღმდეგი“ ჰქონდათ სტალინს, მოლოტოვს, კაგანოვიჩს, თითოეულს ჰქონდა 100-ზე მეტი ხმა „წინააღმდეგი“, ზუსტად ახლა არ მახსოვს... მაგრამ სტალინს, მგონია 125 თუ 123“.

1960-იანი წლებისთვის ვერხოვიხის გარდა ცოცხალი იყო XVII ყრილობის ხმის დამთვლელი კომისიის კიდევ ორი წევრი — ნ.ვ. ანდრეასიანი და ს.ო. ვიკსნინი. ორივე მათგანმა მისცა ჩვენება 1934 წლის მოვლენების შესახებ. ამასთან, ანდრეასიანმა დაადასტურა ოფიციალური ვერსია (სტალინის წინააღმდეგ — სამი ხმა). ვიკსნინის მიხედვით, ძალიან თუ მოვინდომეთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ გაყალბებას მაინც ჰქონდა ადგილი. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ადამიანები ჩვენებას დიდი ზემოქმედების პირობებში აძლევდნენ — აუცილებლად უნდა შეგროვებულიყო მამხილებელი მასალები სტალინის წინააღმდეგ.

არსებობს კი ფალსიფიკაციის რაიმე ნივთიერი მტკიცებულება?

1960 წლის ნოემბერში XVII ყრილობის ხმის დამთვლელი კომისიის მასალები შეისწავლა სპეციალურმა კომისიამ სკკპ ცკ-სთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის წევრის ოლგა შატუნოვსკაიას, სკკპ ცკ-სთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის ნ.ვ. მატკოვსკის, პარტიული კონტროლის პასუხისმგებელი ინსტრუქტორის ა.ი. კუზნეცოვისა და ცენტრალური პარტიული არქივის გამგის მოადგილის რ.ა. ლავროვის შემადგენლობით. შედეგად დადგინდა:

**ყრილობაზე ჩავიდა 1227 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით. სამანდატო კომისიამ დაამტკიცა 1225 მათგანის უფლებამოსილება. ხმის მიცემაში მონაწილეობდა 1059 დელეგატი. ხმის მიცემის შედეგი ედრება ყრილობაზე ოფიციალურად განცხადებულს. კომისიის ანგარიშს ხელს აწერს მისი ყველა წევრი, შატუნოვსკაიას ჩათვლით.**

ამასთან, ოცდაათი წლის შემდეგ ყოველკვირეულ „არგუმენტი ი ფაქტიში“ გამოქვეყნდა ზემოთ ციტირებული შატუნოვსკაიას წერილი, რომელშიც იგი ამტკიცებს შემდეგს:

„პრეზიდიუმის კომისიამ, რომელიც ცენტრალურ პარტარქივში გაეცნო ხმის მიცემის ბიულეტენებსა და ოქმებს, დაადგინა არჩევნების ფალსიფიკაციის ფაქტი“.

**სინამდვილეში კომისიის დასკვნაში, რომელსაც ხელს აწერს შატუნოვსკაიაც, არჩევნების ფალსიფიკაციაზე ლაპარაკი არ არის.** მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელ პარტიულ ხელმძღვანელობას ხრუშჩოვის მეთაურობით უკვდავების წყალივით სჭირდებოდა მასალები „პიროვნების კულტის“ სამხელად. რომც დავუშვათ, თითქოს ბიულეტენების ნაწილი განადგურდა (რისი დამადასტურებელი ფაქტები არ არსებობს), მათი რაოდენობა შეიძლება ყოფილიყო 166 (1225 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით მინუს 1059 ბიულეტენი, რომლებიც ინახება არქივში), 289-მდე ვერა და ვერ ქაჩავს. ამასთან ზუსტადაა ცნობილი, რომ გადამწყვეტი ხმის მქონე ზოგიერთ დელეგატს ხმის მიცემაში მონაწილეობა არ მიუღია.

ამრიგად „არგუმენტი ი ფაქტიში“ წერილს რომ აგზავნიდა, შატუნოვსკაია ან ბებრულ მარაზმში იყო ჩავარდნილი და არ უწყოდა, რას იქმოდა, ან შეგნებულად ცრუობდა.

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება
**არმაზ სანებლიძე**

# მაიკლ დუგლასი: ორალურმა სექსმა გამოიწვია ჩემი კიბო

**პოპულარულმა მსახიობმა მაიკლ დუგლასმა ბრიტანულ გამოცემა “გარდიანთან” ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ ყელის კიბო, რომლის დიაგნოზიც მას 2010 წელს დაუსვეს, ორალური სექსისგანაა გამოწვეული.**



შეკითხვაზე, ნანობს თუ არა მსახიობი, რომ წლების განმავლობაში სვამდა და ეწეოდა (სწორედ დალევას და მოწევას მოიაზრებდნენ ყელის კიბოს მიზეზად), დუგლასმა უპასუხა:

**„არა. არ მსურს ვიყო ზედმეტად კონკრეტული, თუმცა ეს კონკრეტული კიბო გამოწვეულია HPV–საგან (ადამიანის პაპილომავირუსი), რომელიც მოდის კუნილინგუსიდან, დიახ, სქესობრივი გზით გადამდებმა დაავადებამ გამოიწვია კიბო და იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ დაგისვეს ეს დიაგნოზი, კუნილინგუსია ასევე საუკეთესო სამკურნალო საშუალება მისგან“.**

68 წლის მსახიობს დიაგნოზი 2010 წელ დაუსვეს, თუმცა მანამდე იგი მრავალ ექიმს გაესინჯა, რომლებმაც მისთვის ზუსტი დიაგნოზის დასმა ვერ შეძლეს. დუგლასი მის მეგობარ ექიმს ეწვია, რომელმაც მსახიობის პირის ღრუ დაათვალიერა:

**„მე არასდროს დამავიწყდება მისი სახის გამომეტყველება. მან თქვა, რომ გვჭირდება ბიოფსია. კაკლის ზომის სიმსივნური წარმონაქმნი იყო ჩემს ენაზე, რომელიც არც ერთ სხვა ექიმს არ უნახავს“**

ცოტა ხანში დუგლასს კიბოს მეოთხე სტადიის დიაგნოზი დაუსვეს, რომელიც ბოლო სტადიაა. დაიწყეს ინტენსიური რვაკვირიანი ქიმიოთერაპის და დასხივების კურსი. დუგლასმა უარი განაცხადა საკვები მილის გამოყენებაზე, მხოლოდ სითხის სახით იღებდა საკვებს და შედეგად 20 კილოგრამი დაიკლო.

მკურნალობის კურსმა შედეგი გამოიღო და დიაგნოზი დასმიდან უკვე 2 წელიწადზე მეტია გასული. მსახიობი 6 თვეში ერთხელ შემოწმებას გადის. კიბოს დიაგნოზი მიიჩნეოდა, რომ გამოწვეული იყო თამბაქოს მოხმარების გამო. 1992 წელს იგი ჰოსპიტალშიც მოათავსეს დამოკიდებულების დასაძლევად; ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ იგი დამოკიდებული იყო სექსზე, თუმცა თავად მსახიობი ამას უარყოფდა და აბობდა, რომ ალკოჰოლზე დამოკიდებულების გამო მკურნალობდა. იგი ასევე ამბობდა, რომ იყენებდა ნარკოტიკულ საშუალებებს.

**HPV სქესობრივი გზით გადამდები ვირუსია, რომელიც ცნობილია, როგორც საშვილოსნოს ყელის, ანუსის კიბოს და გენიტალიის კონდილომების (მეჭეჭების) გამომწვევი ვირუსი. ასევე ითვლება, რომ იგი ზრდის პირის ღრუს კიბოს რისკს.**

მაშეშ კუმარმა, რომელიც ყელის ქირურგიის კონსულტანტია ბრიტანეთში, განაცხადა, რომ ბოლო ათწლეულის მანძილზე დრამატულად გაიზარდა ამ ტიპის კიბოს შემთხვევები, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. ბოლო კვლევებით, პირის ღრუს კიბოს მქონე 1316 პაციენტიდან 57%–ის შემთხვევაში კიბო გამოწვეული იყო HPV 16 ვირუსით, რომელიც კეთილთვისებიანია.

კუმარმა სკეპტიციზმი გამოხატა დუგლასის განცხადებაზე, რომ კუნილინგუსია მკურნალობის საუკეთესო საშუალება:

**„ის თვლის, რომ ასე მის იმუნურ სისტემას გააძლიერებს, მაგრამ სამედიცინო თვალსაზრისით ამას აზრი არ აქვს“.**

მაიკლ დუგლასს ორი მცირეწლოვანი შვილი ჰყავს კეტრინ ზეტა ჯონსთან. ეს მსახიობის მეორე ქორწინებაა. წინა ქორწინებიდან მას ჰყავს ვაჟი კემერონი, რომელიც 2010 წელს ნარკოტიკების შენახვისთვის დააკავეს და 5 წელი მიუსაჯეს, თუმცა დაკავებიდან ერთი წლის შემდეგ სასჯელი გაუხანგრძლივდა, რადგან აღიარა, რომ ნარკოტიკებს ციხეშიც მოიხმარდა. კემერონი ციხეს 2018 წელს დატოვებს.

www.netgazeti.ge

# ფრანჩესკო ბრუნო: გეები ავადმყოფი, არანორმალური ხალხია

**ფსიქიატრ ფრანჩესკო ბრუნოს თქმით, გეებს, როგორც სხვა ავადმყოფებს, ისე უნდა ვუმკურნალოთ. აღნიშნულის შესახებ მარკო პასკუა წერს თავის სტატიაში, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ La Repubblica-ს საიტზე.**



ფრანჩესკო ბრუნო, კრიმინოლოგი, ფსიქიატრი, პროფესორი, სალერნოსა და რომში, La Sapienza-ს უნივერსიტეტების ლექტორი, რომელსაც ხშირად იწვევენ გადაცემებში, კრიმინალური ქრონიკის ზოგიერთი ეპიზოდის კომენტირებისათვის, იცავს ქალაქის საბჭოს წევრს ლეჩე ჯუზეპე პიპას, რომელმაც შეურაცხყოფა მიაყენა გუბერნატორ პულინ ნიკი ვენდოლუს, რომელიც არ მალავს თავის სექსუალურ ორიენტაციას, — წერს გამოცემა.

საიტ Pontifex-ის რედაქტორის კითხვებზე პასუხისას, პროფესორი ბრუნო აცხადებს, რომ **„ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გადაწყვეტილება მიიღო, რომ არ ისაუბროს ჰომოსექსუალიზმზე, როგორც ავადმყოფობაზე... მაგრამ მე მაინც იმავე აზრის ვარ და გეების კრიტიკის არ მეშინია. ჰომოსექსუალიზმი — ეს გადახრაა“.** ჰომოსექსუალისტები სხვადასხვა მიზეზით ხდებიან, მათ შორის აუხსნელი მიზეზებით, რომლებიც ბუნებრივ ხასიათს ატარებენ. **„კონცეპტუალური მოსაზრებით, ჰომოსექსუალისტი იმავე მდგომარეობაშია, რომელშიც ინვალიდია, ყრუ და ბრმა... გეები სექსუალური ხასიათის ქმედებებზე არიან ორიენტირებულები და ეს არის ნორმიდან გადახრა“,** — ირწმუნება ფსიქიატრი.

პროფესორი ასევე აცხადებს, რომ დახმარება გაუწევია უამრავი ბიჭისა და გოგოს მშობლებისთვის, რომელთაც სექსუალური ორიენტაცია შეცვლილი აქვთ: **„ისინი, რომლებიც ამბობენ, რომ მშობლები მათ ქმედებას გაგებით ხვდებიან, იტყუებიან. ორივე მშობლისთვის იმის გაგება, რომ ბავშვებს ასეთი სექსუალური ორიენტაცია აქვთ, დიდი ტრამვაა“,** — წერს სტატიის ავტორი.

ფრანჩესკო ბრუნო წინააღმდეგია გეების მიმართ ზღვარგადასული ტოლერანტობის გამოვლენის: **„ზღვარგადასული ტოლერანტობის გამოჩენა გადახრის მიმართ გამოიწვევს იმას, რომ ადამიანები ვერ გაარჩევენ, თუ რა არის ცუდი და რა — კარგი“,** — წერს სტატიის ავტორი.

geonews.ge

ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ბიჭს ატრაქციონებზე სრიალში 22 000 სტერლინგს გადაუხდიან

**ინგლისის საგრაფო სომერსეტში მცხოვრები 22 წლის სებ სმიტი ძალიან იღბლიანი ახალგაზრდაა — მან ზაფხულში საუკეთესო სამსახური იშოვა.**

სები მთელი ზაფხულის განმავლობაში მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ კურორტებზე, მათ შორის, თურქეთში, ეგვიპტესა და იამაიკაში იმოგზაურებს და საცურაო კომპლექსებში წყლის ატრაქციონებს შეამოწმებს. საერთო ჯამში სებს 22 000 გირვანქა სტერლინგს გადაუხდიან. საერთაშორისო წყლის ატრაქციონის შემოწმების ვაკანსიაზე მან 2 000 კონკურენტი დაჯაბნა. **„ძალიან ბედნიერი ვარ. მოუთმენლად ველი ახალი სამსახურის დაწყებას. წინ შთამბეჭდავი დღეები მელის. მთელ ზაფხული ეგზოტიკურ კურორტებზე გავატარებ“,** — ამბობს სები.




## სტომატოლოგმა პაციენტი უკბილოდ დატოვა

**ინდიანაპოლისში კბილის ექიმთან მისულ მამაკაცს პროცედურის დასრულების შემდეგ უსიამოვნო ამბავი ელოდა. აუტისტი ახალგაზრდა, რომელსაც 3 კბილის ამოღება სურდა, უკბილოდ დარჩა.** დაზარალებულ კრისტოფერ კრისტის ოჯახის განცხადებით, ექიმმა პაციენტს გამაყუჩებელი აბები დაალევინა და თვითნებურად ამოუღო ყველა კბილი. დაზარალებულის ოჯახი დანტისტის წინააღმდეგ საჩივრის შეტანას აპირებს. მას შემდეგ, რაც 21 წლის კრისტოფერის შესახებ ეთერში რეპორტაჟი გავიდა, ტელევიზიას დაუკავშირდა 12 ადამიანი, რომლებიც აცხადებენ, რომ იმავე ექიმის მსხვერპლნი არიან. არავინ იცის, რატომ გადაწყვიტა სტომატოლოგმა სამის ნაცვლად 32 კბილის ამოღება პაციენტისთვის. კლინიკა, რომელშიც პაციენტები დაზარალდნენ, უკვე დაკეტილია.

## ფეხსაცმლის საიდუმლო

**ფსიქოლოგების აზრით, ფეხსაცმელს პატრონზე ბევრი საიდუმლოს გაცემა შეუძლია. მეცნიერებმა ამოირჩიეს ქალის ყველაზე პოპულარული ფეხსაცმელი და მათი მფლობელის დახასიათებას შეეცადნენ.**



მოკასინის მფლობელი საკუთარი საქმის პროფესიონალია. თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, მაგრამ არც გარშემო მყოფებს ეუბნება დახმარებაზე უარს. მეტიც, სხვების საქმეებს ადვილად აგვარებს, ვიდრე თავისას.

ის, ვინც ზამთარში უპირატესობას „უგის“ ანიჭებს, მოდის ტენდენციებში კარგად ერკვევა, მაგრამ მას ბრმად არ მისდევს. იცვამს იმას, რაც მოსწონს. აქვს თავისი სტილი და ყველა საკითხზე საკუთარი მოსაზრება. ამასთან, სახალხო გამოსვლებსა და ყურადღების ცენტრში ყოფნას ერიდება.

თამამი მანდილოსანი „ბოტფორდებს“ იცვამს. აქვს კარგი ინტუიცია და სიტუაციას სათანადოდ აფასებს. თუმცა ემოციურია და დასამშვიდებლად დიდი დრო სჭირდება. რომანტიკული ნაკლებად არის და არც უცხო ადამიანებთან იხსნება ბოლომდე. სამაგიეროდ, მიზანს ადვილად აღწევს.

მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ქალს მეტ მიმზიდველობას ანიჭებს. ის სექსუალურია და საკუთარი უპირატესობის დემონსტრირებაც მოსწონს. ამასთან, ბავშვივით უსუსური ხდება, როცა საქმე მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტას ეხება და ხშირად საჭიროებს გაგებით მოპყრობას.

დაბალქუსლიანი ფეხსაცმლის მოყვარული ქალბატონი ამბიციურია, იცის საკუთარი შესაძლებლობები და დასახული მიზნისკენ თამამად მიიწევს. ხშირად სხვების კეთილდღეობაზეც ისევე ზრუნავს, როგორც თავისაზე. ამასთანავე, საქმის სხვებისთვის გადაბარება და მათზე უფროსობაც მოსწონს. ამაყია, როცა გარშემო მყოფები აფასებენ. მის ირგვლივ ყოველთვის კომფორტისა და სიმყუდროვის შეგრძნება ისადგურებს. კედებისა და ბოტასის მოყვარული ერთდროულად რამდენიმე საქმეს არის შეჭიდებული და ყველას წარმატებით ასრულებს. სხვების მიმართაც ისეთივე მომთხოვნია, როგორიც საკუთარი თავის მიმართ. სიმშვიდეს ცუდად იტანს, მის გარშემო მუდამ მხიარულება უნდა იყოს. მოსწონს საინტერესო ადამიანებთან ლაპარაკი. ადვილად ეგუება ცვლილებებს. დაუდევრობის გამო გრანდიოზული იდეების განხორციელებაზე უარს ნუ ეტყვით.

ქალი, რომელიც სანდლით დადის, მუდამ მზად არის სხვების დასახმარებლად, მაგრამ თავადაც სულ იმის მოლოდინშია, რომ მის პრობლემებს სხვა შეითავსებს და მოაგვარებს. უყვარს მოგზაურობა, ფილოსოფიური ლაპარაკი, მაგრამ სახლშიც ხშირად იკეტება, რის გამოც მელანქოლიაში ვარდება.

## მამაკაცი საყვარელ ქალს 2 თვე გაჩერებაზე ელოდა



**ირკუტსკის ავტობუსის მგზავრები 2 თვეა თვალყურს ადევნებენ იდუმალებით მოცულ მამაკაცს, რომელიც ყოველდღიურად, ერთსა და იმავე დროს, გაჩერებაზე ყვავილებით ხელში დგას. 33 წლის ვიტალი შახნაზაროვი 80 ავტობუსს ელოდება, რომელშიც მან გოგონა გაიცნო.**

**„შემთხვევით დავეჯახე, გავიცანით და მერე საუბარში შევყევით. ამ გაჩერებაზე ჩამოვედით, გავისეირნეთ და დავთქვით, რომ მომდევნო დღეს შევხვდებოდით. მე მისთვის ნომრის გამორთმევა დამავიწყდა, თუმცა მაინც მოვედი დანიშნულების ადგილას და საღამოს 10 საათამდე ველოდე“,** — აცხადებს ვიტალი.

როდესაც მარიანა არ მოვიდა, მამაკაცმა ფიცი დადო, რაც არ უნდა მომხდარიყო, მაინც იპოვიდა მას. მან განცხადება ყველა ინტერნეტ-ფორუმზე განათავსა, თავად კი უკვე ორი თვეა, ყოველდღე მიდის იმ გაჩერებაზე, სადაც პირველად (და ჯერჯერობით უკანასკნელად) მარიანა ნახა.

**„ვიცი, რომ ის ამ რაიონში ცხოვრობს. ყველა ქუჩა შემოვიარე, მაგრამ უშედეგოდ. ღმერთს ვევედრები, მას ისევ შემახვედროს. მჯერა, რომ ერთხელაც გამიმართლებს“,** — ამბობს შეყვარებული რომანტიკოსი.

## ქალს მშობიარობის შემდეგ სახეზე თმა ამოუვიდა



**49 წლის გერმანელი ქალი, სახელად მარიამი, ბლანჟეს ატარებს და ამბობს, რომ ასეთი სექსუალური არასდროს ყოფილა.**

მარიამს სახეზე თმიანობა მას შემდეგ დაეწყო, როდესაც 28 წლის წინ იმშობიარა. ჰორმონალური დარღვევის შემდეგ ქალბატონს სახეზე თმები ამოუვიდა. რამდენიმე წლის წინ მან ეპილაციაზე უარი თქვა. ის ბრიტანულ ტელეშოუში — „This Morning“ სტუმრად იმყოფებოდა. ქალბატონი ტელეწამყვანებს გულახდილად ესაუბრა და განაცხადა, რომ გარეგნობის გამო ყველაზე მეტად დედა აკრიტიკებს. მარიამის დედა ქალიშვილს ეხვეწება, თავს პატივი სცეს და ეპილაცია გაიკეთოს.

**„დღეს თავს კარგად ვგრძნობ. წვერი მაქვს, მაგრამ მაკიაჟი მალამაზებს. სახიდან თმის მოსაშორებლად უამრავი ხერხი ვცადე, მათ შორის ეპილაციაც, გელიც, პინცეტიც, მაგრამ თმა უფრო ხშირდებოდა და ამ პროცედურების გაკეთება ყოველ დილით მიწევდა. რამდენიმე წლის წინ უმუშევარი დავრჩი და პროცედურებისთვის ფულის გადახდას ველარ ვახერხებდი, ამიტომ მის ზრდას ხელი არ შევუშალე“,** — ამბობს ქალბატონი.

## მარკ ცუკერბერგმა პოლიტიკური მოძრაობა შექმნა



**„ფეისბუქის“ დამფუძნებელმა და აღმასრულებელმა დირექტორმა მარკ ცუკერბერგმა შექმნა პოლიტიკური მოძრაობა სახელწოდებით FWD.us (Forward US „წინ, ჩვენთან ერთად“).**

ცუკერბერგის პოლიტიკური პარტია დააფინანსებს სამეცნიერო კვლევებს და მხარს დაუჭერს საკანონმდებლო რეფორმებს სხვადასხვა მიმართულებით, განსაკუთრებით კი საიმიგრაციო რეფორმებს, გამომდინარე იქიდან, რომ ყველაზე მეტად ცუკერბერგის პოლიტიკურ მოძრაობას მიგრაციის პრობლემა აღელვებს.

**„ჩვენს ქვეყანას უცნაური საიმიგრაციო პოლიტიკა აქვს, რომელიც არ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს“,** — განაცხადა „ფეისბუქის“ დაამაარსებელმა.

მისივე თქმით, აუცილებელია აშშ-ის მოქალაქეობის მიღება გამარტივდეს კვალიფიციური მიგრანტებისთვის, რადგან ეს ხელს შეუწყობს ნიჭიერი და შრომისმოყვარე ადამიანების მოზიდვას განურჩევლად მათი დაბადების ადგილისა.

ამასთან, ცუკერბერგი ითხოვს სკოლებში საგანმანათლებლო სტანდარტების გაზრდას.

ცუკერბერგის პოლიტიკურ მოძრაობაში გაწევრიანებული არიან: „ლინკედინის“ თანადამფუძნებელი რეიდ ჰოფმანი, Google-ის აღმასრულებელი თავმჯდომარე ერიკ შმიდტი, Yahoo-ს აღმასრულებელი დირექტორი მარისა მეიერი და სხვა ცნობილი ტექნოლოგიური კომპანიების აღმასრულებელი დირექტორები.



## ღამურა (ვიეტნამი)

ვიეტნამის ქუჩებში შეხვდებით უამრავ ეგზოტიკურ კერძს. მაგრამ ტრაპეზის მეტად ფასეული და ძალინ ძვირი კერძები ღამურისაგან მზადდება. რესტორნებში ისინი დამწყვდეული ჰყავთ გალიებში და კლიენტს შეუძლია თავად აირჩიოს, რომელი ღამურის მირთმევა სურს. შემდეგ მზარეული თვალის დახამხამებაში თავს აჭრის ღამურას და სისხლს ჭიქაში აგროვებს, მას კლიენტი სვამს. ვიეტნამელებს სჯერათ, რომ ღამურის ხორცი აძლიერებს მამაკაცის ძალას.

ეს საინტერესოა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაზე ამაზრზენი დელიკატესები

**უამრავ ქვეყანაში დელიკატესად ითვლება ის, რისი ჭამაც ჩვენში, უბრალოდ, წარმოუდგენელია. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, ამგვარი კერძების ხსენებაზე ბევრს დიდი ხნით დაეკარგოს ჭამის მადა, მაგრამ ეს არაფერს ცვლის მათთვის, ვისთვისაც ეს ყველაფერი მართლაც დელეკატესია.**



## ბალუტი (ფილიპინები)

ეს არის იხვის კვერცხი, რომელშიც ნაყოფს გაზრდილი აქვს ფრთები და ნისკარტი. მას მიითმევენ მოხარშულ მდგომარეობაში. ამბობენ, რომ ძვლები ძალიან სასიამოვნოდ ხრაშუნობს პირში. მას, აგრეთვე, კამბოჯაშიც მიირთმევენ.



## Casu Marzu (სარდინია, იტალია)

ეს არის ცხვრის დამპალი ყველი, რომელსაც მატლები ესევა. ნახევრადგამჭვირვალე მატლებს შეუძლიათ ხტუნვა, ასე რომ ჭამის დროს უნდა გაუფრთხილდეთ თვალებს. ყველიდან გადმოდის მყრალი წვენი, რომელსაც ჰქვია ლაგრიმა — ცრემლები, მატლები არ მოინელება და შეიძლება გამრავლდნენ, რაც იწვევს გულისრევას და სისხლიან ფაღარათს. ყველი ითვლება დელიკატესად სარდინიაში, მაგრამ მისი წარმოება არალეგალურია, რადგან ეს საკვები აკრძალულია.




## ცოცხალი რვაფეხა (კორეა)

კორეაში დელიკატესად ითვლება რვაფეხა. მისი არჩევა შეგიძლიათ დიდ აკვარიუმებში, რომლებიც, როგორც წესი, განთავსებულია რესტორნების შესასვლელებში. რვაფეხის ჭამას თავიდან იწყებენ, რათა თავისი საცეცებით არ შეაწუხოს მჭამელი. მაგრამ ეს მაინც მძაფრი შეგრძნებების მოყვარულთათვისაა, როგორც წესი, რვაფეხას ჭრიან დაახლოებით 1-2 სანტიმეტრის ზომის ნაწილებად და მიირთმევენ კუმჩისთან ერთად (საკულტო კორეული კერძი — განსაკუთრებული წესით დამჟავებული კომბოსტო). რვაფეხას ნაჭრებს ხარშავენ კუმჩიში. ის სასარგებლოა იმ მხრივ, რომ საერთოდ არ შეიცავს ცხიმს.



## პაჩა (ერაყი)

ეს არის უბრალოდ ცხვრის მოხარშული თავი. ამ დელიკატესს ყაზახეთშიც მიირთმევენ და მას პირველ რიგში მიაწოდებენ მაგიდის ყველაზე უფრო საპატიო წევრს.



## ღვინო თაგვებისგან (კორეა)

ამ ტრადიციულ გამაჯანსაღებელ სასმელს სვამენ კორეასა და ჩინეთში. ამბობენ, რომ ის გემოთი ნავთს მოგვაგონებს. ახალდაბადებული წრუწუნები, ჯერ კიდევ თვალაუხილავნი, მოთავსებული არიან ბრინჯის ღვინოში.



## Eskamoles (მექსიკა)

ეს არის კვერცხები გიგანტური შავი ჭიანჭველებისა, რომლებიც ცხოვრობენ აჰავაში. ამ კვერცხების შეგროვება ძალიან რთულია, ვინაიდან ჭიანჭველები შხამიანი არიან და არ უყვართ ადამიანები. თავისი კონცენტრაციით კვერცხები მიახლოებით ისეთია, როგორც ხაჭო. ჩვეულებრივ მათ მიირთმევენ სოუს გუაკომოლესთან ერთად. გემო საკმაოდ სასიამოვნო აქვს. ასე რომ, მექსიკაში ყოფნისას თუ შეიძენთ რაიმეს ნაციონალური სამზარეულოდან, შეიძლება ვერც შეამჩნიოთ, რომ მიირთვით ჭიანჭველის კვერცხები.



## მორიელი (აზიის ქვეყნები)

მორიელს ჭამენ არა მარტო აზიაში. ნიუ იორკისა და ამსტერდამის ელიტურ რესტორნებშიც შეგიძლიათ შეუკვეთოთ ის, რესტორნებში, სადაც სტუმრებს ეგზოტიკური კერძებით ანებივრებენ. მას მოგართმევენ ყველთან და სალათის ფურცლებთან ერთად. ჭამენ თავისა და ფეხების გარეშე. შიგნიდან მას აქვს თეთრი, ადგილ-ადგილ მოყავისფრო ფერი. მომზადების შემდეგ ის აღარაა შხამიანი. ჩინურ რესტორნებში მორიელებს უფრო ხშირად ორთქლზე ხარშავენ და მოგართმევენ მჟავე სოუსითა და ბოსტნეულით. აქვს ცოტათი მომწარო გემო.



## ტარანტული (კამბოჯა)

კამბოჯაში დაახლოებით ისეთივე დელეკატესად, როგორიც ევროპაში ხიზილალაა, ითვლება დიდი ობობა „ა-პინგი“ — შხამიანი ტარანტულას ნაირსახეობა. ეს არის ქალაქ სკოუნის საფირმო კერძი. მანამდე, სანამ მოამზადებენ მას, საჭიროა მოძებნონ ობობა, გამოიყვანონ ბუდიდან და მოაძრონ შხამიანი ეშვები. შემდეგ მას ნელ-ნელა წვავენ ცეცხლზე (აუცილებლად შეშის ცეცხლზე) და უმატებენ დიდი რაოდენობით მარილს და ნიორს. მაშინ, როცა ის მიიღებს მოწითალო-მოყავისფრო შეფერილობას, კერძი მზადაა და შეიძლება მიირთვათ. სასურველია, მიირთვათ ძალიან ცხელი, ჭამენ ხელებით. გემოთი მოგვაგონებს ქათმის ხორცს. სასარგებლოა იმით, რომ შეიცავს მაღალხარისხიან ცილებს და თითქმის არ შეიცავს ცხიმს. ხსნის ზურგის ტკივილს და კურნავს სასუნთქი ორგანოების დაავადებებს.



## მაიმუნის ტვინი (ჰონკონგი)

ჰონკონგის საუკეთესო რესტორნებში ძვირფას დელიკატესად ითვლება ცოცხალი მაიმუნის ტვინი. რა თქმა უნდა, ეს არ არის სუსტი ნერვების მქონე ადამიანებისთვის და ბევრი ვერ ბედავს მის ჭამას. გემოთი ის მოგვაგონებს ცივ ბრინჯის პუდინგს. ის შეიცავს ორჯერ უფრო ნაკლებ ქოლესტერინს, ვიდრე ხორცი.



## ვირთხა (პარაგვაი)

ადრე პარაგვაიში ვირთხის ხორცს ჭამდნენ მხოლოდ პატარა სოფლებში, მაგრამ ახლა ეს მოდა მთელს ქვეყანაში გავრცელდა. თუმცა ხანდახან მას ცვლიან ზღვის გოჭით და ირწმუნებიან, რომ მისი ხორცი არაფრით ჩამორჩება ვირთხისას და უფრო რბილია. მათ მიირთმევენ ნებისმიერი სახით — შემწვარს, მოხარშულს, ფარშირებულს. ყველაზე უფრო მეტად ეტანებიან ახალდაბადებულ ვირთხებს, მათ პირდაპირ ყლაპავენ და რძეს აყოლებენ. გემოთი შემწვარ იხვს ჰგავს. პარაგვაელები თვლიან, რომ ვირთხის ხორცი მდიდარია ცილებით, არ არის ცხიმიანი და აუმჯობესებს სახის ფერს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## უჩვეულო მუსიკალური ინსტრუმენტები

**ამერიკელი ხელოვანი დეივ კოული უჩვეულო მუსიკალურ ინსტრუმენტებს ქმნის. მან ასფალტის სატკეპნი, ექსკავატორი, საკერავი მანქანა მუსიკალურ ისტრუმენტებად აქცია.** ხელოვანმა ახლახან ნიუ იორკის DODGE gallery-ში საკუთარი ნამუშევრები გამოფინა. მისი ნამუშევრების სერია ბევრ ძველ ნივთს ახლებურ დატვირთვას სძენს. კოულმა საკერავი მანქანა Singer-ის სახელი პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო და მას მუსიკის დაკვრა აიძულა. 10-ტონიანი ასფალტის სატკეპნი კი მუსიკალურ ზარდახშად აქცია. კოულმა ჩაქუჩებითა და ყველგანმავლებით მთელი ორკესტრი შექმნა.






## დუბაის პოლიციას ვეღარავინ გაექცევა

**არაბეთის გაერთიანებული საემიროების ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქალაქის, დუბაის, პოლიციამ განკარგულებაში უახლესი LAMBORGHINI AVENTADOR მიიღო.**

ავტომობილი სპეციალურად საგზაო პოლიციისთვისაა მოდიფიცირებული და ყველა საჭირო აღჭურვილობას ფლობს. სუპერმანქანას მაქსიმალური სიჩქარის — 349 კმ/სთ-ის განვითარება შეუძლია.

პოლიციის სამსახურში სუპერქარი იშვიათობა აღარაა — მსგავს ავტომობილებს იყენებენ ნიდერლანდებში, გერმანიასა და აშშ-ში, თუმცა საემიროების პოლიციას ის მხოლოდ კეკლუცობისთვის არ სჭირდება — ამ მდიდარ ქვეყანაში მძლავრი და ძვირფასი ავტომობილების სიჭარბეა, რომლებსაც იოლად შეუძლიათ „ჩვეულებრივი“ მანქანით დადევნებულ პოლიციელთა უკან მოტოვება.

## ათწლეულის ყველაზე გავლენიანი ადამიანები

**გამოცემა Time-მა გამოკითხვა ჩაატარა და „ათწლეულის ყველაზე გავლენიან პერსონათა“ რეიტინგი შეადგინა. სიაში პირველ ადგილზე ბირმელი პოლიტიკური მოღვაწე და ნობელის პრემიის ლაურეატი აუნ სან სუ ჩჟი გავიდა.**

ნომინაციები 4 ჯგუფად დაყვეს: „გართობა“, „პოლიტიკა“, „ტექნოლოგიები“ და „კერპები“.

ეპატაჟურმა მომღერალმა ლედი გაგამ უკან ჩამოიტოვა ბარაკ ობამა, ჯორჯ კლუნი, „ჰარი პოტერის“ ავტორი ჯოან როულინგი და მეორე ადგილზე დამკვიდრდა.

აუნმა გაუსწრო ოპრა უინფრის, შემდეგ მიშელ ობამას და Google-ის ერთ-ერთ დამფუძნებელ ლარი პეიჯს.

აღსანიშნავია, რომ „ფეისბუქის“ შემქმნელმა მარკ ცუკერბერგმა ვერ გაუსწრო მის მთავარ კონკურენტს, „ვიკიპედიის“ შემქმნელ ჯიმი უელსს.

სიაში ასვე მოხვდნენ ჯენიფერ ლოურენსი, ჯეიზი, ქეით მიდლტონი და მიშელ ობამა.


აუნ სან სუ ჩჟი


ლედი გაგა

## ამერიკელმა პურში გველი აღმოაჩინა



საჯარო ბლოგ Reddit-ში humanimalcracker-ის სახელით დარეგისტრირებული მომხმარებელი უსიამოვნო ფოტოს აქვეყნებს. ავტორი ფოტოს ასეთ კომენტარს უკეთებს: „დეიდაჩემმა პურში, არც მეტი, არც ნაკლები, გველი აღმოაჩინა!“

humanimalcracker-ი ასევე წერდა, რომ საკვები პროდუქტი ქალმა ტეხასის შტატში პოპულარულ საფუნთუშეში (Mrs. Bairds) შეიძინა. შინ მისვლის შემდეგ ქალი სენდვიჩის გაკეთებას აპირებდა, როდესაც საკვებში უჩვეულო „ობიექტი“ აღმოაჩინა.

საფუნთუშეს პრესსამსახურის წარმომადგენელმა The Huffington Post-ს განუცხადა, რომ ფოტო ყალბია. მისი თქმით, კომპანიაში ის 25 წლია მუშაობს და მსგავსი ინციდენტი არ ახსოვს. თუმცა ოფიციალურ განცხადებაში პრესმდივანმა აღნიშნა, რომ ცომში შეიძლებოდა არა გველი, არამედ დამწვარი პურის ნარჩენები აღმოჩენილიყო.

საფუნთუშეს მცხობელებმა დაზარალებულს პურის ექსპერტიზაზე გაგზავნა ურჩიეს, რათა სიმართლე დამოუკიდებელმა ექსპერტებმა დაადგინონ.



## ნაკაწრებით გაფორმებული მანქანები

**შონ ლისიაკის მიერ მანქანის ზედაპირზე ამოკვეთილი ორნამენტები ხელოვნების ნიმუშია.**

ლოს-ანჯელესელმა ოსტატმა საკუთარი კომპანია Exotic Engravings-ი გახსნა, რაც ქართულად ეგზოტიკურ გრავირებას ნიშნავს. აქ ყველა მსურველს შეუძლია, თავისი მანქანა ნაკაწრებით გააფორმოს.

ავტორი თითოეული მანქანის „მოკაწვრას“ საკმაოდ დიდ დროს უთმობს. მაგალითად, საკუთარი Honda Civic-ის გრავირებას მან 6000 საათი მოანდომა.

## საუდის არაბეთიდან 3 მამაკაცი კარგი გარეგნობის გამო გააგდეს

**საუდის არაბეთში ერთ-ერთ კულტურულ ფესტივალზე უცნაური ინციდენტი მოხდა.**

ღონისძიების ორგანიზატორებს 3 მამაკაცის გარეგნობა იმდენად მოეწონათ, ისინი ქვეყნიდან დეპორტით გაისტუმრეს. მათი თქმით, ასეთი გარეგნობის კაცებს ქალებში „უხამსი“ გრძნობების აღძვრა შეუძლიათ. სიმპათიური მამაკაცები საუდის არაბეთში სტუმრად ემირატებიდან იყვნენ. ეს ინფორმაცია არაბულ გაზეთ Elaph-ში დაიბეჭდა.

**„ფესტივალის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ინფორმაცია უკვე დაგვიდასტურა. მათი თქმით, ემირატებიდან ჩამოსული დელეგაციიდან სამი მამაკაცი ზედმეტად მიმზიდველი იყო. ორგანიზატორებს შეეშინდათ, რომ ისინი ქალებს თავბრუს დაახვევდნენ“,** — წერს არაბული გაზეთი Elaph.



## ნავთობის აბანოები



**აზერბაიჯანის ქალაქ ნაფტალანში ნავთობის აბაზანას იღებენ. მისი სამკურნალო თვისებების შესახებ ადგილობრივებისთვის დიდი ხანია ცნობილი.**

ნავთობის აბანოები ნაფტალანში პოპულარული საბჭოთა პერიოდში გახდა. მაშინ აქ მთელი ქვეყნის მასშტაბით ადამიანები გამოსაჯანმრთელებლად დადიოდნენ. 1980-იან წლებში ამ ქალაქს ყოველწლიურად 75 000 ადამიანი სტუმრობდა. ნავთობს მისი უნიკალური თვისებების გამო დამამშვიდებელი ეფექტი აქვს, იგი კანის ისეთი დაავადებების სამკურნალოდ გამოიყენება, როგორიცაა ეგზემა და ფსორიაზი. იგი სახსრების ტკივილსაც შველის.

პოპულარული კურორტი 1988 წელს აზერბაიჯანელებსა და მთიან ყარაბაღში მცხოვრებ ეთნიკურ სომხებს შორის დაწყებული ომის შემდეგ დაცარიელდა. სააავადმყოფოები დევნილთა ბანაკებად იქცა, სსრკ-ის დაშლის შემდეგ კი ნავთობის აბანოები დაიხურა. დღეს ნავთობის დახმარებით მკურნალობის პროცესი თანდათანობით ვითარდება. **მეცნიერები ადასტურებენ, რომ ნავთობს, რომელსაც ნაფტალანში აბაზანისთვის იყენებენ, სამკურნალო თვისებები აქვს, მიზეზი კი მასში შემავალი ნაფტალინია.** ნავთობის აბაზანა ჩვეულებრივ 10 წუთი გრძელდება, შემდეგ კანის გასუფთავება და შხაპის მიღება ხდება. სპეციფიური ფერი კანზე სამი დღე რჩება. ნავთობს, აბაზანის შემდეგ, ხელახალი გამოყენებისთვის გადაამუშავებენ. პროდუქტის მაღალი ღირებულების გამო მსოფლიო ბაზარზე, ნავთობის აბაზანაში ბანაობა 200-240 დოლარი ღირს.

ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## გადახდა თითის ანაბეჭდებით

**თუ მალაზიაში ისე მიხვედით, რომ საფულე შინ დაგრჩათ, არ ინერვიულოთ. გადახდის ახალი სისტემა ამ პრობლემას მალევე მოგიგვარებთ, თუ, რა თქმა უნდა, ამ დაწესებულებაში არის სერვისი PayTouch-ი. ამ სერვისის მეშვეობით, ფულის გადახდას თითის ანაბეჭდებით შეძლებთ.** საკმარისია ხელსაწყოზე თითის დაჭერა და თქვენი საბანკო ანგარიშიდან თანხა ავტომატურად ჩამოიჭრება. როდესაც მომხმარებელი ამ სისტემაში რეგისტრირდება, მისი თითის ანაბეჭდი უკავშირდება საბანკო ანგარიშს. შესაბამისად, PayTouch-ზე თითის დაჭერით ანაგრიშსწორება შეუფერხებლად ხორციელდება.





## პლანეტის ყველაზე ძვირადღირებული ბავშვი

**რუსმა ოლიგარქმა რომან აბრამოვიჩმა მორიგი რეკორდი მოხსნა — ამჯერად, როგორც პლანეტის ყველაზე გულუხვმა მამამ. ბიზნესმენი ჟურნალ Forbes-ის მორიგ რეიტინგს, როგორც „ყველაზე ძვირადღირებული ბავშვის მამა“ ლიდერობს. აბრამოვიჩმა შეყვარებულის — დარია ჟუკოვას მშობიარობაზე ასტრონომიული თანხა დახარჯა.**

გამოცემის ჟურნალისტებმა დათვალეს, რომ ჰუდსონის ყურეში მხოლოდ იახტა Eclipse -ის გაჩერებისთვის აბრამოვიჩი ერთ კვირაში 200 000 დოლარს ხარჯავდა. ოლიგარქის კუთვნილი გიგანტური იახტა ნიუ იორკის აკვატორიაში თებერვლის შუა რიცხვებში გამოჩნდა და ადგილობრივ მცხოვრებლებსა და ჟურნალისტებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ჯერ კიდევ მაშინ ჟურნალისტებმა ივარაუდეს, რომ აბრამოვიჩს სურდა, მისი შვილი ნიუ იორკში გაჩენილიყო. ამისთვის წყვილი ნიუ იორკში წინასწარ ჩავიდა, მაგრამ სასტუმროში არ გაჩერებულა და იახტაზე დარჩენა ამჯობინა.

იახტა ჰუდსონზე ორი თვე იდგა. მის მოვლაში აბრამოვიჩმა 1,6 მილიონი დოლარი დახარჯა. თუ ამას ცხოვრების (საჭმელი, სასმელი, მომსახურე პერსონალის გასამრჯელო) და სამედიცინო მომსახურების ხარჯები დაემატება, თანხა კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახდება.

დარია ჟუკოვამ ნიუ იორკში, რუზველტის საავადმყოფოში იმშობიარა. აბრამოვიჩისა და ჟუკოვასთვის ეს მეორე საერთო შვილია. 2009 წელს მათ ვაჟი, აარონ-ალექსანდრე შეეძინათ.

სულ ოლიგარქს შვიდი შვილი ჰყავს. მისი უფროსი ქალიშვილი — ანა 21 წლისაა.



## მელანი ცრემლების ნაცვლად

**ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუში მცხოვრები 39 წლის სვირინგის მხატვარი ფერნანდო დოს სანტოსი სახიფათო ექსპერიმენტებზე უარს ვერ ამბობს.**

ფერნანდოს არასდროს მოსწონდა საკუთარი თვალის ფერი და არც ლინზები ხიბლავდა. მან თვალის კაკალი სვირინგით მოიხატა, რათა ფერი გამუქებულიყო. ფერნანდოს სხეულის 70 პროცენტი სვირინგებითაა მოხატული. **„რამდენიმე დღე ტირილის დროს თვალიდან, ცრემლის ნაცვლად, მელანი მდიოდა“,** — იხსენებს მხატვარი.

ოფთალმოლოგები პროცედურის წინააღმდეგ გამოდიან და ყველას აფრთხილებენ, რომ მსგავსი გართობა ფატალურად სრულდება. **„ამ პროცედურის შემდეგ დიდი შანსია, მხედველობა დაკარგოთ“,** — აცხადებენ ექიმები.

## 6 წლის მილიონერი

**პატარა ამერიკელი, სახელად იზაბელა ბარეტი, რომელმაც სკანდალურ შოუ Toddlers & Tiaras-ში მონაწილეობით გაითქვა სახელი, 6 წლის ასაკში მილიონერი გახდა. ტელევიზიაში წარმატებული კარიერის შემდეგ გოგონამ საკუთარი ბიზნესიც წამოიწყო.**



პატარა ბიზნესლედის პირველი წარმატება მაშინ ეწვია, როდესაც დედამისმა სთხოვა, ბავშვების სილამაზის კონკურსში მიეღო მონაწილეობა. კაბაზე, მაკიაჟსა და აქსესუარებზე 50 000 დოლარის დახარჯვამ გაამართლა: მისი ქალიშვილი ტელევარსკვლავად იქცა.

პოპულარობის მოხვეჭის შემდეგ გოგონამ კოსმეტიკისა და საიუველირო ნაკეთობათა საკუთარი ხაზის წარმოება დაიწყო. საზოგადოებამ გოგონას ინიციატივა მოიწონა და მის მიერ შექმნილი კოსმეტიკისა და საბავშვო საიუველირო ნაწარმის შესაძენად მაღაზიებს მიაშურა.

**„მომწონს თუ არა მილიონერობა? ძალიან ბედნიერი ვარ, — განაცხადა პატარა ბიზნესმენმა ერთ-ერთ ბრიტანულ გამოცემასთან ინტერვიუში, — მე სუპერვარსკვლავი ვარ, რაზეც სხვები მხოლოდ ოცნებობენ“.**

იზაბელას განსაკუთრებით უყვარს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, გოგონას უკვე 60 წყვილი ფეხსაცმელი აქვს და მომავალში ამ მიმართულებითაც აპირებს საკუთარი ხაზის შექმნას. იზაბელას ბიზნესპარტნიორობას 39 წლის დედა უწევს, ის საიუველირო განყოფილების ხელმძღვანელია. მშობლები დარდობენ, რომ მათ შვილს საკუთარ თავზე გადაჭარბებული წარმოდგენა არ შეექმნას.

**„მეშინია, რომ ჩემმა შვილმა ბრიტნი სპირსის გზა არ გაიმეოროს. ის უკვე ნამდვილი ვარსკვლავივით იქცევა, ფეშენებელური სასტუმროების მომსახურებით ტკბება და მაღაზიებში ფასებს აღარ უყურებს“,** — ამბობს იზაბელას დედა.

პატარა ბიზნესმენს ბროდვეიზე თითოეულ გამოსვლაში 10 000 დოლარს უხდიან. ასეთ ასაკში იზაბელა ბარეტმა გახმაურებული სასამართლო პროცესში მონაწილეობაც მოასწრო. ერთი წლის წინ დედამისმა სამი მსხვილი გამოცემის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა და კომპენსაციის სახით 30 000 000 დოლარი მოითხოვა. მედიაში გავრცელდა ვიდეო, სადაც იზაბელა ბარეტი ერთ-ერთ ღამის კლუბში ასრულებს ჯგუფ LMFAO-ს სიმღერას Im Sexy and I Know It. გოგონას დედამ გამოცემები სექსუალიზაციის პროპაგანდაში დაადანაშაულა.



## ნიუ იორკის ბარში სასმელის ფასს ბირჟა ადგენს

**ნიუ იორკში არსებულ ბარ Exchange Bar & Grill-ში სასმელის ფასი ბირჟის მდგომარეობასთან ერთად იცვლება.**

მუშაობის პრინციპი მარტივია: ნებისმიერი სასმელის ფასი მასზე არსებული მოთხოვნის მიხედვით განისაზღვრება. მაგალითად, თუ თქვენი საყვარელი ალკოჰოლური სასმელი კარგად არ იყიდება და მას არავინ უკვეთავს, თქვენ მის მოპოვებას იაფად შეძლებთ.

გარდა მოსახერხებელი სავარძლებისა და პლაზმური პანელებისა, ამ დაწესებულებაში არის ბირჟისთვის აუცილებელი ფორუმი, სადაც რეალურ დროში ისახება ალკოჰოლზე არსებული ფასები. ბარის პატრონები ლავენტ კაკარი და დეიმონ ბე აცხადებენ, რომ ეკრანი, რომელიც ბარის შემოსასვლელშია დამონტაჟებული, მათი დაწესებულების საუკეთესო რეკლამაა და ბევრ კლიენტს იზიდავს.

## იაპონელი ფრანგად «იქცა»

**თანამედროვე ქირურგია სასწაულებს ახდენს. ექიმებს, რომლებსაც აზიელი ქალის ევროპელად გადაქცევა დაევალათ, 30 ოპერაცია დასჭირდათ.**

იაპონელი მოდელი ვანილა შამიუ საკმაოდ მიმზიდველი გოგონა იყო. გარეგნული მონაცემების წყალობით, ვანილამ არაერთ სამოდელო სააგენტოსთანაც ითანამშრომლა, თუმცა ის მსოფლიო პოდიუმის დაპყრობაზე ოცნებობდა. აზიელი ქალები გრძელი ფეხებით და 180 სმ-იანი სიმაღლით ვერ დაიკვეხნიან, რაც საერთაშორისო აღიარების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია. ამიტომ ვანილამ, ქირურგების დახმარებით, ევროპული გარეგნობის „მორგება“ გადაწყვიტა. ვანილამ 30 ოპერაცია გაიკეთა და ამისთვის 130 000 დოლარი გადაიხადა. ახლა, როცა ოცნებას თითქმის მიაღწია, გოგონა ასაკს მალავს. პირველი ოპერაცია მან 19 წლის ასაკში გაიკეთა. ვანილას გაუთეთრეს კანი, შეუცვალეს თვალის ჭრილი, მკერდის და შუბლის ფორმა. მიუხედავად ყველაფრისა, ის მაინც არაა კმაყოფილი გარეგნობით: მას წინ ყველაზე რთული ცვლილება — ფეხების დაგრძელება ელის.

**„მზად ვარ კიდევ უამრავი ოპერაცია გავიკეთო, ოღონდ ჩემი გარეგნობა ისეთი გახდეს, როგორიც მე მაქვს ჩემს ოცნებებში წარმოდგენილი“,** — განაცხადა ვანილამ.






## გია ნიკოლაძე:

# დღეს ვინ ვის დაკრულზე უბერავს, ვერ გავიგე

**კარგა ხანია, ქართულ მუსიკალურ სამყაროში ახალი თითქმის არაფერი ხდება. მართალია, ბოლო წლებში რამდენიმე პროექტი განხორციელდა, მაგრამ ეს საკმარისი მაინც არ აღმოჩნდა. ქართული სცენიდან იშვიათად ისმის ქართული ხარისხიანი, ცოცხალი მუსიკა. მიზეზი ბევრია, ცოცხალი მუსიკის კეთება საქართველოში საკმაოდ ძვირი ჯდება. ამისთვის საჭირო აპარატურა და მუსიკალური ინსტრუმენტები არც თუ იაფი ღირს და ძალიან ბევრ კარგ შემსრულებელს უჭირს მათი შეძენა. ალბათ, იმაშიც დამეთანხმებით, რომ მუსიკოსები თავიანთი საქმით ფულს იშვიათად შოულობენ, თუ არ ჩავთვლით მეფის ნავში მსხდომ მუსიკოსებს, ამიტომ ამ სფეროში მოღვაწე ადამიანის მოტივირებისთვის არ არსებობს რაიმე სხვა მექანიზმი, გარდა პირადი ენთუზიაზმისა. დღეს საკითხავია ისიც, თუ ვის უნდა შენი ხარისხიანი მუსიკა. ახალგაზრდობისთვის ტერმინი „ქართული საესტრადო მუსიკა“ უგემოვნო, უხარისხო და უშინაარსო, ამორალურ მუსიკასთან ასოცირდება. „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრა ჯგუფ „ნიკოლ-შოუს“ ერთ-ერთი წევრი გია ნიკოლაძე.**



**— ბატონო გია, უკანასკნელ წლებში საქართველოში ინგლისურენოვანი სიმღერების შესრულების მოდა დამკვიდრდა. სცენიდან ქართული ხარისხიანი მუსიკა იშვიათად ისმის.**

— მე რომ მკითხონ, სჯობს, ქართული იმღერონ. თუ იმისთვის მღერიან, რომ ინგლისურენოვანი უცხოეთში გაიტანონ, ცდებიან, სჯობს, შექმნან ხარისხიანი ქართული და ამით მოიწონონ თავი.

**— დიდი ხანია, საქართველოში დამკვიდრდა კიდევ ერთი ტენდენცია: კონცერტებში მონაწილეობენ ის მუსიკოსები, რომლებსაც, ასე ვთქვათ, ხელისუფლება სწყალობს, დანარჩენები კი მსმენელების როლში რჩებიან. როგორ ფიქრობთ, უნდა ხდებოდეს თუ არა ხელოვნების პოლიტიზება და მუსიკოსების შერჩევა „ამისიანების“ და „იმისიანების“ მიხედვით? ნუთუ პოლიციისთვის ნამღერი ჰიმნი არის მუსიკოსის ტალანტის შეფასების უმაღლესი კრიტერიუმი?**

— არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება ხელოვნების პოლიტიზება, ხელოვნებასა და პოლიტიკას საერთო არაფერი აქვთ. ამორჩევა, რა თქმა უნდა, იყო გასულ წლებში, თუმცა დღეს ასე აღარ არის. ამის შესახებ ნეკა სეფისკვერაძეს უნდა ჰკითხოთ, ის გიპასუხებთ კარგად. რაც შეეხება პოლიციისთვის ნამღერ ჰიმნს, რა თქმა უნდა, ამით მუსიკოსის ტალანტი არ უნდა ფასდებოდეს. მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შეფასდეს, თუ ის ძალიან კარგია. რაც შეეხება მაგ სიმღერას თუ ჰიმნს, უკეთესიც შეიძლებოდა, მაგრამ მის შემქმნელებს თავი ძალიან მაგრები ჰგონიათ. უნდოდათ კარგი? შეეძლოთ ეთხოვათ მამუკა ჩარკვიანისთვის, „მგზავრებისთვის“ ან ვინმე სხვისთვის...

**— ძალიან ბევრი მომღერალი, თუნდაც სხვა პროფესიის ადამიანი, საზღვარგარეთ წავიდა სამუშაოდ. რას იტყოდით ემიგრანტებზე?**

— შემოევლოთ ჩემი თავი. მეც მათ დღეში ვარ, მაგრამ ვერ მივდივარ, ვერ ვახერხებ. მომღერლისთვის საარსებო წყარო აღარ არის აქ... **იცით, რა? კულტურის სამინისტროს შეუძლია დააფინანსოს ეს ადამიანები, რომელთაც წერა, მუსიკის შექმნა შეუძლიათ. უნდა მიხედონ ხელოვნებას, ხელოვნება საზრდოა.** აბა, მითხარით, რომელ ჯარს დავხვდებით — თურქეთის, აზერბაიჯანის? სომხეთსაც ვერ გავუმკლავდებით. ახლა რეგიონში ვიყავი, სომხები, ფაქტობრივად, შემოვიდნენ, ჩაგვისახლდნენ. რისი ხმის ამომღები ვართ?! ჯარი მხოლოდ იმისთვის გვყავს, საკუთარი ხალხი რომ ჩავახშოთ. ვარჯიშობენ, ათასობით ტყვიებს ხარჯავენ, ვის ებრძვიან? ვისთან გამკლავების თავი აქვთ?

**— მაშინ, როდესაც ძალიან ბევრი ქართველი უცხოეთში მონური შრომით ირჩენდა თავს, ხელისუფლება ქართულ მიწას უცხოელებზე ყიდდა. ზოგიერთ ყავლგასულ, ნაფტალინის სუნდაკრულ უცხოელ შემსრულებელს ჰონორარის სახით მილიონებს უხდიდა, ეს მართებულია?**

— ეგ ხო... მიშიკო მაგარი ჯინიანი კაცია. იტყვის და აკეთებს, სხვისი აზრი არ აინტერესებს. საერთოდ ვინ ჩამოჰყავდა?! ხალხმა სახელებიც კი არ იცოდა მათი. რა, ტოტო კუტუნიოს ჩამოყვანით ქართული მუსიკა განვითარდა? ამას სჯობდა, ეს ფული ქართველებისთვის მოეხმარებინა, რომ რაიმე ღირებული შექმნილიყო. **საქართველოს ჰყავს ძალიან ბევრი კარგი მომღერალი, მაგრამ ახალი ხარისხიანი სიმღერები არ გვაქვს. მერწმუნეთ, სტივ ვანდერზე უკეთ ვერ იმღერებენ მის სიმღერებს, ჯობია, თავი ისევ ჩვენი ქართულით მოვიწონოთ.**

**— მინდა გავიხსენო რამდენიმე დღის წინ განვითარებული მოვლენები. 17 მაისი წარმოადგენდა თუ არა ეკლესიის მხრიდან ხელისუფლებისთვის ნასროლ ხელთათმანს?**

— არ ჩავერევი ამ საქმეში, მაგრამ ერთ რამეს ვიტყვი: ვერ ვიტან გეებს, კაცი რომ „ისე“ შემოგხედავს, ის როგორ უნდა აიტანო?! რაც შეეხება ეკლესიის გამოსვლას და არეულობას, შეიძლება არ იყო ეს მოსაწონი, მაგრამ თავისი საქმე თვითონ იციან. ალბათ, ეს საჭირო იყო და ამიტომ გააკეთეს კიდეც.

**— თავის დროზე, როდესაც გიორგი თარგამაძის წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში კონცერტი გამართეთ, არ მოერიდეთ და თარგამაძისავე თანდასწრებით მიანიშნეთ, რომ ეს უკანასკნელი ვანოს დაკრულზე უბერავდა. დღეს ვინ ვის დაკრულზე და ვინ როგორ უბერავს?**

— არა, მე სხვა გაგებით ვთქვი, ანუ ამაზე მეტი რა ავიტანო, გიორგეთს მართავს მიშა და ვანო... გიორგეთი, ანუ საქართველო, მიშა და ვანო კი რუსული სახელებია და, ალბათ, გასაგებია, რაც ვიგულისხმე...

დღეს, მე მგონი, არავინ არავის დაკრულზე აღარ უბერავს, უფრო სწორად, ვინ ვის დაკრულზე უბერავს, ვერ გავიგე.

ბოლოს ერთი რამ მინდა გითხრათ: ,,ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“. **იმედია, ხელისუფლების შეცვლით რაიმე შეიცვლება ხელოვნებაშიც და მომავალ თაობას ახალი ხარისხიანი მუსიკაც ექნება, ის, რაც ჩვენს თაობას აკლია.**

ესაუბრა
**ნათია ხიჯაკაძე**

# ლაფანყური ვანო მერაბიშვილმა დაგეგმა

**ჩეჩნეთის რესპუბლიკა, იჩქერიის სახელმწიფო კომისია 2012 წლის 29 აგვისტოს ლოპოტას ხეობაში მომხდარ ინციდენტზე წარმოებული გამოძიების დასკვნას აქვეყნებს, რომელიც იჩქერიის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს ვებგვერდზეა განთავსებული.**

კომისიის დასკვნის მიხედვით, ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დაღუპული რიგითი წევრები წინასწარ დაგეგმილი სისხლიანი ანგარიშსწორების მსხვერპლნი იყვნენ. კომისია სპეცოპერაციის დაგეგმვის მონაწილე ოთხ მხარეს – რუსეთს, „კავკასიის ემირატს“, საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც თავიდანვე აკონტროლებდა მთელ პროცესს და რიგით დივერსანტებს გამოყოფს, მთავარ მოქმედ გმირად კი ჩეჩნური მხრიდან ახმედ უმაროვს ასახელებს.

კომისია ასკვნის, რომ ლოპოტას ხეობაში შეიარაღებული დაჯგუფების განადგურების ოპერაცია ვანო მერაბიშვილმა დაგეგმა. ოპერაცია კი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შეთანხმებით განხორციელდა. ჯგუფის კომპლექტაციის უშუალო ხელმძღვანელი კი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გია ლორთქიფანიძე იყო.

**როგორც კომისიის დასკვნაშია აღნიშნული, ლორთქიფანიძე დოკუ უმაროვის წარმომადგენლებთან საკუთარი კონტაქტების ხარჯზე დაჰპირდა ჩეჩნებსა და სამხრეთ კავკასიის სხვა მცხოვრებლებს, რომელთაც რუსი ოკუპანტების წინაალმდეგ შეიარაღებულ ბრძოლაში მონაწილეობის სურვილი ჰქონდათ, საქართველოდან დაღესტანში შესვლისთვის „კორიდორის“ გაკეთებას. მონაწილეობის სურვილი 200-მა ადამიანმა გამოთქვა, რომლებიც ბელგიიდან, საფრანგეთიდან, ავსტრიიდან, ინგლისიდან, ნორვეგიიდან, თურქეთიდან და ეგვიპტიდან ჩამოვიდნენ. ისინი თბილისსა და პანკისის ხეობაში დააბინავეს. კომისია დარწმუნებულია, რომ ლოპოტას ხეობაში განხორციელებული შეიარაღებული სპეცოპერაცია წინასწარ დაგეგმილი მასობრივი მკვლელობა იყო. კომისიის დასკვნის მიხედვით, საქართველოს იმჟამინდელ მთავრობას არჩევნების წინ პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდა და შეიარაღებული პირების გამოჩენა დაღესტნიდან საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსვლად უნდა წარმოჩენილიყო.**

კომისია ასევე აღნიშნავს, შეიარაღებული სამხედრო დაჯგუფების მომზადება თავდაპირველად რუსული სპეცსამსახურების ინიციატივით მოხდა, თუმცა საქართველოს ხელისუფლება პროცესს თავიდანვე აკონტროლებდა.

**დასკვნას ხელს აწერს ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის საგარეო საქმეთა მინისტრი, სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე უსმან ფერზაული.**


საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი

ქართული ჟურნალისტიკისა და ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დამოუკიდებელი საქართველოს პირუთვნელი მემატიანე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", დაარსების 95 წლისთავთან დაკავშირებით, ჯილდოვდება საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის საპატიო დიპლომით

თბილისი 3.06.2013

**საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ულოცავს დაარსებიდან 95-ე წლისთავს და უსურვებს ისტორიული მნიშვნელობის გაზეთის ძველი და ახალი თაობის ყველა მოღვაწეს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ახალ პროფესიულ-შემოქმედებით წარმატებებს.**

**იმედია, „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ახალი საქართველოს დემოკრატიულ აღმშენებლობაში, საქართველოს გამთლიანებასა და სამართლიანობის აღდგენაში თავის მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.**

# საპატრულო პოლიციის ავტომანქანაზე თავდასხმისთვის 3 თხა დააპატიმრეს

**შემთხვევა ინდოეთის სამხრეთით მოხდა. პოლიციელთა განცხადებით, ავტომანქანას 12 თხა დაესხა თავს და მინები ჩაუმსხვრია. თავდასხმის შემდეგ სამართალდამცავებმა „ბოროტმოქმედებიდან“ მხოლოდ სამის დაკავება მოახერხეს, დანარჩენები კი „მიიმალნენ“.** დაკავებული თხები პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც მთელი ღამე გაატარეს, შემდეგ კი ცხოველთა თავშესაფარში წაასხეს. ამ დრომდე უცნობია, რა სასჯელს მიუსჯიან დამნაშავე თხებს.



# განცხადება

**2013 წლის 1 სექტემბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დალოცავს გახარიების გვარს. ამისათვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივი ძალით დაწერა (დახატვა), რისთვისაც ლიბერთი ბანკში გახსნილია ანგარიში: GE36LBO111199431911000 (პ. ა. ლიანა გახარიას სახელზე). მნიშვნელოვანია, ყველა გახარიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოს ნებისმიერი თანხა.**

**დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ: 599 728 591**

საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894